

მასწავლებლის წიგნი

განათლების
დაწყებითი საფეხურის
მასწავლებლებისთვის

ანა ჯანელიძე
ნინო ლაბაროძე
ვიოლეტა კვირიკაშვილი
ქეთევან ქობალია



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

2014

რედაქტორები:

ნათო ინგოროყვა, ირაკლი პაპახაძე

სტილისტი:

ირმა ტაველიძე

მხატვრები:

მამუკა ტყეშელაშვილი

კონსტანტინე თოფური

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

© 2014, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISBN 978-9941-0-6859-1

ანა ჰანელიძე	3
ადრეული განათლების მნიშვნელობა	5
სასკოლო მზაობა	6
საკლასო ოთახის გარემო დაწყებით საფეხურზე	18
კითხვის მნიშვნელობა	23
კრიტიკული აზროვნების განვითარება დაწყებითი განათლების საფეხურზე	27
მათემატიკური უნარები და სწავლისადმი განსხვავებული მიდგომების შეფასება	33
მშობლებთან თანამშრომლობა – გამოწვევა მასწავლებლისთვის	37

ადრეული განათლების მნიშვნელობა

ადრეულ ასაკში ბავშვზე, მის განათლებაზე თითქმის ყველა საზოგადოებაში, ტრადიციულად, ოჯახი ზრუნავდა. მე-19 საუკუნის ევროპაში, ინდუსტრიალიზაციასთან ერთად, რომელმაც ხელი შეუწყო ურბანიზაციასა და ქალთა დასაქმების ზრდას, წარმოიშვა საჭიროება, ადრეულ ასაკში ბავშვსა და მის განათლებაზე ზრუნვა ოჯახს სხვა ინსტიტუტთან გაეზიარებინა. ასეთი დაწესებულებები მე-19 საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა შოტლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში და ნელ-ნელა სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. დღეს უკვე ბევრ განვითარებულ ქვეყანაში სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმრავლესობა დღის მნიშვნელოვან ნაწილს ოჯახის გარეთ, სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ატარებს, ამიტომ მომავალი თაობის ჯანსაღი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლამდელი განათლების სექტორის განვითარებას.

რატომ არის მნიშვნელოვანი ადრეული განათლება

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეული განათლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ისე საზოგადოების განვითარებისთვისაც. კვლევები სრულიად განსხვავებული დისციპლინების, მათ შორის ნეირომეცნიერების, ეკონომიკის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის ფარგლებში ხორციელდება. ნეირომეცნიერებაში განხორციელებულ კვლევათა შედეგები ცხადყოფს, რომ ადამიანის ტვინი ყველაზე ინტენსიურად სწორედ სკოლამდელ ასაკში ვითარდება. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბავშვი მასტიმულირებელ და უსაფრთხო გარემოში იზრდებოდეს, სადაც ის თავს დაცულად იგრძნობს, საშუალება მიეცემა, განივითაროს სხვადასხვა უნარი და დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა. კვლევის შედეგები ცხადყოფს იმასაც, რომ ბავშვის კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა და გა-

ნათლება განუყოფელია ერთმანეთისგან: „ერთი მხრივ, ბავშვების სიყვარული და, მეორე მხრივ, მათი სწავლება თავისთავად, ცალ-ცალკე, არ არის საკმარისი ბავშვის ოპტიმალური განვითარებისთვის“.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბავშვის ფსიქიკა ამ პერიოდში განსაკუთრებით მოწყვლადია და მუდმივად მოითხოვს ზრდასრულის მზრუნველობასა და თანადგომას.

ადრეული განათლების ეკონომიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირებულ გამოკვლევათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯეიმს ჰეკმანის კვლევებს, რომლებიც აანალიზებს სკოლამდელ განათლებაში დაბანდებული ინვესტიციების შედეგებს სხვადასხვა კონტექსტში. მეცნიერს მიაჩნია, რომ განათლების სხვა საფეხურებთან შედარებით სწორედ სკოლამდელ განათლებაში ჩადებულ თანხას მოაქვს ყველაზე დიდი „მოგება“ წლების შემდეგ, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ყოველ 1 დოლარზე 8 დოლარს უდრის. ჰეკმანი ხაზს უსვამს ადრეულ ასაკში ინვესტირების მნიშვნელობას სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემების მქონე ბავშვებისა და ოჯახებისთვის:

„ინვესტირება არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისთვის იშვიათი საჯარო პოლიტიკის ინიციატივაა, რომელიც ხელს უწყობს სამართლიანობასა და სოციალურ თანასწორობას და იმავდროულად ზრდის პროდუქტიულობას ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაში. არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისთვის გამიზნულ ადრეულ ინტერვენციას გაცილებით მეტი შედეგი მოაქვს, ვიდრე გვიანს, ისეთს, როგორიცაა სკოლაში მასწავლებლისა და მოსწავლეების დაბალი თანაფარდობა, სამსახურისთვის გადამზადება, მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამები, სწავლის სუბსიდიები, ან პოლიციის ხარჯები“.

კვლევები განვითარების ფსიქოლოგიასა და განათლების მეცნიერებაში ცხადყოფს, რომ სკოლამდელი ასაკი კოგნიტური, სოციალური, ემოციური და მეტყველების განვითარებისთვის კრიტიკული პერიოდია. ხარისხიანი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივი უნარების განვითარებას, სკოლისთვის მის მომზადებას და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში. განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი:

საფრანგეთი

კვლევამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლამდელი ასაკის 20 000-ზე მეტმა ბავშვმა, დაადგინა, რომ რაც უფრო მეტხანს დადიოდა ბავშვი სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში, მით უფრო მაღალი ნიშნები ჰქონდა დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში. პოზიტიური გავლენის შედეგი ხანგრძლივი აღმოჩნდა, ამასთან, მე-5 კლასში – უკეთესი, ვიდრე პირველში. ყველაზე საგულისხმო შედეგები კი არახელსაყრელ პირობებში მცხოვრებმა ბავშვებმა აჩვენეს.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის მასშტაბით შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით ჩატარებული კვლევის 2003 წლის ანგარიშის მიხედვით, სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას, განსაკუთრებით კი არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისთვის. შედეგები უკეთესია, როდესაც სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში სხვადასხვა წარმომავლობისა და სტატუსის მქონე ბავშვები ერთად სწავლობენ. რაც უფრო ხარისხიანია საგანმანათლებლო პროგრამა და მაღალია მასწავლებლის კვალიფიკაცია, მით უფრო დადებითია შედეგები ზემოაღნიშნული უნარების განვითარების გამოკვლევისას.

აშშ

კალიფორნიის შტატში ჩატარებული კვლევის 2005 წლის ანგარიშის მიხედვით, თუ ბავშვი დადიოდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, მეტი იყო ალბათობა, დაემთავრებინა საშუალო სკოლა, ზრდასრულ ასაკში ჰქონოდა უფრო მაღალი ხელფასი და ნაკლები – ჩართულიყო რაიმე სახის კრიმინალში. ანგარიშის ავტორები ამტკიცებენ, რომ თუ კალიფორნიელი ბავშვების 25% მაინც ისარგებლებს სკოლამდელი განათლების სერვისებით, შტატს ეს ყოველ ინვესტირებულ დოლარზე ორმაგ მოგებას მოუტანს (2005 წლისთვის კალიფორნიაში ამ სერვისებით 3 წლის ბავშვების მხოლოდ 5% და 4 წლის ბავშვების 11% სარგებლობდა).

ახალი ზელანდია

ახალ ზელანდიაში ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ 12 წლის ბავშვები, რომლებიც დადიოდნენ სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში, უკეთესად ასრულებენ მათემატიკურ და კითხვის დავალებებს. განსხვავება მაშინაც კი თვალსაჩინოა, როდესაც სტატისტიკური ანალიზის დროს ითვალისწინებენ ოჯახის შემოსავალს და მშობლების განათლებას.

ასეთი კვლევები, რომლებიც ამტკიცებს ადრეული განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბავშვთა სასკოლო, სოციალური და პროფესიული წარმატებისთვის, მრავლად ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამჟამად მრავალი ქვეყანა, აცნობიერებს რა ამ ასაკში განათლების კრიტიკულ მნიშვნელობას, დგას გამოწვევის წინაშე, შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროგრამების მიწოდებას სკოლამდელი ასაკის თითოეული ბავშვისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც არახელსაყრელ პირობებში იზრდება (სიღარიბე, უმუშევრობა, მშობლების განათლების დაბალი დონე, სახელმწიფო ენის არცოდნა და ა.შ.).

ადრეული განათლების სისტემების თანამედროვე გამოწვევები

უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ორგანიზაციები – გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და სხვ. – განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ქვეყანაში ადრეული განათლების პოლიტიკის ანალიზსა და სისტემების გასაუმჯობესებლად კვლევაზე დაფუძნებული გზების ძიებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილება ქვეყნების მიერ სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის სტატუსის ინდიკატორადაა მიჩნეული.

მინიმალური სტანდარტები 10 ძირითად პუნქტს მოიცავს:

1. ერთ წლამდე დეკრეტული შვებულება ხელფასის 50%-იანი ანაზღაურებით;

2. ეროვნული სტრატეგია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არახელსაყრელ პირობებში მცხოვრებ ბავშვებს;
3. სუბსიდირებული და რეგულირებადი ბავშვზე ზრუნვის სერვისები 3 წლამდე ასაკის ბავშვების მინიმუმ 25%-ისთვის;
4. სუბსიდირებული და აკრედიტებული ადრეული განათლების სერვისები 4 წლის ბავშვების მინიმუმ 80%-ისთვის;
5. ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომელთა 80%-ის სათანადო პროფესიული მომზადება;
6. ადრეული განათლების აკრედიტებულ დაწესებულებებში თანამშრომელთა 50% უმაღლესი განათლებით შესაბამის სფეროში;
7. ადრეული განათლების დაწესებულებებში თანამშრომლებისა და ბავშვების მინიმალური თანაფარდობა 1:15;
8. მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ის გაღება ადრეულ ასაკში ბავშვთა სერვისების უზრუნველსაყოფად;
9. ბავშვთა სიღარიბე არა უმეტეს 10%-ისა;
10. თითქმის ყველა ბავშვის უზრუნველყოფა ძირითადი ჯანდაცვის სერვისებით.

ამ სტანდარტების ათივე პუნქტს მხოლოდ ერთი ქვეყანა – შვედეთი აკმაყოფილებს, 9 პუნქტს – ისლანდია, 8-ს – დანია, ფინეთი, საფრანგეთი და ნორვეგია. გასათვალისწინებელია, რომ სტანდარტები მოითხოვს სახელმწიფოს მნიშვნელოვან ჩართულობას ბავშვის ადრეულ განათლებასა და განვითარებაში, რაც ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, ტრადიციულად, ოჯახისა და კერძო სექტორის ვალდებულებად მოიაზრება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიც არის, მაგალითად, ირლანდია, აშშ, ავსტრალია, ესპანეთი და კანადა, მხოლოდ სამ ან ნაკლებ პუნქტს აკმაყოფილებენ. ამასთანავე, რთულია მხოლოდ ამ სტანდარტების საშუალებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სისტემების შედარება. მაგალითისთვის, განვიხილოთ ხარისხის ერთ-ერთი ინდიკატორი – ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომელთა 80%-ის სათანადო პროფესიული მომზადება. სხვადასხვა ქვეყანაში „სათანადო პროფესიული მომზადების“ ცნება შესაძლოა სრულიად სხვადასხვანაირად ესმოდეთ; ერთ შემთხვევაში იგულისხმებოდეს ერთთვიანი მომზადება, მეორეში კი – სამწლიანი განათლება უმაღლესი განათლების საფეხურზე. მიუხედავად ამისა, მინიმალური

სტანდარტები წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს ქვეყნებისთვის, რომლებიც მზად არიან, გაიღონ სახელმწიფო რესურსები, რათა ბავშვებს ხარისხიან ადრეულ განათლებაზე მიუწვდებოდეთ ხელი. ეს ზოგადი სტანდარტები, რომლებიც მშობლობასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, ბავშვთა ზოგად მდგომარეობას (ჯანმრთელობა, სიღარიბე), ადრეული განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას უკავშირდება, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა. სტანდარტების ადგილობრივ კონტექსტთან და განათლებაში არსებულ ტრადიციებთან შეჯერებით შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ყველაზე უკეთ დაიცავს ბავშვთა ინტერესებსა და უფლებებს.

დღეს, როდესაც მრავალი სამეცნიერო კვლევა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს სკოლამდელი განათლების პოზიტიურ გავლენას სკოლაში ბავშვის წარმატებაზე, მომავალში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე, ვფიქრობთ, დროული იქნება ქვეყნების ძალისხმევა ამ სფეროში ინვესტირების გასაზრდელად.

სასკოლო მზაობა

*„ძვირფასო ადელ, მე 4 წლის ვარ და შემიძლია წავიკითხო
ნებისმიერი ინგლისური წიგნი. შემიძლია ლათინურად
წარმოვთქვა ყველა არსებითი სახელი, გედსართავი
სახელი, დამოუკიდებელი ზმნა და 52 სტრიქონი ლათინური
პოეზიიდან“.*

ფრენსის გალტონი (წერილი დისადმი, 1827)

*„ხალხს არ ესმის, რა დროისა და ტანჯვის ფასად ხდება
კითხვის სწავლა. ოთხმოცი წელია, ამას ვცდილობ და ჯერ
კიდევ ვერ ვიტყვი, რომ წარმატებას მივაღწიე“.*

გოეთე

რას ნიშნავს სასკოლო მზაობა

განვითარების ფსიქოლოგებმა და პედაგოგებმა კარგად იციან, რომ სკოლაში სწავლის დაწყება ბავშვის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. პირველი კლასიდანვე ჩნდება ახალი ვალდებულებები და წესები, რომლებსაც ისინი უნდა დაემორჩილონ: გაატარონ უფრო მეტი დრო მერხთან, ვიდრე ამის სურვილი აქვთ; ყურადღებით უსმინონ მასწავლებელს და დაემორჩილონ მის ინსტრუქციებს; ისწავლონ რიგითობის დაცვა მასწავლებლისთვის პასუხის გაცემის დროს და ა.შ. მრავალი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ სასკოლო მზაობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სკოლაში ბავშვის მომავალი წარმატებისთვის როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ-ემოციურ სფეროში. სასკოლო მზაობაზე მსჯელობისას თანამედროვე მკვლევარები და პრაქტიკოსები ხაზს უსვამენ მის კომპლექსურ ხასიათს და ბავშვის სასკოლო მზაობას განიხილავენ იმ გარემოსთან კავშირში, რომელშიც ბავშვი ვითარდება. ბავშვის წარამატებისთვის მნიშვნელოვანია როგორც მისი მზაობა (სკოლისთვის საჭირო უნარების ფლობა), ასევე სკო-

ლის, ოჯახისა და საზოგადოების მზაობა, შეუქმნას მას განვითარებისა და სწავლისთვის სათანადო პირობები.

ბავშვის სასკოლო მზაობა

ბავშვის განვითარებისა და ადრეული განათლების სფეროში განხორციელებული კვლევების საფუძველზე, მეცნიერები თანხმდებიან, რომ ბავშვის სასკოლო მზაობა სხვადასხვა უნარებს გულისხმობს. აღნიშნული უნარები შეგვიძლია, პირობითად, რამდენიმე კატეგორიად დავყოთ:

ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება: გულისხმობს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ზრდას, ფიზიკურ შესაძლებლობებს; მსხვილ და წვრილ მოტორულ უნარებს;

სოციალური და ემოციური განვითარება: გულისხმობს სხვებთან ურთიერთობის უნარს; ისეთ სოციალურ უნარებს, როგორიცაა რიგითობის დაცვა და თანამშრომლობა; განსხვავებულის პატივისცემა; თვითიდენტობა და თვითშეფასება; სხვა ადამიანთა გრძნობების გაგება და საკუთარი გრძნობების გააზრება-გამოხატვა;

სწავლისადმი მიდგომა: გულისხმობს მოტივაციას, ცნობისმოყვარეობას, ყურადღების კონცენტრაციას, შემოქმედებითობას; პრობლემების გადაჭრის უნარს, კრიტიკულ აზროვნებასა და კვლევას.

მეტყველების განვითარება: გულისხმობს ვერბალური, საკომუნიკაციო და წიგნიერების საწყისი უნარების განვითარებას; ვერბალური უნარები მოიცავს მოსმენას, ზეპირ მეტყველებასა და ლექსიკას; წიგნიერების საწყისი უნარები გულისხმობს ნაბეჭდი მასალის მიმართ ინტერესს, მოთხრობის პრინციპის აღქმასა და წერის საწყის უნარებს (მაგ., იდეების ხატვით ან ასოების მსგავსი ფორმებით გამოხატვა);

შემეცნება და ზოგადი ცოდნა: გულისხმობს შემოქმედების აღქმას და გაგებას, შემოქმედებით თვითგამოხატვას; ოჯახური, საზოგადოებრივი და კულტურული ნორმების ცოდნას, რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარებას, საგნებსა და მოვლენებს შორის მიმართების წვდომას.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა ერთი და იმავე ასაკისაა, ბავშვთა მზაობა განსხვავებულია ინდივიდუალური გამოცდილების, ცოდნის, უნარებისა და გენეტიკური მემკვიდრეობის გამო. კვლევები ადასტურებს, რომ სწავლის პირველ წლებში წარმატება, ხშირ შემთხვევაში, უფროს კლასებში წარმატების განმსაზღვრელია. სწორედ ამიტომ, დაწყებით კლასებში ნაკლები მზაობის მქონე მოსწავლეების ხელშეწყობა უკიდურესად მნიშვნელოვანია.

რა ასაკშია ბავშვი მზად სკოლისთვის? ამ კითხვაზე არაერთგვაროვანი პასუხები არსებობს, რაც სხვადასხვა ქვეყანაში სკოლაში შემსვლელთა მინიმალურ ასაკზე აისახება. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის სკოლისათვის მზაობა უნდა შეფასდეს სასკოლო პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებაში. ცხადია, სასკოლო პროგრამა ქმედითი და მართებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ის შეესაბამება მოცემულ ეტაპზე ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებს.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სავალდებულო დაწყებით განათლებას ბავშვები სხვადასხვა ასაკში, განსხვავებული სასწავლო პროგრამით იწყებენ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიის ზოგიერთ შტატში სწავლის დაწყების ასაკი 5 წელია; სინგაპურში, ნორვეგიასა და საფრანგეთში – 6; შვედეთში – 7 წელი; აშშ-ის სხვადასხვა შტატში კი სწავლის დაწყების ასაკი 5-იდან 8 წლამდე მერყეობს. ზოგიერთ სახელმწიფოში/შტატში სავალდებულო განათლების ასაკი მკაცრად არ არის განსაზღვრული და მშობლებს ეძლევათ არჩევანის უფლება, ერთი წლით ადრე ან ერთი წლით გვიან შეიყვანონ ბავშვი სკოლაში (მაგ., შვედეთში 6 წლის ასაკში 7-ის ნაცვლად). ასეთ შემთხვევაში, მშობლები თავად წყვეტენ, არის თუ არა მათი შვილი მზად სკოლისათვის, მიუხედავად სასკოლო ასაკისა. სამწუხაროდ, ხშირად მშობელთა მიერ ბავშვის სასკოლო მზაობის შეფასება ხდება შემეცნებითი და წიგნიერების საწყისი უნარების საფუძველზე, ხოლო არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიზიკური და სოციალური ემოციური მზაობა ყურადღების მიღმა რჩება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანების თანახმად, 2010 წლის სექტემბრიდან სავალდებულო დაწყებით განათლებას შეუდგებიან ბავშვები, რომლებსაც 6 წელი შეუსრულდებათ შესაბამისი სას-

წავლო წლის დასრულებამდე. იმისათვის, რომ 5 წლის ბავშვებმა წარმატებულად შეძლონ სწავლის დაწყება, მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმისა და სასწავლო გარემოს ადაპტირება ასაკის შესაბამისად.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადრეულ ასაკში ბავშვები სწრაფად ვითარდებიან და იცვლებიან. არ არსებობს სკოლაში სწავლის დაწყებისთვის ისეთი იდეალური ასაკი, რომელიც უსათუოდ წარმატების მომტანი იქნებოდა ყველა ბავშვისთვის. არის მოსაზრება, რომ სკოლაში შედარებით უფროს ასაკში შესული ბავშვები უფრო მეტ წარმატებას აღწევენ, ვიდრე მათი უმცროსი თანაკლასელები, თუმცა უმცროსები უფრო ინტენსიურ პროგრესს ავლენენ პირველი წლის განმავლობაში. მეორე მხრივ, არსებობს იმის მტკიცებულებაც, რომ სკოლაში სწავლის დაწყებისთვის უმცროსი ასაკი იმთავითვე არახელსაყრელი ფაქტორია.

კვლევების ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ასაკი არ წარმოადგენს სკოლაში წარმატების განმსაზღვრელ ერთადერთ ფაქტორს. სხვა ფაქტორები, როგორიცაა ოჯახი, სკოლა, თემი და სკოლის ფარგლებში ბავშვის ინდივიდუალური გამოცდილება, არანაკლებ მნიშვნელოვანია წარმატებისთვის.

სკოლაში შესვლის მომენტისთვის ბავშვის მზაობის შეფასება ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკაა მრავალ ქვეყანაში (მაგ., ავსტრალია, აშშ). აშშ-ის ზოგიერთ შტატში ბავშვის სასკოლო მზაობის შეფასება სავალდებულოა. შეფასების ინსტრუმენტები (კითხვარები) განსხვავებულია და, რიგ შემთხვევებში, მათი შემუშავება სკოლას ან მასწავლებელს ევალება. სამწუხაროდ ზოგჯერ არამართებულად ხდება სასკოლო მზაობის შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე მიღებული შედეგების გამოყენება. თანამედროვე მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სასკოლო მზაობის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების მთავარი მიზანი უნდა იყოს არა ბავშვებისათვის სკოლაში მიღებაზე უარის თქმა, ან მათთვის რაიმე იარღილის მიწება, არამედ თითოეული ბავშვის საჭიროებების განსაზღვრა სკოლის ცხოვრებაში დაუბრკოლებლად გადასვლისთვის და შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზებისთვის.

2010 წლის სექტემბერში ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ, საქართველოს მასშტაბით, პირველად განხორციელდება პირ-

ველკლასელ მოსწავლეთა სასკოლო მზაობის შეფასება. ბავშვთა მზაობის შეფასება მოხდება ზემოაღნიშნული ხუთი უმთავრესი ასპექტის მიხედვით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, დაკვირვება განხორციელდება 1500 პირ-ველკლასელზე. შედეგების გაანალიზება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფაქტორის ჭრილში. მაგალითად, შეფასდება, არის თუ არა კავშირი სასკოლო მზაობასა და სკოლამდელ განათლებას შორის, განსხვავდება თუ არა სასკოლო მზაობა ბავშვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით და ა.შ.

სკოლის მზაობა

ვინაიდან, სხვადასხვა ფაქტორის გამო, ბავშვები ერთნაირად „მომზადებული“ არ მიდიან სკოლაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლის შესაძლებლობას, უზრუნველყოს თითოეული ბავშვის განვითარებისა და სწავლისთვის ხელსაყრელი პირობები. კვლევების საფუძველზე, განათლების სპეციალისტები, აკერმანი და ბარნეტი (2005) გვთავაზობენ სკოლის მზაობის სამ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს:

ბავშვისთვის აუცილებელი მხარდაჭერის უზრუნველყოფას. აღნიშნული, შესაძლოა, გულისხმობდეს ერთგვარ გარდამავალ პროგრამებს, ყველა ბავშვის მიმართ თანაბრად მაღალ მოლოდინებს, მოტივირებულ მასწავლებლებს, რომლებიც მზად არიან, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაფერისი პროგრამა შეიმუშაონ.

სწავლებისა და სწავლის პროცესი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია, ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე, სწავლების მეთოდების მოდიფიკაციის მნიშვნელობასა და მშობლის ჩართულობის ხელშეწყობაზე. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.

სკოლის ადაპტირების უნარი, რაც გულისხმობს სკოლის ძლიერ მმართველობას, რომელიც ხელს უწყობს, ბავშვთა საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, გარემოსა და პროგრამების ადაპტირების პროცესს, აგრეთვე, სკოლასა და ოჯახს შორის, სკოლა-სა და თემს შორის თანამშრომლობას.

ის, რაც სკოლაში ხდება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვისა და მისი ოჯახის დამოკიდებულებას სკოლისადმი, მათ ჩართულობას როგორც სკოლაში შესვლის დროს, ისე მომდევნო წლებში. დიდია ალბათობა, რომ სკოლები, რომლებიც ითვალისწინებენ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს, მზად არიან არა ზოგიერთი, არამედ ყველა ბავშვის მისაღებად. სკოლის ცხოვრებაში ბავშვის წარმატებული ჩართვა ითხოვს ოჯახსა და სკოლას შორის აქტიურ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემას.

სკოლის მზაობისთვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სათანადოდ მომზადებული მასწავლებელი, რომელსაც ხელი მიუწვდება პროფესიული განვითარების პროგრამებზე. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბავშვთა უნარების განვითარებას, თითოეული ბავშვის მიმართ მაღალი მოლოდინების შენარჩუნებას, ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პოზიტიური ურთიერთობები და ძლიერი მენეჯმენტი სკოლის მზაობის ერთ-ერთი საფუძველია.

ოჯახისა და თემის მხარდაჭერა

ბავშვისა და სკოლის მზაობასთან ერთად, მნიშვნელოვანია უფრო ფართო კონტექსტი, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. ამ შემთხვევაში, მზაობა გულისხმობს სოციალურ, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ, საგანმანათლებლო და პიროვნულ რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის წარმატებას სკოლაში შესვლის მომენტისთვის. ოჯახისა და თემის მხარდაჭერა რამდენიმე ძირითად ელემენტს მოიცავს:

განვითარების ეტაპის შესაბამისი, ხარისხიანი სკოლამდელი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა, ხელს უწყობს ბავშვის სკოლისათვის მომზადებას. კვლევები ადასტურებს, რომ ადრეულ ასაკში ბავშვის სოციალური და აკადემიური კომპეტენციების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლამდელი განათლება. აშშ-სა და ევროპაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ სკოლამდელი განათლება განსაკუთრებით პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის

მქონე ოჯახებიდან. მზაობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია ოჯახში არსებული მდგომარეობა, აღზრდის მეთოდები, მშობელთა განათლება, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.

ბავშვის უზრუნველყოფა ადეკვატური კვებითა და ფიზიკური განვითარებისთვის საჭირო პირობებით; ჯანდაცვის სფეროს მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ინფრასტრუქტურისა და სოციალური კავშირების განვითარების გზით, საზოგადოება ქმნის სოციალურ კაპიტალს. რაც უფრო მაღალია სოციალური კაპიტალის დონე, მით მეტი რესურსი აქვს თემს ადრეულ ასაკში ბავშვების მრავალფეროვანი საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და ჯანდაცვითი სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად. სასკოლო მზაობისადმი არსებობს ისეთი მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს არა თითოეული ბავშვის სასკოლო მზაობის ხელშეწყობას, არამედ თემის ფარგლებში ისეთი მიზნობრივი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს თემში ბავშვთა მზაობის საშუალო მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

ერთი მხრივ, სკოლაში ბავშვის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სასწავლო გეგმის დაძლევისა და ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარების ფლობაზე. მეორე მხრივ, აუცილებელია, სკოლა ბავშვს სთავაზობდეს მისი ასაკის შესაძლებლობებისა და პოტენციალის ადეკვატურ სასწავლო პროგრამასა და სასწავლო გარემოს.

საკლასო ოთახის გარემო დაწყებით საფეხურზე

ორი თვის წინ პოლონეთის პატარა სოფლებში საბავშვო ბაღების სანახავად ჩასულმა სკოლებიც დავათვალიერე. იმ სოფლებში, რომლებშიც შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა სიმცირის გამო მიზანშეწონილი არ არის საბავშვო ბაღის არსებობა, სკოლამდელი განათლების ცენტრები სკოლის შენობებშია შექმნილი. ამ ცენტრებში უმცროსი ასაკის ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ მინიმალური სკოლამდელი განათლება. სწორედ იქაური სკოლების დათვალიერებისას მომინდა სკოლის გარემოს შესახებ სტატიის დაწერა.

ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს ის, რომ გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდეს. ამ მხრივ არც სკოლაა გამონაკლისი. სასწავლო გარემო და კომფორტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლისადმი მოსწავლის დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

სკოლაში სწავლისათვის სათანადო გარემოს შექმნა მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია. მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ ფიზიკური გარემოს ხარისხი მჭიდროდ უკავშირდება აკადემიურ მიღწევებს: სათანადო აღჭურვილობა აუმჯობესებს სკოლის გარემოს ხარისხს; სკოლის გარემოს ხარისხი ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის თანამშრომლების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე; დამოკიდებულებები მოქმედებს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ ქცევაზე; ქცევა ზეგავლენას ახდენს აკადემიურ მიღწევაზე; აკადემიური მიღწევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პიროვნების და, ზოგადად, საზოგადოების მომავალს. გარემოს ხარისხს, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ელემენტარული პირობები, მათ შორის, შესაბამისი სივრცის არსებობა, ჰაერის ტემპერატურა, ბუნებრივი განათება, სისუფთავე და სანიტარია. თუმცა აქ ამ პირობებზე არ გავამხვილებ ყურადღებას. ეს ყველაფერი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია იმისათვის, რომ ბავშვები ხალისით სწავლობდნენ საკლასო ოთახში.

სკოლაში სწავლას 5-6 წლის ბავშვები სხვადასხვა გამოცდილებითა და უნარ-ჩვევებით იწყებენ. თითოეული ბავშვის შესაძლებლობები განსაკუთრებულია. პირველ რიგში, ისინი განსხვავდებიან ასაკობრივად, ხოლო ამ ასაკში 3-4-თვიანი სხვაობაც კი შესაძლოა მეტად მნიშვნელოვანი იყოს. ზოგიერთს აქვს გარკვეული გამოცდილება საგანმანათლებლო სივრცეში, მაგალითად, საბავშვო ბაღში სიარულისა, სხვებს კი ეს არა აქვთ. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევები ამტკიცებს, რომ საბავშვო ბაღში სიარული მჭიდროდ უკავშირდება სასკოლო მზაობას. პირველკლასელები, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიოდნენ, უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ ეგუებიან მოსწავლის ახალ როლს. გარდა ამისა, სკოლაში ბავშვები განსხვავებული ოჯახური გარემოდან მოდიან და თითოეულ მათგანს განსხვავებული ინტერესები, მიდრეკილებები და უნარ-ჩვევები აქვს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი აცნობიერებდეს ამ განსხვავებებს და თითოეული ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომას იყენებდეს. საკლასო ოთახის სათანადოდ მოწყობა კი მასწავლებელს სწორედ ამ კუთხით დაეხმარება.

დაწყებითი კლასები, განსაკუთრებით პირველი 2-3 წელი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სწავლისადმი ბავშვის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. რაც უფრო სახალისოა გარემო, მით უფრო ხალისიანი ხდება სწავლა. საქართველოში დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები ხშირად არ განსხვავდება საბაზო ან საშუალო საფეხურის საკლასო ოთახებისგან. ბევრი სკოლის საკლასო ოთახებში ადვილი შესამჩნევია ერთფეროვანი კედლები, უმცროსი ასაკის ბავშვისთვის საინტერესო და საყვარელი ნივთების სიმცირე. ამ მხრივ, რეაბილიტირებული ან ახალი სკოლებიც არ არის გამონაკლისი. მასწავლებლის, სკოლისა და მშობელთა თანამშრომლობით შესაძლებელია საკლასო ოთახში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც დაეხმარება ბავშვებს იმაში, რომ ადვილად შეეგუონ სასკოლო გარემოს, ჩამოუყალიბდეთ სწავლისადმი პოზიტიური მიდგომა, დაძლიონ სწავლის სირთულეები და მეტი ხალისით ისწავლონ.

საკლასო ოთახის სივრცის მოწყობა სრულიად განსხვავდება იმისგან, რაც უმრავლეს შემთხვევაში გვინახავს. პირველ რიგში, თვალში ხასხასა, მხიარული ფერები გვხვდება. საკლასო ოთახში მრავლად არის ფერადი კარადები, თაროები, მოსწავლეთა პირადი უჯრები, მცენარეები, მოსასვენებელი ადგილი და ა.შ. შესაძლოა დავსვათ კითხვა: რაში სჭირდება ეს ყველაფერი ბავშვს, რომელიც ისეთ ფორმალურ გარემოშია, როგორიც სკოლაა, სკოლის

ძირითადი ფუნქცია კი ბავშვის სწავლებაა? სასწავლო გარემო, რომელიც პერიოდული დასვენებისა და თამაშის საშუალებას იძლევა, სწავლას, როგორც ძირითად მიზანს, კი არ აკნინებს, არამედ განამტკიცებს. ასეთ შემთხვევაში, სწავლა მოსაწყენი და დამღლელი მოვალეობა არ არის, ის პასუხობს ბავშვის ცნობისმოყვარეობას, ბუნებრივ მოთხოვნილებას – შეიცნოს სამყარო.

სასურველია, დაწყებით კლასებში მოსწავლეს ჰქონდეს პირადი სივრცე – პატარა კარადა, უკრა, სადაც შეძლებს ისეთი ნივთების შენახვას, რომელთა ყოველდღიურად სახლში ტარება აუცილობლობას არ წარმოადგენს (მაგ., ფუნჯები, საღებავები, კალმები, ნამუშევრები და ა.შ.). ამასთან სასურველია, სწავლის დაწყებისთანავე საკუთარი თაროსთვის (უჯრისთვის) თითოეულმა მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით დაამზადოს „იარლიყი“, რომელზეც მითითებული იქნება მოსწავლის სახელი. როდესაც ბავშვები ცოდნის ამგვარ „გამოყენებით“ შემთხვევებს აწყდებიან, უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წერა-კითხვას, ვიდრე მხოლოდ სწავლისთვის გამიზნული აქტივობების დროს. საკუთარი სივრცის არსებობის შემთხვევაში, ბავშვი ეჩვევა წესრიგს, ის იღებს პასუხისმგებლობას გარკვეულ „ტერიტორიაზე“ და უვლის მას. მიეცით უფლება ბავშვებს, სკოლაში მოიტანონ საყვარელი წიგნი, სამაგიდო თამაში, შეინახონ ისინი სათანადო ადგილას და გამოიყენონ მხოლოდ თავისუფალ დროს. შესაძლოა, მათ თავდაპირველად გაუჭირდეთ ამ წესის დაცვა. მასწავლებელმა თავიდანვე უნდა უზრუნველყოს ის, რომ ბავშვები წესს იცავდნენ, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ისინი ბუნებრივად დაიცვენ მას. მოსწავლეებს შეუძლიათ მოიტანონ საყვარელი ნამუშევრები, რომლებსაც მასწავლებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოფენს. ასეთ შემთხვევებში, ბავშვს უმტკიცდება სკოლისადმი, საკუთარი კლასისადმი კუთვნილების განცდა. ეს კი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სკოლაში სიარული არ იქცეს ტვირთად და უსიამოვნო მოვალეობად. კლასებში, რომლებშიც მოსწავლეთა რაოდენობა 15-20-ს არ აღემატება, სასურველია იყოს სივრცე, სადაც ბავშვებს შეეძლებათ რბილ საფეხზე, ხალიჩაზე დაჯდომა ან წამოგორება. ადრეულ სასკოლო ასაკში ბავშვი მერხთან ჯდომისას ადვილად იღლება. ამიტომ, სასურველია ისეთი პირობების შექმნა, რომ მან შეძლოს სხვადასხვა პოზაში დასვენება. გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობის შესრულებისას, შესაძლებელია მერხების განლაგების შეცვლა, რათა უკეთ და თავისუფლად შეძლონ მოსწავლეებმა დავალების შესრულება.

საკლასო სივრცის მოწყობის დროს მნიშვნელოვანია მშობლებთან თანამშრომლობა. შეიტყვეთ მათგან ბავშვების ინტერესები, ჩართეთ ისინი კლასის

გარემოს გაუმჯობესების პროცესში, მაგალითად, სთხოვეთ, დაგეხმარონ კარადების შეღებვაში და ა.შ. ასეთ დროს მშობელსაც უჩნდება სკოლისადმი კუთვნილების განცდა, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ მან აქტიური, პოზიტიური როლი შეასრულოს სკოლის ცხოვრებაში.

როგორ შეიძლება შევექმნათ ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შემეცნებასა და წიგნიერებას? როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვის, რომელთა სასკოლო მზაობა, წიგნიერებამდელი უნარ-ჩვევები სხვადასხვა მიზეზის გამო ჩამოუვარდება სხვებისას. თუკი გარემო და სწავლების მეთოდები პირობები კლასიდანვე მოსწავლის შესაძლებლობებზე იქნება მორგებული, უმრავლეს შემთხვევაში, ის შეძლებს არახელსაყრელი საწყისი პირობების ზეგავლენის გადალახვას. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია მარტივი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დეტალების შეტანა საკლასო ოთახში.

- დაამზადეთ მისაწებებელი ბარათები (იარლიყები) იმ საგნებისა და ავეჯისთვის, რომლებსაც ხშირად იყენებენ ბავშვები. ასეთ ბარათებზე სიტყვებთან ერთად სასურველია იყოს მიმანიშნებელი სურათებიც, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ ნაწერის აღნიშნულთან დაკავშირება.
- საკლასო ოთახში განათავსეთ მსხვილი ასოებით გამოყვანილი სახალისო ანბანი, კალენდრები, ნიშნები, მიმართულების აღმნიშვნელი ნიშნები, რომელთა ვერბალიზებას ბავშვები ყოველდღიურად ახდენენ. შესაძლოა ისეთი ნივთების განთავსებაც, რომელთა დანიშნულება პირდაპირ არ უკავშირდება სასწავლო მიზნებს, თუმცა ხელს უწყობს ბავშვის წიგნიერებას, მაგალითად: სატელეფონო ცნობარი, კულინარიული წიგნი და ა.შ.
- მოსწავლეთა ინტერესების და მიცემული დავალებების შესაბამისად, მიაწოდეთ მათ საჭირო რესურსები, რათა დამოუკიდებლად ან თქვენი დახმარებით შეძლონ ინფორმაციის მოძიება. ასეთი რესურსებია: წიგნები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, კომპიუტერი და ა.შ. კლასში ბავშვებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, გაეცნონ როგორც მხატვრულ, ისე სხვა წიგნებს.

სწავლისათვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მიზნობრივად, სასწავლო თემიდან გამომდინარე, შეარჩიოს საკლასო ოთახში განსათავსებელი მასალები. წერა-კითხვის შესწავლის პროცესში სასურველია, ბავშვებს მიეცეთ შესაძლებლობა და შესაბამისი რესურსები იმისათვის, რომ ახალი უნარების დაუფლებისას გამოიყენონ

სხვადასხვა, მათთვის მეტად სახალისო მასალა: მაგალითად, წერის დროს – კალამი, ფლომასტერი, ფანქარი, პასტელი, კითხვის დროს – ტაქტილური წიგნები, წარწერებიანი კუბურები და ა.შ.

მკვლევარების ამრით, კარგად მოწყობილი საკლასო ოთახის სივრცე გულისხმობს შემდეგ ელემენტებს:

- საკლასო ოთახში გამოყოფილია სივრცეები, რომლებსაც თავისი დანიშნულება აქვთ და მოსწავლეებმა იციან, როგორ მოიქცნენ თითოეულ მათგანში. მაგალითად, მოსწავლეთა პირადი სივრცე (ადგილი მერხთან), სივრცე ჯგუფური აქტივობებისთვის, დასასვენებელი ადგილი, მასალების შესანახი სივრცე, საგამოფენო სივრცე და ა.შ.
- აკადემიური სწავლების პროცესში და შესაბამისი დავალებების შესრულებისას მოსწავლეთა მერხები რიგობრივად უნდა იყოს განლაგებული, ხოლო ჯგუფებში მუშაობის დროს მერხების ღია წყობაა უმჯობესი, რაც ხელს უწყობს სოციალურ ინტერაქციას.
- გაკვეთილის განმავლობაში თითოეული მოსწავლე უნდა ხედავდეს მასწავლებელს და პირიქით, მასწავლებელი – თითოეულ მოსწავლეს.
- სასურველია მოსწავლეთა მერხების ისე განლაგება, რომ არ გადაიტვირთოს საერთო სივრცე. აგრეთვე, ასეთ სივრცესთან (მაგ., ნაგვის ყუთთან) ახლოს სასურველია, არ ისხდნენ ის მოსწავლეები, რომლებსაც ადვილად ეფანტებათ ყურადღება.
- სასურველია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეების მასწავლებლის მაგიდასთან ახლოს განთავსება. ეს არა მხოლოდ მათი პრობლემების ხშირი მონიტორინგის საშუალებას იძლევა, არამედ ყოველი წარმატების შემთხვევაში – შექებისა და წაქეზების შესაძლებლობასაც.
- საკლასო ოთახის სივრცე მოწესრიგებული და კარგად ორგანიზებული უნდა იყოს.

სკოლაში სწავლისათვის აუცილებელი ისეთი პირობები, როგორიცაა კომფორტული მერხი, სკამი, სითბო, სისუფთავე და ა.შ. არ ნიშნავს იმას, რომ თითოეული მოსწავლისთვის სწავლაც ადვილი და „კომფორტული“ იქნება. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ადვილად განხორციელებადი დეტალების საშუალებით, მასწავლებლებს შეუძლიათ ისეთი გარემოს შექმნა, სადაც სწავლისადმი ყველაზე ნაკლებად მოტივირებულ მოსწავლეებსაც კი სწავლის ხალისი გაუჩნდებათ.

კითხვის მნიშვნელობა

კითხვის მნიშვნელობა მხოლოდ მოცემული ტექსტის გააზრებით არ შემოიფარგლება. კითხვა, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, დიდ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა კოგნიტური უნარის განვითარებაზე. აღნიშნული ზეგავლენის ხარისხი დამოკიდებულია კითხვის მოცულობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად ბევრს კითხულობს ბავშვი.

მასწავლებელმა კარგად იცის, რომ ბავშვები ერთმანეთისგან განსხვავდებიან კითხვის უნარის ფლობის თვალსაზრისით. მკვლევარები ხაზს უსვამენ ბეჭდურ მედიასთან ურთიერთობის მნიშვნელობას ადრეულ ასაკში. წიგნის და, ზოგადად, კითხვის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება ხშირად განპირობებულია იმით, თუ რამდენად ინტენსიურად და რა სიტუაციებში ჰქონდა ბავშვს, სკოლამდელ ასაკში, ნაბეჭდ მასალებთან შეხება (მაგალითად, რამდენად ხშირად უკითხავდნენ წიგნებს, ან რამდენად უკავშირდებოდა წიგნის კითხვა სხვა სასიამოვნო პროცესებს). კითხვის უნარის დაუფლების პროცესში მნიშვნელოვანია მიბაძვის ფაქტორი: ბავშვის გარშემო მკითხველების არსებობა ხშირად აისახება კითხვის მიმართ მის დამოკიდებულებაზე მომდევნო წლებში.

კითხვის უნარის განვითარების შეფერხების მიზეზი, რიგ შემთხვევებში, არასაკმარისი და არასათანადო სწავლებაა. აქედან გამომდინარე, განათლების მიღების საწყის ეტაპზე მასწავლებლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მიმართებაში.

ბავშვებს კითხვას იმისთვის ვასწავლით, რომ მათ ცოდნის მიღება შეძლონ. საწყის ეტაპზე კითხვა ბავშვის მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ნელ-ნელა კი ის ავტომატურ პროცესად ყალიბდება. ადრეულ ასაკში კითხვის უნარის განვითარების შეფერხება და სიტყვის აღქმისა და გაშიფვრის სირ-

თუღე ბავშვს კითხვის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას უჩენს, რის გამოც კითხვის ავტომატიზაციის პროცესი ფერხდება.

განათლების სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ბავშვის ლექსიკის ძირითადი ნაწილის განვითარება სწავლების პროცესში არ ხდება. ბევრი მკვლევარი დარწმუნებულია, რომ სწორედ კითხვა და არა ზეპირი მეტყველება ახდენს ზეგავლენას ლექსიკურ სიმდიდრეზე. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში მეცნიერებმა სხვადასხვა ტექსტის ლექსიკური სიმდიდრე გააანალიზეს. ეს მახასიათებელი იმის მიხედვით განისაზღვრა, თუ რამდენად იშვიათი სიტყვები იყო მოცემული თითოეულ ტექსტში. სიტყვის „იშვიათობა“ ინგლისური სიტყვების სტანდარტული სიხშირეების მიხედვით დადგინდა. მაგალითად, ხშირად გამოყენების თვალსაზრისით, სიაში პირველ ადგილზეა სიტყვა „the“ (არტიკლი ინგლისურ ენაში), მე-100 ადგილზე არის სიტყვა „ცოდნა“, მე-16000 ადგილზე კი – სიტყვა „გამაძლიერებელი“. მკვლევარებმა ტექსტის ლექსიკური სიმდიდრე ზემოაღნიშნულ სიაში მისი სიტყვების ადგილმდებარეობის საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე შეაფასეს. ანალიზის შედეგების განხილვისას ცხადი გახდა, რომ ზეპირი მეტყველება (სატელევიზიო გადაცემები, ზრდასრულთა საუბარი) ბევრად უფრო ღარიბია ლექსიკური თვალსაზრისით, ვიდრე ნაბეჭდი ტექსტები (ჟურნალ-გაზეთების სტატიები, ზრდასრულთა და საბავშვო წიგნები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ საბავშვო წიგნებშიც კი უფრო იშვიათი სიტყვები გვხვდება, ვიდრე ზეპირ მეტყველებაში (პოპულარული სატელევიზიო გადაცემები, საბავშვო გადაცემები ა.შ.).

სხვადასხვა ტექსტს შორის განსხვავება, იშვიათი სიტყვების გამოყენების კუთხით, სავარაუდოდ, ზეგავლენას ახდენს ბავშვის ლექსიკის განვითარებაზე. თუ ძირითადი ლექსიკური მარაგის შევსება ფორმალური სწავლების პროცესის მიღმა ხდება, მაშინ ახალი სიტყვების სწავლის საშუალებად ზეპირი მეტყველება და წერილობითი ტექსტები რჩება. ვინაიდან იშვიათი სიტყვები უფრო ხშირად წერილობით ტექსტებშია გამოყენებული, კითხვა ბავშვს მათი ათვისების მეტ შესაძლებლობას აძლევს. ამ შემთხვევაში, იშვიათ სიტყვად ითვლება ყველა ის სიტყვა, რომელთა ადგილი ინგლისური სიტყვების სტანდარტულ სიხშირეთა ჩამონათვალში 10 000-ზე ზემოთ არის; ანუ ეს ის სიტყვებია, რომლებიც მე-4-მე-6 კლასელის ლექსიკური მარაგის მიღმაა. პოპულარული

ჟურნალიც კი, სატელევიზიო გადაცემასთან და ზრდასრულთა საუბართან შედარებით, სამჯერ მეტ „იშვიათ“ სიტყვას იყენებს. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ კუთხით, ბეჭდური ტექსტის მნიშვნელობა გაზვიადებულია და მათში გამოყენებული „იშვიათი“ სიტყვები აკადემიური, ან კონკრეტული სფეროსთვის დამახასიათებელი ტერმინებია, ან ისეთ სიტყვებია, რომლებსაც რეალური ფუნქციური დანიშნულება არ აქვთ. აღნიშნული არგუმენტის მცადრობას ადვილად შევამჩნევთ, თუ „იშვიათ“ სიტყვებს დავაკვირდებით. მათ კატეგორიაში ხვდება: „მონაწილეობა“, „ფუფუნება“, „გამოწვევა“, „მანევრი“, „გათანაბრება“, „უსასრულო“ და ა.შ. ეს ის სიტყვებია, რომელთა ცოდნაც საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენ გარშემო არსებული ფიზიკური და სოციალური სამყაროს აღქმა და კრიტიკული შეფასება მოვახდინოთ. „ადამიანი, რომელიც ცხადად ვერ ხედავს განსხვავებას განზრახვის გამოხატვასა და დაპირებას, შეცდომასა და გაუგებრობას, მცდარი შეხედულების ქონასა და ტყუილს შორის, უნდა ერიდოს იურისტის ან თუნდაც თეოლოგის კარიერას“, – აღნიშნავს წიგნიერების სფეროს მკვლევარი დ. ოლსონი.

ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში, რამდენიმე მკვლევარმა (ანდერსონი, უილსონი და ფილდინგი) მე-5 კლასის მოსწავლეთა მიერ, რამდენიმე თვის მანძილზე, კლასგარეშე მასალების ყოველდღიური კითხვის ხანგრძლივობა გააანალიზა. ანალიზის შედეგები განსაცვიფრებელია: კითხვის მოცუარული ბავშვები, რომლებიც, კითხვის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ბედა 10%-ს შეადგენენ, წელიწადში, საშუალოდ, 200-ჯერ მეტ სიტყვას კითხულობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც კითხვას ყველაზე ნაკლებ დროს უთმობენ (ქვედა 10%). მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სწორედ ბავშვებს შორის კითხვაზე დახარჯულ დროში ასეთი დიდი განსხვავება და ბეჭდური ტექსტის ლექსიკური სიმდიდრე იწვევს მათ შორის, ლექსიკის ფლობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან განსხვავებას.

მიუხედავად აღნიშნული დასკვნისა, რთულია ამ ფაქტორის როლის საბოლოოდ განსაზღვრა. მკვლევარები ქანინგემი და სტანოვიჩი შეეცადნენ, გამოეკვლიათ და შეეფასებინათ კლასგარეშე კითხვის მოცულობის უნიკალური როლი კითხვის უნარის, ვერბალური ინტელექტისა და ზოგადი ცოდნის განვითარებაში მე-3-მე-5 კლასების მოსწავლეებს შორის. მკვლევარები უშვებდნენ, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც ბევრს კითხულობენ, ტექსტის გაგე-

ბის უკეთესი უნარი აქვთ, რაც თავისთავად ხელს უწყობს ლექსიკის განვითარებას. ამ შემთხვევაში კი, რთულია, ცალკე გამოიყოს მხოლოდ კითხვის მოცულობის ეფექტი. სხვადასხვა კვლევისა და სტატისტიკური მეთოდის გამოყენების შედეგად, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, კითხვის მოცულობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვების ლექსიკურ მარაგსა და ზოგად ცოდნაზე. ტექსტის გაგების ერთნაირად სუსტი უნარისა და ერთნაირად სუსტი ზოგადი უნარების მქონე ბავშვებს შორის განსხვავება, ლექსიკური მარაგისა და ზოგადი ცოდნის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენს კითხულობს ბავშვი. რაც უფრო მეტს კითხულობს ის, მით უფრო მდიდარია მისი ლექსიკა და ფართოა ზოგადი ცოდნა, მიუხედავად ისეთი შემაფერხებელი ფაქტორებისა, როგორიცაა: შედარებით დაბალი ინტელექტის კოეფიციენტი, სისუსტეები ზოგადი უნარებისა და ტექსტის გაგების უნარის კუთხით. ერთ-ერთი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ზრდასრული ადამიანების ზოგადი ცოდნა, მიუხედავად მათი ზოგადი უნარებისა, უფრო ფართო იყო აქტიური მკითხველების შემთხვევაში და უფრო ვიწრო – სატელევიზიო გადაცემის აქტიურ მაყურებელთა შორის. ამრიგად, ყველაზე მეტად ინფორმირებულია ის, ვინც ყველაზე მეტს კითხულობს და ყველაზე ნაკლებად უყურებს სატელევიზიო გადაცემებს.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ კითხვის მოცულობა სხვადასხვა კოგნიტური უნარის განვითარებაზე ახდენს ზეგავლენას. საინტერესოა, რა ფაქტორები განაპირობებს ბავშვის აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბებას. მრავალწლიანი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ, ამ მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს კითხვის უნარის ადრეულ ასაკში დაუფლება წარმოადგენს. პირველ კლასში სიტყვის ცნობის და ტექსტის გაგების უნარი მნიშვნელოვნად განაპირობებს ამავე ბავშვების მიერ მე-11 კლასში წაკითხული მასალის მოცულობას. საინტერესოა, რომ, ამ თვალსაზრისით, პირველკლასელთა ინტელექტის კოეფიციენტი ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა. როგორც აღნიშნული შედეგი მიანიშნებს, ის მოსწავლეები, რომლებიც თავიდანვე სწრაფად და ეფექტურად სწავლობენ კითხვას, მომდევნო წლებში უფრო მეტს კითხულობენ. გარდა ამისა, ხშირმა კითხვამ შესაძლოა, შედარებით დაბალი კოგნიტური შესაძლებლობების კომპენსირებაც მოახდინოს ბავშვის ლექსიკისა და ზოგადი ცოდნის განვითარების გზით.

კრიტიკული აზროვნების განვითარება დაწყებითი განათლების საფეხურზე

1940–50-იანი წლებიდან მკვლევარები და პედაგოგები აქტიურად მსჯელობენ განათლებაში კრიტიკული აზროვნების როლზე. საჭიროა, ვიცნობდეთ გარკვეულ განმარტებებს, შეხედულებებსა და კითხვებს, რათა კრიტიკული აზროვნების შესახებ კრიტიკულად აზროვნება შევძლოთ. რა არის ეს? უნდა ვასწავლოთ თუ არა? რატომ და როგორ? გთავაზობთ რეკომენდაციებს გაკვეთილის დროს კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობისთვის.

ბოლო ათწლეულების მანძილზე კრიტიკული აზროვნების განმარტებამ მცირე ცვლილებები განიცადა. ერთ-ერთი მოსაზრებით, კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ფაქტების ანალიზის, იდეების ორგანიზების, შეხედულებების დაცვის, შედარებების გაკეთების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის უნარს. სხვა განმარტების მიხედვით, ეს არის მსჯელობის გზა, რომელიც მოითხოვს პიროვნების შეხედულებების შესაბამისი არგუმენტებით გამყარებას და მისი მოსაზრების სიმტკიცეს, სანამ საწინააღმდეგო შეხედულებას მყარი საფუძველი არ ექნება. მესამე მოსაზრების მიხედვით, კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ლოგიკურ, რეფლექსურ აზროვნებას, რომლის მიზანია, გადავწყვიტოთ: რა დავიჯეროთ და რა – არა.

აღნიშნული ცნების განმარტება მრავალნაირად შეიძლება, თუმცა ყველა მათგანს აერთიანებს ერთი რამ: რთული საკითხების გადაჭრისთვის ეფექტური გზების მოძებნის საჭიროება. იმ ექსპერტთა აზრით, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებას იკვლევენ, მოსწავლისთვის რომელიმე საკითხზე მუშაობა მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ის ლოგიკური მიზნისკენ არის მიმართული. როცა მოსწავლეებს სთხოვენ განიხილონ მიზეზები და წარმოადგინონ საკითხის გადაჭრის გზები, ისინი იწყებენ კრიტიკული აზროვნების საშუალებით პრობლემების იდენტიფიცირებას, გაანალიზებასა და გადაჭრას.

მომავალში მოსწავლეებს ხშირად მოუწევთ პრობლემების გადაჭრის უნარზე დაყრდნობა. უკანასკნელ პერიოდში ტექნოლოგიური და ინფორმაციული სფეროს განსაკუთრებული სისწრაფით განვითარება ცხოვრებისა და მუშაობის პირობებს დრამატულად ცვლის. საზოგადოებაში კიდევ უფრო იზრდება ინფორმაციის მოპოვების, გაგების, გაანალიზებისა და გაზიარების საჭიროება. ერთ-ერთი მკვლევარის აზრით, ჩვენს საუკუნეში მუშაობა, ფაქტობრივად, პრობლემების გადაჭრის სინონიმია. ჩვენ უკვე მოგვეთხოვება მრავალმხრივი წიგნიერება, რაც თავისთავად გულისხმობს თვითრეგულაციასა და მონიტორინგს, გაგებასა და ემპათიას, ანალიზსა და შეფასებას, ანუ ყველაფერ იმას, რაც ერთი მთავარი ცნების – აზროვნების გარშემო ტრიალებს.

როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას? 1980-იან წლებში ამერიკაში არსებობდა მიმდინარეობა, რომლის მიზანს წარმოადგენდა აზროვნების ცალკე სწავლება. ამ შეხედულების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური საგნები, პროგრამები და შესაბამისი მასალები. ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ აზროვნების უნარების გადატანა მნიშვნელოვან აკადემიურ საგნებში ავტომატურად არ ხდება. კრიტიკული აზროვნების სწავლება ნაკლებად ეფექტურია, როცა ის ცალკე, სხვა საგნებისგან დამოუკიდებლად ისწავლება. მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკული აზროვნება გაკვეთილზე სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულ კომპონენტს წარმოადგენდეს.

მასწავლებელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგისთვის გამოწვევას წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი მიზნის მოსწავლის განვითარებისთვის შესაფერის აქტივობებად „გადაქცევა“. ამ მიზნის მიღწევა შესაძლოა ზედმეტად რთული მოგვეჩვენოს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ის მხოლოდ მცირე ცვლილებას მოითხოვს არსებულ მიდგომაში. მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოახდინონ სამუშაო მასალის იდენტიფიცირება, სხვადასხვა მახასიათებლის ანალიზი, მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა. აგრეთვე, მასწავლებლებს შეუძლიათ დროისა

და სივრცის გამოყოფა გონებრივი იერიშისა თუ გეგმების დაწყობისა და შემოწმებისთვის. გთავაზობთ იმ გზებს, რომელთა საშუალებით მასწავლებელი დაეხმარება მცირეწლოვან მოსწავლეებს, იმუშაონ ამოცანებზე და ისწავლონ საკუთარ აღმოჩენებზე დაყრდნობით.

იმის ნაცვლად რომ მზა პასუხები შესთავაზოთ მოსწავლეებს, ყველაზე მარტივი საკითხებიც კი წარუდგინეთ როგორც ამოცანა, რომელიც თავად უნდა გადაჭრან. უმცროს ასაკში ბავშვები ადვილად ღიზიანდებიან, თუ, მაგალითად, ვერ ნახეს სკამი დასაჯდომად, ფანქარი, რომელიც მოსწონთ, ან შემთხვევით გაეხათ რვეული. მარტივია, უბრალოდ, ვუთხრათ: „აილე, აი, ის სკამი“, „აი, აქ არის წითელი ფანქარი“, „აილე წებო და დააწებე“, მაგრამ ბევრად უფრო უკეთესი და მიზანშეწონილია, შემდეგნაირად ვუპასუხოთ: „აბა, მოვიფიქროთ, როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა?“ მივცეთ მოსწავლეს საშუალება, გამოთქვას საკუთარი აზრი, გამოსცადოს საკუთარი სტრატეგია, მიუხედავად იმისა, მიაჩნია თუ არა მასწავლებელს ეს ვერსია საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზად. შესაძლოა პრობლემის მოგვარების გეგმა სრულყოფილი არ იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ, როგორც წესი, მოსწავლეები ამაცობენ პრობლემების გადაჭრის საკუთარი მცდელობებით.

ყოველთვის შეეცადეთ, გონებრივი იერიშისთვის გამოყოთ დრო. სანამ წაიკითხავდეთ რაიმე წიგნს, სახელმძღვანელოს, გარკვეული დრო დაუთმეთ წიგნის ყდაზე საუბარს და მიეცით ბავშვებს საშუალება, იმსჯელონ მასზე. ყურადღება მიაქცევინეთ მათ ყდაზე ასახულ სიტუაციასა და გმირებზე. თუ წიგნს პეიზაჟი ახატია, ჰკითხეთ ბავშვებს, რის შესახებ შეიძლება იყოს მოთხრობილი წიგნში. მიეცით შესაძლებლობა მოსწავლეებს, გონებრივი იერიშის საშუალებით შექმნან იმ მოვლენების, გმირების, ნივთების ჩამონათვალი, რომლებიც, სავარაუდოდ, წიგნში შეხვდებათ. ჩაინიშნეთ მათი პასუხები და მოგვიანებით მიუბრუნდით მათ. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ასაკში კრიტიკული მსჯელობა, უმეტესწილად, ხმამაღლა ხდება, სასარგებლოა, ჩანაწერებით მიაღწევნოთ თვალი მოსწავლეთა განვითარებას.

შეადარეთ და დააპირისპირეთ მოვლენები, საგნები. შეადარეთ და განასხვავეთ ნივთები, მაგალითად, ხატვის გაკვეთილზე – ფუნჯი და „ღრუბელი“

(საღებავებით ხატვისთვის საჭირო ნივთი). იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად, როგორ შეიძლება მათი გამოყენება, რა აერთიანებთ, რა განასხვავებთ ერთმანეთისგან. შეადარეთ სხვადასხვა საგნის ზომები, ფორმები, ფერები, გემო. შეადარეთ გუშინდელი და დღევანდელი ამინდი, არგონავტების გემი და თანამედროვე სამგზავრო გემი, ციფრი 6 და ციფრი 9. შეადარეთ ორი სიტყვა ასოებისა და მარცვლების რაოდენობის, პირველი და ბოლო ასოების, ან მნიშვნელობების მიხედვით. წაახალისეთ ბავშვები, ყურადღებით დაუკვირდნენ დეტალებს და იფიქრონ მათ დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე.

დაახარისხეთ. დაახარისხეთ ნივთები ისე, რომ თითოეული მოსწავლის მოსაზრება გაითვალისწინოთ. თუ ბავშვებს დაავლეთ, სამი ნივთიდან – სახაზავი, „სკოჩი“ და შოკოლადის ფილა – ამოირჩიონ ზედმეტი, რომელიც სხვა ნივთების კატეგორიას არ მიეკუთვნება, ზოგიერთმა შესაძლოა შოკოლადის ფილა ამოირჩიოს, რადგან მისი შეჭმა შეიძლება, სხვა ნივთებისა კი – არა. სხვა მოსწავლეებმა შესაძლოა აირჩიონ „სკოჩი“, რადგან ის მრგვალია, განსხვავებით დანარჩენი ორი ოთხკუთხედი საგნისგან. დაუშვით ორივე პასუხის სისწორე და ჩაეძიეთ ბავშვებს. მნიშვნელოვანია არა პასუხი, არამედ მსჯელობისა და საკუთარი თავისთვის კითხვების დასმის პროცესი.

წაახალისეთ შემოქმედებითობა. სასურველია, მოსწავლეებს მასწავლებლის მიერ მომზადებული პროექტები კი არ მიაწოდოთ, არამედ მისცეთ მათ მასალის (მაგ., რამდენიმე სახის წიგნი, პლაკატები, გაზეთიდან ამოჭრილი სურათები) და სამუშაო ინსტრუმენტების (მაკრატელი, ფუნჯები, წებო, ფანქრები) ფართო არჩევანი. განუსაზღვრეთ მხოლოდ ზოგადი მითითებები. მაგალითად, თუ მოსწავლეებს ეტყვით, რომ გარკვეული ზომის თოვლის ბაბუა გააკეთონ, დავალების შესასრულებლად მათ დასჭირდებათ თოვლისა და გაზომვის შესახებ საკუთარი ცოდნის გათვალისწინება. მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ შეთავაზებული მასალის შესაძლებლობები; უნდა შეაფასონ საკუთარი მოტორიკის ძლიერი და სუსტი მხარეები. მათ უნდა დასახონ მოქმედების გეგმა, გამოცადონ ის და გამოძებნონ საკითხის გადაჭრის გზა. ისინი უნდა იქცნენ კრიტიკულად მოაზროვნეებად – მათ უნდა შეეძნა თოვლის ბაბუა.

ასწავლეთ ბავშვებს კრიტიკულად მსჯელობა სასწავლო გეგმის ფარგლებში. საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეებმა შესაძლოა შექმნან რომელიმე ცხოველის/ცხოველების ბუნებრივი საცხოვრებელი გარემო; მათემატიკაში – თანაკლასელებს თანაბრად გაუყონ სხვადასხვა ზომის ორცხობილები; საზოგადოებრივ საგნებში – შექმნან სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ტანსაცმლის რუკა და ა.შ. კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანია კითხვის შესწავლის პროცესშიც, ვინაიდან ხელს უწყობს წაკითხულის გაგებასა და ამბავის შემეცნებას. დაავალეთ ბავშვებს, განსხვავებულად შეხედონ გმირს ან აღწერილ სიტუაციას და სთხოვეთ, სხვა თვალთახედვით მოყვნენ ამბავს. წერილობითი ენა – სიტყვები, განმარტებები, წესები – აგრეთვე მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს კრიტიკულად მოაზროვნისათვის. როდესაც მოსწავლეები ამოცანების გადასატრელად ან შედეგის მისაღწევად წერილობით ენას იყენებენ, შედეგი უფრო თვალსაჩინო და დასამახსოვრებელია.

დაეხმარეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ და გააანალიზონ ის, რაც უკვე იციან მოცემული თემის შესახებ. შეუწყეთ ხელი მათ, ზეპირი და წერილი საშუალების მეშვეობით, შექმნან ნაცნობი კონტექსტი ახალი ინფორმაციის ასათვისებლად და საკუთარი მოსაზრებების სხვებისთვის გასაზიარებლად.

დაეხმარეთ მოსწავლეებს, გააცნობიერონ შეხედულებების არაობიექტურობა და შეძლონ „გახსნილი გონებით“ საკითხის შეფასება. ჩამოაწერინეთ შეხედულებები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ შეფასება დაავალეთ მოგვიანებით, როდესაც ისინი მეტი ინფორმაციის შეგროვებას შეძლებენ.

დასვით ღია კითხვები. დახურული კითხვებისგან განსხვავებით, ღია კითხვებს არ მოჰყვება სავარაუდო პასუხები. სწორად ფორმულირებული ღია კითხვები მოსწავლეებს უბიძგებს საკითხის გაანალიზებისკენ, აზრების შეჯერებისა და შეფასებისკენ.

უხელმძღვანელოთ მოსწავლეებს ძიების პროცესში. დაეხმარეთ მათ, გამოიყენონ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო იმისათვის, რომ ახსნან მოვლენები და გაამყარონ საკუთარი არგუმენტები. ასწავლეთ და დაეხმარეთ

მოსწავლეებს ინფორმაციის წყაროების სანდოობის გარკვევაში. აუხსენით მათ, რომ არ არსებობს ერთადერთი და შეუცდომელი წყარო. ერთსა და იმავე საკითხის შესახებ რამდენიმე წყაროდან ინფორმაციის მიღებით მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ხშირად არსებული ინფორმაციები ურთიერთ-საწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია.

დაეხმარეთ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში. როდესაც მოსწავლეები ინფორმაციის წყაროებს ერთმანეთს ადარებენ და სწავლობენ, რომ შეხედულებებს ლოგიკური არგუმენტებით გამყარება სჭირდება, მათ კრიტიკულად მსჯელობის უნარი უვითარდებათ.

მასწავლებელი კარგად უნდა აცნობიერებდეს მსჯელობის უნარის მნიშვნელობას და ხელს უნდა უწყობდეს მის განვითარებას სკოლაში სწავლის პირველივე წლებში. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესწევთ უნარი, ჩამოაყალიბონ საკმაოდ რთული მოსაზრებები, რომლებიც ხშირად მასწავლებელთა მოლოდინს აჭარბებს. ამის მიზეზი, გარკვეულწილად, მდგომარეობს იმაში, რომ ადრეულ ასაკში ბავშვები ნაკლებად არიან შეზღუდულნი წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებებით, უფრო გახსნილები არიან სამყაროს შესაცნობად და უმრავლეს შემთხვევაში, გულწრფელად სჯერათ, რომ ყველაფერი შესაძლებელია.

მათემატიკური უნარები და სწავლისადმი განსხვავებული მიდგომების შეფასება

როდესაც სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა მიღწევებს ვაფასებთ, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მათი განსხვავებული უნარები და სწავლისადმი განსხვავებული მიდგომა. ამ განსხვავებათა გამოვლენა და მათი გათვალისწინება უნდა მოხდეს როგორც შეფასების, ისე სწავლების პროცესში.

სასწავლო პროცესის დროს მოსწავლის შეფასების ერთ-ერთი მიზანი მისი ძლიერი მხარეების წარმოჩენა უნდა იყოს. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეს სწორედ ამ ძლიერი მხარეების გათვალისწინებით დაეხმაროს.

მათემატიკის სწავლებისას მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განვითარების სხვადასხვა საფეხურის კოგნიტური სტეპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათემატიკის ამა თუ იმ ცნების შესწავლას.

შემეცნება ორმხრივი პროცესია, რომელშიც ურთიერთქმედებს, ერთი მხრივ, ბავშვის შესაძლებლობები და უნარები და, მეორე მხრივ, ის მოთხოვნები, რომლებსაც ახალი ამოცანა წამოჭრის მოსწავლის წინაშე. ასევეა მათემატიკის სწავლის პროცესშიც: მოსწავლის წინაშე ყოველდღიურად დგება ახალი გამოწვევები, რომელთა საპასუხოდაც მას კოგნიტური მზაობა სჭირდება. სწორედ ეს მზაობა დაგვეხმარება, უკეთ ავხსნათ მათემატიკის სწავლისადმი მოსწავლეთა განსხვავებული მიდგომები. განათლების ექსპერტთა აზრით, იმისთვის, რომ განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები უკეთ გავიგოთ და მათემატიკის სწავლების პროცესი უკეთ დავგეგმოთ, საჭიროა როგორც ბავშვის შესაძლებლობების, ისე მათემატიკის დავალებების მიერ წაყენებული „მოთხოვნების“ გათვალისწინება.

ბავშვის შესაძლებლობები

მათემატიკური ცნებების ათვისების პროცესში, ბავშვის შესაძლებლობების შეფასებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- მზაობა განვითარების მოცემულ საფეხურზე კონკრეტული მათემატიკური ცნების გასაგებად;

- მოდელები მათემატიკური ცნებებისთვის;
- ამოცანის ამოხსნის სტრატეგიები (სწორხაზოვანი, ნაბიჯ-ნაბიჯ ანალიზი, მთლიანი ანალიზი, ინფორმაციის ორგანიზებისა და ინტეგრირების უნარი);
- მეხსიერება (არითმეტიკული წესების გახსენება, ამოხსნისთვის საჭირო ნაბიჯების გახსენება, ვიზუალური მეხსიერება, მათემატიკური მონაცემების დამახსოვრება, სმენითი მეხსიერება);
- სამეტყველო უნარები (პირობის გაგებისა და ამოხსნის ჩამოყალიბების უნარი);
- შედეგის წარდგენის უნარები;
- სხვა კოგნიტური და ექვევითი მახასიათებლები (ყურადღება, კონცენტრირება, თვითშეფასება და საკუთარი თავის რწმენა მათემატიკის სფეროში და ა.შ).

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.



მზაობა განვითარების საფეხურზე

განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მოსწავლეს მათემატიკური ცნებების ათვისების სხვადასხვანაირი უნარი აქვს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანია განსაზღვროს, სასწავლო საგნებში, მათ შორის მათემატიკაში, ამა თუ იმ ეტაპზე მისაღწევი შედეგების შესაბამისობა ბავშვის/მოზარდის განვითარების საფეხურთან. მაგალითად, რიცხვებთან, სივრცესა და ლოგიკურ აზროვნებასთან დაკავშირებული მრავალი ცნების გაგების უნარი ბავშვს 4-დან 7 წლამდე უყალიბდება. თუმცა, კვლევების მიხედვით, განსაზღვრული ცნებების, მაგალითად, რიცხვთა თანრიგის გასაგებად კოგნიტური მზაობა მოგვიანებით, 6-დან 8 წლამდე ყალიბდება. ეს მზაობა თავისთავად წარმოადგენს ბავშვის შემდგომ სხვა მათემატიკური უნარების (მაგ., დიდი რიცხვებით არითმეტიკული ოპერაციების) განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ თითოეული მოსწავლის წინაშე დასმული ამოცანები, აგრეთვე ის მათემატიკური ცნებები, რომელთა გაგება განპირობებულია ბავშვის მზაობით და არა სწავლების სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით, შეესაბამება მისი განვითარების საფეხურს.

მოდელები მათემატიკური ცნებებისთვის

მათემატიკური ამოცანების გაგება შესაძლებელია კონკრეტული, ხატოვანი ან სიმბოლური მოდელების საშუალებით. ზოგიერთ მოსწავლეს ამოცანების

გადაჭრა ნივთებით მანიპულირების გზით უადვილდება, სხვები დავალებას უკეთ ართმევენ თავს, როდესაც ვიზუალურ მინიშნებებს იყენებენ, დანარჩენებს კი აბსტრაქტული თუ სიმბოლური ნიშნების საშუალებით უიოლდებათ ამოცანების გაგება და ამოხსნა. განათლების სპეციალისტთა აზრით, საჭიროა, მასწავლებელი სამივე მოდელს მიმართავდეს, ხოლო მოსწავლეებს ჰქონდეთ არჩევანი, ამოხსნისას გამოიყენონ მათთვის სასურველი მოდელი და პასუხიც შესაბამისად წარმოადგინონ. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გამოავლენს დომინანტურ მოდელს, მას შეუძლია მოსწავლეს შესთავაზოს სხვა მოდელის გამოყენება, რის შედეგადაც გაირკვევა, შეუძლია მას სხვა მოდელის გამოყენებაც თუ ეს მისთვის განსაკუთრებულ სირთულეებს უკავშირდება.

დავალება: რაოდენობის გამოხატვა (7)		
კონკრეტული მოდელი	ხატოვანი მოდელი	სიმბოლური მოდელი
ნივთების გადათვლა (ან თითებზე გადათვლა) 	სურათზე გამოსახული ნივთების გადათვლა 	შვიდი (სიტყვიერი აღმნიშვნელი) 7 (რიცხვითი აღმნიშვნელი)

ამოცანის ამოხსნის სტრატეგიები

მნიშვნელოვანია, მოსწავლის შეფასებისას გავითვალისწინოთ ის სტრატეგიები, რომლებსაც მოსწავლე მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას ხშირად იყენებს. აღნიშნული სტრატეგიები შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ: ლოგიკური, ნაბიჯ-ნაბიჯ მოქმედებები და მთლიანობითი, ე.წ. გეშტალტ მოქმედებები. ამოცანის ამოხსნის სტრატეგიებზე დაკვირვება შესაძლებელია იმ ამოცანების საშუალებით, რომელთა ამოხსნის რამდენიმე გზა არსებობს. როგორც წესი, მოსწავლეები ძირითადად მხოლოდ ერთ სტრატეგიას იყენებენ. ზოგიერთი მათგანი სწორხაზოვნად, თანამიმდევრულად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის პასუხამდე ისე, რომ ამოხსნის პროცესში შესაძლოა საბოლოო მიზანს ნაკლები ყურადღება მიაქციოს, სხვები კი ყურადღებას ამახვილებენ მთლიან ამოცანასა და მის მიზანზე, რის გამოც შესაძლოა გამორჩეთ გასათვალისწინებელი დეტალები.

მაგ.:

ლოგიკური, ნაბიჯ-ნაბიჯ მოქმედებები	გეშტალტ/მთლიანობითი მოქმედებები
დავალება 1. $9+5=?$	
I მოსწავლის ამოხსნა: „10, 11, 12, 13, 14“	II მოსწავლის ამოხსნა: „ $9+9=18$, ამიტომ $9+5=14$, ოთხით ნაკლები“
დავალება 2. $21 \times 10=?$ და $11 \times 16=?$	
I მოსწავლის ამოხსნა: $\begin{array}{r} 16 \\ \times 10 \\ \hline 00 \\ 160 \\ \hline 160 \end{array}$	II მოსწავლის ამოხსნა: $10 \times 16 = 160$ $11 \times 15 = 150 + 15 = 165$

მათემატიკის სწავლისთვის მოსწავლეს ორივე სტრატეგიის გამოყენების უნარი სჭირდება. ბევრს კონკრეტული ამოცანისთვის სწორი სტრატეგიის მისადაგება უჭირს. გარკვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს კი ხშირად მხოლოდ ერთი სტრატეგიის გამოყენება შეუძლიათ და ალტერნატიული გზით ამოცანის ამოხსნა უძნელდებათ. ასეთ შემთხვევებში მასწავლებელმა ამოცანა ისე უნდა ჩამოაყალიბოს, რომ ის მოსწავლის ამოხსნის სტრატეგიას მოარგოს.

სტრატეგიების შეფასებისას გასათვალისწინებელია ამოცანის ელემენტების ორგანიზებისა და მათი ადეკვატურად ინტეგრირების უნარიც. ზოგიერთ მოსწავლეს კარგად ესმის ამოცანის დეტალების მნიშვნელობა, თუმცა უჭირს ერთმანეთთან მათი დაკავშირება. როდესაც ამოცანის ამოხსნა მრავალსაფეხურიან მოქმედებებს გულისხმობს, ზოგჯერ აღნიშნულ პრობლემას ის მოსწავლეებიც ეჯახებიან, რომლებსაც ინფორმაციის ორგანიზებისა და ინტეგრირების უნარი კარგად აქვთ განვითარებული.

ყველაფერი, რაც ზემოთ განვიხილეთ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სწავლების პროცესში მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომის საჭიროებას. მოსწავლეები ერთი და იმავე მათემატიკური ამოცანის გაგებასა და ამოხსნას სხვადასხვა გზით ახერხებენ. მათემატიკაში მოსწავლის შეფასება მხოლოდ მისი ცოდნის შემოწმების ხერხი კი არ უნდა იყოს, არამედ მისი ძლიერი მხარეების, იმ გზების გამოვლენის საშუალებაც, რომლებსაც ის თავისუფლად იყენებს. როდესაც მასწავლებელმა იცის მოსწავლის ძლიერი მხარეები, შეუძლია, რთული ცნებები თუ ამოცანები მისთვის მისაღები ფორმით შესთავაზოს.

მშობლებთან თანამშრომლობა – გამოწვევა მასწავლებლისთვის

სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. გამოკვლევების თანახმად, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იღებენ უკეთეს ნიშნებს, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით და ა.შ. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. ამდენად, უკეთესი შედეგების მისაღწევად მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით.

მშობლებთან თანამშრომლობა ბევრი მასწავლებლისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი გამოწვევა იყოს, რადგან მასწავლებლის მხრიდან ის კარგად განვითარებულ საკომუნიკაციო უნარებს მოითხოვს, მშობლის მხრიდან კი – გარკვეულ დროსა და ძალისხმევას.

როდესაც მშობლებთან თანამშრომლობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ალბათ მშობელთა კრებები გვახსენდება. ეს მშობლებთან ურთიერთობის ერთ-ერთი დამკვიდრებული ფორმაა. ის საშუალებას იძლევა, მშობლებს გავაცნოთ სკოლაში მიმდინარე მოვლენები, დაგვემილი ღონისძიებები და სხვ. თუმცა მშობელთა კრება, რომელიც ხშირად არ იმართება, არ არის საკმარისი, რათა მშობელი მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული შვილის მიღწევების, სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების თაობაზე. ზოგჯერ სკოლის ცხოვრებაში მშობლის ჩართვის მიზეზად ისეთი განსაკუთრებული შემთხვევა იქცევა, როგორიცაა ძალადობის აქტი, სკოლის გაცდენა და ა.შ. მშობლებთან ხშირი და თანამიმდევრული კომუნიკაციის დამყარება და მათთან ერთად ზრუნვა ბავშვის აღზრდასა და განათლებაზე ამცირებს ამგვარი არასასურველი შემთხვევების რისკს.

მასწავლებელმა სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა უზრუნველყოს მშობლების ინფორმირება ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა სკოლაში/

კლასში არსებული წესები, მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინები, მოსწავლის შეფასების სისტემა, საშინაო დავალებების ტიპები და სიხშირე და სხვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, მასწავლებელი გაეცნოს მშობელთა მოლოდინებს, გაიგოს მოსწავლის ოჯახის წევრთა დამოკიდებულება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტისადმი. მშობლებმა და მოსწავლეებმა თავი სკოლის თემის ნაწილად უნდა იგრძნონ, სადაც მათ მოსაზრებებსა თუ შეხედულებებს ისმენენ და შეძლებისამებრ ითვალისწინებენ კიდევ.

სასურველია, მასწავლებელს მუდამ ხელთ ჰქონდეს მშობელთა საკონტაქტო მონაცემები. დღეს, როდესაც მშობლების უმეტესობა ძალზე დაკავებულია, სატელეფონო კომუნიკაცია მასწავლებელსა და მშობელს შორის ინფორმაციის გაცვლის ყველაზე ეფექტურ გზას წარმოადგენს.

კარგი იქნება, თუ სკოლაში გაიმართება ინფორმაციული ხასიათის შეხვედრები მშობლებთან. ასეთი შეხვედრების თემატიკა შესაძლოა თავად მშობლების ინტერესებიდან გამომდინარეობდეს, თუმცა მასწავლებლის ინიციატივაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. თემა შესაძლოა იყოს მოსწავლეზე განხორციელებული ძალადობის ნიშნების ამოცნობა და რეაგირების გზები, მოსწავლეთა სოციალური ურთიერთობების ხელშეწყობა სკოლაში და სკოლის გარეთ, მათი მოტივაციის ამაღლება... ამ ტიპის შეხვედრებს შესაძლოა მოწვეული სტუმრებიც გაუძღვნენ (მაგ., ფსიქოლოგი).

მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მშობელთა ინიციატივას, შეიკრიბონ და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში არსებული გამოწვევებისა და წარმატებების თაობაზე.

დასავლეთის ქვეყნებში არსებობს წარმატებული პრაქტიკა მშობლების მობილისებრივ და სხვა ტიპის სოციალურ აქტივობებში ჩართვისა, რომლის სტიმულირებასაც სკოლა ახდენს. ასეთი ინიციატივები ხელს უწყობს სკოლის თემის წარმომადგენლებს შორის სოციალური კავშირების გამყარებას, რაც სკოლის თემის გაძლიერებისა და სკოლაში ჯანსაღი კლიმატის ჩამოყალიბების წინაპირობაა.

გარდა საერთო შეხვედრებისა, თითოეული მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია მშობლებთან ინდივიდუალური კომუნიკაცია. უმჯობესია, მასწავლებელმა ყოველკვირეულად გა-

მოყოს გარკვეული დრო რამდენიმე მშობელთან ურთიერთობისთვის და წინასწარ კარგად დაგეგმოს შეხვედრები. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს მშობლის დროულ ინფორმირებას მოსწავლის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. ინდივიდუალური შეხვედრები ორივე მხარეს – მასწავლებელსა და მშობელს – საშუალებას აძლევს, უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნან მოსწავლის გარშემო არსებული მასტიმულირებელი თუ დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ. მაგალითად, კლასში მოსწავლის არატოლერანტული ქცევა შესაძლოა ოჯახში არსებულ პრობლემას უკავშირდებოდეს და პირიქით. მასწავლებლისა და მშობლის აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელია სხვადასხვა არასასურველი შედეგის (სწავლასთან, ქცევასთან, სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების) პრევენცია.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ახსოვდეს, რომ მშობელს მხოლოდ პრობლემების შესახებ კი არ უნდა ესაუბროს, არამედ აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება ბავშვის ძლიერ მხარეებზე, მიღწევებსა და წარმატებებზე. მაგალითად, თუ მასწავლებელს სურს, შეატყობინოს მშობელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუარესების შესახებ, მას შეუძლია გაამახვილოს ყურადღება ამავე მოსწავლის დადებით ქცევაზე თანატოლებთან მიმართებით, თანატოლებთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შემთხვევაზე, სხვა საგანში მიღწეულ წარმატებაზე და ა.შ. ფსიქოლოგების რჩევით, სჯობს, მშობელმა უფრო მეტი დადებითი ინფორმაცია მიიღოს შვილის შესახებ, ვიდრე უარყოფითი. ამ შემთხვევაში მისი მზაობა სიტუაციის პოზიტიურად მოგვარებისთვის საგრძნობლად იმატებს.

მშობლებთან შეხვედრების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით მასწავლებელმა უნდა აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც თითოეულ მშობელთან შეხვედრაზე განხილულ საკითხებს ჩაინიშნავს. მშობლებთან შეხვედრების ერთადერთი მიზანი მათთვის შვილების ნიშნების გაცნობა არ არის; ამ დროს განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა გაცდენები, შეუსრულებელი დავალებები, მოსწავლის პოზიტიური ქცევა, შეცვლილი ქცევა და ა.შ. საკითხების სიმრავლიდან გამომდინარე, სასურველია, მასწავლებელმა თითოეული შეხვედრის შემდეგ ჩაინიშნოს ინფორმაცია განხილული საკითხების, მშობელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დასახული გეგმების შესახებ. მშობლისთვის მიცემული ინფორმაცია თუ რჩევები უნდა იყოს თანამიმდევრული და შეესაბამებოდეს რეალობას.

გარდა დაგეგმილი შეხვედრებისა, სასურველია მშობლებთან ხშირი კონტაქტის შენარჩუნება ისეთ დროს, როდესაც მათ ბავშვი სკოლაში მოჰყავთ, აკითხავენ წასაყვანად და ა.შ. მასწავლებლის ყურადღება განამტკიცებს პოზიტიურ ურთიერთობას მასა და მშობელს შორის.

მასწავლებელი სწავლის დაწყების პირველივე დღიდან უნდა ზრუნავდეს მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე. ეს შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს იმ ოჯახებში, სადაც მშობლები დასაქმებულნი არიან და ხშირად ნაკლები დრო რჩებათ მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის. შესაძლოა, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო უგულვებელყოფილი იყოს მოსწავლის სასკოლო ცხოვრება და განათლების პროცესი. ასეთ შემთხვევებში მასწავლებელს მეტი ძალისხმევა დასჭირდება მშობლების დასაინტერესებლად.

თუ მშობლები გრძნობენ, რომ სკოლაში მათ კითხვებს თავისუფლად და სრულყოფილად გასცემენ პასუხს, ისინი უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სკოლის ცხოვრებაში. სკოლაში არსებული წესებისა თუ პროცედურების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე და მშობლებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, ისეთი გარემო შექმნას, სადაც მშობლები უხერხულობას არ იგრძნობენ და კითხვების დასმისა არ მოერიდებათ.

მშობლებთან ურთიერთობის დროს მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ მოსწავლის ოჯახის კულტურული, სოციალური და სხვა მახასიათებლები. იმისათვის, რომ თანამშრომლობა ეფექტური იყოს, მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს და პატივს სცემდეს სხვადასხვა ოჯახში არსებულ კულტურასა და დამოკიდებულებებს.

აუცილებელია, მასწავლებელმა და მშობელმა გააცნობიერონ თავიანთი უმნიშვნელოვანესი როლი მოსწავლის ცხოვრებაში და ერთმანეთთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას. მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა და მათი ჩართვა მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას და ამცირებს სკოლაში ძალადობის შემთხვევების რისკს.

კლასში ბავშვის სტატუსზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები და სოციალური კომპეტენციის მნიშვნელობა უმცროს სასკოლო ასაკში	43
როგორ დავეხმაროთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებაში?	46
მეგობრობის ტექნოლოგია	54
ბავშვთა აგრესია და მისი მიზეზები	58
როგორ შევამციროთ ბავშვთა აგრესია	64
კლასის მართვის სტრატეგიები	72
საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს გეოგრაფია	80
სწავლის მოტივაციის ხელშეწყობა უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში	89
როგორ გავუიოლოთ პატარა მოსწავლეს სკოლასთან შეგუება	95
ისევ სასწავლო მიზნების შესახებ	100
აქტივობა „სასაცილო კაცუნები“	106

განმავითარებელი შეფასების საშუალებები	112
როგორ დავეხმაროთ პირველკლასელებს სკოლაში სწავლისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაში	119
ბავშვები და მათი „უნიკალური“ თვისებები	125
სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევა – დისლექსია	131
როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულებაში	137

კლასში ბავშვის სტატუსზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები და სოციალური კომპეტენციის მნიშვნელობა უმცროს სასკოლო ასაკში

თანატოლებთან ურთიერთობა სკოლაში შესვლისთანავე მნიშვნელოვანი ხდება პატარა მოსწავლეებისთვის. კვლევებით დადგენილია, რომ სოციალური კომუნიკაციის უნარით გამორჩეული ბავშვები უფრო იოლად ეგუებიან სასკოლო გარემოს და ხშირ შემთხვევაში უკეთესი აკადემიური მოსწრებითაც გამოირჩევიან. ოჯახიდან ან ბაღის გარემოდან მოსული მოსწავლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ „ახალ ოჯახში“ თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს. დაცულობის შეგრძნებას კი, პირველ რიგში, ახალ ჯგუფთან მიკუთვნებულობა განაპირობებს. რაც მეტად მიღებულია ადამიანი ჯგუფის მიერ და რაც მეტი სიყვარულით ეპყრობიან და აღიარებენ, მით მეტად უვითარდება მას თვითპატივისცემის გრძნობა, რაც ეხმარება კიდევ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენაში.

მეგობრული ურთიერთობების დინამიკა

რობერტ სელმანმა შეისწავლა 7-დან 12 წლამდე ბავშვების მეგობრული ურთიერთობები. მისი კვლევის მეთოდი ლორანს კოლბერგის მეთოდის მსგავსი იყო. ისიც ბავშვებს სთავაზობდა დილემურ სიტუაციებს და უსვამდა შეკითხვებს.

დილემა: „კეტი და დები ხუთი წლის ასაკიდან მეგობრობენ და საუკეთესო მეგობრები არიან. მათ მეზობლად ახალი გოგონა გადმოვიდა, ჯანეტი. ჯანეტი ძალიან არ მოეწონა დების, ვინაიდან ჩათვალა, რომ იგი ზედმეტად პრანჭია და ბაჭიაა.

მათ ქალაქში ერთხელ ცირკის მსახიობები ჩამოვიდნენ. ჯანეტმა კეტი დაპატიჟა. კეტი საგონებელში ჩავარდა. ვინაიდან მანამდე დაპირდა დების, რომ საღამოს მას ესტუმრებოდა. როგორ უნდა მოიქცეს კეტი?“

სელმანმა, ბავშვების მსჯელობაზე დაყრდნობით, მეგობრობის 4 სტადია გამოყო:

I სტადია – 5-დან 7 წლამდე პერიოდს მოიცავს. აღნიშნულ ასაკში მეგობარი არის ის, ვისთან ერთადაც ბავშვი ზის მერხთან, ვისთანაც ის თამაშობს ეზოში, ვინც მასთან ახლოს ცხოვრობს. აღნიშნული ასაკის ბავშვებს ჯერ არ შეუძლიათ თავის დაყენება სხვა ადამიანის ადგილზე. ამიტომ, აღნიშნული ასაკის ბავშვების მოსაზრებით, კეთი უნდა წავიდეს ცირკში.

II სტადიაზე – (7-9 წელი) ჩნდება იმის განცდა, რომ მეორე ადამიანსაც გარკვეული გრძნობები გააჩნია. ამ ასაკის ბავშვი ამბობს, რომ კეთი იმ შემთხვევაში უნდა წავიდეს ცირკში, თუ დები ამის წინააღმდეგი არ იქნება.

III სტადიაზე (9-12 წელი) ჩნდება წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მეგობრები არიან ადამიანები, რომლებიც ეხმარებიან ერთმანეთს, ასევე ჩნდება ურთიერთნდობის განცდა. ამ ასაკის ბავშვები მსჯელობენ, რომ ურთიერთობა კეთისა და დების შორის განსხვავებულია, უფრო ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობაა, და მათ შორის ჩნდება გარკვეული ნდობა.

IV სტადიაზე (11-12 წელი) შეუძლიათ გაიაზრონ ურთიერთობა სხვა ადამიანის პოზიციიდან. ამ სტადიაზე მყოფი ბავშვი ასე მსჯელობს: „კეთიმ და დებიმ უნდა გაუგონ ერთმანეთს და გაარკვიონ სიტუაცია“.

სელმანის თანახმად, გარდატეხა მეგობრულ ურთიერთობებში ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანს უჩნდება უნარი, თავი წარმოიდგინოს მეორე ადამიანის პოზიციაზე.

ადამიანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მეორე ადამიანთან ახლო, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. მეგობრობის წყალობით ბავშვები იმეცნებენ **სოციალურ ნორმებს** და ივითარებენ თვითპატივისცემის გრძნობას. ბავშვის მდგომარეობა კლასში განაპირობებს მის თვითშეგნებას. მიკრო სოციალური ჯგუფების მეგობრობა აქტუალური V-VI კლასებიდან ხდება. ჯგუფი არის იმ ბავშვების შედარებით მყარი ერთობა, რომლებიც მუდამ ურთიერთობენ ერთმანეთთან და იზიარებენ ღირებულებებს. ჯგუფს აქვს თავისი ნორმები, რომლებიც ახდენს გავლენას ჯგუფის თითოეულ წევრზე. ჯგუფის წევრებს გარკვეული სტატუსიც გააჩნიათ: ზოგი ლიდერია, ზოგი კი მას ემორჩილება. მაგრამ 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფს არ ახასიათებს ძალზე მკაცრი ნორმები და შიგნით განაწილებული როლები, შედარებით უფროსი ბავშვებისაგან განსხვავებით. ამიტომაც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, უმცროს სასკოლო ასაკში მოხდეს ჯგუფის შეკვრა, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ზოგიერთი მოსწავლე კლასიდან გარიყული აღმოჩნდება

ხოლმე, ეს კი საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს ქმნის მათი შემდგომი ადაპტაციისთვის სოციალურ გარემოში. სამეგობრო წრიდან გარიყული სწორედ ის ბავშვები აღმოჩნდებიან, რომლებიც ან აგრესიულობით გამოირჩევიან, ან ზედმეტი სიმორცხვით. გარიყვისა და მუდმივი ფრუსტრაციის გამო აგრესიულები უფრო მეტად აგრესიულები ხდებიან, მორცხვი და მშფოთვარე ბავშვები კი – მუდმივი თავდასხმის ობიექტები. რაც შეეხება კლასში პოპულარულ ბავშვებს, აღმოჩნდა, რომ ისინი მეტად მონაწილეობენ საერთო საქმეებში, შეუძლიათ სხვებთან თანამშრომლობა და თანატოლთა დახმარება. ეს ბავშვები აგრეთვე გამოირჩევიან წარმატებით სასწავლო, სპორტულ თუ რომელიმე სხვა სფეროში.

კლასის შეკვრასა და პოზიტიური ატმოსფეროს შექმნას დაწყებით კლასებში დიდად უწყობს ხელს თანამშრომლობითი სწავლება და თავად მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ. წარმოგიდგენთ ორი ექსპერიმენტის შედეგებს. პირველი ექსპერიმენტი უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებზე საზაფხულო ბანაკში ჩაატარეს. ბავშვებს სთავაზობდნენ აქტივობებს, რომლებიც მათგან ზოგჯერ კონკურენციასა და ზოგჯერ თანამშრომლობას მოითხოვდა. აღმოჩნდა, რომ დავალების შესრულების დროს, როდესაც ჯგუფს უქმნიდნენ კონკურენტულ გარემოს, იზრდებოდა „საწინააღმდეგო“ ჯგუფის წევრების მიმართ აგრესია, მაგრამ საკმარისი იყო შეეთავაზებინათ თანამშრომლობაზე ორიენტირებული დავალება, მაშინვე იხსნებოდა ჯგუფის წევრებს შორის დაძაბულობა.

ძალზე საინტერესო შედეგი გამოიკვეთა კვლევისას, რომელიც ეხებოდა ბავშვების დამოკიდებულებას „პრობლემურ მოსწავლეთა“ მიმართ. I და II კლასელ მოსწავლეებს უჩვენებდნენ ფილმს „პრობლემურ მოსწავლეზე“ (რომელსაც მსახიობი ასრულებდა). ის კლასს გარიყული ჰყავდა. ფილმის ყურების შემდეგ მასწავლებელი ხაზს უსვამდა მოსწავლის დადებით მხარეებს. ამის შემდეგ გამართული დიკუსიის დროს მოსწავლეები დადებითად ახასიათებდნენ მოსწავლეს. ამგვარად, „პრობლემური მოსწავლის“ მიღებით, მასწავლებელს შეუძლია მოახდინოს გავლენა ბავშვის სტატუსზე კლასში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა დიდად არის დამოკიდებული პედაგოგზე. ამისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ კლასში იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეებს საერთო მიზნის მისაღწევად მოუწევთ თანამშრომლობა და თითოეული მოსწავლის მიმართ კეთილგანწყობის ჩვენება.

როგორ დავცემართ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებაში

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ბავშვებს ჩამოვუყალიბოთ კლასთან ერთობის, მასთან მიკუთვნებულობის გრძნობა. ხშირად ბავშვების „არასასურველი ქცევა“ გამოწვეულია იზოლაციით და მარტოობის გრძნობით. ასეთ შემთხვევაში ყურადღების მიპყრობას ბავშვი ცდილობს ასოციალური ქცევით. იმისთვის, რომ ბავშვმა თავი არ იგრძნოს კლასში იზოლირებულად, საჭიროა, რომ მივცეთ შესაძლებლობა, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს „პირადი ისტორიით“ – თუ ვინ არის, ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, რა არის მისი საყვარელი საქმიანობა. აუცილებელი გახლავთ თვითპატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ხაზი გაუსვას თითოეული მოსწავლის ღირებულებასა და უნიკალურობას. ამისთვის რამდენიმე მარტივი ხერხი არსებობს: მივიღოთ მოსწავლეები ისეთებად, როგორებიც არიან, ვიკვლიოთ მათი საჭიროებები, მივცეთ შესაძლებლობების შესატყვისი დავალებები, უკუკავშირისას აქცენტი გავაკეთოთ როგორც ძლიერ მხარეებზე, ასევე იმ უნარებზე, რომლებიც განვითარებას საჭიროებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი მაშინ გრძნობს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას, როდესაც უფროსი გარკვეულ მოვლენაზე მისი მოსაზრებით ინტერესდება: „რა გვასწავლა ამ შემთხვევამ?“, „რა იყო ამ გაკვეთილზე შენთვის საინტერესო?“ ბავშვისადმი პატივისცემა მაშინაც ვლინდება, როდესაც მასწავლებელი „იარლიყებს“ არ აწებებს მოსწავლეებს და სახელით მიმართავს. ამას გარდა, სასურველია სწავლების პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებს მოუწიოთ დამოუკიდებლად ან ჯგუფთან ერთად გადაწყვეტილებების მიღება. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში თუ პროექტზე მუშაობისას მივცეთ თემის ფარგლებში შესასრულებელი აქტივობის არჩევის შესაძლებლობა, ხელი შევუწყოთ თვითშეფასების დღიურის წარმოებაში, სადაც დაასაბუთებენ საკუთარ არჩევანს, აღწერენ საკუთარ წვლილს ჯგუფური მუშაობის დროს. ჯგუფთან თანამშრომლობისას სასურველია ხელი შევუწყოთ პროსოციალური ქცევის გამოვლენას. შევუქმნათ სიტუაცია, სადაც მოუწევთ ერთმანეთის დახმარება და შემდეგ შევაქოთ განხორციელებული ქცევის გამო. პროსოციალური ქცევის გარდა ძალზე

მნიშვნელოვანია ასერტული ქცევის ხელშეწყობა. ასერტული ქცევა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დესტრუქციული დაპირისპირების თავიდან აცილებას და კონფლიქტის მოგვარებას. უნდა გვახოვდეს, რომ **ასერტულობა პიროვნული თვისება არ არის, ის უნარია, რომლის სწავლა შეიძლება**. ასერტულობა — ეს არის უნარი, გამოხატო საკუთარი სურვილები, გრძნობები, საჭიროებები და დაიცვა საკუთარი უფლებები ისე, რომ ანგარიში გაუწიო სხვების გრძნობებს და თან არ დაარღვიო მათი უფლებები. გამოცდილმა პედაგოგებმა კარგად იციან, რომ ხშირად ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას ხელს უშლის სწორედ ეფექტური კომუნიკაციის უნარის არქონა, მაგ., როდესაც ბავშვს უჭირს მოსაზრების გამოთქმა, დაცვა და შემდეგ სხვისი მოსაზრების გაგება. აქ ორ პრობლემას ვაწყდებით ხოლმე: მოსწავლე ან მუდამ ემორჩილება სხვას, ან არ შეუძლია სხვისი მოსმენა და ყველას საკუთარ მოსაზრებას ახვევს. ამ ორივე ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს დაპირისპირება მოსწავლეებს შორის.

კლასში კარგი კლიმატის შექმნას ასევე ხელს უწყობს ზრუნვა სტრესისა და შფოთვის დაძლევაზე. ეს შესაძლებელია, თუ მოსწავლეებს ხელს შევუწყობთ ემოციების გამოხატვისა თუ მოსაზრებების გამოთქმის უნარების განვითარებაში. რაც უფრო თავისუფლად საუბრობენ მოსწავლეები საკუთარ გრძნობებზე, მით უფრო კარგი კლიმატია კლასში. ამავდროულად, პედაგოგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს დროის ან დღის რეჟიმის რაციონალურად განაწილებაში. ამით მცირდება სტრესის ან შფოთვის დონე. და კიდევ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსწავლეები კარგად იცნობდეს თავის კლასს, აქტივობების დასახვისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა უნიკალური თავისებურებები, იზრუნოს იმ უნარების განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს სხვებთან ურთიერთობას და კარგ განწყობას კლასში.

აქ პედაგოგს გაუჩნდება კითხვა: როდის და რა აქტივობებით უნდა ვიზრუნოთ აღნიშნული უნარების განვითარებაზე?

აღნიშნული უნარების განვითარება სასწავლო პროცესის მიღმა შესაძლებელია სადამრიგებლო საათზე, ინტერაქტიული თამაშების სახით. თამაშის დროს ბავშვი იღებს ახალ შთაბეჭდილებას, სოციალურ გამოცდილებას, თან ოდნავ განსხვავებული, სახალისო სახით. თამაშის შემდგომ მნიშვნელოვანია ბავშვებთან განხილვა, თუ რას ემსახურებოდა აღნიშნული თამა-

ში. მნიშვნელოვანია, თითოეული თამაშის შემდეგ ბავშვმა გამოთქვას აზრი და გამოხატოს შთაბეჭდილებები.

აქტივობა 1. „ჩემი ღერბი“

მიზანი: მე-კონცეფციის ფორმირების ხელშეწყობა, თვითპრეზენტაციის უნარების განვითარება.

მასალა: თაბახის ფურცლები, ფანქრები.

მომდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გერბის შაბლონს და შემდეგ აქტივობას: გერბი იყოფა სამ ნაწილად, ერთ ნაწილში მოსწავლეებმა უნდა დახატონ საკუთარი განწყობა ან ხასიათი. ეს შეიძლება იყოს გაცილებული ან სერიოზული კაცუნა. იმის მიხედვით, თუ როგორ განწყობაზე არიან მოსწავლეები ყველაზე ხშირად. მეორე ნაწილში იხატება მოსწავლის ჰობი, ანუ საყვარელი საქმიანობა. მესამე ნაწილში კი – მოსწავლის თვალთ წარმოდგენილი მომავალი (შეიძლება იყოს მომავალი პროფესია).

მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ გერბს სასურველია ჰქონდეს დევიზი, ცხოვრების კრედო. პატარა მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ, რომ დაწერონ, თუ რას უსურვებდნენ საკუთარ თავს. მაგ., დაასრულონ ფრაზა „მე მინდა ვიყო...“ დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები დავალებას წარადგენენ კლასის წინაშე.

აქტივობა 2. „ჩემი ისტორია“

მიზანი: მე-კონცეფციის ფორმირების ხელშეწყობა, თვითპრეზენტაციის უნარების განვითარება.

მომდინარეობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, პატარა ბარათებზე დაწერონ საკუთარი თავის დახასიათება. მაგ., მე ვარ 7 წლის ბიჭუნა, მყავს პატარა დაიკო, ძალიან მიყვარს ხატვა და ფეხბურთის თამაში და ა.შ. მოსწავლე, რომელიც ასრულებს დავალებას, თავის ბარათს პედაგოგს აძლევს. ის ურევს ბარათებს და რიგრიგობით კითხულობს მოსწავლეთა ისტორიებს. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ, თუ ვის ისტორიას კითხულობდა მასწავლებელი. მასწავლებელი მათ წინასწარ უთანხმ-

დება თამაშის წესზე. მოსწავლეები მხოლოდ მას შემდეგ გამოთქვამენ მოსაზრებებს, რაც მასწავლებელი ისტორიის კითხვას დაასრულებს.

აქტივობა 3. „შეცდომების ამოცნობა“

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება, თანაკლასელთა სახელების და გვარების დახსოვება.

მიმდინარეობა: მასწავლებელი კითხულობს სიას, ოღონდ შეცდომით ასახელებს ზოგიერთი მოსწავლის სახელს ან გვარს. ბავშვები ფეხზე უნდა ადგნენ მხოლოდ მაშინ, თუ მასწავლებელი სწორად დაასახელებს სახელსა და გვარს.

აქტივობა 4. „ჩვენ ვგავართ ერთმანეთს“

მიზანი: ერთმანეთის გაცნობა, მსგავსი თვისებების აღმოჩენა, კლასის შეკვრა.

მასალა: ფორმატის ფურცლები, მარკერები.

მიმდინარეობა: მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ან 5-კაციან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს სთავაზობს ჩამოწერონ ის თვისებები, ინტერესები ან თავისებურებები, რომლებიც ჯგუფის ყველა წევრს ახასიათებს. დავალების შესასრულებლად საჭიროა დასვან შეკითხვები: რა არის შენი საყვარელი საჭმელი? საყვარელი საქმიანობა? გყავს და ან ძმა? შინაური ცხოველები? ფორმატზე უნდა დაიწეროს მხოლოდ ის თვისებები, რითაც ჯგუფის წევრები ჰგვანან ერთმანეთს. სამუშაოდ თითოეულ ჯგუფს 15-20 წუთი ეძლევა, რის შემდეგაც ჯგუფები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. მოსწავლეთა მიერ შესრულებული პლაკატები რჩება გაკრული. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რით ჰგავს ყველა მოსწავლე ერთმანეთს? (მაგ., ყველანი მეორეკლასელები ვართ, ყველას გვიყვარს მათემატიკის გაკვეთილი და ა.შ.). აღნიშნულ მსგავსებას ან ხაზი ესმება, ან ახალი პლაკატი კეთდება და რჩება კედელზე.

აქტივობა 5.

მიზანი: თითოეული ადამიანის ღირებულების გააზრება, ურთიერთგაცნობა.

მასალა: კითხვარი.

ნიმუში:

1. დაიწერეთ თითოეულ წევრზე 5 ქულა, თუ ჯგუფის რომელიმე წევრი დადის მუსიკაზე;
2. თუ თქვენი ჯგუფის წევრის გვარი იწყება ნ ან გ ასოზე, დაიწერეთ 5 ქულა თითოეულ წევრზე;
3. თუ თქვენი ჯგუფის რომელიმე წევრი ერთხელ მაინც მოხვედრილა საშიშ სიტუაციაში, დაიწერეთ თითო წევრზე 5 ქულა;
4. თუ ჯგუფის რომელიმე წევრს გაუკეთებია ოპერაცია, დაიწერეთ თითო წევრზე 5 ქულა;
5. თუ ჯგუფის რომელიმე წევრი ბოლო 3 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც ყოფილა კინოში, დაიწერეთ თითო წევრზე 5 ქულა.

* მსგავსი კითხვარი შეგიძლიათ შეცვალოთ ჯგუფის თავისებურებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა წევრმა გარკვეული ქულა „შეიტანოს“.

მიმდინარეობა: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ შემუშავებულ კითხვარს, სადაც სხვადასხვა მტკიცებულებები არის ჩამოთვლილი და თითოეულს გარკვეული ქულა უნდა მიეწეროს.

კითხვარის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს შემდეგ შეკითხვებს:

- თქვენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა თამაშს?
- იყო ჯგუფის წევრი, რომელმაც ქულა არ შეიტანა?

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს შეხვედრას და ხაზს უსვამს, რომ როგორც ამ თამაშში, ისე კლასში ჯგუფის თითოეული წევრი ღირებულია და ყველას შეაქვს „შენატანი“. ზოგი ძალიან აქტიურია, რითაც კლასს ყოველთვის აცოცხლებს, ზოგს კარგი იუმორის გრძნობა აქვს და აცინებს კლასს, ზოგიც ძალიან მშვიდია და დამჯერი. კლასი იმით არის გამორჩეული რომ ყველანი ასეთი განსხვავებულები და განსაკუთრებულები არიან.

აქტივობა 6. „გადაეცი ნახატი“.

მიზანი: კომუნიკაციის უნარის განვითარება, სიმორცხვის დაძლევა.

მიმდინარეობა: თამაშში მონაწილეობას იღებს ყველა ბავშვი. პირველი ბავშვის ხელისგულზე უნდა დავხატოთ თითოთ რაიმე ნიშანი, ფიგურა (კვადრატი, წრე, სამკუთხედი, კლაკნილი ხაზი). ბავშვი დახატავს-გადასცემს ფიგურას მეორე ბავშვის ხელისგულზე და ა.შ. თამაშის ბოლო მონაწილე ასახელებს მის ხელზე დახატულ ფიგურას. ხდება შედარება დასახელებული ფიგურის იმასთან, თუ რა იყო დახატული პირველი ბავშვის ხელისგულზე.

აქტივობა 7. „ქარი უბერავს მისთვის, ვისაც...“

მიმდინარეობა: მასწავლებელი სკამებს წრიულად განალაგებს, მაგრამ სკამი ერთით ნაკლებია, ვიდრე მონაწილე. მასწავლებელი ასახელებს ჯგუფის წამყვანს, რომელიც წრის შუაში დგება და ტრადიციული ფრამის შემდეგ ასახელებს თვისებას, რომელიც მას გააჩნია და, სავარაუდოდ, ჯგუფის სხვა წევრებსაც უნდა ახასიათებდეს. თუ აღმოჩნდება, რომ ჯგუფის სხვა წევრებსაც გააჩნიათ აღნიშნული თვისება, მათ უნდა გაუცვალონ ადგილი მონაწილეებს. მაგ., „ქარი უბერავს მისთვის, ვინც დღეს სკოლაში მოვიდა“, ან „ვისაც უყვარს ვაშლი“ და ა.შ. წამყვანამაც უნდა დაასწროს დაჯდომა. ვინც ფეხზე დარჩება, ის ხდება წამყვანი და შემდეგ ის დაასახელებს თვისებას.

აქტივობა 8.

მიზანი: ადამიანთა შორის განსხვავებების ან მსგავსებების დაფიქსირება, მათი მნიშვნელობის გააზრება.

მასალა: თაბახის ფურცლები, ფანქრები და ფლომასტერები.

მიმდინარეობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დახატონ ადამიანი.

მოსწავლეთა ნამუშევრებს ამაგრებს დაფაზე და სთხოვს დააკვირდნენ, ჰგავს თუ არა მათი ნამუშევრები ერთმანეთს. მოსწავლეთა ნამუშევრები, ბუნებრივია, განსხვავდება ერთმანეთისგან. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „რა აჯობებდა, რომ ყველა ნამუშევარი ზუსტად ერთნაირი

ყოფილიყო, თუ განსხვავებული? როგორ ფიქრობთ, კარგია, რომ ჩვენ ყველას განსხვავებული თვისებები, სახის ნაკვთები გაგვანინა? ყველა ბუსტად ერთნაირი რომ ვიყოთ, რა სირთულეს წავაწყდებოდით?”

აქტივობა 9. „ყველაზე დაკვირვებული“

მიზანი: ერთმანეთის დადებითი თვისებების დაფიქსირების ხელშეწყობა, ურთიერთობის „დათბობა“.

მიმდინარეობა: მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს დავალებას: „ამ თამაშით მე მინდა გამოვავლინო, თუ რამდენად კარგად შეგვიძლია დაკვირვება. იყო დაკვირვებული, ნიშნავს დააფიქსირო როგორც თითოეული დეტალი გარემოში, ისე ადამიანების დადებითი თვისებები.“

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ ჯგუფის თითოეული წევრის დადებითი თვისება, ოღონდ მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გაჩერდება რომელიმე მათგანთან. თუ დადებითი თვისებების დასახელებისას პაუზა შეიქმნა, მასწავლებელი აგულიანებს მოსწავლეებს (აბა, მეტად დაკმაბოთ ყურადღება) ან თვითონ „წაახმარს“ გარკვეულ თვისებას. სასურველია, რომ თითოეულ მოსწავლეზე 2-3 დადებითი თვისება მაინც დასახელდეს.

აქტივობა 10. აბლაბუდა

მიზანი: პოზიტიური თვითშეფასების ფორმირება, თანამშრომლობითი უნარების განვითარება.

მასალა: ძაფის გორგალი

მიმდინარეობა: მოსწავლეები სხედან წრეში. აქტივობა შეიძლება დაიწყოს ნებისმიერმა ბავშვმა. მან რომელიმე თანაკლასელს უნდა გაუკეთოს კომპლიმენტი: „მე მომწონს, რომ შენ...“ ამის შემდეგ მოსწავლე თავად იტოვებს ძაფის ბოლოს, გადაიხვევს ძაფს ხელზე (თვალყური ადევნეთ, რომ ძალიან არ მოიჭიროს) და გორგალს გადააწოდებს აღნიშნულ მოსწავლეს, შემდეგ ის – სხვას და ასე გრძელდება მანამ, სანამ ყველა მოსწავლესთან არ „გაიბმება აბლაბუდა“ და თითოეულის მისამართით არ ითქმება კომპლიმენტი. აქტივობის დასასრულს გორგალი ხელთ აქვს

მოსწავლეს, რომელსაც უკანასკნელს გაუკეთეს კომპლიმენტი. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა „დაშალონ აბლაბუდა“ და ისევ დაახვიონ გორგალი. უკანასკნელი მოსწავლე აფიქსირებს, თუ რა უთხრა თანაკლასელმა (მაგ., მოსწონთ, თუ როგორ ვესმარები თანაკლასელს), ის გადასცემს გორგალს მოსწავლეს, ვისგანაც მოდის ძაფი, შემდეგ ის ამბობს, თუ რა უთხრეს მას და ა.შ.

რეკომენდაცია: სასურველია, ეს აქტივობა ჩატარდეს წყვილებში, ძაფის გორგალის გარეშე. ბავშვებმა უნდა დაწერონ 5 რამ, რაც მოსწონთ მეწყვილეში და შემდეგ გაუზიარონ ერთმანეთს.

აქტივობა 11. „ცალკე და ერთად“

მიზანი: თანამშრომლობის, მოლაპარაკების უნარის განვითარება.

მასალა: A3 ფორმატის ფურცელი.

მიმდინარეობა: მასწავლებელი წყვილებს ურიგებს ფურცლებს, რომლებიც 3 ნაწილად არის დაყოფილი. მარჯვენა და მარცხენა მხარეს ხატავენ, რაც მათ სურთ, მაგრამ შუაში ვერც ერთი დაიწყებს მუშაობას, სანამ არ მოილაპარაკებენ კომპოზიციის შესახებ, აგრეთვე არ გაინაწილებენ ფუნქციას, თუ ვინ რას დახატავს.

აღნიშნული აქტივობების შემოთავაზებული თანმიმდევრობით განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პოზიტიური მე-კონცეფციის ფორმირებას, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას. ყოველივე ეს კი ემსახურება როგორც კლასში პოზიტიური თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას, ისე კონფლიქტების პრევენციას.

მეგობრობის ტექნოლოგია

ამასწინათ ეზოში ექვსი წლის ორი გოგონას საუბარს შევესწარი: ერთმანეთს პირობა მისცეს, სახლში შესვლისთანავე ხმამაღლა დაეყვირათ ერთმანეთის სახელი, რაც სიყვარულისა და ორმხრივი მეგობრობის ნიშანი იქნებოდა. ეჭვგარეშეა, მეგობრული ურთიერთობა ბავშვებისთვის ასეთ მცირე ასაკშიც ძალზე მნიშვნელოვანია.

მეგობრობა თბილ, სასიამოვნო განცდებს ბადებს. ზოგიერთ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ ბავშვობისდროინდელი ურთიერთობით გამოწვეული ეს განცდები ქმნის ერთგვარ იმუნიტეტს, რომელიც ზრდასრულობისასაც გვეხმარება სტრესის დაძლევაში, ხოლო ადამიანები, რომელთაც ბავშვობაში მეგობრები არ ჰყოლიათ, ზრდასრულ ასაკშიც მარტოსულებად რჩებიან და თავს არ ანებებთ საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილების განცდას.

ბავშვმა მეგობრები რომ შეიძინოს, აუცილებელია, თანატოლებთან თავისუფლად ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონდეს.

მეგობრის ყოლის სურვილი ბავშვს პირველად 5 წლის ასაკში უჩნდება, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს მისთვის 7-8 წლიდან იძენს. ხშირად მეგობრები უფრო ობიექტურად აფასებენ ბავშვის უნარებსა თუ შესაძლებლობებს, ვიდრე მშობლები და მასწავლებლები. უმცროს სასკოლო ასაკში მეგობარი ერთგვარი „სარკეა“, რომელიც ბავშვს პასუხს სცემს კითხვებზე: „როგორი ვარ მე? რა შემიძლია? რა გამომდის ყველაზე უკეთ?“

ზოგიერთი უფროსი, რომელსაც აწუხებს, რომ მის შვილს არ ჰყავს მეგობრები, თავად იწყებს პატარების ურთიერთობაში ჩარევას. ეს შეცდომაა – ბავშვების მეგობრობა მათსავე დადგენილ წესებს, მათ მიერვე შემუშავებულ „მეგობრობის კოდექსს“ ემყარება. უფროსებს შეგვიძლია გავლენის მოხდენა, მაგრამ ირიბად; პატარები ხომ ჩვენ გვბაძავენ, ამიტომ, თუ ვაჩვენებთ მათ მეგობრობის მაგალითს (იმით, როგორ ვურთიერთობთ მეგობრებთან,

კოლეგებთან), პატარას გაუადვილდება იმავე მოდელის გადატანა საკუთარი ურთიერთობების სფეროში. ბავშვი, უწინარეს ყოვლისა, ოჯახურ გარემოში სწავლობს კონფლიქტის მოგვარებას, მოლაპარაკებას, კომპრომისზე წასვლას. ყველა ეს უნარი მეგობრებთან ურთიერთობისას ვითარდება და ასაკთან ერთად უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს საქმიან თუ პირად ცხოვრებაში.

მეგობრობა მრავალ უნარსა და ჩვევას მოიცავს, რომელთა მიზანმიმართული განვითარება შესაძლებელია. მათ მიეკუთვნება გაცნობის, საუბრის დაწყებისა და დასრულების, დახმარების თხოვნის, დათმობისა თუ გაზიარების, ზრუნვის, მაღლიერების გამოხატვისა და სხვისგან მისი მიღების და, თქვენ წარმოიდგინეთ, მარტო დარჩენის უნარიც კი, რათა ბავშვი მუდამ სხვაზე დამოკიდებულებას არ გრძნობდეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სასიამოვნო განცდებთან ერთად მეგობრობას თან ახლავს კონფლიქტებიც, გამოწვეული უკმაყოფილებით, იმედგაცრუებით, ეჭვიანობით. როგორც უნდა ვეცადოთ უფროსები, პატარებს უსიამოვნო განცდები თავიდან ავაცილოთ, ვერ უარვყოფთ, რომ სოციალურ-პიროვნულ განვითარებაში ბავშვს ამგვარი გამოცდილება ეხმარება.

ხშირად ჩნდება კითხვა, ჩავერიოთ თუ არა ბავშვის ურთიერთობათა სფეროში, როცა მისი მეგობრები არ მოგვწონს.

ბავშვი, ისევე, როგორც ზრდასრული ადამიანი, მეგობრებს განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ირჩევს – ის მისი თანასწორი უნდა იყოს და მის ინტერესებს იზიარებდეს. უფროსები კი ზოგჯერ სულსწრაფობას ვიჩენთ – ვერ ვითმენთ, სანამ ბავშვი თვითონ მოაგვარებს საკუთარ პრობლემებს. გირჩევთ, შვილთან ისეთი ურთიერთობა დაამყაროთ, რომ მას ნებისმიერ საკითხზე შეეძლოს თქვენთან საუბარი და რჩევის თხოვნა.

რით დავცხმართ?

ფსიქოლოგი სინტია ერდლი მიიჩნევს, რომ უფროსებს საკუთარი გამოცდილება ან გვეხმარება, ან ხელს გვიშლის ბავშვების დახმარებაში. უფროსები, რომლებიც პატარაობისას თვითონ იყვნენ მორცხვები, ბავშვის ურთიერთობათა სფეროში უფრო აქტიურად ერევიან, ქმნიან იმგვარ სიტუაციებს,

სადაც მათ შვილს ახალი მეგობრების შეძენა შეეძლება. მას კი, ვისაც თავად არ ჰქონია ურთიერთობების პრობლემა, მიაჩნია, რომ მეგობრების შეძენა და შენარჩუნება იოლია და ეს არც მის შვილს უნდა გაუჭირდეს.

არსებობენ ბავშვები, რომელთაც უჭირთ დამეგობრება და მერე ამ ურთიერთობის შენარჩუნება. მათ არ ესმით მეგობრობის ელემენტარული წესები, ამიტომ დახმარება სჭირდებათ.

როგორ დავეხმაროთ?

მორცხვი

თუ ბავშვი მორიდებულია, დამეგობრებაში დაეხმარეთ: თავი მოუყარეთ მასა და მის თანატოლებს, შესთავაზეთ აქტივობა, რომელიც ინტერესთა სფეროს გამოვლენას ემსახურება, მერე კი ამ ინტერესების გათვალისწინებით რაიმე დავალების ჯგუფურად შესრულება დაავალეთ. მსგავსი ინტერესების მექონე ადამიანებთან ურთიერთობა უფრო იოლია. შექმენით სიტუაციები, სადაც ბავშვს იმ უნარების გამოვლენა დასჭირდება, რომლებსაც კარგად ფლობს. საუბრისას ხშირად ჰკითხეთ აზრი. შესთავაზეთ ამა თუ იმ სიტუაციაში ქცევის მზა მოდელი. არავითარ შემთხვევაში არ მიაკეროთ იარლიყი („ისეთი მორცხვია, გვერდიდან არ მშორდება“) – ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბავშვზე და ეს როლი გაუმყაროს: „როგორ ვეთამაშო ბავშვებს, მე ხომ მორცხვი ვარ!“

აგრესიული

თუ ბავშვი ხშირად ჩხუბობს, თანაც ერთსა და ორს კი არა, თითქმის ყველა მეგობარს ეჩხუბება, დააკვირდით, ყოველთვის ერთი და იმავე სცენარით ხომ არ ვითარდება კონფლიქტი. მაგალითად, ბავშვი მეგობარს მხოლოდ მაშინ უწყრება, როდესაც ის დახმარებას სთხოვს. ესაუბრეთ მას იმის თაობაზე, როგორ სურდა ურთიერთობის გაგრძელება, როგორ შეიძლება ამის სხვაგვარად მიღწევა. წაახალისეთ, როდესაც სირთულეს მშვიდად მოაგვარებს და აუცილებლად აუხსენით, რა მოსდევს ჩხუბს, სიფიცხეს: სხეულის დაშავება, მეგობრის დაკარგვა...

თავის მომაბეზრებელი

თუ ბავშვი თავის ნივთებს გამუდმებით სჩუქნის სხვას, რათა „მეგობრობა იყიდოს“, ან მეტისმეტად დიდ ყურადღებას ითხოვს მეგობრებისგან, ესე იგი, მას დაბალი თვითშეფასება აქვს. შეეცადეთ მიიღოთ ის ისეთი, როგორიც არის, ხაზი გაუსვით მის ძლიერ მხარეებს, გამოიკვლიოთ მისი ინტერესები და ინტერესთა სფეროს გაღრმავებაში დაეხმაროთ.

ძუნწი

ნუ დააძალებთ ათხოვოს სხვას სათამაშო, როდესაც თავად არ სურს ეს. ზოგჯერ უფროსებს ისე გვინდა ბავშვის ხელგაშლილობის დემონსტრაცია, რომ ვაიძულებთ, დათმოს მისთვის ყველაზე ფასეული ნივთი. ბავშვისთვის კი ნივთები ხშირად მე-კონცეფციის ნაწილია; ის მათ საკუთარ ნაწილად აღიქვამს – ამიტომაც უჭირს მათთან შეღწევა. თუ გვსურს, ბავშვს გაზიარება ვასწავლოთ, სასურველია შევქმნათ იმგვარი სიტუაცია, სადაც ბავშვები გარკვეული მიზნის გარშემო გაერთიანდებიან. მაგალითად, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ თამაში „მსგავსი ხელთათმანი“: წყვილებს დავურიგოთ ხელთათმანის კონტურები და ერთნაირი ხელთათმანების შექმნა დავავალოთ. მათ მოუწევთ შეთანხმდნენ ორნამენტის, ფერების თაობაზე... მუშაობისას თავისთავად გაუზიარებენ ერთმანეთს ფანქრებსა და ფლომასტერებს, რომ გამოყენებული ფერები სხვადასხვანაირი არ აღმოჩნდეს...

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემას სხვადასხვა მიზეზი აქვს, უფროსებს დახმარება შეგვიძლია. პირველ რიგში, თავად უნდა ვუჩვენოთ ბავშვებს მეგობრობისა და თანამშრომლობის მაგალითი; ვიზრუნოთ იმაზე, რომ ბავშვს შინ თუ სკოლაში ჰქონდეს ინტერაქციული სამაგიდო სათამაშოები, რომლებითაც რამდენიმე ადამიანთან ერთად შეიძლება თამაში; ვასწავლოთ დადებითი ემოციების გამოხატვა, სხვისი შექება: „რა კარგად ხატავ!“, „რა საინტერესო ამბავს მომიყევი!“ დავაკვირდეთ სხვებთან მის ურთიერთობას – უჭირს თუ არა, რა უნარის განვითარება სჭირდება, რათა უკეთ შეძლოს კომუნიკაცია, რა გზით არის შესაძლებელი ამ უნარის განვითარება... რაც მთავარია, შევინარჩუნოთ ბავშვთან იმგვარი ურთიერთობა, რომ მას შეეძლოს ჩვენთვის ნებისმიერი პრობლემის გაზიარება და დახმარების თხოვნა.

ბავშვთა აგრესია და მისი მიზეზები

ყოველდღიურ მეტყველებაში სიტყვა „აგრესიით“ აღვნიშნავთ ქცევათა ფართო სპექტრს, ცინიკური კომენტარებიდან დაწყებული, ძალადობით დამთავრებული, ფსიქოლოგები კი ამ ცნებაში ისეთ ქცევას მოიაზრებენ, რომელიც სხვისთვის ზიანის მიყენებისკენ არის მიმართული (Baron & Richardson, 1994; Berkowitz, 1993).

ეს განმარტება მოიცავს სამ კომპონენტს:

- აგრესია ქცევის ფორმაა და არა ბრაზის ემოცია, რომელსაც ზოგჯერ აგრესიად განიხილავენ. ჩვენ შესაძლოა გავბრაზდეთ, მაგრამ არ მოვიქცეთ ემოციის შესაბამისად; აგრეთვე შესაძლოა სულაც არ ვბრაზობდეთ, მაგრამ სხვას მაინც მივაყენოთ ზიანი.
- აგრესიული ქცევა წინასწარ განზრახული და მიზანმიმართულია. თუ ვინმეს ტკივილი წინასწარი განზრახვის გარეშე მივაყენეთ, ეს აგრესიად არ განიხილება. ჩვენ შესაძლოა გავეხუმროთ ადამიანს, მას კი, თუ იუმორის გრძნობას მოკლებულია, ეწყინოს, თუმცა ჩვენ სულაც არ გვქონია განზრახული მისთვის ტკივილის მიყენება.
- აგრესიული ქცევა სხვისთვის ზიანის მიყენებისკენ არის მიმართული და განსხვავდება ქცევისგან, რომელიც საკუთარი უფლებების დაცვას ისახავს მიზნად ან თავდაჯერებულობის გამოხატულებას წარმოადგენს.

აგრესიის სახეები

ფსიქოლოგები განასხვავებენ პირდაპირ და ირიბ, ემოციურ და ინსტრუმენტულ აგრესიას (Bjorkvist, Osterman & Lagerspetz, 1994; Walker, Richardson & Green, 2000).

ირიბი აგრესია არ გულისხმობს ადამიანისთვის პირდაპირი ზიანის მიყენებას. მისი გამოხატულება შეიძლება იყოს, მაგალითად, ჭორების გავრცელება.

პირდაპირი აგრესია შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკურად, ისე ვერბალურად (შეურაცხყოფა, ჩხუბი ან მუქარა).

ემოციური აგრესია — ეს არის ნეგატიური ემოცია (ბრაზი), მიმართული კონკრეტული ადამიანისკენ. თუ გაბრაზებულმა ვინმეს დავუყვირეთ, ეს ემოციური აგრესიაა.

ინსტრუმენტული აგრესია — ეს სხვისთვის საზიანო ისეთი ქმედებაა, რომლის თვითმიზანი აგრესია არ არის. ასეთია, მაგალითად, სხვისი კრიტიკა საკუთარი სტატუსის ამაღლების მიზნით, ანდა აგრესიული ქცევა თავის დასაცავად.

გენდერული განსხვავებები

არსებობს მოსაზრება, რომ აგრესიისკენ ვაჟები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი, ვიდრე გოგონები, მაგრამ კაი ბიორკვისტის (Bjorkvist, 1994) მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამ კუთხით სქესთა შორის არცთუ მნიშვნელოვანი განსხვავებაა. არსებობს სხვა კვლევათა შედეგებიც, რომელთა თანახმად, გოგონებს მეტი აგრესიულობა ახასიათებთ. ისინი უფრო მეტად ეჭვიანობენ და, საზოგადოდ, მეტად სჩვევიათ არაპირდაპირი აგრესია, მაგალითად, ჭორების გავრცელება, განკითხვა ან სოციალური ჯგუფიდან წევრების გარიყვა („თუ ამას არ გააკეთებ, მე დაბადების დღეზე არ დაგპატიუებ“) (Owens, Shute & Slee, 2000). გოგონები უფრო ემოციური აგრესიისკენ არიან მიდრეკილნი, ანუ მეტად აძლევენ გასაქანს საკუთარ ემოციებს, ვაჟები კი ძალაუფლების მოპოვებაზე არიან ორიენტირებულნი. ეს განსხვავება განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება IV-V კლასებიდან.

გოგონებისა და ვაჟების აგრესიას სხვადასხვა მოტივი აქვს, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია კითხვა: საზოგადოდ, რატომ ხდება ადამიანი აგრესიული? ერთნი შესაძლოა ზიანს აყენებდნენ სხვას საკუთარი იმიჯის დასაცავად ან საკუთარი უპირატესობისთვის ხაზის გასასმელად, მეორენი ამ გზით მუდმივ ფრუსტრაციას უპირისპირდებიან.

რა განაპირობებს აგრესიას?

ზოგიერთ მეცნიერს (Lorenz, 1966) მიაჩნია, რომ აგრესია თვითგადარჩენის ინსტინქტია, რომელიც ბუნებრივი გადარჩევის შედეგად გამომუშავდა. მაგა-

ლითად, ცხოველი, რომელიც იცავს თავის ბუნაგს, მეტად გადარჩება, ვიდრე ის, რომელიც გარბის ან იმალება.

განსხვავებული მოსაზრება აქვთ მაკდუგალსა და დოლარდს (McDaugall, 1907; Dollard, 1939). მათი აზრით, აგრესია არის ინსტინქტი, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზაზე წამოჭრილი დაბრკოლების დასაძლევად არის მიმართული. ამ თეორიის თანახმად, აგრესიული ქცევა ავტომატური პასუხია წინააღმდეგობაზე. თუ ჩვენ დავინახეთ ადამიანი, რომელიც აგრესიულად იქცევა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას მანამდე ფრუსტრაცია განუცდია და პირიქით – თუ ადამიანი ფრუსტრაციას განიცდის, ის ამის შემდეგ აგრესიულად მოიქცევა. ასე რომ, თუ, მაგალითად, საცობის გამო სკოლაში დააგვიანეთ, შესაძლოა მოგვიანებით აგრესია გამოხატოთ ვინმეს მიმართ; ასევე, თუ თქვენი მოსწავლე აგრესიულად იქცევა, მაშ, დილით მას, თქვენსავით, რაღაც დაბრკოლება შეხვედრია.

მაგრამ აღნიშნული თეორია ვერ ხსნის ვერც ინსტრუმენტული აგრესიის მიზეზებს და ვერც იმ ფაქტს, რომ ფრუსტრაციის დროს ყველა ერთნაირად არ იქცევა.

ზოგადი გაღიზიანების თეორიის თანახმად (Berkowich), აგრესია წარმოიშობა ნებისმიერი ნეგატიური ემოციის, მაგალითად, ბრაზის შედეგად.

აღზნების/გადატანის თეორიის თანახმად (Zillmann, 1984; 1994), ბრაზი თავისი ინტენსივობით მსგავსია სხვა ემოციებისა, მაგალითად, შიშის განცდის და სხვა ინტენსიურმა ემოციებმა შეიძლება გამოიწვიოს აგრესიული რეაქცია.

ჩატარდა მოზარდების გამოკვლევა იმის გასარკვევად, რა იწვევდა მათში ბრაზს. აღმოჩნდა, რომ ბრაზს ყველაზე ხშირად იწვევს ფრუსტრაცია ან სიტუაცია, რომელიც მათ აშფოთებთ.

მოზარდებს ყველაზე მეტად აბრაზებთ „არარეალიზებული გეგმები“ („მშობლებმა მეგობართან არ გამიშვეს“) ან გარემოსთან დაკავშირებული ფრუსტრაცია („კინოში წავედი, მაგრამ ბილეთი ვერ ავიღე“).

არსებობს ფაქტორები, რომლებიც იწვევს ბრაზს სასკოლო სიტუაციაში, კერძოდ:

- კონფლიქტი, რომელიც უკავშირდება სივრცის დარღვევას;
- ფიზიკური კონფლიქტი – გულისხმობს სიტუაციას, როდესაც ერთ ბავშვს მეორეზე მიაქვს ფიზიკური იერიში, როგორიცაა, მაგალითად, ხელის კვრა ან დარტყმა;
- ვერბალური კონფლიქტი, მაგალითად, ცუდი სიტყვის თქმა ან აბუჩად აგდება;
- უარყოფა, როდესაც ბავშვს უარყოფენ თანატოლები, მაგალითად, არ აძლევენ მათთან ერთად თამაშის საშუალებას;
- დათმობა – როდესაც ბავშვი მოქმედებს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, მაგალითად, ათხოვებს ნივთს, უთმობს ადგილს სხვისი მოთხოვნით.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ვბრაზობთ, იმას არ ნიშნავს, რომ აგრესიულად მოვიქცევით. მნიშვნელოვანია, როგორ გამოვხატავთ ემოციას.

ბავშვები ბრაზს სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ. ზოგი – ფიზიკური ძალადობით, ზოგი – მხოლოდ მიმიკით, ზოგი უფროსებს (მასწავლებელს, მშობელს) მიმართავს დასახმარებლად. ბავშვების უმეტესობა ბრაზის გამოხატვის ფორმებს უფროსებთან სოციალური ინტერაქციის ან ტელევიზორის ყურების შედეგად, მიბაძვის გზით დაისწავლის.

როგორ შეიძლება, ბავშვმა დაისწავლოს აგრესიული ქცევა?

ამ კითხვაზე პასუხს გვცემს ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია.

ალბერტ ბანდურას თეორიის ბირთვს წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ ქცევის ახალ ფორმებს შეიძლება დავეუფლოთ უშუალო გამოცდილების გარეშე, სხვაზე დაკვირვებით. სწორედ დაკვირვებისა და მიბაძვის გზით ხდება მანერების, ჩაცმისა თუ ვარცხნილობის სტილის და ა.შ. დამკვიდრება, მოცემული კულტურისთვის მისაღები ქცევების დასწავლა.

ბანდურა განასხვავებს ვიკარულ (ჩანაცვლებულ) დასწავლას და სუფთა მიბაძვას. უკანასკნელ შემთხვევაში მიმბაძველს არ ესმის იმ ქცევის მნიშვნელობა, რომელსაც ბაძავს. ასეთი რამ ახასიათებთ ცხოველებს, პატარა ბავშვებს და მას განვითარებისთვის დადებითი მნიშვნელობა აქვს.

ე.წ. ვიკარული დასწავლისთვის ის არის დამახასიათებელი, რომ სუბიექტი ხვდება მისაბადი ქცევის მნიშვნელობას და შეგნებულად ბაძავს.

მოსწავლე შესაძლოა ხედავდეს, რომ სხვებს გარკვეული ქცევის გამო წახალისებენ და ამან გაზარდოს მის მიერ ამ ქცევის განხორციელების ალბათობა. მაგალითად, თუ მოსწავლე პრეზენტაციაში ლამაზი ილუსტრაციების ჩართვისთვის შეაქეთ, შესაძლოა, მომდევნო ჯერზე სხვა მოსწავლეებმაც ილუსტრირებული პრეზენტაცია წარმოგიდგინონ. მაგრამ თუ რომელიმე მოსწავლეს, რომელიც არასასურველ ქცევას ახორციელებს, ძალაუწევს რად მეტ ყურადღებას უთმობთ, გაიზრდება ალბათობა, თქვენი ყურადღების მისაპყრობად სხვებიც ასევე მოიქცნენ.

ადამიანს, რომელსაც აკვირდებიან, მოდელს უწოდებენ, ხოლო მოდელზე დაკვირვების გზით სხვა ადამიანის მიერ გარკვეული მოქმედების ან ქცევის ათვისების პროცესს – მოდელირებას.

მოდელი შეიძლება იყოს როგორც რეალური ადამიანი (მეგობარი, მშობელი, და ან ძმა, მასწავლებელი და სხვა), ასევე ფილმის ან ლიტერატურული ნაწარმოების გმირი. ეს სიმბოლური მოდელები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც რეალური. მოსწავლისთვის ხშირად მისაბადი სწორედ სიმბოლური მოდელი ხდება.

მოდელზე დაკვირვების გზით ბავშვი არაპირდაპირ ითვისებს გარკვეულ ემოციურ რეაქციებსაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვები დაკვირვების გზით სწავლობენ არა მხოლოდ კონკრეტულ ქცევებს, არამედ ისეთ ემოციურ რეაქციებსაც, როგორებიცაა შიში ან სიხარული. დაკვირვების გზით ემოციური რეაქციების სწავლის პროცესს არაპირდაპირ განმტკიცებას უწოდებენ.

მოდელზე დაკვირვებით ადამიანებმა შეიძლება დაისწავლონ როგორც სასურველი, ისე, არასასურველი ქცევა.

ცნობილია ბანდურას ექსპერიმენტების სერია. ამ ექსპერიმენტების დროს ბავშვები უყურებდნენ ფილმებს, რომლებშიც დემონსტრირებული იყო სხვადასხვა დონის აგრესია. მაგალითად, უმცროსი სასკოლო ასაკის მოს-

წავლევებმა ნახეს ფილმი, სადაც ერთი ბავშვი გამეტებით ურტყამდა თოჯინას (თოჯინა ბობო), მაგრამ სხვადასხვა დასასრულით. კერძოდ, ერთმა ჯგუფმა ნახა, რომ ბავშვი აგრესიისთვის დააჯილდოეს, მეორემ – რომ დასაჯეს, მესამემ კი საერთოდ ვერ ნახა შედეგი, ანუ ბავშვს არც სჯიდნენ და არც აჯილდოებდნენ.

ფილმის ნახვის შემდეგ ბავშვები გადაიყვანეს მეორე ოთახში, სადაც მათ ასეთივე თოჯინა დახვდათ.

ბავშვები, რომლებმაც ნახეს, რომ აგრესიისთვის (თოჯინის ცემისთვის) ბავშვი დაჯილდოვდა, თვითონაც აგრესიულად იქცეოდნენ – სცემდნენ თოჯინას. მან, ვინც ნახა, რომ თავდასხმისთვის ბავშვი დაისაჯა, ნაკლები აგრესია გამოამჟღავნა. რაც შეეხება ბავშვებს, რომლებმაც შედეგი ვერ ნახეს, როდესაც მათ ჯილდოს დაჰპირდნენ ფილმში ნანახი აგრესიის მიბაძვისთვის, ყველამ დაადასტურა, რომ მათ ისწავლეს აგრესიული ქცევა.

აგრესიული ქცევა მხოლოდ დაისწავლება თუ პიროვნული თავისებურებებიდან არის განპირობებული?

კვლევებმა აჩვენა, რომ აგრესიულ ბავშვებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებთ, კერძოდ, გამოირჩევიან ემოციურობით, გარემო მათდამი მტრულად განწყობილი ჰგონიათ, ხშირად მიაჩნიათ, რომ გარემოდან წამოსული სიგნალები მათ საწინააღმდეგოდაა მიმართული. ალბათ პრაქტიკაში ხშირად გქონიათ შემთხვევა, როდესაც მოსწავლე თქვენს შენიშვნაზე ასე რეაგირებს: „რას მერჩით, რა ყველა მე გადამეკიდეთ ამ სკოლაში!“

აგრესია შესაძლოა ტემპერამენტითაც იყოს განპირობებული. მიიჩნევა, რომ ქოლერიკები მეტად არიან მიდრეკილნი აგრესიული ქცევისკენ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ბავშვის არასასურველ ქცევაზე უფროსები ყვირილით ან მუქარით რეაგირებენ, პატარა უფროსებს მიბაძავს და ჩათვლის, რომ ყვირილი ან მუქარა არასასურველ სიტუაციაზე რეაგირების ერთადერთი გზაა. აგრესიული ქცევის შეცვლის სტრატეგიებს კი მომდევნო წერილში შემოგთავაზებთ.

როგორ შევამციროთ ბავშვთა აგრესია

აგრესიის რეგულაციის ხელშეწყობის სტრატეგიები

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ აგრესიის მიზეზებს და აღვნიშნეთ, რომ მას განაპირობებს როგორც სხვათა ქცევის მიბაძვა, ასევე ბავშვის ხასიათის თავისებურებებიც, ამიტომ ეისენბერგი (Eisenberg, 1992) მიიჩნევს, რომ თუ გვსურს, ჩვენი მოსწავლეები არ გამოირჩეოდნენ აგრესიული ქცევით, მათში უნდა აღვზარდოთ საპირისპირო თვისება – ალტრუიზმი (სხვის ადგილას თავის წარმოდგენის უნარი).

გთავაზობთ კონკრეტულ რეკომენდაციებს:

1. მნიშვნელოვანია ბავშვის ემპათიის გრძნობის გამოყენება (ემპათია – სხვა ადამიანის მიმართ ემოციური თანაგრძნობა/თანაგანცდა). თუ ბავშვი ვინმეს მიმართ ფიზიკურ აგრესიას ამჟღავნებს, გაამახვილებინეთ ყურადღება ქცევის შედეგზე: „სანდროს რომ ჩაარტყი, ეტკინა“. მნიშვნელოვანია აღნიშნული სტრატეგიის სისტემატური გამოყენება, ოღონდ მას არ უნდა ახლდეს აგრესორის ფიზიკური დასჯა, ამ შემთხვევაში ბავშვი იფიქრებს, რომ აგრესია ნებადართულია, თუ მოწინააღმდეგეზე ძლიერი ხარ.
2. კეთილგანწყობილი კლიმატის შექმნა კლასსა და ოჯახში. მეტი აგრესიულობით გამოირჩევიან ის ბავშვები, რომლებიც გარემოსგან საფრთხეს მოელოან. როცა მასწავლებელი ბავშვებს თბილად და კეთილგანწყობით ექცევა, ბავშვებიც მას ბაძავენ.
3. პროსოციალური ქცევის წახალისება. მნიშვნელოვანია, კლასში მოხდეს პროსოციალური ქცევის წახალისება (სხვაზე ზრუნვა, როდესაც არ მოელო აქედან პირად გამორჩენას). დაწყებით კლასებში ამისთვის სასურველია კონკრეტული ინსტრუქციების მიცემა, მაგ., „მინდა, დათოს თავსატეხის ამოხსნაში დაეხმარო“ ან „ანა ავადმყოფობის გამო სკოლას აცდენს, დაურეკეთ და მოიკითხეთ, როგორ არის“.
4. პროსოციალური თვისებებისთვის ხაზის გასმა. მაგ., „მსიამოვნებს, რომ ყურადღებით ეპყრობით თანაკლასელებს“.

ეს სტრატეგია მეტად ეფექტიანია 7-8 წლის ბავშვებთან. ამ დროს თვითშეფასება უფრო ადეკვატური ხდება და განპირობებულია ბავშვის კონკრეტული თვისებებით.

ბავშვთა აგრესიის შემცირებისკენ მიმართული პროგრამები მოიაზრებს მუშაობას პრობლემური ქცევის მოდიფიკაციაზე, თვითრეგულაციის უნარის განვითარებაზე, ბრძნის მართვასა და ასერტული ქცევის განვითარებაზე.

პრობლემური ქცევის მოდიფიკაცია

აღნიშნული მოდელის მომხრეები (ბიჰევიორისტები) განიხილავენ პრობლემურ (ჩვენს შემთხვევაში – აგრესიულ) ქცევას, როგორც მანამდე დასწავლილს ან იმის შედეგს, რომ ბავშვმა უბრალოდ არ იცის, სხვაგვარად როგორ მოიქცეს კონკრეტულ სიტუაციაში, როგორ განახორციელოს ალტერნატიული ქცევა.

მოცემული თეორიის ფარგლებში ჩვენ შევხებით ქცევის მოდიფიკაციის (ცვლილების) მოდელს და სისტემური განმტკიცების პროგრამას.

ქცევის მოდიფიკაციის მოდელი

ქცევის მოდიფიკაცია რამდენიმე საფეხურს მოიაზრებს, კერძოდ:

- ა) არასასურველი, პრობლემური ქცევის განსაზღვრას. პირველ რიგში, მასწავლებელმა არასასურველი ქცევა უნდა განსაზღვროს. არასასურველია ქცევა, რომელიც ხდება მეტისმეტად ხშირად (მოსწავლეს დავალება არ გამოსდის, დაბლა ყრის ნივთებს) ან მეტისმეტად იშვიათად (მოსწავლე უარს ამბობს ახალი დავალების შესრულებაზე ისე, რომ დახმარებასაც არ ითხოვს). პრობლემური ქცევის განსაზღვრაში შესაძლოა მონაწილეობა მოსწავლეებმაც მიიღონ.
- ბ) არასასურველი, პრობლემური ქცევის სერიოზულობის განსაზღვრას. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, რამდენად სერიოზულია ეს ქცევა, გააანალიზოს თითოეული შემთხვევა და მისი გამოვლენის სიხშირე (ერთხელ მოხდა ასეთი რამ თუ სისტემატური ხასიათი აქვს).

- გ) ქცევის მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრას. მასწავლებელი უნდა დააკვირდეს, რა უძღვის წინ არასასურველ ქცევას, რა მოსდევს მას ყოველთვის, ხომ არ იწვევს ვინმე ან რამე არასასურველი ქცევის პროვოცირებას ან განმტკიცებას.
- დ) არასასურველი, პრობლემური ქცევის მიზეზებისა და შედეგების ცვლილებას. საჭიროა დაკვირვება, როგორი შედეგი იწვევს ქცევის განმტკიცებას. მაგ., შესაძლოა, მოსწავლეს მხოლოდ არასასურველი ქცევის განხორციელებისას აქცევდნენ ყურადღებას. ამიტომ უნდა შეიცვალოს ქცევის შედეგი, მასწავლებელმა ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლის ცუდ ქცევას, მაგრამ აღნიშნოს მისი ყოველი ადეკვატური საქციელი.
- ე) ცვლილებების დაგეგმვას. მას შემდეგ, რაც ზუსტად განისაზღვრება, რა იწვევდა არასასურველი ქცევის პროვოცირებას და განმტკიცებას, საჭიროა იმის მოფიქრება, კიდევ როგორ შეიძლება მოქცევა პრობლემურ სიტუაციაში (თუ დავალება რთულია, ვის სჯობს მიმართოს დახმარებისთვის? რა ფორმით?).
- ვ) სრულყოფას. საბოლოო ეტაპზე უნდა მოხდეს ახალი, შეცვლილი სიტუაციის გაანალიზება: შენარჩუნებულია თუ არა არასასურველი ქცევა, რამდენად ეფექტურია სტრატეგია, რომელსაც მასწავლებელი მიმართავს არასასურველი ქცევის შემდგომ. უეფექტობის შემთხვევაში ახალი სტრატეგიები უნდა მოვიფიქროთ.

სისტემური განმტკიცების პროგრამა

მასწავლებლები ხშირად წაახალისებენ ხოლმე მოსწავლეებს ქებით, ნიშნებით, ყურადღებით, მაგრამ ზოგჯერ ასეთი სახის განმტკიცების სისტემა საკმარისი არ არის: მოსწავლე ისევ ცუდად იქცევა და უფრო სერიოზული ჩარევა ხდება საჭირო. ასეთ დროს ჟეტონების სისტემას მიმართავენ. მოსწავლე თუ კარგად მოიქცა, იღებს ჟეტონს, თუ ცუდად – აკლდება (ჟეტონებად შეგვიძლია გამოვიყენოთ სტიკერები, დახატული გაცინებული სახეები). წინასწარ დადგენილი რაოდენობის ჟეტონს რომ შეაგროვებს, მოსწავლე ცვლის მას გარკვეულ მატერიალურ განმამტკიცებელზე, იღებს პრიზს. პრიზად იყენებენ საკვებს, სათამაშოს, საკანცელარიო ნივთს. გამოიყენება სოციალური განმამტკიცებლებიც: ქება, ღიმილი, თავზე ხელის გადასმა. ამასთან, პრიზი

მოსწავლისთვის სასურველი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ გამოიწვევს ქცევის განმტკიცებას.

განმამტკიცებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ პრემიის პრინციპიც, ანუ ქცევა, რომელიც ხშირად ვლინდება, შეიძლება იშვიათად გამოვლენილის განსამტკიცებლად გამოვიყენოთ. მშობლები და პედაგოგები ხშირად იყენებენ ამ განმამტკიცებელს. მაგ., ბავშვს ჩაუშვებენ ეზოში მას შემდეგ, რაც წვნიანს შეჭამს, ან ტელევიზორის ყურების ნებას მას შემდეგ დართავენ, რაც დავალებებს შეასრულებს.

გარე განმამტკიცებლები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

- **საკვები;**
- **ვიზუალური და ხმოვანი სიგნალები** – გარკვეული სიგნალის მიცემა მას შემდეგ, რაც ბავშვი განახორციელებს სასურველ ქცევას;
- **სოციალური სტიმული** – ღიმილი, მოფერება (დაწყებით კლასებში);
- **ჟეტონები** – პატარა ბარათები, რომელთა დაგროვების შედეგად შესაძლებელი იქნება უფრო სერიოზული განმამტკიცებლების მიღება.

საკლასო გარემოში განსაკუთრებით ეფექტიანად მიიჩნევა ხმოვანი ან ვიზუალური სიგნალები, სოციალური განმტკიცება.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ძალზე ახალისებთ სხვადასხვა სიგნალი. მაგ., როცა კლასი სასურველ ქცევას ახორციელებს, მასწავლებელი რეკავს ზარს ან დაფაზე გაცინებულ კაცუნას ხატავს.

გამოცდილმა პედაგოგებმა კარგად იციან, რაოდენ დადებითად მოქმედებს მოსწავლეებზე დამსახურებული ქება, წახალისება. სასურველი ქცევის აღსანიშნავად მასწავლებელს შეუძლია კლასის გამოყენებაც, ვინაიდან ბავშვისთვის სხვა ბავშვებისგან წამოსული სიგნალები ძალზე მნიშვნელოვანია. გარდა ქებისა, აუცილებელია, მასწავლებელმა კლასში იმგვარი სიტუაციის პროვოცირება მოახდინოს, რომ მოსწავლეს ახალი, სასურველი ქცევის განხორციელება მოუხდეს – ეს ბავშვს კმაყოფილებას ჰგვრის. ამასთან, მნიშვნელოვანია, ავუხსნათ, როგორი ქცევის გამო მიიღებს ჯილდოს, რატომ არის ასეთი ქცევა ეფექტიანი და რა უსიამოვნებებს ააცილებს ის თავიდან.

გარე განმამტკიცებლების სწორი გამოყენებით უნდა ვეცადოთ, ალტერნატიული ქცევის განხორციელება ბავშვისთვის ნელ-ნელა მნიშვნელოვანი გახდეს.

რა პრინციპებს ეფუძნება განმამტკიცებლების გამოყენება?

- განმამტკიცებელი მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც ის მნიშვნელოვანია კონკრეტული მოსწავლისთვის. მაგ., თანაკლასელების ყურადღების ცენტრში მოხვედრა ძალზე მორიდებული ბავშვისთვის შესაძლოა პრობლემად იქცეს და მისდამი მოზღვაებული ყურადღება სასჯელადაც კი აღიქვას.
- განმტკიცება უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული სასურველ ან არასასურველ ქცევასთან. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რის გამო აჯილდოებენ ან სჯიან.
- განმტკიცება უშუალოდ უნდა მოსდევდეს ქცევას. გადავადებული განმტკიცება ნაკლებეფექტიანია.
- განმტკიცება უნდა იყოს საკმარისი და ქცევის შესატყვისი.
- განმტკიცება უნდა იყოს თანამიმდევრული – ყოველ ჯერზე უნდა მოჰყვეს სასურველ ქცევას.

არასასურველი ქცევის აღმოსაფხვრელად პედაგოგები დასჯასაც მიმართავენ.

როგორც ვიცით, არსებობს ორი ტიპის დასჯა: დადებითი – უსიამოვნო სტიმულის დამატება (მაგ., დატუქსვა) და უარყოფითი – სასიამოვნო სტიმულების მოშორება (მაგ., ებოში სათამაშოდ გაშვებაზე უარის თქმა).

დასჯის საწინააღმდეგოდ შემდეგი არგუმენტები მეტყველებს: დასჯა იწვევს პრობლემური ქცევის შეწყვეტას, მაგრამ ნაკლებად ახდენს გავლენას მის რეციდივებზე. თანაც ფიზიკურ დასჯას შესაძლოა ბავშვზე ძალადობის ფორმაზე ჰქონდეს. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ გაცილებით ეფექტიანია ნეგატიური დასჯა, მოსწავლისთვის სასიამოვნო სტიმულების მოშორება. ამავდროს ეს მეთოდი ბავშვის მიმართ ჰუმანური უნდა იყოს და არ არღვევდეს კომუნიკაციას. მაგრამ არსებობს ისეთი სიტუაციები, რომლებიც მყისიერ ჩარევას მოითხოვს. ამ შემთხვევაში არგუმენტები და ნეგატიური დასჯა არ გამოგადგება. ფიზიკური დასჯა მიუღებელია, მაგრამ შენიშვნა და ტაიმ-აუტი შედეგის მომთან სტრატეგიებად მიიჩნევა.

შენიშვნა

- შენიშვნა უნდა იყოს დაკონკრეტებული: მაგ., „დათუნა, ნუ ათამაშებ პენალს – ამით შენს მეწყვილეს დავალების შესრულებისგან აცდენ“ უფრო ეფექტიანია, ვიდრე „ნუ აკეთებ ამას“.
- შენიშვნა უნდა მიეცეთ ახლო მანძილიდან, მაქსიმუმ ერთი მეტრიდან. ამ მანძილზე უკეთ ჩანს არავერბალური მანიშნებლებიც.
- გაკვეთილის მიმდინარეობისას სასურველია შენიშვნების მოკლე ფორმების გამოყენება. მაგ., „შშშ“, „დაიცადე“, „არა“ – რათა არ დაირღვეს გაკვეთილის მსვლელობა.

ტაიმ-აუტი

ტაიმ-აუტი პროცესისგან ჩამოშორებას გულისხმობს. მაგალითად, ბავშვი შეიძლება გადავსვას სხვაგან, როცა ის გვერდით მჯდომს ეკამათება, ან თამაშს ჩამოვაშორეთ, თუ მისი ქცევა კონფლიქტს იწვევს.

ბრაზის მართვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში აგრესიულ ქცევას ნეგატიური ემოციები იწვევს.

ბრაზი ბუნებრივი გრძნობაა, რომელიც ყველა ადამიანს ახასიათებს და ვლინდება მაშინ, როდესაც იმედგაცრუებას, უარყოფას ან მტრულ განწყობას ვგრძნობთ. ბრაზი ძლიერი ემოციაა და თუ ვერ მოვთოკეთ, შესაძლოა ოჯახის წევრებთან, თანაკლასელებთან, საზოგადოდ, ადამიანებთან სერიოზული უთანხმოება მოგვივიდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველამ იცოდეს გრძნობების ზომიერად, ყვირილისა და ძალადობის გარეშე გამოხატვა. არსებობს სხვადასხვა ინტენსივობის ბრაზი, მცირე გაღიზიანებიდან დაწყებული, გააფთრებით დამთავრებული. სხვა ემოციების მსგავსად, ბრაზიც ახდენს გავლენას ორგანიზმის მდგომარეობაზე: იმატებს გულისცემა, იწვევს ადრენალინის დონე, იზრდება სისხლის წნევა და სხვ.

მეცნიერული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ბავშვებისთვის ბრაზის მართვის საუკეთესო სტრატეგიაა მშობლების/მასწავლებლების ჩართულობა, როდესაც ბავშვისთვის უფროსი მისაბადი მაგალითი ხდება და თან ემოციის არააგრესიული ფორმით გამოხატვასაც ასწავლის.

მშობლების/მასწავლებლების მიერ განხორციელებული ბრავის მართვის სტრატეგია წარმატებული რომ იყოს, უპირველეს ყოვლისა, უფროსებმა უნდა გავითავისოთ, რომ ბავშვებსაც ჩვენსავით სჭირდებათ დრო საკუთარი თავის შესაცნობად და იმის გასარკვევად, რომ ბრავი ისეთივე ბუნებრივი ემოციაა, როგორც სიყვარული, მხიარულება ან მოწყენილობა.

ბრავის მართვის სტრატეგიის განხორციელებისას პირველი ნაბიჯია ბრავის მიზეზისა და მისი ძირითადი სიმპტომების გაცნობიერებაში დახმარება. მაგ., ბრავის დროს სუნთქვა ხშირდება, კუნთები და კანი იჭიმება; მაშ, შესაძლებელია მისი წინასწარ ამოცნობა.

მას შემდეგ, რაც ბავშვი გაცნობა ბრავის სიმპტომებს, უნდა მოვიქცეთ ასე:

1. დავეხმაროთ ბავშვს დამშვიდებასა და რეფოკუსირებაში, მაგ., ვასწავლოთ ღრმად ჩასუნთქვა და ათამდე დათვლა;
2. როდესაც ბავშვი გაბრაზებულია, შევთავაზოთ მოქმედების ალტერნატივა, მაგ., თუ სკოლის დავალება მისთვის რთულია და ამის გამო ბრაზობს, მის შესრულებაში დავეხმაროთ;
3. ხშირად პატარა ბავშვებს უჭირთ ბრავის სიტყვებით გამოხატვა, ამიტომ მათ შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, დახატონ, რაც აბრაზებთ.

კონკრეტული სტრატეგიები ბრავის სამართავად

- ბრავის სიმპტომების ამოცნობა. მნიშვნელოვანია, ავუხსნათ მოსწავლეებს, რომ სანამ ბრავი მოერევათ და ყველაფერს აქეთ-იქით მოისვრიან, შეიძლება წინასწარ ამოიცნონ მისი სიმპტომები. მაგ., სახე წითლდება, კუნთები იჭიმება... მთავარია, ამ დროს „მოვახერხოთ ბრავის შეჩერება“ და ერთად მოვიფიქროთ, რომელი „ჯადოსნური სიტყვა“ დავეხმარება დამშვიდებაში. მაგ., „დამშვიდდი“, „მე ამას შევძლებ“.
- მნიშვნელოვანია, ბავშვს ვასწავლოთ ბრავის სხვაგვარად გამოხატვა. ამისთვის უნდა მოვიფიქროთ რაც შეიძლება მეტი სიტყვა, რომლებიც მის ნეგატიურ ემოციებს აღწერს. მაგ., „გავბრაზდი“, „მეწყინა“, „აღვშფოთდი“. თან განცდის ვერბალურად ჩამოყალიბებაში დავეხმაროთ. მაგ., „მეწყინა, ჩემი ნივთი ძირს რომ დააგდე“.
- მას შემდეგ, რაც ბავშვს ბრავის სიმპტომების ამოცნობას ვასწავლით, შეიძლება შევთავაზოთ, რომ ამ დროს რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთ-

ქოს და ამოისუნთქოს. შეგვიძლია აგრეთვე ვასწავლოთ სტრატეგია 1+3+10: თქვას ერთი დამამშვიდებელი სიტყვა, მაგ., „დამშვიდდი“, სამჯერ ღრმად ჩაისუნთქოს და ათამდე დაითვალოს.

- თუ ბრაზი სხვის მიერ არის პროვოცირებული, ბავშვს უნდა ვასწავლოთ სქემის „მე მინდა...“ გამოყენება. მაგ., „მე მინდა, უკანვე დადო ჩემი სათამაშო, მეწყინა, რომ აიღე“.

აღნიშნული სტრატეგიების გაცნობის შემდეგ მნიშვნელოვანია, ვაკონტროლოთ ბრაზის გამოხატულება. ვთხოვთ ბავშვს, დააკვირდეს, როგორ გამოხატავენ ემოციებს სხვები და თან აღნიშნული სტრატეგიების სწორი გამოყენების მაგალითები ვუჩვენოთ.

ასერტული ქცევა

ბრაზის მართვის სტრატეგიების გაცნობის პარალელურად მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს განვუვითაროთ და განვუმტკიცოთ ასერტული ქცევა (თავდაჯერებული, გაწონასწორებული ქცევა, მიმართული საკუთარი მოსაზრების გამოხატვისკენ/უფლებების დაცვისკენ).

დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის ამ ქცევის განვითარება როლური თამაშის გზით არის შესაძლებელი. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან საუბარი ასერტული – თავდაჯერებული – ქცევის მნიშვნელობაზე, მისი შედარება აგრესიულ ქცევასთან, აღნიშვნა, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით მეტ პრობლემას იწვევს.

ამის შემდეგ სასურველია მოსწავლეებისთვის თამაშის მიზნისა და წესების ახსნა, პრობლემური სიტუაციის შეთავაზება და შემდეგ ასერტული ქცევის რეპეტიცია: მოსწავლე მშვიდად ამბობს, რას გრძნობს ამგარ სიტუაციაში, გამოთქვამს აზრს და ეკითხება მოწინააღმდეგეს, რას ფიქრობს ამის თაობაზე. მაგ., თუ მოსწავლემ წიგნი ამხანაგს ათხოვა და ის არ უბრუნებს, სასურველია უთხრას მას, რომ ძალიან ღელავს, ვინაიდან ხვალისთვის მასაც სჭირდება წიგნი და შეუთანხმდეს, როდის შეძლებს მის დაბრუნებას. როლური თამაშის გარდა, საჭიროა, პედაგოგმა შემდეგშიც წახალისოს და აღნიშნოს ბავშვების მიერ განხორციელებული სასურველი ქცევა.

კლასის მართვის სტრატეგიები

კლასის მართვა და დისციპლინის შენარჩუნება სწავლების თანმხლები უმნიშვნელოვანესი პროცესია. თანმხლები იმიტომ, რომ შეუძლებელია ჯერ კლასში წესრიგის დამყარება, შემდეგ მისი გვერდით გადადება და სწავლების დაწყება. **კლასის მართვა** გულისხმობს მასწავლებლის ქმედებას, მიმართულს კლასში კარგი საკლასო და სასწავლო გარემოს შექმნისკენ, ხოლო **დისციპლინა** – მასწავლებლის ქმედებას, მიმართულს არასასურველი ქცევის აღმოფხვრისკენ ან მინიმუმამდე დაყვანისკენ.

დადგენილია, რომ წარმატებულ მასწავლებლებს აქვთ კლასის მართვის სხვადასხვა სტრატეგია და წინასწარ შედგენილი სამოქმედო გეგმა. კლასის მართვის საბოლოო, გრძელვადიანი მიზანი მოსწავლეებში თვითდისციპლინის უნარის ჩამოყალიბებაა, ხოლო მოკლევადიანი – კლასში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა.

სამწუხაროდ, არ არსებობს საერთო აზრი იმის შესახებ, კლასის მართვის რომელი სტრატეგიაა განსაკუთრებით ეფექტური, ისევე, როგორც არ არსებობს რეცეპტი, რომლის მეშვეობითაც სამუდამოდ მოგვარდებოდა მოსწავლეთა აკადემიური თუ დისციპლინური პრობლემები. სამაგიეროდ, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში შემუშავდა კლასის მართვის არაერთი ეფექტური და ძალიან საინტერესო მოდელი, რომლებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ და რომელთა ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება მკითხველისთვის მიგვინდვია.

კლასის მართვის სამი ძირითადი მოდელი არსებობს. პირველი, **ჰუმანისტური** მოდელის თანახმად, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა სრულფასოვან განვითარებას, შექმნას კლასში პოზიტიური კლიმატი, უზრუნველყოს მოსწავლეები საჭირო მასალებით და ნაკლებად ჩაერიოს

სწავლის პროცესში. მეორე, **დემოკრატიული** მოდელის თანახმად, მასწავლებელმა უნდა იპოვოს ბალანსი მოსწავლის თავისუფლებასა და შეზღუდვას შორის. მესამე, **ბიჰევიორისტული** მოდელის თანახმად, მასწავლებელს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია: მან უნდა მართოს მოსწავლეთა ქცევა დასჯისა და წახალისების სტრატეგიების მეშვეობით.

მართალია, ეს მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ სამივე მოდელის მომხრეები ერთხმად აღიარებენ რამდენიმე პრინციპს და თანხმდებიან, რომ კლასის მართვისას, ისევე, როგორც მედიცინაში, პროფილაქტიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კორექცია. მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს მოსწავლეებს, გრძნობდეს, როდის დაიწყებს მოსწავლე „არევას“ და მანამდე ჩაერიოს, ვიდრე კლასში ვითარება დაიძაბება. თანაც უმჯობესია, მასწავლებლის ჩარევა მიმართული იყოს კონკრეტული მოსწავლისკენ, არ იყოს მეტისმეტად თვალშისაცემი სხვებისთვის და არ გამოიწვიოს კლასში საქმიანობის შეწყვეტა. კლასში დისციპლინის შესანარჩუნებლად პედაგოგი უნდა მიმართავდეს პრევენციულ ზომებს. ამიტომაც არის ძალიან ეფექტური მოსწავლეებში ტოლერანტობის, ეფექტური კომუნიკაციის, კონფლიქტების მოგვარების უნარების გამომუშავება.

რაც შეეხება სწავლების პროცესს, ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ კლასში წესრიგი სწავლების სტილსა და სტრატეგიაზე დამოკიდებული. რაც უფრო მეტად ცდილობს მასწავლებელი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას მათში ინტერესის გამოწვევის გზით, მით უფრო მეტი სიმშვიდეა კლასში და „ჯოხი“ ნამდვილად აღარ არის საჭირო

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ალბათ ყველა მასწავლებელს უნდა ახსოვდეს: მასწავლებელი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა მოსწავლეებისთვის. ისინი ყოველთვის გამონახავენ საბაბს, რომ უყვარდეთ ან არ უყვარდეთ თავიანთი მასწავლებლები, ზოგჯერ – უმნიშვნელო პიროვნული თვისებების გამო. სასურველი პიროვნული თვისებების შეძენა ძნელია, მაგრამ არსებობს მარტივი ჭეშმარიტება – თუ ბავშვები არ გიყვარს, მასწავლებლად მუშაობა არ ღირს.

ახლა კი მოკლედ შევეხებით კლასის მართვის თითოეულ მოდელს.

კლასის მართვის ჰუმანისტური მოდელი. მისი ავტორები არიან კარლ როჯერსი და მაიკლ მარლენდი.

ამ მოდელს საფუძვლად უდევს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ძირითადი კონცეფცია – ადამიანის უნიკალურობა, ინდივიდუალობა, მე-ს ფორმირება, თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა (წარმომადგენლები: კარლ როჯერსი, აბრაამ მასლოუ).

მოცემული მოდელის წარმომადგენელთათვის თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და უნარები ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ სწავლების პროცესში ყურადღების ცენტრში თვითონ მოსწავლეა (სწავლების პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული).

ჰუმანისტური მოდელის მიმდევარი პედაგოგის მიზანია, მოსწავლეებს შინაგანი დისციპლინა გამოუმუშაოს. კარლ როჯერსი და აბრაამ მასლოუ მიიჩნევდნენ, რომ განვითარება, თვითრეალიზაცია ყველა ადამიანის მიზანია, ამიტომ აღმზრდელებმა მოსწავლეებს მხოლოდ განვითარების პირობები უნდა შეუქმნან.

ჰუმანისტური მოდელის მიმდევარი პედაგოგი კი არ უნდა მართავდეს კლასს, არამედ განვითარებაში ეხმარებოდეს მოსწავლეებს.

მაიკლ მარლენდმა ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ტრადიციებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა კლასის მართვის სტრატეგიები და 5 რეკომენდაცია პედაგოგებისთვის:

- **მოსწავლეთა სიყვარული.** მასწავლებელმა უნდა აგრძნობინოს მოსწავლეებს, რომ უყვარს ისინი. მარლენდი ამისთვის ერთ უმარტივეს რჩევას აძლევდა პედაგოგებს: დაიმახსოვრონ მოსწავლეთა სახელები და სახელით მიმართონ მათ.
- **წესების შემუშავება.** კლასის მართვა და დისციპლინის შენარჩუნება უფრო იოლია, როდესაც პედაგოგი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს კლასში ქცევის წესებს. კარგია, როდესაც ქცევის წესებს თან ახლავს იმ აქტივობათა (წახალისებისა თუ სასჯელის)

ჩამონათვალი, რომლებიც მოჰყვება მოსწავლეების მხრიდან წესების დაცვას ან დარღვევას. თანაც წესები არ უნდა იყოს მეტისმეტად ზოგადი, უნდა ეხებოდეს ყველა მნიშვნელოვან სასკოლო აქტივობას (ჩანთების, წიგნების შენახვის ადგილსა და წესს, კითხვის დასმისა და მასზე პასუხის გაცემის ფორმას). სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად მაშინლა ამახვილებენ ყურადღებას სკოლაში არსებულ წესებზე, როდესაც მოსწავლე მათ არღვევს, მანამდე კი იგულისხმება, რომ მოსწავლემ ეს წესები უნდა იცოდეს.

○ **დამსახურებული ქება.** ქება მასწავლებლის ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია, ამიტომ მასწავლებლებმა კლასში ხშირად უნდა შექმნან სიტუაცია, სადაც მისი სამართლიანი გამოყენება შეეძლება. ქების გამოყენებისას პედაგოგმა ორი რამ უნდა გაითვალისწინოს:

ა) ქება თვითშეფასებაზე მოქმედებს, ამიტომ სასურველია მოსწავლის ქება საჯაროდ, ღიად, მოსწავლეების, სხვა პედაგოგების ან მშობლების წინაშე;

ბ) კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა სასურველია ცალკე.

ქება ან კრიტიკა უნდა მოჰყვებოდეს კონკრეტულ საქციელს, არ უნდა იყოს ზოგადი. ნაცვლად ამისა: „ნუ იქცევი ცუდად!“ – უმჯობესია ვუთხრათ მოსწავლეს: „გთხოვ, გვერდზე გადადე პენალი, რომელსაც ხელში ათამაშებ, ეს ხელს მიშლის გაკვეთილის ახსნაში“.

○ **იუმორი კლასში.** კარგია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლის საქციელზე სპონტანურად, იუმორითა და ღიმილით რეაგირებს.

○ **საკლასო გარემო.** ეფექტური გაკვეთილისთვის მნიშვნელოვანია როგორც მერხების განლაგება (მოცემული მიდგომა სადისკუსიო სტილით განლაგებას ამჯობინებს: მოსწავლეები და მასწავლებელი სხედან U-ს ფორმის მაგიდის ირგვლივ ისე, რომ ერთმანეთს ყველა კარგად ხედავს და მასწავლებელი ყველა მოსწავლისგან თითქმის თანაბარი მანძილითაა დაშორებული), ისე კლასის მორთვა საჭირო თვალსაჩინოებებით: პლაკატებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით (არა მხოლოდ დაწყებით კლასებში). რაც უფრო ესთეტიკური და თბილი სამუშაო გარემოა კლასში, მით უფრო მშვიდად მიმდინარეობს გაკვეთილები.

კლასის მართვის დემოკრატიული მოდელი. მოცემული მოდელიც აქცენტს აკეთებს მოსწავლეთა ინდივიდუალობისა და უფლებების გათვალისწინება-

ზე, მაგრამ, ჰუმანისტური მოდელისგან განსხვავებით, მასწავლებელს მმართველის როლს აკისრებს. კლასის მართვის მოდელი ფსიქოლოგ ალფრედ ადლერის პიროვნების თეორიას ეფუძნება. ამ თეორიის თანახმად, ადამიანის ქცევის მოტივი გარკვეული მიზნის მიღწევაა. ადლერის აზრით, ბავშვის ქცევას საფუძვლად ოთხი ძირითადი მიზანი უდევს, უკეთ, ოთხი მოთხოვნილება: ყურადღების ცენტრში ყოფნისა, ძალაუფლების გამოვლენისა, რევანშისა და არაადეკვატურად მოქცევისა. მოცემული მიზნები იერარქიულადაა განლაგებული. ბავშვები ჯერ ყურადღების მიქცევას ცდილობენ, თუ არ გამოუვიდათ, მიმართავენ ძალაუფლების დემონსტრირებას – იწყებენ დაპირისპირებას აღიარებულ ავტორიტეტებთან (მშობლებსა და პედაგოგებთან), ურჩობენ, ჯიუტობენ, კამათობენ, წარუმატებლობის შემთხვევაში გადადიან რევანშზე – აგრესიას ამჟღავნებენ, სხვების დაჩაგვრას იწყებენ ან, პირიქით, გულჩათხრობილები ხდებიან. თუ ასეთი ქცევაც უყურადღებოდ დარჩა, მაშინ ბავშვები არაადეკვატურად იქცევიან, გრძნობენ უსუსურობას, ავლენენ ადამიანისთვის დამახასიათებელ არასრულფასოვნების კომპლექსს.

რუდოლფ დრეიკერსმა ადლერის შეხედულებები განავრცო. მას მიაჩნდა, რომ ბავშვები მაშინ იქცევიან ცუდად, როდესაც მიზნის მისაღწევად არასწორ საშუალებებს მიმართავენ. ყურადღების მიპყრობის მისაღები ფორმაა კარგად სწავლა ან სოციალურად მისაღები ქცევის განხორციელება (საქეციალის გათამაშება უფროსების თვალწინ, ვინმეს დახმარება). მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვებს ჰგონიათ (ან ნეგატიური გამოცდილება აქვთ – მათ მხოლოდ ცუდი საქციელის გამო აქცევდნენ ყურადღებას), რომ ყურადღების მიქცევის საუკეთესო გზაა დისციპლინის დარღვევა, სიზარმაცე, ტირილი, ჩხუბი. დრეიკერსმა პედაგოგებისთვის რეკომენდაციებიც შეიმუშავა იმის თაობაზე, როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეთა არასასურველ ქცევაზე რეაგირება.

დრეიკერსი ურჩევს პედაგოგებს, არ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ბავშვის ცუდ საქციელს, თუ ის სწორედ ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად; სამაგიეროდ, არ დატოვონ უყურადღებოდ და შეაქონ მოსწავლე, როდესაც ის კარგად იქცევა და არ არღვევს დისციპლინას. მასწავლებელი, რომელიც დაუფარავად გამოხატავს გაღიზიანებას და ბრამს მოსწავლის არასასურველი ქცევის გამო, უბრალოდ განამტკიცებს ამ ქცევას. სასურვე-

ლია, მასწავლებლებმა მაშინ შეაქონ მოსწავლეები, როდესაც ისინი უსმენენ მას, ასრულებენ დავალებას. ასეთ დროს სასურველი ქცევა განმტკიცდება.

თუ მოსწავლე ჯიუტობს, ჟინიანობს და მასწავლებელს მიაჩნია, რომ მისი ქცევის მთავარი მიზანი ძალაუფლების გამოვლენაა, ბავშვს არც უნდა დაუპირისპირდეს და არც უნდა დაუთმოს, ანუ მიმართოს ასეთ სტრატეგიას: ა) აღიაროს, რომ მოსწავლეს აქვს გარკვეული უფლებები და გავლენის მოხდენის უნარი; ბ) როდესაც შესაძლებელია, დააკისროს მოსწავლეს ცენტრალური როლი (დაავალოს პრეზენტაციის მოწყობა, გუნდური თამაშის დროს დანიშნოს კაპიტანად); გ) თავი აარიდოს მოსწავლესთან დაპირისპირებას; დ) ზოგჯერ მას დახმარებაც სთხოვოს (მაგალითად, რვეულების დარიგებაში, ქოთნის ყვავილების მორწყვაში); ე) პატივისცემით მოეპყროს მოსწავლეებს; ვ) მასწავლებელი და მოსწავლე უნდა მივიდნენ ურთიერთშეთანხმებამდე ლოგიკური არგუმენტების გამოყენებით.

რევანშის აღების, შურისძიების სურვილი მოსწავლეს მაშინ უჩნდება, როდესაც ის ვერ ექცევა ყურადღების ცენტრში. სასურველია, მასწავლებელმა არ გამოამჟღავნოს, რომ მოსწავლის საქციელმა გაანაწყენა. ამიტომ დრეიკერსი მასწავლებლებს სთავაზობს, არ განახორციელონ მოსწავლეთათვის მოსალოდნელი ქცევა. თუ მოსწავლე შეგნებულად იქცევა ცუდად, მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ მაინც ძალიან უყვარს.

მოსწავლეები მაშინ იქცევიან არაადეკვატურად, როდესაც უსუსურობასა და არასრულფასოვნებას გრძნობენ (უარს ამბობენ დავალების შესრულებაზე, გუნდურ თამაშში მონაწილეობაზე), ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეს აგრძნობინოს, რომ მასზე გული არ ასცრუებია, წაახალისოს მისი ძალისხმევა, მაშინაც კი, თუ ძალისხმევამ არცთუ ისე კარგი შედეგი გამოიღო.

რ. დრეიკერსს მიაჩნია, რომ მასწავლებლებმა ხშირად უნდა აუხსნან მოსწავლეებს ლოგიკური შედეგი, კლასთან ერთად წინასწარ იმსჯელონ იმის თაობაზე, რა საქციელს რა შედეგი მოჰყვება.

კლასის მართვის ბიჭვეიორისტული მოდელი. აქამდე განხილული კლასის მართვის მოდელები უშუალოდ მოსწავლეებზე იყო ორიენტირებული და

ძირითადად პრევენციული ხასიათი ჰქონდა. ბიჰევიორისტული მიდგომა ქცევის კორექციისკენაა მიმართული, ხოლო მნიშვნელოვანი როლი მასწავლებელს აკისრია. მოცემული მოდელი ეყრდნობა ბიჰევიორიზმის, ქცევის მეცნიერების თეორიას (წარმომადგენლები: ჯ. უოტსონი, ე. თორნდაიკი, ბ. სკინერი).

მოცემული თეორიის ფარგლებში ჩვენ შევხებით ქცევის მოდიფიკაციის (ცვლილების) მოდელს და სისტემური განმტკიცების პროგრამას.

ქცევის მოდიფიკაციის მოდელი

მოცემულ მოდელზე დაყრდნობით პრისლენდმა შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

- ა) **არასასურველი, პრობლემური ქცევის განსაზღვრა.** პირველ რიგში, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, რა არის არასასურველი ქცევა. არასასურველია ქცევა, რომელიც ხდება მეტისმეტად ხშირად (ხმამალა საუბარი გაკვეთილის მიმდინარეობის დროს) ან მეტისმეტად იშვიათად (მოსწავლეები არ იწვევენ ხელს პასუხის დროს). პრობლემური ქცევის განსაზღვრაში შესაძლოა მონაწილეობა მოსწავლეებმაც მიიღონ.
- ბ) **არასასურველი, პრობლემური ქცევის სერიოზულობის განსაზღვრა.** მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, რამდენად სერიოზულია ეს ქცევა, გაანალიზოს თითოეული შემთხვევა.
- გ) **ქცევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების განსაზღვრა.** მასწავლებელი უნდა დააკვირდეს, რა სიტუაცია უძღვის წინ არასასურველ ქცევას, რა მოსდევს მას, ხომ არ იწვევს რაიმე ან ვინმე არასასურველი ქცევის პროვოცირებას.
- დ) **არასასურველი, პრობლემური ქცევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ცვლილება.** საჭიროა იმაზე დაკვირვება, ქცევის რაგვარი შედეგი იწვევს მის განმტკიცებას (მაგალითად, როდესაც მოსწავლე ძალიან ცუდად იქცევა, მხოლოდ მაშინ აქცევენ ყურადღებას), ამიტომ ქცევის შედეგი უნდა შეიცვალოს. მასწავლებელმა ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლის ცუდ ქცევას.

- ე) **ცვლილებათა დაგეგმვა.** მას შემდეგ, რაც ზუსტად განისაზღვრება, რა იწვევდა არასასურველი ქცევის პროვოცირებას და რა შედეგი განამტკიცებდა მას, უნდა მოიფიქრონ ახალი ქცევები.
- ვ) **სრულყოფა.** უკანასკნელ ეტაპზე უნდა მოხდეს ახალი, შეცვლილი სიტუაციის გაანალიზება: შენარჩუნებულია თუ არა არასასურველი ქცევა, რამდენად ეფექტურია სტრატეგია, რომელსაც მასწავლებელი მიმართავს არასასურველი ქცევის შემდგომ. უეფექტობის შემთხვევაში ახალი სტრატეგიის შემუშავებაა საჭირო.

საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს გეოგრაფია

ახდენს თუ არა გავლენას მერხის ადგილმდებარეობა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის აქტიურობაზე, აკადემიურ მოსწრებასა და მის ადგილზე კლასის სოციალურ იერარქიაში?

გამოცდილ პედაგოგებს არ გამოეპარებათ: საკმარისია, მოსწავლე სხვაგან გადავსვას, რომ მისი ქცევა და ზოგჯერ აკადემიური მოსწრებაც კი იცვლება. ამ ხერხს ხშირად მივმართავთ სასწავლო პრაქტიკაში, მაგრამ უმთავრესად – საკუთარ ინტუიციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. საინტერესოა, როგორ შეიძლება განსხვავებული საკლასო გარემოს გამოყენება სასწავლო მიზნების მისაღწევად, ამა თუ იმ უნარის განსავითარებლად.


ჩატარდა გამოკვლევა – მოსწავლეებს ადგილს უცვლიდნენ და აკვირდებოდნენ, როგორ იცვლებოდა: 1) სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა; 2) თანაკლასელებთან თანამშრომლობის ხასიათი; 3) სასწავლო წარმატებები. კვლევის მეთოდებად გამოყენებული იყო დაკვირვება, მოსწავლეთა შემოქმედების შესწავლა, სოციომეტრია (იგი ამოწმებს კლასის შეკრულობას, თითოეული მოსწავლის სტატუსს ჯგუფში, მის მიღებას კლასის მიერ, „ვარსკვლავების“ ან „გარიყული“ წევრების არსებობას).

მოგეხსენებათ, საგაკვეთილო პროცესი როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას გულისხმობს. თანამშრომლობითი სწავლების დროს ჯგუფი გაერთიანებულია ერთი მიზნის მისაღწევად. დადგენილია, რომ სხვადასხვა ადამიანის გვერდით საქმიანობისას შედეგი სხვადასხვაა. ამ დროს ინდივიდუალური საქმიანობაც განიხილება, როგორც ერთობლივი, და სოციალური ფასილიტაცია ეწოდება.

სოციალური ფასილიტაცია – შედეგი, რომელიც სხვა ადამიანების არსებობით არის გამოწვეული.

გემოთ ნახსენებ კვლევაში დაკვირვება ხორციელდებოდა განსხვავებულ საკლასო გარემოში სწორედ სოციალურ ფასილიტაციაზე. გარემოს ცვლილებამ ძალზე საინტერესო სურათი აჩვენა.

სქემა 1. „ტრადიციული საკლასო გარემო“




უპირველესად, შევხებით საკლასო გარემოს მეტად გავრცელებულ მოწყობას. ამ დროს ურთიერთობა მხოლოდ პედაგოგთან არის მოსახერხებელი, მხოლოდ მასთან არის შესაძლებელი სრულფასოვანი ვიზუალური და ვერბალური კომუნიკაციის დამყარება. მართალია, ამგვარი გარემო არ გამოიწვევს სოციალურ ფასილიტაციას, მაგრამ ართულებს ბავშვების ერთმანეთთან თანამშრომლობას. საკლასო გარემოს ამგვარ განაწილებას ხანგრძლივი ისტორია აქვს და დაკავშირებულია სწავლების დირექტიულ მიდგომასთან, სადაც ყურადღების ცენტრშია მასწავლებელი და თითოეული მოსწავლის ყურადღებაც მხოლოდ მისკენაა მიმართული. მიიჩნევა, რომ ამგვარად მოწყობილ საკლასო გარემოში მერხის ადგილმდებარეობა გავლენას ახდენს კლასში ბავშვის სოციალურ რანგზე. კვლევებით დადგენილია, რომ პედაგოგები ახლოს მსხდომი მოსწავლეების მიმართ მეტად

პოზიტიურად არიან განწყობილნი და ხშირად მეტ ყურადღებას უთმობენ მათ. ამგვარ გარემოში მოსწავლეები მხოლოდ ერთმანეთის კეფას ხედავენ, ამიტომ შეფერხებულია მათი დიალოგი. მოსაზრებებსაც მხოლოდ მასწავლებლის მიმართულებით გამოთქვამენ და არა – თანაკლასელების.

ამგვარი განაწილება არა მხოლოდ სკოლისთვის, არამედ უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც არის დამახასიათებელი.

არსებობს მერხების განლაგების კიდევ ერთი ფორმა, რომელიც დასაბამს უმაღლესი სასწავლებლების სასემინარო მეცადინეობებიდან იღებს. ის მე-2 სექმაზეა წარმოდგენილი. ეს ხერხი ძალზე მოსახერხებელია, როდესაც მიმდინარეობს მოსწავლეთა გამოკითხვა, მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე.

სქემა 2.



საუნივერსიტეტო სემინარები დისპუტის (მსჯელობა, კამათი) ფორმით მიმდინარეობს. სტუდენტებს წინასწარ აქვთ მომზადებული მასალა და მისგან გამომდინარე გამოთქვამენ მოსაზრებებს.


ორგანიზების ეს ფორმა ძალზე ეფექტიანია სასკოლო გარემოშიც. ბავშვები უკეთ ახერხებენ ერთმანეთთან თანამშრომლობას, უფრო აქტიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში. გარემო მეტად დემოკრატიულია და სოციალური ფასილიტაციაც აქ ძალზე ინტენსიურია. თითოეულ მოსწავლეს

შეუძლია, პასუხისას მიმართოს არა მხოლოდ პედაგოგს, არამედ თანაკლასელებსაც. მოსწავლეებიც მეტი ყურადღებით მოისმენენ მის პასუხს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც თანაკლასელის მხოლოდ კეფას ხედავენ. მაგრამ ალბათ სქემიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლის როლი აქაც დომინანტურია.

ამგვარად ორგანიზებულ გარემოში მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი მსჯელობაში. უნდა ითქვას, რომ პოზიტიური ეფექტი თვალშისაცემი იყო ბუნებისმეტყველებისა და მშობლიური ენის გაკვეთილებზე, შედარებით ნაკლები – მათემატიკის გაკვეთილებზე. აქ წარმოიქმნა მიკროჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და სწყდებოდნენ სასწავლო პროცესს. თუმცა მერხების ამგვარი განაწილება შესაძლებლობას იძლევა, მასწავლებელმა მოსწავლეებში თვითდისციპლინის უნარის გამომუშავებაზე იზრუნოს.

მე-3 სქემაზე გამოსახულია მსგავსი, მაგრამ არაიდენტური განლაგება.

სქემა 3



აქ სოციალური ფასილიტაციაც განსხვავებულია. მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ მასწავლებლის როლი აღარ არის დომინანტური. ამგვარი განაწილება აადვილებს მოსწავლეთა თანამშრომლობის პროცესს. გარკვეულ საკითხზე მსჯელობისთვის შექმნილია საუკეთესო გარემო. მოსწავლეებიც მუდამ ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესში და მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. აქ ბავშვს არ უჩნდება ფსევდო-


დაცულობის განცდა იმის გამო, რომ სხვების უკან ან გვერდით ზის და მის მოქმედებას ყველა ვერ დაინახავს.

თითქმის ყველა გაკვეთილზე მოსწავლეები მხოლოდ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს კი არ პასუხობდნენ, არამედ თავადაც მიმართავდნენ კითხვებით მასწავლებელსა და თანაკლასელებს, ადგილიდან პასუხის შემთხვევაში კი თვალს ავლებდნენ მთელ აუდიტორიას.

არსებობს ისეთი განლაგება, როდესაც შესაძლებელია წყვილებში მუშაობა.

ამგვარი განლაგება წარმოდგენილია მე-4 სქემაზე:

სქემა 4



ასეთი განლაგებისას ბავშვებში იზრდება კონკურენცია, ასე რომ, თუ სასწავლო ამოცანა თანამშრომლობას მოითხოვს, უმჯობესია მოსწავლეთა დასმა ერთმანეთის გვერდით და არა პირისპირ. მაგრამ ეს ფორმა სავსებით ბუნებრივია, მაგალითად, ჭადრაკის თამაშის დროს, ასე რომ, გარემოს ორგანიზების ფორმაც გაკვეთილის მიზნიდან უნდა გამომდინარეობდეს.


თუ კონკურენტული გარემოს შექმნა გსურთ, შეიძლება კლასის ორად გაყოფა და ამ ორი ჯგუფის ერთმანეთის პირისპირ განთავსება. ეს ფორმა ეფექტიანია მაშინ, როდესაც თითოეულ მონაწილეს აზრი აქვს გამოსატყემა. ცნობილია, რომ კონკურენტული სწავლებისთვის არსებობს ცალკეული მეთოდოლოგიური ტექნოლოგიები. მაგალითად, დებატები, რომლის არსი ასეთია: მონაწილეები შეისწავლიან ამა თუ იმ საკითხს, აანალიზებენ მას და უყალიბდებთ გარკვეული პოზიციას. შემდეგ კლასი ორ ჯგუფად იყოფა; ერთი იცავს გარკვეულ მოსაზრებას, მეორე კი კონტრარგუმენტებით უპირისპირდება მას. ეს მეთოდი ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, სოციალური კომპეტენციის გავითარებას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სწავლების კონკურენტული მეთოდების მეთისმეტად ხშირმა გამოყენებამ შესაძლოა მოსწავლეთა ერთმანეთით გაღიზიანებას შეუწყოს ხელი, განსაკუთრებით – დაწყებით კლასებში. ამიტომ თუ კლასი დიდად მეგობრული არ არის, თანამშრომლობითი სწავლების მეთოდების გამოყენება სჯობს.

საქალაქო გარემოს ორგანიზება ჯგუფური მუშაობის დროს


განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბავშვების თანამშრომლობითი მუშაობა მცირე ჯგუფებში:

1. კლასი იყოფა 5-6-კაციან ჯგუფებად;
2. ჯგუფის ყველა წევრი სწავლობს თანაბარი ოდენობის მასალას, ოღონდ თითოეული მათგანი – მასალის გარკვეულ ნაწილს (შეიძლება, ამას ჰქონდეს საშინაო დავალების სახეც);
3. გაკვეთილზე ჯგუფი ერთი მაგიდის გარშემო განლაგებული (იხ. სქემა 5 და სქემა 6);

სქემა 5



სქემა 6.




4. მოსწავლე უზიარებს ცოდნას ჯგუფის სხვა წევრებს. იმისთვის, რომ სრულად აითვისონ მასალა, მოსწავლეებმა უნდა მოუსმინონ ჯგუფის წევრებს;
5. მასწავლებელი სვამს შეკითხვებს;
6. მოსწავლეთა შეფასება შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფის საერთო შედეგიდან გამომდინარე.

გართულებული ვარიანტი

ჯგუფური სამუშაოს დაწყებამდე შეიძლება გაიმართოს თითოეული ჯგუფის „ექსპერტების“ შეხვედრა. „ექსპერტები“ არიან ის მონაწილეები, რომელთაც თემის ერთი და იგივე საკითხი შეხვდათ. მათ შეუძლიათ ერთმანეთთან დააზუსტონ, რამდენად კარგად გაიგეს ესა თუ ის საკითხი.

ჯგუფებს შორის თანამშრომლობა შესაძლებელია საკლასო გარემოს სხვაგვარი განაწილების დროსაც. მოსწავლეთა განლაგება წარმოდგენილია მე-7 და მე-8 სქემებზე.



გარემოს ორგანიზების ზემოთ ნაჩვენები ფორმების შემთხვევაში შეგვიძლია გამოვიყენოთ მოსწავლეთა კოოპერაციის განსხვავებული ვარიანტები.

ერთობლივ-ინდივიდუალური კოოპერაცია. თავდაპირველად ჯგუფის წევრები მუშაობენ ინდივიდუალურად, შემდეგ კი თითოეულის ნამუშევარი საბოლოო პროდუქტის ნაწილი ხდება. ასე მუშაობის დროს მნიშვნელოვანია გეგმის არსებობა. გეგმა შესაძლოა თავად მოსწავლეებმა შეადგინონ ან პედაგოგმა გაანაწილოს, რას გააკეთებს ჯგუფის ესა თუ ის წევრი საერთო დავალების ფარგლებში.

ერთობლივ-თანმიმდევრული კოოპერაცია. ასე მუშაობის დროს თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული შედეგი საფუძვლად ედება მომდევნო მოსწავლის საქმიანობას და ამგვარი პრინციპით ერთვება მუშაობაში თითოეული წევრი. მაგალითად, ერთი მოსწავლე იწყებს ამბის თხრობას და მომდევნო აგრძელებს.

გთავაზობთ მაგალითს:

1. კლასი იყოფა 5-ნ-კაციან ჯგუფებად;
2. რომელიმე მონაწილე იღებს ბარათს, რომელზეც წერია კითხვა (ისევე, როგორც გამოცდაზე). სასურველია, კითხვა იყოს ღია და ნაკლებად კონკრეტული;
3. მოსწავლე პასუხობს;
4. შემდეგ მის პასუხს განაგრცობს სხვა მონაწილე;
5. საბოლოოდ ჯგუფი აჯერებს პასუხს.

ერთობლივ-თანამშრომლობითი კოოპერაცია მოიაზრებს ჯგუფის ერთობლივ მუშაობას ყველა ეტაპზე, დაგეგმიდან დასრულებამდე და საბოლოო შეფასებამდე.

თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს:

- წყვილებში;
- მცირე ჯგუფებში (3-4 მოსწავლე);
- 5-ნ მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებში;
- შედარებით დიდ ჯგუფში (მთელი კლასი).

გარემოს ორგანიზების ფორმების გამოყენებით შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნება. სწავლება, რომელიც ითვალისწინებს ბავშვების თანამშრომლობის პოტენციალს, ძალზე ეფექტიანია. სოციალური ფასილიტაციის გამოყენება მხოლოდ მასალის უკეთ ათვისებას კი არ უწყობს ხელს, არამედ ისეთი ძალზე ღირებული უნარების გავითარებასაც, როგორებიცაა პასუხისმგებლობა, თვითდისციპლინა, ურთიერთდახმარება.

როგორც საერთო, ისე თითოეული ინდივიდის წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორზე. გარკვეულ როლს ასრულებს ბავშვების ტერიტორიული ქცევის თავისებურებები. ბავშვი სივრცეში შემთხვევით არ ირჩევს ადგილს, თანაც არ არის გულგრილი სამუშაო ადგილის ცვლილების მიმართ. კლასის ორგანიზების ფორმების ცვლილება გავლენას ახდენს სამუშაოს ეფექტიანობაზე და მისი შერჩევაც სასწავლო მიზნების შესაბამისად უნდა მოხდეს.

სწავლის მოტივაციის ხელშეწყობა უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში

სკოლაში მისვლისთანავე ბავშვის ცხოვრების მთავარი შინაარსი სწავლა ხდება. ბავშვები სწავლაში წარმატებასა თუ მარცხს მძაფრად განიცდიან, ბავშვისადმი უფროსების დამოკიდებულებაც ხშირად იმით განისაზღვრება, როგორ სწავლობს იგი. სწავლა მხოლოდ ცოდნის შეძენისა და ინტელექტუალური განვითარების საფუძველი კი არა, პიროვნების ჩამოყალიბების პირობაც არის.

მაგრამ გამოცდილ პედაგოგებს შეუმჩნევიათ, რომ ზოგიერთ მოსწავლეს პირველი კლასის მეორე სემესტრიდან უნელდება სწავლისადმი სწრაფვა და ერთგვარი გულგრილობა ეუფლება. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს: სკოლის გარეგანი ატრიბუტებისადმი შეჩვევა, სკოლის რუტინა, რთული დავალებები, გადაღლა...

სწავლისას წამოჭრილ სირთულეებს დიმიტრი უზნაძემ „აღზრდის ტრაგედია“ უწოდა, „როდესაც აღზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, მომავალზეა ორიენტირებული, აღსაზრდელი კი აწმყოს სუბიექტია, რომელსაც ახლა სურს რაღაც და მასზე უარის თქმა უჭირს“. პრობლემის გადაჭრის გზა კი ასე დასახა: „სწავლების ორგანიზაციამ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ თავიდან ბავშვის სწავლა მის უშუალო მისწრაფებებსა და ინტერესებს დაუქვემდებაროს – წარმატების მიღწევის მოთხოვნილებას, ცნობისმოყვარეობას, ფუნქციობის მოთხოვნილებას. ამავე დროს, იზრუნოს პიროვნების, როგორც ნებისმიერი ქცევის განმახორციელებელი სუბიექტის, განვითარებაზე – ისწავლოს გაცნობიერებულად, შეგნებულად, მიზანდასახულად. რაც, რასაკვირველია, სრულიადაც არ გამორიცხავს მოსწავლის ინტერესების უგულებელყოფას!“

მაინც რა მოთხოვნილებები განსაზღვრავს ადამიანის აქტივობას?

როგორც ცნობილია, პიროვნებას აქტივობისკენ მოთხოვნილებები უბიძგებს. მოთხოვნილებები კი, შ. ჩხარტიშვილის მიხედვით, სამ ჯგუფად იყოფა: ბიოგენურად, ფსიქოგენურად და სოციოგენურად.

ბიოგენური მოთხოვნილებები უშუალოდ არის დაკავშირებული სიცოცხლის შენარჩუნებასთან.

ფსიქოგენური მოთხოვნილებები ადამინის ფსიქიკაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირდება და ამავე სტრუქტურაში მოითხოვს დაკმაყოფილებას. ესენია ინტელექტუალური, ესთეტიკური, თავისუფლების, წესრიგის მოთხოვნილებები.

სოციოგენური მოთხოვნილებები კი სოციალურ ურთიერთობებში აღმოცენდება და სოციალური ურთიერთობების გზითვე კმაყოფილდება. ესენია თანამშრომლობის, თანაარსებობის, პრესტიჟის (აღიარების), მეგობრობის, ძალაუფლების მოთხოვნილებები.

დაწყებით სასკოლო ასაკში სწავლის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფსიქოგენურ და სოციოგენურ მოთხოვნილებებს.

უმცროს სასკოლო ასაკში ფსიქოგენური მოთხოვნილებებიდან გამოკვეთილია ახალი შთაბეჭდილებების მიღების, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მოთხოვნილებები, საიდანაც აღმოცენდება ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილება.

სოციოგენური მოთხოვნილებებიდან დაწყებით სკოლაში მნიშვნელოვანია სიყვარულის, აღიარების, ურთიერთობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებები.

სიყვარულის მოთხოვნილება: სკოლაში შესვლისთანავე ბავშვისთვის მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ ოჯახის წევრების, არამედ სხვა ადამიანების სიყვარულიც. მნიშვნელოვანია, როგორ გამოხატავენ მისდამი სიყვარულს: ბავშვი გრძნობს, რომ მასწავლებელს უყვარს, როდესაც იგი მას სახელით მიმართავს, ყურადღებიანია მის მიმართ, სწავლების პროცესში ითვალისწინებს მის საჭიროებებს.

აღიარების მოთხოვნილება: უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვს უჩნდება მოთხოვნილება, დიდებმა სცნონ იგი, ყურადღება მიაქციონ მას, როგორც კარგს; ცდილობს შეესატყვისებოდეს უფროსების მოთხოვნებს, დაიმსახუროს მათი ყურადღება და ქება.

ურთიერთობის მოთხოვნილება: 5-6 წლიდან ბავშვები მარტო თამაშიდან ერთად თამაშზე გადადიან; უჩნდებათ მოთხოვნილება, ერთმანეთს მოუყვანონ რაღაცას, აჩვენონ რამე, ერთად შეასრულონ უფროსების დავალება. ერთობლივი მოქმედება სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება, რითაც საფუძველი ეყრება მეგობრობის განცდის განვითარებას. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, ბავშვები შევაჩვიოთ ერთად თამაშს, სხვადასხვა საქმიანობის ერთად შესრულებას.

დამოუკიდებლობის მოთხოვნილება: სკოლამდელ ასაკში იწყებს განვითარებას მე-ს ცნობიერება. ბავშვი გამოაცალკევებს თავს უფროსებისგან და ცდილობს, განსაზღვრული აქტივობა დამოუკიდებლად შეასრულოს. დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს დამოუკიდებლად უკვე ბევრი რამის კეთება შეუძლიათ. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, მასწავლებელმა დაიცვას ბალანსი უკვე ნასწავლ მასალასა და სიახლეს შორის, რათა მოსწავლეებმა მოახდინონ მიღებული ცოდნისა და განვითარებული უნარების დემონსტრირება.

მოტივაციის გავლენა სწავლაზე

მოტივი – ეს არის პიროვნების შინაგანი მიდრეკილება ამა თუ იმ აქტივობის განსახორციელებლად, რომელიც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უკავშირდება.

წამყვანი მოტივი მოსწავლის წამყვან ქცევასთან არის დაკავშირებული. 5-6 წლის ასაკში ბავშვის წამყვანი ქცევა თამაშია, ხოლო 6-7 წლიდან წამყვანი ქცევა სწავლა ხდება.

წამყვანი მოტივი – თამაში

ბავშვის ზრდასთან ერთად იცვლება თამაშის სახეც. მცირეწლოვან ბავშვებს თამაშის დროს არ აქვთ მიზანი, არ ემორჩილებიან ამა თუ იმ წესს, 5-6

წლიდან კი ბავშვები ისახავენ მიზანს, ადგენენ თამაშის წესებს, ეხმარებიან ერთმანეთს. ლ. ვიგოტსკის თანახმად, თამაშში მცირდება წარმოსახული სიტუაციის როლი და იზრდება წესების მნიშვნელობა. თუ ბავშვმა თამაშის ყველა ფორმა არ გაიარა, სწავლის მოტივიც დაიგვიანებს.

რატომ უთმობს ძალიან სასიამოვნო პროცესი, თამაშში, დროთა განმავლობაში ადგილს სწავლას? ამ კითხვაზე პასუხი თვითონ თამაშის ქცევის განვითარებაში უნდა ვეძიოთ. სკოლამდელ ასაკში თამაშის წარმმართველი თვითონ პროცესია – მანიპულაციური, საგნობრივი და სიუჟეტურ-როლური თამაშის დროს ბავშვი სიამოვნებას თვითონ თამაშისგან იღებს, წესებიან თამაშში კი მნიშვნელოვანია შედეგი, ანუ გამარჯვება, ხოლო გამარჯვებისთვის განსაზღვრული უნარების განვითარება – სწავლაა საჭირო.

თამაშით ბავშვი ფსიქოგენურ და სოციოგენურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

თამაშში ყალიბდება ბავშვის ფსიქიკური თვისებები და პიროვნული თავისებურებები. თამაშში გავლენას ახდენს ნებისმიერი ფსიქიკური პროცესის ფორმირებაზე. მაგალითად, თამაშში განვითარებას იწყებს ყურადღება და მეხსიერება, რაც სკოლაში სწავლისთვის საჭირო მნიშვნელოვანი უნარებია. თამაშში ბავშვის ამროვნების განვითარებაზეც ახდენს გავლენას. თამაშის პროცესში ბავშვი სწავლობს ამროვნებას. ამრიგად, თამაშით ბავშვი თანადათანობით გადადის წარმოდგენებით ამროვნებაზე. სიუჟეტურ-როლური თამაში საფუძვლად ედება ამროვნების განსაკუთრებული თავისებურებების ფორმირებას, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვს, თავი სხვის ადგილას დააყენოს, გაითვალისწინოს მისი მომავალი ქცევა და ამის საფუძველზე ააგოს საკუთარი.

როლური თამაში ხელს უწყობს წარმოსახვის განვითარებასაც. თამაშში ბავშვი სწავლობს ერთი საგნის მეორით ჩანაცვლებას, ასრულებს სხვადასხვა სოციალურ როლს.

თამაშში გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე. იგი ეცნობა მოზრდილთა ქცევასა და ურთიერთობებს, რომლებიც მისი ქცევის ნიმუში

ხდება. ბავშვი იძენს ურთიერთობის ძირითად ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია თანატოლებსა და მოზრდილებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

თამაშის ქცევაში ჩამოყალიბებას იწყებს სასწავლო მოქმედება, რომელიც მოგვიანებით ქცევის წამყვან ფორმად იქცევა. სწავლა მოზრდილს შემოაქვს, ის უშუალოდ არ აღმოცენდება თამაშიდან. 5 წლის ბავშვი სწავლას თამაშით იწყებს. იგი მას ისე ეკიდება, როგორც განსაზღვრული წესების მქონე თავისებურ როლურ თამაშს და ამ წესების შესრულებისას შეუმჩნევლად ეუფლება ელემენტარულ სასწავლო მოქმედებას, უყალიბდება სწავლის უნარი და სურვილი.

წამყვანი მოტივი – სწავლა

სწავლის მოტივები მოტივთა ორ ჯგუფს აერთიანებს.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სასწავლო საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული მოტივები – ბავშვის შემეცნებითი ინტერესები, ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილება.

მეორე ჯგუფს ქმნის სწავლის ფართო სოციალური მოტივები, ანუ მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობის, მათგან შექებისა და აღიარების მიღების მოთხოვნილებასთან; ასევე – ბავშვის სურვილთან, დაიკავოს განსაზღვრული ადგილი სოციალური ურთიერთობის სფეროში.

ამრიგად, დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან სწავლის მოტივებს ფსიქოგენური და სოციოგენური მოთხოვნილებები განსაზღვრავს.

რა ეხმარება მასწავლებელს სწავლის მოტივაციის ფორმირებაში?

სწავლის მოტივაციისა და ნებელობის განსავითარებლად შეიძლება გამოვიყენოთ სიტუაცია, რომელშიც ხდება ახალი შთაბეჭდილებების მიღებისა და უფროსებთან პოზიტიური ურთიერთობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ასეთი სიტუაციის შესაქმნელად შეგვიძლია გამოცანის ეფექტი გამოვიყენოთ. ყველა ბავშვს უყვარს გამოცანები, რებუსები, კროსვორდები. მსგავსი აქტივობები საგრძნობლად აცოცხლებს სასწავლო პროცესს.

მოსწავლეებში სწავლის მიმართ ინტერესის გაღვივების შესახებ ლ. ვიგოტსკი წერდა: „მოვლენამ ჩვენში ინტერესი რომ გამოიწვიოს, ის რაღაცნაირად ჩვენს გამოცდილებას უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ თავის თავში რაღაც სრულიად ახალსაც უნდა მოიაზრებდეს... ბავშვის არსებული ინტერესიდან ახალი ინტერესისკენ – ასეთია ინტერესის განვითარების გზა“.

მოტივაციის განვითარებას დიდად უწყობს ხელს, როდესაც მოსწავლე გრძნობს, რომ მას ენდობიან და მისი წარმატებისა სჯერათ.

მაგრამ არსებობს ფაქტორთა წყება, რომლებიც მოტივაციაზე უარყოფითად აისახება. მაგალითად, კვლევებით დადგენილია, რომ მოტივაციას აქრობს გადაღლა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი დაწყებით კლასებში მოძრავი პაუზების გამოყენება.

მოტივაციის ფორმირებას ხელს უშლის სტრესიც. ის უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ახალი გარემოს ან ინფორმაციის მიმართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ სტრესის ოპტიმალური დონე. კვლევებით დადგენილია, რომ სტრესის ოპტიმალური დონის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კლასის საჭიროებათა გაცნობა, სწავლების ორგანიზების ფორმათა ცვლილება, სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, შეფასების კრიტერიუმების წინასწარი გაცნობა, მოსწავლეებისადმი მასწავლებლის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, საუბრის მშვიდი და გაწონასწორებული კილო.

მოგეხსენებათ, კარგი მასწავლებელი ყოველთვის ქმნის მოტივაციას. ამისთვის მასწავლებლები შემდეგ გზებს მიმართავენ: 1) ყველა მოსწავლეს ერთნაირად პოზიტიურად ეპყრობიან, არ გამოარჩევენ ფავორიტებს; 2) ამხნევენ მოსწავლეებს სირთულეების დროს; 3) აძლევენ უკუკავშირს; 4) მოსწავლის მიღწევებს აღარებენ მხოლოდ მისსავე შედეგებს და არა სხვა მოსწავლეებისას; 4) მოსწავლეებისა და კლასის საჭიროებათა გათვალისწინებით, ბრუნავენ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებაზე; 5) ხელს უწყობენ მოსწავლეებს მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებაში (მიზნის დასახვა, სწავლის პროცესის თვითკონტროლი).

როგორ გავუიოლოთ პატარა მოსწავლეს სკოლასთან შეგუება

რჩევები მშობლებისთვის

პატარა მოსწავლე სკოლის მოთხოვნებს რომ შეესატყვისებოდეს, ის მომწიფებული უნდა იყოს ფიზიკური, გონებრივი, სოციალურ-პიროვნული თვალსაზრისით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი სწავლის პირველი დღეები ბავშვების უმრავლესობისთვის საკმაოდ რთულია.

პედაგოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სკოლასთან შეგუების პროცესი ბავშვებთან სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. ზოგი იოლად ეგუება სკოლას, საზოგადოდ, ახალ გარემოს. ასეთი ბავშვები ხალისიან განწყობაზე არიან, გაკვეთილებზე აქტიურობენ, არ უყვართ სკოლის გაცდენა, კეთილსინდისიერად ასრულებენ დავალებებს.

ზოგს სკოლასთან შესაგუებლად გარკვეული ხანი სჭირდება. ასეთ ბავშვები ხელიდან არ უშვებენ თამაშის შანსს, ხშირად ჭირვეულობენ, ტირიან, ეკამათებიან თანაკლასელებს, ხშირად არიან უკმაყოფილონი.

ზოგი კი ძალიან ძნელად ეგუება სკოლას, ითხოვს გაკვეთილების გაცდენას, უგუნებოდაა, უჭირს თანაკლასელებთან ურთიერთობა. ზოგჯერ ხელს უშლის მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარებაში.

მაგრამ პირველი 5-6 კვირა, რაც სკოლასთან საადაპტაციო (შესაგუებელ) პერიოდად ითვლება, ყველა ბავშვისთვის საკმაოდ რთულია.

რატომ უჭირთ ბავშვებს სკოლასთან შეგუება?

სოციალური როლის ცვლილება

უდარდელი სკოლამდელიდან ბავშვი მოსწავლედ იქცევა. მას უჩნდება ახალი და რთული ვალდებულებები: სკოლაში დროულად მისვლა, გაკვეთილებზე ყურადღებით ყოფნა, დავალებების შესრულება. ბავშვი ხვდება ახალ გარემოში, რომელსაც თავისი წესები აქვს – როდის რა უნდა გააკეთოს, როგორ მოიქცეს.

წამყვანი ქცევის ცვლილება

სკოლაში შესვლამდე ბავშვის ძირითადი საქმიანობა თამაში იყო, ამიერიდან კი მან უნდა „ისწავლოს სწავლა“, დაიმასხროს გარკვეული მასალა, უპასუხოს მასწავლებელს.

თამაში მეტად თავისუფალი საქმიანობაა, სწავლა კი ბავშვისგან ნებისყოფას მოითხოვს. სკოლაში მას ზოგჯერ იმის კეთებაც უწევს, რაც არ უნდა ან დიდად არ მოსწონს, ამიტომ იძულებულია, თანდათან ისწავლოს საკუთარი ქცევის კონტროლი.

სპეციფიკური რეაქციების გაჩენა

სწავლის დაწყებასთან ერთად სკოლისთვის მოუმზადებელი ბავშვების 67-69%-ს ეწყება შიშები, ტირილის შეტევები ან მოქმედებათა შეკავება. ასეთ მოსწავლეებს ხშირად ეშინიათ მასწავლებლის, დაფასთან საპასუხოდ გასვლის, შენიშვნის, სკოლაში დაგვიანების.

სოციალური გარემო: ოჯახი, კლასი, მასწავლებელი

ოჯახურ გარემოზე ბევრად არის დამოკიდებული სკოლაში ბავშვის წარმატება. დაძაბული, კონფლიქტური ატმოსფერო უარყოფითად მოქმედებს მის განვითარებაზე.

სკოლასთან ადაპტაცია დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია ბავშვს თავის დამკვიდრება თანატოლთა წრეში. აქტიური, კონტაქტური ბავშვები ხშირად პირველ კლასში უკეთ სწავლობენ.

სკოლაში ბავშვის წარმატებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მასწავლებელთან ურთიერთობაც (განსაკუთრებით – პირველ წლებში). მოსწავლე, რომელიც „არ უყვარს“ მასწავლებელს, ხშირად გულს იცრუებს სწავლაზე, გამოირჩევა დაბალი თვითშეფასებით.

ამ სირთულეების დაძლევაში პატარას უპირველესად მშობლები უნდა დაეხმარონ. რა არის ამისთვის საჭირო?

1. დაკვირვება ბავშვის ურთიერთობის პროცესზე

თუ ბავშვი შინ თუ გარეთ ლაღად და თამამად ამყარებს ურთიერთობას სხვებთან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს არც სკოლაში გაუჭირდება.

თუ ბავშვი ურთიერთობისას ძალზე ფრთხილია, არ ენდობა ადამიანებს, სკოლაში შესვლამდე მას თქვენი დახმარება დასჭირდება, ვინაიდან იქ უთქვენოდ, უცხო ხალხის გარემოცვაში მოუწევს ყოფნა. სოციალიზაციას ხელს უწყობს სკოლამდელი დაწესებულება. ასევე, მნიშვნელოვანია, ბავშვი იცნობდეს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციას, სადაც ქცევის განსხვავებული სტილია საჭირო. მაგ., შეიძლება ვთხოვოთ ბებიასთან დამოუკიდებლად დარეკვა, ნათესავისთვის რამის მიღოცვა, მაღაზიაში გამყიდველისთვის კითხვის დასმა და ა.შ. ასეთ სიტუაციებს ყოველდღე ვაწყდებით, მთავარია, სწორად გამოვიყენოთ ისინი და ბავშვს ადამიანებთან დამოუკიდებლად ურთიერთობა ვასწავლოთ.

2. რეჟიმის შეჩვევა/დაცვა

თუ ბავშვი დადის სკოლამდელ დაწესებულებაში, ის უკვე შეჩვეულია დღის განსაზღვრულ რეჟიმს. სკოლაში შესვლასთან ერთად კი დღის რეჟიმი ძირეულად იცვლება.

დღის რეჟიმი ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ნებისყოფის განვითარებას. დღის რეჟიმს ადგენენ ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკობრივი ფიზიოლოგიური და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ის განსაზღვრავს სხვადასხვა საქმიანობის, ძილის, დასვენების ხანგრძლივობასა და კვების რეჟიმს.

სასურველია, ბავშვმა ყოველი დილა დაიწყოს მსუბუქი ვარჯიშით.

აუცილებელია, ბავშვს განვითარებული ჰქონდეს ჰიგიენის ელემენტარული ჩვევები: ხელების დაბანა, კბილების გამოხეხვა, საპირფარეშოთი სარგებლობა.

5-6 წლის ბავშვისთვის სასურველია 4-ჯერადი კვება. ვახშმობა დაძინებამდე 1-2 საათით ადრე სჯობს. კვების სწორ რეჟიმს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისთვის.

5-6 წლის ბავშვს დასასვენებლად და ძალ-ღონის აღსადგენად 10-11-საათიანი ძილი სჭირდება.

3. დამოუკიდებლობის უნარის განვითარება

დაავალეთ ბავშვს კონკრეტული საქმე (ასაკის გათვალისწინებით), მაგ., თვის სათამაშოების ადგილზე დაწყობა.

დავალების შესრულების შემდეგ აუცილებლად წაახალისეთ.

მიეცით სხვადასხვა სიტუაციაში ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა. თავად მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ჩაერიეთ მის საქმიანობაში.

4. ემოციურ-ნებელობითი სფეროს განვითარება

სკოლაში ბავშვები ხშირად კამათობენ, ზოგჯერ უთანხმოებაც მოსდით. მნიშვნელოვანია, ბავშვს შეეძლოს ემოციების მართვა. ამას ხელს უწყობს მშვიდი ოჯახური ატმოსფერო. როდესაც უფროსები პრობლემებს კონსტრუქციულად ართმევენ თავს, ბავშვიც სწავლობს პრობლემების ჩხუბის გარეშე მოგვარებას.

გახსოვდეთ: ბავშვები ბევრ რამეს მიბაძვით სწავლობენ. აღიარეთ, რომ გაბრაზება, წყენა ყველასთვის არის დამახასიათებელი, მთავარია, ემოციების კონსტრუქციულად გამოხატვა შეგვეძლოს, ისე, რომ ამით არც ჩვენ დავზარალდეთ, არც – სხვა.

როგორ მოვიქცეთ, რომ ახალ სოციალურ სტატუსთან შეგუება ბავშვისთვის სასიამოვნო და ნაპლებად სტრესის მომგვრელი იყოს?

- ბავშვი მშვიდად გააღვიძეთ. სასურველია, გაღვიძებისას მან თქვენი ღიმილი დაინახოს.
- ესაუბრეთ მშვიდი, კეთილგანწყობილი კილოთი.
- არ ააჩქაროთ დილის პროცედურების შესრულებისას. დროის განაწილება თქვენი პრეროგატივაა.
- არ გაუშვით სკოლაში საუზმის გარეშე.
- თუ სკოლიდან უგუნებოდ დაბრუნდა, არ გაუწყრეთ. გაამხნევეთ.
- ბავშვის სირთულეების შესახებ მასწავლებელს მის გარეშე ელაპარაკეთ. სკოლიდან დაბრუნებულს მიეცით დრო დასასვენებლად; დრო ისე გაანაწილეთ, რომ 17 საათის შემდეგ მას აღარ ჰქონდეს სამეცადინო.
- მეცადინეობისას შეასვენეთ. ერთი ამოსუნთქვით დავალებების შესრულებას სჯობს იმუშაოთ 15-20 წუთი, 10 წუთი კი შეისვენოთ.
- იყავით ყურადღებით – თუ ბავშვი უჩივის თავის ტკივილს, დაღლილობას, ეს შესაძლოა ჯანმრთელობის პრობლემების, გადაღლის ან სწავლაში/სკოლაში არსებული სირთულეების მაუწყებელი იყოს.

- მოუსმინეთ ყურადღებით.
- ჩამოაყალიბეთ კონკრეტული წესები და მოთხოვნები.
- წესები და მოთხოვნები ლაკონურად ჩამოაყალიბეთ.
- იყავით მომთმენი.
- სანამ კითხვას ისწავლის, უკითხეთ სახალისო, საბავშვო ლიტერატურა.
- ხშირად აქეთ, ყურადღება გაამახვილეთ მის საქციელზე და არა პიროვნებაზე.
- წაახალისეთ მისი ცნობისმოყვარეობა, შეკითხვების დასმის სურვილი.
- წაახალისეთ სხვა ბავშვებთან თამაშის, ურთიერთობის სურვილი.
- ხელი შეუწყვეთ მრავალფეროვანი გამოცდილების მიღებაში.
- ეცადეთ, შეძლებისდაგვარად ჩართოთ ერთობლივ საქმიანობაში – ოთახის დალაგებაში, ყვავილების ან შინაური ცხოველების მოვლაში.
- ასწავლეთ საკუთარი მისამართი, ტელეფონის ნომერი, დაბადების დღის თარიღი.
- თავადაც ჩაერთეთ იმ საქმიანობაში, რომელიც ბავშვს მოსწონს.
- მიეცით მაგალითი: სასურველია, გხედავდეთ, როდესაც კითხულობთ, გაუზიარეთ მას ინფორმაცია.
- ეთამაშეთ ბავშვს. თაობათა შორის კონფლიქტები ნაკლებია იმ ოჯახებში, სადაც ბავშვები და მშობლები მეგობრობენ და ერთობლივ საქმიანობაში არიან ჩართულნი.
- ბავშვის მიღწევები შეადარეთ მხოლოდ მის ადრინდელ მიღწევებს. მაგ., „დღეს უკეთ გამოგივიდა, ვიდრე გუშინ“.

რა არ უნდა გააკეთოთ:

- არ დატუქსოთ ასე: „აი, წახვალ სკოლაში და ნახავ, რაც მოგივა!“
- არ შეაწყვეტინოთ ბავშვს სიტყვა, როდესაც დღის შთაბეჭდილებებს გიზიარებთ.
- არ დააკისროთ მოვალეობები, რომელთა შესრულებაც მას ჯერ არ შეუძლია.
- არ მოითხოვოთ მისგან ერთბაშად ბევრი რამ. ამოირჩიეთ კონკრეტული საქმიანობა, ჩვევა, რომელსაც გინდათ დაეუფლოს.
- გამუდმებით არ აკრიტიკოთ მისი ინიციატივა: „ასე კი არა, ასე...“
- არ აკრიტიკოთ სხვების თანდასწრებით.
- არ შეადაროთ სხვა ბავშვებს: და-ძმას, მეგობრებს, თანაკლასელებს.

ისევ სასწავლო მიზნების შესახებ

მოსწავლეზე ორიენტირებულ კლასში მასწავლებელმა სწავლა-სწავლების პროცესი იმგვარად უნდა წარმართოს, რომ მოსწავლე სწავლის სუბიექტად იქცეს და სასწავლო ამოცანის გაანალიზება, მიზნების დასახვა, სამუშაოს დაგეგმვა და შეფასება თანდათანობით მოსწავლის ხელში გადავიდეს.

რა ნაბიჯებია ამისთვის საჭირო?

პირველ რიგში – მიზნების ფორმულირება.

მიზანი, როგორც მოგეხსენებათ, არის წინასწარ დაგეგმილი შედეგი, რომელიც უნდა იყოს მიღწეული არა მხოლოდ მასწავლებლის, არამედ მოსწავლის მიერ – კონკრეტული საკითხის თუ თემის ბოლოს.

მკაფიო და კონკრეტული მიზნები საჭიროა შემდეგი მიზეზების გამო:

1. ეს არის საფუძველი, თუ რა მიმართულებით უნდა დამუშავდეს მასალა მოსწავლის მიერ და რა სტრატეგიებით უნდა შეუწყოს ხელი მასწავლებელმა მის მიღწევას;
2. მხოლოდ მკაფიოდ ფორმულირებული მიზნები გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ, განივითარეს თუ არა ჩვენმა მოსწავლეებმა ის უნარები, რასაც მათგან მოველოდით;
3. მკაფიო მიზანი მოსწავლეს ეხმარება, ყურადღება ცნობიერად მიმართოს მნიშვნელოვან საკითხზე;
4. ბუნდოვანი მიზანი ხელს უშლის მოსწავლის მხრიდან გაცნობიერებულ და ეფექტიან სწავლას, და შესაბამისად, „კლავს“ სწავლისადმი ინტერესს.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მიზანი უნდა იყოს ფორმულირებული მოსწავლის პოზიციიდან.

მაგ.: საგანი ბუნებისმეტყველება

თემა: მცენარეები

მიზანი: მოსწავლე ჩამოთვლის მცენარეებს, მოახდენს მათ კლასიფიკაციას; დაასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას, ჩამოთვლის, რა ღონისძიებები არის საჭირო კონკრეტული მცენარის მოვლისათვის.

მიზნების ფორმულირებისას გაკვეთილზე დიდ დახმარებას გაგვიწევს ბლუმის კოგნიტური მიზნების ტაქსონომია.

1. **ცოდნა** – ბ. ბლუმის ტაქსონომიაში ყველაზე დაბალი დონეა. ამ დონეზე მოსწავლეს მოეთხოვება მასალის მხოლოდ ცნობა ან გახსენება. მაგ., მოსწავლე ჩამოთვლის გაზაფხულისთვის დამახასიათებელ ნიშნებს; დაითვლის 1 - დან 20-მდე.
2. **გაგება** – ამ დროს მოსწავლემ უნდა გადმოსცეს მასალა საკუთარი სიტყვებით. მაგ., აღწეროს შინაური ცხოველი ან განმარტოს, რას ნიშნავს ლუწი რიცხვი.
3. **გამოყენების დონეზე** მოსწავლე გამოიყენებს მანამდე მიღებულ ინფორმაციას სტანდარტული/არასტანდარტული დავალების შესასრულებლად. მაგ., შეასრულებს მარტივ არითმეტიკულ გამოთვლებს.
4. **ანალიზის დონეზე** მოსწავლეები მასალას დაშლიან ცალკეულ ნაწილებად, დაინახავენ მათ შორის ურთიერთკავშირს. მაგ., აღნიშნავენ, რომელი არის საკლები და რომელი – მაკლები. აღწერენ რომელიმე სახეობისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშანს.
5. **შეფასების დონეზე** მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას მიღებული ინფორმაციის მიმართ, ოღონდ მათი მსჯელობა ეფუძნება ანალიზს, ადეკვატურ დასკვნებსა და მკაფიო კრიტერიუმებს. მაგ., მოსწავლე არგუმენტირებულად ხსნის ამოცანის/პრობლემის გადაჭრის გზის ეფექტურობას.
6. **სინთეზის დონეზე** მოსწავლე იყენებს საკუთარ შემოქმედებით პოტენციალს და მიღებულ ცოდნას წარმოაჩენს ახალი ფორმით. დამოუკიდებლად ადგენს ამოცანის პირობას, რომელიც მოითხოვს მიმატებისა და გამოკლების გამოყენებას.

ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს – ბ. ბლუმის ტაქსონომიაზე დაყრდნობით ფორმულირებულ სასწავლო მიზნებს:

დონე	რას აკეთებს მოსწავლე	ზმნები, როგორებიც გასაზრდევად მოსწავლის მოქმედებებს	ნიმუშები
ცოდნა	აღიქვამს, იმახსოვრებს, ცნობს	ჩამოთვლის, ასახელებს	საგანი: ბუნებისმეტყველება თემა: წყალი მიზანი: მოსწავლე ჩამოთვლის წყლის თვისებებს.
გაგება	ხსნის, ახდენს დემონსტრირებას	ჰყვება საკუთარი სიტყვებით, განიხილავს, განმარტავს	საგანი: ბუნებისმეტყველება თემა: წყალი მიზანი: მოსწავლე აღწერს წყლის ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლის პროცესს.
გამოყენება	ხსნის ამოცანას, ცოდნის პრაქტიკულ დემონსტრირებას ახდენს	გამოიყენებს, გამოთვლის, დაასრულებს, გამოიკვლევს, ჩაატარებს ცდას, აღწერს, მოდიფიცირებას გაუკეთებს, შეუსაბამებს, გააკეთებს მონახაზს	საგანი: ბუნებისმეტყველება თემა: წყალი მიზანი: მოსწავლე ჩაატარებს ცდას წყლის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასასვლელად, აღწერს ცდის შედეგებს.
ანალიზი	აღალკევებს, აკავშირებს	ანალიზებს, აჯგუფებს, ადარებს, აკავშირებს, უპირისპირებს, ასხვავებს, იკვლევს, ატარებს ექსპერიმენტს, სისტემაში მოჰყავს, ირჩევს, ჰყოფს, ამოწმებს	საგანი: ბუნებისმეტყველება თემა: წყალი მიზანი: მოსწავლე იკვლევს და ადარებს წყლის აგრეგატულ მდგომარეობებს.
შეფასება	აფასებს, ირჩევს	ამტკიცებს, ირჩევს, გამოაქვს დასკვნა, მოჰყავს არგუმენტი, ასაბუთებს, ზომავს, წინასწარმეტყველებს (ჰიპოთეზის ფორმულირებას ახდენს), აჯამებს, ამყარებს (მოსაზრებას)	საგანი: ბუნებისმეტყველება თემა: წყალი მიზანი: მოსწავლე აკეთებს დასკვნას წყლის აგრეგატულ მდგომარეობებთან დაკავშირებით.
სინთეზი	ქმნის, აზოგადებს, გეგმავს, ფორმულირებას ახდენს	კრებს, კომბინირებას აკეთებს, ქმნის, შეიმუშავებს, აერთიანებს, გეგმავს, ამზადებს, აგრძელებს, ხელახლა აჯგუფებს, ამყარებს	საგანი: ბუნებისმეტყველება თემა: წყალი მიზანი: მოსწავლე ქმნის თხზულებას წყლის წვეთის მოგზაურობის შესახებ.

ბლუმის ტაქსონომია პედაგოგს ეხმარება პროცესის დაგეგმვაში. თუ გაკვეთილის მიზანია, რომ მასალა მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ და შემდეგ მისი რეპროდუქცია მოახდინონ, ყველა სტრატეგია მიმართული უნდა იყოს ამ ამოცანის დაძლევისკენ.

იმისთვის, რომ მოსწავლეები ჩავრთოთ სასწავლო პროცესში, საჭიროა მათი საქმის კურსში ჩაყენება, თუ რა ეცოდინებათ და რის გაკეთებას შეძლებენ ისინი გაკვეთილის ბოლოს. ამიტომ გაკვეთილის წარმართვის პირველი ნაბიჯი სწორედ მოსწავლეებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე მიზნის გაცნობაა.

მიზნის გაცნობა პირველი ნაბიჯია მოსწავლის ჩასართავად სწავლის პროცესში.

მიზნის გაცნობა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით.

მაგ., მასწავლებელი წერს დაფაზე გაკვეთილის მიზანს: „მოსწავლეები გაიაზრებენ პერიმეტრის ცნებას, გამოთვლიან გეომეტრიული ფიგურების პერიმეტრს ფორმულაზე დაყრდნობით“. ამის შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს: „ბავშვებო, დღეს ჩვენ ვისწავლით გეომეტრიული ფიგურების პერიმეტრის გამოთვლას (მაგ., მართკუთხედის, კვადრატის)“. უსვამს კლასს შეკითხვას: „რა გვეცოდინება/რის გაკეთებას შევძლებთ დღეს გაკვეთილის ბოლოს?“ მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მოისმენს რამდენიმე მოსწავლის პასუხს, გადადის გაკვეთილის შემდეგ ეტაპზე.

ფრაგმენტის ანალიზი

კიდევ ერთხელ შევაჯამოთ: რატომ არის მნიშვნელოვანი, გავაცნოთ გაკვეთილის მიზანი ჩვენს მოსწავლეებს?

მიზნის გაცნობა საჭიროა რათა:

- მოსწავლემ იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი სწავლის პროცესზე;
- მოსწავლეს შეეძმნას მოლოდინი, თუ რა ეცოდინება გაკვეთილის/თუ თემის დასრულების შემდეგ;
- მოხდეს მოსწავლეთა მოტივირება ახალი ცოდნის მისაღებად/ახალი მასალის ასათვისებლად;

- მოსწავლის ცნობიერება მიმართული იყოს კონკრეტული ინფორმაციის მიღებისკენ, ახალი უნარ-ჩვევების დაუფლებისკენ;
- მოხდეს მოსწავლის თვითრეგულირებადი სწავლის ხელშეწყობა, საკუთარი ცოდნის დონის შემოწმების უნარის განვითარება „გაკვეთილის ბოლოს შემოძლია მართკუთხედის პერიმეტრის გამოთვლა? შევძელი თუ არა ამის გაკეთება?“

მაგალითი 2

მასწავლებელი ხაზავს დაფაზე სამკუთხედს და ეკითხება კლასს: „ბავშვებო, თქვენი აზრით, რას გავაკეთებთ დღეს?“

მოსწავლეთა პასუხები:

- დღეს დავხატავთ, აი, ამას (მოსწავლე ხელს იშვერს დაფისკენ);
- დავხატავთ სამკუთხედს;
- ვისწავლით, როგორ დავხაზოთ სამკუთხედი.

მასწავლებელი მადლობას უხდის მოსწავლეებს და აჯამებს მათ მოსაზრებებს: „მართალია, დღეს ჩვენ მართლაც დავხაზავთ სამკუთხედს და შევადარებთ სხვა გეომეტრიულ ფიგურებს“. შემდეგ უსვამს მოსწავლეებს მორიგ შეკითხვას: „როგორ ფიქრობთ, რისთვის გვჭირდება, რომ ვისწავლოთ სამკუთხედის დახაზვა?“ მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს. მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა მოსაზრებებს და აზუსტებს: „სამკუთხედის დახაზვას ჩვენ ვსწავლობთ იმისთვის, რომ სწორად განვსაზღვროთ სამკუთხედის გვერდები, წვეროები“. ამის შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს გაკვეთილის მიმდინარეობას.

ფრაგმენტის ანალიზი

აღნიშნული მაგალითით ჩანს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეთა მოტივირებას იმისთვის, რომ მოსწავლეებმა თავად ჩამოაყალიბონ გაკვეთილის თემა და მიზანი. თანაც ამგვარი გზით მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს საკითხის ეტაპობრივი შესწავლისკენ, ამავდროულად მათთან ერთად აფიქსირებს, გაკვეთილის ბოლოს რა შედეგი ექნებათ მიღწეული, აცნობიერებინებს ამ სამუშაოს მნიშვნელობას მათი განვითარებისთვის/ცოდნის შევსებისთვის.

მაგალითი 3.

მასწავლებელი ხსნის თემას „ჩემი გარემო“ ბუნებისმეტყველებაში. მასწავლებელი მიმართავს შეკითხვით მოსწავლეებს: „რატომ უნდა გავუფრთხილდე ბუნებას? შეუძლიათ ბავშვებს ბუნებაზე ზრუნვა?“ მასწავლებელი აფიქსირებს 3-5 მოსწავლის მოსაზრებებს და აგრძელებს: „თუ ჩვენ გვეცოდინება, როგორ/რა ხერხებით შეგვიძლია ვიზრუნოთ ფლორასა და ფაუნაზე, უკეთ ვიზრუნებთ ბუნებაზე და ჩვენს გარემოს კიდევ უფრო ჯანსაღს/ლამაზს გავხდით“.

ფრაგმენტის ანალიზი:

მასწავლებელი მიზანს აცნობს პრობლემური შეკითხვის დასმით, რათა მოსწავლეებმა გააცნობიერონ როგორც გაკვეთილის მიზანი, ისე საკითხის ცოდნის მნიშვნელობა.

1. საკითხის შესაჯამებლად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მნიშვნელოვანია, მიზანი მკაფიოდ და ბავშვებისთვის გასაგები ენით იყოს ფორმულირებული; მაგ., მოსწავლეები შეასრულებენ მაგალითებს 20-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლებამდე.
2. სასურველია გავაცნოთ ერთი, კონკრეტული და არსებითი მიზანი, ვინაიდან რამდენიმე მიზანმა შეიძლება მოსწავლეები დააშოროს საბოლოო შედეგს; მაგ., მოსწავლეები მზის მაკეტის გამოყენებით ახსნიან დღისა და ღამის მონაცვლეობის მიზეზს.
3. მიზანი იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მოსწავლისთვის იყოს გასაგები, თუ რის შეფასება მოხდება გაკვეთილის ბოლოს. მაგ., მოსწავლეები შექმნიან პატარა ამბავს საკუთარი უბნის/სოფლის შესახებ, აღწერენ საყვარელ ადგილს, მის დანიშნულებას, გაიხსენებენ საკუთარ ისტორიას, რომელიც ამ ადგილს უკავშირდება.
4. მიზანში ხაზგასმული უნდა იყოს არა მხოლოდ ის, თუ რა ეცოდინებათ მოსწავლეებს, არამედ როგორ არის შესაძლებელი მიღებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. მაგ., მოსწავლეები სწორად შეასრულებენ მიმატებისა და გამოკლების ოპერაციებს 20-ის ფარგლებში ფულის კუპირების გამოყენებით.

აქტივობა „სასაცილო კაცუნები“

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ განუვითაროს მოსწავლეებს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მობარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

აღნიშნული უნარების განვითარებაზე მასწავლებელმა დაწყებითი კლასებიდან უნდა იზრუნოს. მასზე ზრუნვა შესაძლებელია როგორც საგაკვეთილო პროცესის, ისე სადამრიგებლო საათის დროს.

გამოცდილმა პედაგოგებმა კარგად იციან, რომ პატარა მოსწავლეებს ხშირად უჭირთ სხვისი ემოციებისა და გუნება-განწყობილების ამოცნობა და იმის გააზრება, რომ სხვა ადამიანსაც შეიძლება ჰქონდეს ემოციები. არადა, ცნობილია, რომ მეგობრული ურთიერთობები იწყება მას შემდეგ, როდესაც ადამიანს უჩნდება უნარი, თავი წარმოიდგინოს მეორე ადამიანის ადგილას.

გთავაზობთ კონკრეტულ რჩევებს, თუ როგორ არის შესაძლებელი აღნიშნული უნარის განვითარება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე. სამუშაო ტექსტად ავიღეთ სადამრიგებლო საათის პროგრამაში წარმოდგენილი ზღაპარი „წითური კნუტი“.

გაკვეთილის სცენარის ნიმუში

კავშირი სტანდარტთან:

ქართ. III. 4.

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს;
- პოულობს და ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს ნაცნობ ტექსტში;
- ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას.

ქართ. III. 6.

- ამოიცნობს პერსონაჟების გრძნობებს, ემოციებს;
- ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათ საქციელს.

მიზანი:

- მოსწავლეები მოისმენენ, წაიკითხავენ მცირე ზომის ტექსტს, უბასუხებენ შეკითხვებს;
- მოსწავლეები მიაღწევენ თვალს, თუ როგორ იცვლება პერსონაჟის/ პერსონაჟების განწყობა სიუჟეტის განვითარებასთან ერთად;
- მოსწავლეები ემოციების გამოსახულებებს შეუსაბამებენ მათ სახელებს;
- მოსწავლეები დაასახელებენ ემოციის გამომწვევ მიზეზებს.

მიმდინარეობა:

მასწავლებელი კლასს სთავაზობს კაცუნების გამოსახულებებს, სხვადასხვა ემოციის გამომხატველს.

ეკითხება მოსწავლეებს: „ბავშვებო, თქვენი აზრით, რას გავაკეთებთ დღეს გაკვეთილზე?“ მასწავლებელი აფიქსირებს მოსწავლეთა მოსაზრებებს დაფაზე, აჯამებს და ამბობს: „დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ემოციებზე, წავიკითხავთ ზღაპარს, ამოვიცნობთ პერსონაჟთა ემოციებს და გავაკეთებთ ჩანახატებს“.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ სხვადასხვა მოვლენისა თუ ამბის მიმართ ჩვენ სხვადასხვა ემოციას განვიცდით. ეკითხება მოსწავლეებს, თუ რას ვგრძნობთ, როდესაც საჩუქარს გვჩუქნიან. სთხოვს რომელიმე მოსწავლეს, რომ მიუთითოს შესაბამის კაცუნაზე (მასწავლებელს შეუძლია შემდეგი ტიპის შეკითხვების დასმაც: რას ვიგრძნობდით ახლა ჩვენს კლასში დიდი ნიანგი რომ შემოვიდეს? რას იგრძნობდით ხვალ კლასში მასწავლებლის ნაცვლად ჯამბაზი რომ დაგხვდეთ?)

მასწავლებელი ზღაპარს ჯერ თავად უკითხავს მოსწავლეებს, უსვამს შეკითხვებს, რათა შეამოწმოს, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ტექსტი.

შეკითხვების მაგალითი:

1. რით განსხვავდებოდა პატარა კნუტი ქალაქის მაცხოვრებელი სხვა კატებისგან?

2. ვისთან მოუნდა თამაში პატარა კნუტს?
3. რატომ არ თამაშობდნენ პატარა კნუტთან სხვა კნუტები?
4. მოგწონთ სიამის კნუტების საქციელი? რატომ?
5. რა შეემთხვა თეთრ კნუტს?
6. როგორ მოიქცა წითური კნუტი?
7. წითური კნუტის საქცილზე რა რეაქცია ჰქონდათ სხვა კატებს?
8. როგორ განწყობილებათ იყო წითური კნუტი ამბის დასასრულს? რატომ?

ამის შემდეგ მასწავლებელი ჯგუფს ჰყოფს 4-კაციან ჯგუფებად. უხსნის, რომ ტექსტი პატარა ნაწილებად არის დაყოფილი. ურიგებს მოსწავლეებს დანომრილ ბარათებს და სთხოვს მათ, რომ ყველამ ხმამაღლა წაიკითხოს ნომრის შესაბამისი ნაწილი (გაგრძელებითი კითხვა).

დიდ ჯგუფებში მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, რომ ჯერ ჩუმად, თავისთვის წაიკითხონ ტექსტი. ამის შემდეგ კი სთხოვს ჯერ ერთ მოსწავლეს ერთი ნაწილის წაკითხვას, შემდეგ მეორე მოსწავლეს – მომდევნო ნაწილისას და ა.შ.

მასწავლებელი თვალსაჩინოებისთვის ხაზავს მარტივ ცხრილს, სადაც ჩამოწერს მარცხენა სვეტში ტექსტის ნაწილებს, შემდეგ სვეტში – პერსონაჟებს. გამოყოფს აგრეთვე სვეტს ემოციებისა და ამ ემოციების მიზეზებისთვის.

N	წითური კნუტი	პერსონაჟები	ემოცია	მიზეზი
I	ერთი პატარა ქალაქის სხვენში პატარა კნუტი ცხოვრობდა მშობლებთან და და-ძმებთან ერთად. ჩვენი კნუტი ოჯახში ყველაზე უმცროსი და თან, წარმოიდგინეთ, წითური იყო. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ქალაქის ყველა კნუტი და კატა ან ნაცრისფერი გახლდათ ან ყავისფერი. ზოგი მუქი ნაცრისფერი იყო, ზოგი – ღია, ზოგიც – თეთრი, ნაცრისფერი ზოლებით. მაგრამ არავინ, სულ არავინ იყო წითური. ერთ დღეს, ჩვენს პატარა კნუტს უსიამოვნო ამბავი გადახდა თავს. როდესაც კნუტი ეზოში სასეირნოდ ჩავიდა, იქ ორი სიამის კნუტი დახვდა, რომლებიც მხიარულად თამაშობდნენ ბურთს. წითურ კნუტს ძალიან მოუნდა მათთან თამაში და ჰკითხა: – თქვენ ისე კარგად თამაშობთ და მხიარულობთ, შემოძლია მეც რომ შემოგიერთდეთ?	სიამის კნუტები		

N	წითური კნუტი	პერსონაჟები	ემოცია	მიზანი
II	– არ ვიცით, – უპასუხეს კნუტებმა, – შემოგვხედე, ჩვენ როგორი ლამაზები ვართ, მუქი ყავისფრები, შენ კი რაღაც უცნაური ხარ, შენნაირი კნუტი არასოდეს გვინახავს. ამ დროს მათ მეზობელი ეზოდან ნაცრისფერი, ძალიან ცელქი კნუტი შეუერთდათ. წითური კნუტი დაათვალიერა და უთხრა: „რა სასაცილო ხარ, წითური და პატარა. შემთხვევით წრუწუნა ხომ არ ხარ?“ ძალიან ეწყინა პატარა კნუტს. სახლში მოწყენილი დაბრუნდა. მას შემდეგ ჭამის მადა დაკარგა და ცუდად ეძინა. ეზოში სეირნობასაც დაანება თავი. მთელ დღეებს ფანჯრის რაფაზე ატარებდა. დედისკო კი ეუბნებოდა, რომ უბრალოდ რაფაზე ჯდომას მოსწონდა. სინამდვილეში კი ეშინოდა, რომ ეზოში არავინ ეთამაშებოდა. ერთ მოღრუბლულ დღესაც იჯდა მოწყენილი კნუტი და ეზოში იყურებოდა. დღევანდელი მოწყენილი იყო, ჟამი და ნაცრისფერი.	წითური კნუტი		
III	ამ დროს ღრუბლებიდან მზის სხივმა გამოანათა და სრულად შეცვალა არემარე. კნუტიც კი გამოცოცხლდა. „რა კარგია მზე, – გაიფიქრა კნუტმა თავისთვის, – ის ყველას უყვარს, ათბობს და ახალისებს. მაგრამ მზეც ხომ ზოგჯერ ჩემსავით წითურია? ნუთუ მეც შემოძლია, რომ გავახალისო ჩემ გარშემო კატები?“ ამ აზრით აღფრთოვანებულმა გადაწყვიტა ეზოში ჩასვლა. როდესაც წითური კნუტი ეზოში ჩავიდა, იქ მთელი აურზაური დახვდა. ხეზე ძალიან პატარა, თეთრი კნური იჯდა და ტიროდა. როგორც ჩანს, ძირს ჩამოსვლისა ეშინოდა. ხის გარშემო კატები შეკრებილიყვნენ და ნერვიულობდნენ, პატარა კნუტი ხიდან არ ჩამოვარდნილიყო.	წითური კნუტი თეთრი კნუტი		

N	წითური კნუტი	პერსონაჟი	ამონა	მიზეზი
IV	ჩვენი წითური ფისო მამაცად ახტა ხეზე და პატარა კნუტიც უვნებელი ჩამოიყვანა. ხის გარშემო შეკრებილმა კატებმა ტაში შემოსცხეს. „შეხედეთ, რა ყოჩაღია ჩვენი კნუტი! მამაცი! თან როგორი საყვარელია! პატარა მგეს ჰგავს!“ წითური კნუტი ძალიან ბედნიერი იყო იმ დღეს. მან თეთრი კნუტი დაიხსნა განსაცდელისაგან და, როგორც იქნა, სხვა კატებმა მასში დადებითი თვისებები აღმოაჩინეს“.	წითური კნუტი სხვა კატები		

მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს ურიგებს მრგვლად გამოჭრილ ფორმებს (ნიღბების ფორმების დარიგებაც არის შესაძლებელი). ჯგუფებს ევალებათ, რომ ამ კაცუნების (ემოტიკონების) საშუალებით აღნიშნონ ის ემოციები, რომელთაც განიცდის პერსონაჟი ტექსტის თითოეულ ნაწილში, შეუსაბამონ ზედსართავი სახელი და ახსნან ემოციის გამომწვევი მიზეზი.

თუ მასწავლებელს მიაჩნია, რომ ეს რთული იქნება მოსწავლეთათვის, ამუშავებს ჯგუფებს მხოლოდ ემოციების გამომსახველ „ემოტიკონებზე“. მოსწავლეები წარმოადგენენ სქემას და შემდეგ მთელ კლასთან ერთად ასახელებენ შესაბამის ზედსართავ სახელებს (მაგალითად, მოწყვნილი, შეშინებული...) და ასახელებენ მიზეზებს.

აღნიშნული დავალების შეფასება შეგიძლიათ რუბრიკის ან თვითშეფასების ტექნიკის „დაუმთავრებელი წინადადებების“ მიხედვით:

რუბრიკის ნიმუში

ძალიან კარგი შესრულება	კარგი შესრულება	საშუალო შესრულება	მეტი მუშაობა საჭირო
სწორად უსაბამებს თითოეულ პერსონაჟს ემოციას.	სწორად უსაბამებს ემოციას მხოლოდ ზოგიერთ პერსონაჟს.	სწორად უსაბამებს ემოციას მხოლოდ ერთ პერსონაჟს.	ვერ უსაბამებს / არასწორად უსაბამებს ემოციას პერსონაჟს.
ყველა ემოციას სწორად უსაბამებს ზედსართავ სახელს.	ზოგიერთ ემოციას სწორად უსაბამებს ზედსართავ სახელს.	მხოლოდ ერთ ზედსართავს უსაბამებს ემოციას.	ვერ ახელებს ემოციის სახელდებას.
სწორად ასახელებს თითოეული ემოციის გამომწვევ მიზეზს.	ასახელებს ერთი ან ორი ემოციის გამომწვევ მიზეზებს.	სწორად ასახელებს მხოლოდ ერთ ემოციას.	ვერ ასახელებს მიზეზს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასურველია, რომ პატარა მოსწავლემ თავი-დანვე იგრძნოს პასუხისმგებლობა ჯგუფური მუშაობისას. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტექნიკა „დაუმთავრებელი წინადადებები“:

	მაგალითები იმისა, თუ როგორ დავეხმარე ჯგუფს დავალების შესრულებაში: 1. 2.
	დავალეხე მუშაობისას ყველაზე მეტად მომეწონა...
	დავალეხე მუშაობისას მე გავიგე, რომ
	დავალეხე მუშაობისას ჩემთვის რთული იყო...

ზემოთ შემოთავაზებული შეფასების საშუალებები მოგცემს ნათელ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს მუშაობა მოსწავლეებთან, რა დაძლიეს და რა არის მათთვის ჯერ კიდევ რთული.

აღნიშნული აქტივობისთვის შეგიძლიათ აარჩიოთ ნებისმიერი ტექსტი, რომელშიც არის რამდენიმე პერონაჟი და შესაძლებელია მსჯელობა მათ ემოციებსა და ემოციების გამომწვევ მიზეზებზე.

აღნიშნული აქტივობა ინტერდისციპლინურია, შეიძლება მისი დაკავშირება სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან. კაცუნების მაგივრად შეგიძლიათ ნიღბების ფორმების გამოყენებაც. ოღონდ ამ შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მიწოდება იქნება საჭირო ნიღბების დანიშნულების შესახებ და სხვადასხვა ტიპის ნიღბების ნიმუშების შეთავაზებაც.

განმავითარებელი შეფასების საშუალებები

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწოდებს მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარების ფორმირებაში და შესაძლებელს ხდის წარმატების მიღწევას.

აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასების მიზნებია:

- სწავლის პროცესის/არსებული საჭიროებების შეფასება;
- პროგრესის მონიტორინგი;
- დამოუკიდებლობის და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ცოდნის თვითშეფასება და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა.

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, განმავითარებელი შეფასების საშუალებებია: სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი, თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა, კითხვარი.

მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს:

უკუკავშირი კონკრეტულ საქმიანობაზე, სიტუაციებზე კომენტარების პროცესია. იგი ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. უკუკავშირი არის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ მიდის სწავლის პროცესი, რა წარმატებები და სირთულეები ფიქსირდება. უკუკავშირი უნდა მიმდინარეობდეს კეთილგანწყობილ გარემოში და აძლევდეს მოსწავლეს გეზს, თუ რა აქტივობა უნდა განხორციელდეს მიზნის მისაღწევად. მასწავლებელმა უკუკავშირის მიცემის დროს, პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს, თუ რა აქვს მოსწავლეს კარგად შესრულებული, შეცდომების არსებობის შემთხვევაში კი მიაწოდოს კონკრეტული რეკომენდაციები, თუ რა გზებით უნდა გაიმჯობესოს შედეგი. მიწოდებული უკუკავშირი

მოსწავლეს ეხმარება, საკუთარი მიღწევების გამო განიცადოს კმაყოფილების გრძნობა, გააცნობიეროს არსებული სისუსტეები და რეკომენდაციების საფუძველზე შეიტანოს ცვლილებები სწავლის პროცესში.

წერილობითი უკუკავშირი

წერილობითი უკუკავშირი არის მოსწავლისთვის წერილობითი სახით კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება მისი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ. წერილობითი კომენტარის გამოყენება შეგვიძლია საშინაო დავალების, დამოუკიდებელი საკლასო სამუშაოს, თუ პორტფოლიოს შეფასებისთვის.

უკუკავშირის მიცემისას მასწავლებელი, შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ჯერ აღნიშნავს ნამუშევრის ძლიერ მხარეს, შეცდომის არსებობის შემთხვევაში კი აწოდებს რეკომენდაციებს. რეკომენდაციების მიწოდებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შეხსენება და თანმიმდევრული დახმარება. თანმიმდევრული დახმარება შეიძლება განხორციელდეს შეკითხვების დასმის, აღწერისა და მაგალითის/ნიმუშის შეთავაზების ფორმით.

გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითებს:

შეხსენება

- იმისთვის, რომ სწორად გამოთვალო მართკუთხედის პერიმეტრი, საჭიროა, კიდევ ერთხელ ჩახედო წესს, სახელმძღვანელოს მე-12 გვერდზე;
- იმისთვის, რომ ესეს ჰქონდეს ლოგიკური თანმიმდევრობა, ყურადღება მიაქციე კრიტერიუმებს, ეს დაგეხმარება თანმიმდევრობის შენარჩუნებაში.

თანმიმდევრული დახმარება – შეკითხვის დასმა

- რა ფორმულა უნდა გამოვიყენოთ მანძილის გამოსათვლელად?

თანმიმდევრული დახმარება – აღწერა

- ჰორიზონტის მხარეების აღნიშვნამდე კიდევ ერთხელ გაიხსენე, რომელი მხარე რა ასოთი აღინიშნება.

თანმიმდევრული დახმარება – მაგალითის შეთავაზება

სწორია ტოროლას გალობა და არა ტოროლის გალობა. ხმოვანი არ იკვეცება სიტყვაში „ტოროლა“.

წერილობითი კომენტარი უნდა აძლევდეს მოსწავლეს ინფორმაციას შეცდომის ადგილზე, მის ტიპზე, გამოსწორების გზებზე (შესაძლოა მოიცავდეს სახელმძღვანელოს, პარაგრაფის მითითებასა და ზუსტ ინსტრუქტაჟს). კომენტარების შემდეგ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს დაუბრუნოთ ნამუშევრები და მივცეთ დრო მათ გასასწორებლად. ბოლოს კი გასწორებულ ნამუშევარს კიდევ ერთხელ გადავხედოთ.

ზეპირი უკუკავშირი არის მოსწავლის აქტივობაზე დაკვირვების შედეგად მასწავლებლის მიერ გამოთქმული კომენტარი. ზეპირად მიწოდებული რეკომენდაციები შეიძლება იყოს როგორც ზემოთ შემოთავაზებული ფორმის, ისე შემდეგი ფრაზების მსგავსი:

- ა) ყოჩაღ, რომ შეასრულე დავალება. შეგიძლია მითხრა, რატომ ფიქრობ ასე?
- ბ) გმადლობ, რომ მოიტანე დავალება, მაგრამ მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად არის შესრულებული?
- გ) კარგია, რომ შეასრულე დავალება, მაგრამ მე ვხედავ ერთ შეცდომას, კიდევ ერთხელ გადახედე ნამუშევარს.

მასწავლებელმა არ უნდა გამოიყენოს იმგვარი კომენტარები, რომლებიც ეხება მოსწავლის პიროვნულ მხარეს. მაგ., სულელური პასუხია, ასეთი რამ თავში როგორ მოგვიდა? და ა.შ.

ურთიერთშეფასება და თვითშეფასება

შეფასებისადმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა არის, რომ მოსწავლეებს განუვითაროს საკუთარი ცოდნის შეფასების უნარი. ამისთვის აუცილებელია ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების სქემებზე/რუბრიკებზე დაყრდნობით შეფასების უნარის განვითარება.

საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. იმისთვის, რომ მოსწავლემ ნელ-ნელა

განივითაროს საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარი, საჭიროა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

- ვასწავლოთ მოსწავლეს საკუთარი სწავლის მოტივის გაცნობიერება. ეს შეიძლება მოხდეს შემდეგი ტიპის შეკითხვების დასმით: რატომ უნდა ვიცოდე? რატომ უნდა შემეძლოს? რაში შემეშლება ხელი, თუ არ მეცოდინება?
- საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა: რა ნაბიჯები უნდა გადავდგა დავალების შესასრულებლად? (დაწყებით კლასებში შეიძლება აღვნიშნოთ ნაბიჯები და მოსწავლემ დაუსვას პლიუს ნიშანი). რა რესურსები დამჭირდება ამისთვის (რა უნდა მოვიმზადო დავალების შესასრულებლად? რა სირთულეები შეიძლება შემხვდეს? როგორ უნდა დავძლიო? რა/ვინ დამეხმარება ამაში?
- შედეგის ანალიზი – უნდა ვუბასუხოთ შემდეგ შეკითხვებს: შეესაბამება სამუშაო დასახულ მიზანს? როგორ შემიძლია შევამოწმო შედეგი? რატომ დავუშვი შეცდომები? შემიძლია აღვნიშნო, რატომ დავუშვი ისინი?

ამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ კითხვარები. გთავაზობთ კითხვარის გამოყენების კონკრეტულ ნიმუშს:

ახსნილი მასალის განმტკიცებისთვის სავარჯიშოების შესრულების შემდეგ ხდება კლასის დაყოფა ოთხ ჯგუფად. მათ უნდა შეავსონ შემდეგი ტიპის კითხვარი:

- რა ვისწავლეთ დღეს ახალი?
- რომელი ინფორმაცია იყო ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო?
- რა იყო რთული?
- რა გვიშლიდა ხელს მუშაობაში?

თითოეული მოსწავლე ჯგუფის შიგნით სცემს პასუხს მხოლოდ ერთ კითხვას, ამის შემდეგ ჯგუფებიან ბავშვები, რომელთაც პასუხის გაცემა მოუხდათ ანალოგიურ კითხვაზე. ხდება პასუხების განზოგადება და წარდგენა ჯგუფის წინაშე.

შეფასების საშუალებად შეგვიძლია აგრეთვე გამოვიყენოთ გაკვეთილის მიზანზე დაყრდნობით შემუშავებული რუბრიკა და მოსწავლემ თავად აღნიშნოს, რამდენად კარგად აქვს შესრულებული დავალება:

დავალბება 1.	ძალიან კარგად შეგასრულე	კარგად შეგასრულე	ნაწილობრივ შეგასრულე დავალბება	მჭირდება დამატებითი მუშაობა
დაასახელე წელიწადის დროები და ჩა- მოთვალე მათი მახასიათებლები	ვასახელებ წელიწადის ოთხივე დროს. შემიძლია 3 ან მეტი მახასიათებ- ლის ჩამოთვლა.	ვასახელებ წელი- წადის ოთხივე დროს. შემიძლია 1 ან 2 მახასიათებლის, ფაქტის დასახე- ლება.	ჩამოვთვალე წელიწადის ოთხივე დრო.	ვერ ვასახელებ წელიწადის ოთხივე დროს.

დაუმთავრებელი წინადადებები

თვითშეფასების უნარის გასავითარებლად მასწავლებელს აგრეთვე შეუძლია ტექნიკის „დაუსრულებელი წინადადებები“ გამოყენება. მასწავლებელი ურიგებს თითოეულ მოსწავლეს ფურცლებს, სადაც მათ უნდა დაასრულონ წინადადებები:

- თემის ირგვლივ მე ვიცი.....
- ჩემთვის საინტერესოა...
- მე მინდა გავიგო მეტი.....

ფურცლებს აგროვებს მასწავლებელი, არასაგაკვეთილო დროს აანალიზებს შედეგებს და მათზე დაყრდნობით გეგმავს მომდევნო გაკვეთილს.

თანაკლასელების შეფასება ეხმარება მოსწავლეებს, რომ სხვათა შეფასების დროს თავადაც გაიმყარონ ცოდნა გარკვეულ საკითხებში. ურთიერთშეფასების დადებითი მხარე გახლავთ ის, რომ მოსწავლეები სწავლობენ სხვის ნამუშევრებში ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას და ამით ანალიზებენ საკუთარ პროგრესსაც.

ურთიერთშეფასებისთვის შესაძლებელია შემდეგი ტექნიკების გამოყენება:

- ნამუშევრების გაცვლა/შეფასება;
- ურთიერთგამოკითხვა გეგმის მიხედვით;
- კომენტარების დართვა.

გთავაზობთ კონკრეტულ ნიმუშებს:

შინაგანი და გარეგანი წრე

საგანი: მათემატიკა

მიზანი: მოსწავლეები გაამრავლებენ ერთნიშნა რიცხვებს ნ-ზე.

მოსწავლეები ცოდნას გამოიყენებენ ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნისას.

მიმდინარეობა: მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს წებოვან ქაღალდებს, რომლებზეც წერია რიცხვი 1 ან 2; თითოეული მოსწავლე აწერს თავის სახელს ფურცელზე და იმაგრებს მას.

N1 სოფო

N2 დათო

მოსწავლეები ნომრით ერთი ქმნიან ერთ ჯგუფს, ნომრით 2 – მეორე ჯგუფს. მოსწავლეები ნომრით 1 ქმნიან შიდა წრეს, ნომრით 2 – გარეთა წრეს. მოსწავლეები დგებიან ერთმანეთის პირისპირ. ნომრით 2 იღებენ დავალებებს გამრავლებაზე, ნომრით 1 – გაყოფაზე (ფურცლის უკანა მხარეს არის ჩაწერილი პასუხები, მოსწავლეებმა შეიძლება ეს თავიდან არც კი იცოდნენ).

ამის შემდეგ ერთმანეთის პირისპირ მდგომი მოსწავლეები უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს. თუ სწორად გაეცა პასუხი, გულზე მიმაგრებულ ბარათზე წერენ დავალების ნომერს. შემდეგ გარეთა წრის მონაწილეები გადავლენ ერთი ნაბიჯით მარცხნივ (შიდა წრის მოსწავლეები უცვლელად ინარჩუნებენ ადგილს). იქმნება ახალი წყვილი, რომელიც იმეორებს პროცედურას. პროცედურა გრძელდება მანამ, სანამ მოსწავლეები არ დაუბრუნდებიან საკუთარ ადგილს. მოსწავლეები სხდებიან ადგილზე და ითვლიან, თუ რამდენ დავალებაზე აქვთ სწორად გაცემული პასუხი.

მასწავლებელი იწყებს მუშაობას შეცდომების გასწორებაზე. ის ასახელებს ამოცანის ნომერს, მოსწავლეები სწევენ ხელს, თუ ვერ იპოვეს ნომერი საკუთარ ბარათზე. განიხილავს მაგალითს მთელ კლასთან ერთად.

ორი ვარსკვლავი და სურვილი

აღნიშნული ტექნიკის გამოყენება სასურველია ესეების შემოწმებისას. მასწავლებელი აწყვილებს მონაწილეებს და სთხოვს ერთმანეთის დავალებების გასწორებას. პრინციპი არის შემდეგი: მოსწავლეები პოულობენ ორ დადებით ასპექტს, და გამოთქვამენ სურვილს, თუ რა არის გასაუმჯობესებელი (მოსწავლელთა კომენტარები შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი). მოსწავლეებს ეძლევათ გარკვეული დრო „სურვილების“ გასარჩევად და ნამუშევრების შესასწორებლად.

ზემოთ შემოთავაზებული საშუალებები არ უნდა იქცეს პედაგოგისთვის თვითმიზნად. ეს არის ინფორმაციის მოპოვების ხერხები, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს მომდევნო მეცადინეობები. შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად მასწავლებელი გამოავლენს საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით კარგად აითვისეს მოსწავლეებმა, იმ უნარებს, რომლებიც მოსწავლეებს უკვე აქვთ განვითარებული და იმ საკითხებს, რომლებსაც სჭირდება დამატებითი მუშაობა, აგრეთვე უნარებს, რომელთა ფორმირებაც ჯერ არ მომხდარა. საჭიროა სწავლის პროცესის და მისი შედეგების ანალიზი არა მხოლოდ მასწავლებლის, არამედ შემსწავლელთა მიერაც. ვინაიდან მოსწავლე, რომელიც ცდილობს გამოავლინოს საკუთარი ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეები, მეტ ძალისხმევას გაიღებს მათ გასავითარებლად.

როგორ დავეხმაროთ პირველკლასელებს სკოლაში სწავლისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაში

(კონკრეტული რეკომენდაციები და დავალებები – ნატიფი მოთმობა, სივრცეში
ორიენტაციის უნარი)

სკოლაში სწავლის დასაწყისი სრულიად ცვლის ბავშვის ცხოვრებას. იგი პირველ ნაბიჯებს დგამს საქმიან ცხოვრებაში, სადაც წამყვანი წესები და მოვალეობებია.

იმისათვის, რომ ბავშვი უმტკივნეულოდ შეეგუოს ახალ გარემოს და იოლად დაეუფლოს აკადემიურ საქმიანობას, აუცილებელია, რომ იგი იყოს მომწიფებული:

1. ფიზიკური;
2. კოგნიტური (შემეცნებითი);
3. სოციალურ-პიროვნული თვალსაზრისით.

მაგრამ გამოცდილ პედაგოგებს მოგეხსენებათ, რომ ყველა ბავშვი ერთნაირად არ არის მომწიფებული სკოლისთვის და ზოგ შემთხვევაში ერთ კლასში სხვადასხვა ასაკის ბავშვებიც ხვდებიან. თუმცა ერთი და იმავე ასაკობრივ ჯგუფში (მეტრიკული ასაკი) არიან ბავშვები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების მახასიათებლებით.

ქვემოთ დაწვრილებით შევხებით, თუ რა მოიაზრება სასკოლო მზაობაში და როგორ შეიძლება, პირველ კლასში, პედაგოგმა უზრუნველყოს სკოლაში სწავლისთვის აუცილებელი უნარების განვითარება.

ფიზიკური მზაობა

როგორც ცნობილია, გაკვეთილი განსაზღვრული წესრიგით ხასიათდება. ამიტომ, ბავშვმა სკოლაში სიარული და ყველა სასწავლო დავალების შესრულება რომ შეძლოს, აუცილებელია, ორგანიზმი ფიზიკურად განვითარე-

ბული ჰქონდეს და მტორული აპარატის მიზანდასახული მართვა შეეძლოს. დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ძვალ-ხრტილოვანი და კუნთური სისტემის მომწიფების დონეს.

ანატომიურ-ფიზიოლოგიური მომწიფებიდან ყურადსაღებია შემდეგი:

- მსხვილი კუნთების განვითარება წინ უსწრებს წვრილი კუნთების განვითარებას, ამიტომ ბავშვები უკეთ ასრულებენ შედარებით ფართო ამპლიტუდიან მოძრაობებს, ვიდრე იმ მოძრაობებს, რომლებიც დიდ სიზუსტეს მოითხოვს. უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმრავლესობას კარგად შეუძლია სირბილი, ორ და ცალ ფეხზე ხტომა, ცალ ფეხზე წონასწორობის დაცვა, ბურთით თამაში.
- ნატიფი მტორიკა განსაკუთრებით ინტენსიურად 6-7 წლის ასაკისთვის ვითარდება. მისი განვითარების შედეგია თითების სწრაფი და ზუსტი მოძრაობების შესრულებისა და თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი. ბავშვებს ამ დროისთვის უკვე თავისუფლად შეუძლიათ პლასტილინითა და ფანქრით მუშაობა, თუმცა ზოგიერთ 5-6 წლის ჯანმრთელ ბავშვსაც შეიძლება გაუჭირდეს რომბის დახატვა ან ასოების კარგად გამოყვანა.
- 6 წლისთვის იზრდება ნერვული პროცესების მდგრადობა. სკოლამდელ ასაკთან შედარებით, უფრო მეტად შეინიშნება აგზნების და შეკავების პროცესების თანასწორობა. თუმცა აგზნების პროცესი მაინც უპირატესია (რაც განაპირობებს უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ისეთ დამახასიათებელ თავისებურებებს, როგორიცაა მოუსვენრობა, მომატებული ემოციური აგზნება).

კოგნიტური (შემეცნებითი) მზაობა მოიცავს:

1. აღქმის დანაწევრებას (მოიაზრება მთელიდან დეტალების გამოყოფა და დეტალების ერთ მთლიან ხატად გაერთიანება);
2. ყურადღების კონცენტრაციას;
3. ანალიტიკურ აზროვნებას; მოვლენებს შორის კავშირის და მიმართების დამყარების უნარს;
4. ლოგიკურ დამახსოვრებას;
5. ნიმუშით ხელმძღვანელობის უნარს.

სოციალურ-პიროვნული მზაობა მოიაზრებს მოტივაციურ, სოციალურ და ნებელობით-ემოციურ სფეროს.

მოტივაციის ქვეშ სწავლის მოტივის დომინირება მოიაზრება, რომელიც მოტივების ორ ჯგუფს აერთიანებს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება:

1. სასწავლო საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული მოტივები: ესენია ბავშვის შემეცნებითი ინტერესები, ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილება.
2. მეორე ჯგუფს წარმოადგენს სწავლის ფართო სოციალური მოტივები, ანუ მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობის, მათგან შექების და აღიარების მიღების მოთხოვნილებასთან.

ზოგი მეცნიერი სწავლის მოტივთან მიღწევის მოტივსაც აერთიანებს. მიღწევის მოტივი არ არის დაკავშირებული ადამიანის საქმიანობის რომელიმე კონკრეტულ სფეროსთან და არის ზოგადად, მოტივაციური სფეროს თავისებურება, რომელიც შედეგის მიღწევისკენ სწრაფვაში ვლინდება.

სოციალური მზაობა:

1. ბავშვის თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება და უნარი, დაუქვემდებაროს საკუთარი ქცევა ბავშვების ჯგუფის წესებს;
2. მოსწავლის როლის შესრულების უნარი (გაიგოს უფროსის მოთხოვნა და შეასრულოს მაშინ, როდესაც ამას მისგან მოითხოვენ);
3. ქცევის სიტუაციის შესაბამისად მართვის უნარი.

ემოციურ მზაობაზე კი მეტყველებს:

1. იმპულსური რეაქციების შემცირება და იმპულსის შეკავების უნარი;
2. უინტერესო საქმის ხანგრძლივად კეთების უნარი;
3. ემოციის სიტყვით რეგულირების უნარი.

მაშ ასე, სასკოლო მზაობა ბავშვის ფსიქიკური განვითარების აუცილებელი და საკმარისი დონეა, რაც საჭიროა სკოლაში ბავშვის წარმატებული ფუნქციონირებისთვის.

იმისათვის, რომ ბავშვი მზად იყოს სკოლაში აკადემიური საქმიანობისთვის – წერა-კითხვისა და მათემატიკის წარმატებით ასათვისებლად და სასკოლო თუ საკლასო მოთხოვნების შესასრულებლად, აუცილებელია, მომწიფებული ჰქონდეს:

1. შემეცნებითი უნარები: აღქმა, მეხსიერება, აზროვნება;
2. მეტყველების უნარები: აზრის სიტყვებით ჩამოყალიბება და სხვისი მეტყველების გაგება;
3. პიროვნულ-ემოციური სფერო;
4. ნებელობა.

როგორ შეიძლება, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს აღნიშნული უნარების განვითარებაში?

შემოგთავაზებთ კონკრეტულ გზას და აქტივობებს, რომლებიც პატარა მოსწავლეებს განუვითარებს: ნატიფ მორტიკას, სივრცეში ორიენტაციის, მასწავლებლის მოთხოვნის შესაბამისად მოქმედების უნარებს. აღნიშნული უნარების განვითარებაზე მუშაობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებს აკადემიური უნარების (წერა-კითხვის, მათემატიკის) დაუფლებაში.

აღნიშნული დავალებების შედგენისას დავეყრდენით მოსაზრებას, რომ პატარა მოსწავლეს სასწავლო აქტივობისკენ უბიძგებს ფსიქოგენური (ახალი შთაბეჭდილების მიღების, ცნობისმოყვარეობის) და სოციოგენური (მასწავლებლის მხრიდან შექების, აღიარების) მოთხოვნილებები.

პირველი ტიპის დავალებები წარმოადგენს ლევ ვიგოტსკის სკოლის წარმომადგენლის, დ. ელკონინის მიერ შედგენილი მეთოდის „გრაფიკული კარნახის“ გართულებულ ვარიანტს. აღნიშნულ მეთოდის დ. ელკონინი სასკოლო მზაობის დასადგენად იყენებდა და მოსწავლეებს შემდეგ ინსტრუქციას სთავაზობდა:

ერთი უჯრა მარჯვნივ, ერთი უჯრა ზემოთ, ერთი უჯრა მარჯვნივ, ერთი უჯრა ქვემოთ, ერთი უჯრა მარჯვნივ, ერთი უჯრა ზემოთ, ერთი უჯრა მარჯვნივ, ერთი უჯრა ქვემოთ, ერთი უჯრა მარჯვნივ, ერთი უჯრა ზემოთ, ერთი უჯრა მარჯვნივ, ერთი უჯრა ქვემოთ, ერთი უჯრა მარჯვნივ (მიღებული ფიგურა იხილეთ დანართში, სურათი N1).

მიუხედავად მოცემული დავალების ეფექტურობისა, ბავშვებს ერთი და იმავე ორნამენტების ხატვა ძალიან ბებრდებათ. ამისათვის, ჩვენ შევიმუშავეთ


აქტივობები, სადაც ორნამენტის მაგივრად ბავშვები ხატავენ ცხოველებს, ფრინველებს, ადამიანის გამოსახულებებს, ოღონდ მათ არ იციან, თუ რა გამოვა საბოლოოდ. ბავშვები ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის ახდენენ საკუთარი ძალების აქტივაციას. ამიტომ, დავალება რომელიც პირველკლასელისგან დიდ ძალისხმევას და მოქმედების ნებელობით რეგულაციას მოითხოვს, მისთვის ძალიან სახალისო და საინტერესოა. დავალება დადებითი ემოციური მუხტით მიმდინარეობს.

გთავაზობთ აღნიშნული დავალების შესრულებისთვის საჭირო ინსტრუქციებსა და დანართის სახით – ილუსტრაციებს. საჭიროდ მივიჩნევთ დაზუსტებას, რომ დავალებების შესრულება მხოლოდ I კლასის მეორე სემესტრიდან არის მიზანშეწონილი.

ინსტრუქცია: ახლა ჩვენ სახატავ გამოცანას შევასრულებთ და სხვადასხვა ფიგურას დავხატავთ. ყურადღებით მომისმინეთ და მიჰყევით ჩემს ინსტრუქციებს. დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში თქვენ გამოსახულებას მიიღებთ. მე გეტყვით, თუ რომელ მხარეს და რამდენ უჯრაზე უნდა გაავლოთ ხაზი. როდესაც გაუსვამთ ხაზს, დამიცადეთ, სანამ მე არ გეტყვით, რა უნდა გააკეთოთ ამის შემდეგ. ყოველი ახალი ხაზი დაიწყეთ იქიდან, სადაც დაასრულეთ წინა ხაზის გასმა. არ მოაცილოთ ფანქარი ქალაქს. ყველას გვახსოვს, სად არის მარჯვენა ხელი? აწიეთ მარჯვენა ხელი. ხედავთ, მარჯვნივ ჩვენ კარი გვაქვს (ვაძლევთ რაიმე რეალურ ორიენტირს)? ასე რომ, როცა გეტყვით: გაავლეთ ხაზი მარჯვნივ, თქვენ ავლებთ კარისკენ (დაფაზე მასწავლებელი ავლებს მარჯვენა მხარეს ხაზს. მნიშვნელოვანია, რომ სანამ მოსწავლეები აქტივობას კარგად აითვისებენ, მასწავლებელმა მოახდინოს მისი დემონსტრაცია დაფაზე).


აქტივობა 1.

ახლა კი ფანქრის წვერი დადეთ აღნიშნულ წერტილზე. ყურადღებით, ვიწყებთ ხატვას. 3 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 5 უჯრა ქვემოთ, 6 უჯრა მარჯვნივ, 2 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 6 უჯრა ქვემოთ, 8 უჯრა მარცხნივ, 7 უჯრა ზემოთ, 4 უჯრა მარცხნივ. რა გამოვიდა? შეგიძლიათ გააფერადოთ.



აქტივობა 2.

1 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარჯვნივ, 5 უჯრა ქვემოთ, 6 უჯრა მარჯვნივ, 1 უჯრა ზემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 1 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარჯვნივ, 9 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 4 უჯრა ზემოთ, 6 უჯრა მარცხნივ, 4 უჯრა ქვემოთ, 1 უჯრა მარცხნივ, 9 უჯრა ზემოთ, 2 უჯრა მარცხნივ.



ამგვარად, თავდაპირველად ბავშვი კარგად ასრულებს დავალებას ცნობისმოყვარეობის გამო, შემდეგ კი ის ბავშვისათვის საინტერესო ხდება და უჩნდება დავალების კარგად შესრულების სურვილი. შემდეგ უკვე დავალება იწვევს მოქმედებას. ბავშვს უჩნდება სურვილი, რომ მოსინჯოს საკუთარი თავი ახალი დავალების შესრულებაში. ამავე დროს მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხარდაჭერა, მოსწავლის წაქეზება, მისი ძალისხმევის აღნიშვნა, წარმატების დაფიქსირება.

ბავშვები და მათი „უნიკალური“ თვისებები

გამოვლენისა და სწავლების მსოფლიო პრაქტიკა, ხელშეწყობი ფაქტორები,
კვლევის შედეგები

ცნებები „ნიჭიერი“ და „ტალანტური“ ყოველდღიურ მეტყველებაში ზოგჯერ სინონიმებად გამოიყენება, თუმცა ეს ორი განსხვავებულ ფენომენია. ნიჭიერება „მოიაზრებს“ განსაკუთრებულ ზოგად უნარებს, ხოლო ტალანტი არის სპეციფიკური უნარი/შესაძლებლობა კონკრეტულ სფეროში, მაგალითად, მუსიკაში ან ლიტერატურაში. ბავშვებს, რომლებმაც ტალანტი ძალიან ადრე გამოამჟღავნეს, ვუნდერკინდებს უწოდებენ. ამის ნათელი მაგალითია ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი. თუმცა ისიც ცხადია, რომ ნიჭიერი ბავშვები ხშირად ტალანტურებიც არიან. ვინაიდან ამ ორი ფენომენის ერთმანეთისგან დიფერენცირება პრაქტიკაში საკმაოდ რთულია, დამკვიდრებულია ტერმინი „ნიჭიერი და ტალანტური“.

რის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვი ნიჭიერი და ტალანტურია?

პრაქტიკაში ნიჭიერებად მოიხსენიებენ ბავშვებს, რომლებიც მაღალ ქულებს იღებენ ინტელექტის ტესტებში და რომლებსაც მასწავლებლები ნიჭიერ მოსწავლეებს უწოდებენ. მაგრამ ხშირად უფროსები ასეთებად მიიჩნევენ ბავშვებს, რომლებსაც აქვთ სწავლის მაღალი მოტივაცია და კარგი აკადემიური მოსწრება. აქ ერთ პრობლემას ვაწყდებით: მოსწავლეებს, რომლებიც არიან ნიჭიერები ან ტალანტურები, მაგრამ არ გამოიჩენიან აკადემიური მოსწრებით, ხშირად არ მიაკუთვნებენ ამ ჯგუფს. როსტმა და ჰანსესმა (Rost & Hanses, 1997) გამოკვლევა ჩაატარეს. მათ პედაგოგებს სთხოვეს, ნიჭიერების მიხედვით რეიტინგულად შეეფასებინათ 7000 მესამეკლასელი მოსწავლე. კვლევამ გამოავლინა, რომ ნიჭიერი, მაგრამ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა ორი მესამედი ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.

ამ კუთხით პრობლემას ვერც მხოლოდ ინტელექტის ტესტები აგვარებს. ტესტის შესრულების ხარისხზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას: დაღლი-

ლობა, მოტივაციის უქონლობა, ამგვარი ტესტების შესრულების გამოცდილების ქონა ან უქონლობა, ცდის პირისა და ექსპერიმენტატორის პიროვნება...

საინტერესო პრაქტიკა არსებობს აშშ-ში. შეერთებული შტატების სახელმწიფო კანონის თანახმად (91-230), ნიჭიერი ბავშვების გამოვლენა შემდეგი კრიტერიუმებით ხდება:

- ზოგადი ინტელექტუალური უნარები;
- სპეციფიკური უნარები რომელიმე აკადემიურ დისციპლინაში;
- შემოქმედებითი აზროვნება;
- ლიდერობა;
- განსაკუთრებული უნარები ხელოვნების რომელიმე სფეროში;
- ფსიქომოტორული უნარები.

ფსიქოლოგებმა რანზულიმ, რაისმა და სმიტმა (Ranzulli, Reis & Smith, 1981) დაადგინეს, რომ ნიჭიერება მოიაზრებს შემდეგი სამი ფაქტორის კომბინაციას:

- კარგი აკადემიური მოსწრება/მაღალი ქულები ინტელექტის ტესტში;
- შემოქმედებითი უნარები (რაც გამოიხატება ახალი იდეების წამოყენებითა და პრობლემური ამოცანების არასტანდარტულად გადაჭრით);
- მიზანდასახულობა.

მიიჩნევა, რომ რანზულის მიერ შემუშავებული პიროვნული მახასიათებლების სკალა კარგი რესურსია ნიჭიერი მოსწავლეების გამოსავლენად. ამ სკალაზე დაყრდნობით რანზულიმ და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ განსაკუთრებული ნიჭიერებით ბავშვების 20% გამოირჩევა.

გარდა ამისა, ხაზი გაესვა იმ ფაქტორს, რომ კულტურა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ნიჭიერებას. კერძოდ, თუ კულტურაში ნიჭიერება და ტალანტურობა მნიშვნელოვან თვისებებად განიხილება, მის განვითარებაზე სათანადოდ ზრუნავენ.

ნიჭიერი ბავშვების სწავლების სწავლების პრაქტიკა

ნიჭიერი ბავშვების სწავლებისადმი ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: აქ-

სელერაცია და გამდიდრება. ორივე მიდგომის გამოყენება შესაძლებელია როგორც ჩვეულებრივ კლასში, ისე განსაზღვრული პროფილის სკოლებში.

აქსელერაციის პროგრამის დროს ბავშვები დაჩქარებულად გადიან სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მასალას, გამდიდრებული პროგრამით კინიჭიერ მოსწავლეებს დამატებით მასალებსა და მომსახურებას სთავაზობენ.

გამდიდრებული პროგრამით სწავლებისას ბავშვებს შეუძლიათ, საგაკვეთილო პროცესის მიღმა საკუთარი შესაძლებლობების კვალობაზე აირჩიონ სასურველი წრე/წრეები. გარდა ამისა, სკოლებს აქვთ რესურს-ოთახები, სადაც ბავშვებს შეუძლიათ იმუშაონ ამა თუ იმ პროექტზე. მსურველთა რაოდენობა შეუზღუდავია. ბავშვს შეუძლია, სურვილისამებრ დატოვოს ან შეიცვალოს წრე.

აქსელერაციის პროგრამის ყველაზე გავრცელებულ ფორმად მიიჩნევა მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით (Gross, 1992), აქსელერაციის პროგრამაში ჩართვამდე მოსწავლეები მოწყენილობასა და ფრუსტრაციას (წინააღმდეგობას მოთხოვნილების დამყოფილების გზაზე) უჩიოდნენ, პროგრამაში ჩართვის შემდეგ კი მათ აუმაღლდათ თვითშეფასება და პრეტენზიის დონე. ეს პრაქტიკა დღემდე პოპულარულია ჩინეთსა და ავსტრალიაში. მაგრამ ამ მიდგომას მრავალი მოწინააღმდეგეც ჰყავს. მას ხშირად აკრიტიკებენ. საქმე ის არის, რომ მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანისას ორიენტაციას იღებენ მხოლოდ წარსულ მიღწევებზე, არ ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, კონკრეტულ მოსწავლეზე მორგება. თანაც მოსწავლეებს სწავლა უხდებათ მათზე უფროსი ბავშვების გარემოცვაში, რაც ხელს უშლის მათ სოციალიზაციას და დაბრკოლებას უქმნის თანატოლებთან „სოციალურ ჰარმონიას“.

გამდიდრებული პროგრამის სასარგებლოდ კი იგივე არგუმენტი მეტყველებს, რაც აქსელერაციის პროგრამის საწინააღმდეგოდ: ამ დროს ბიანი არ ადგება მოსწავლის სოციალურ განვითარებას, ბავშვი სწავლობს თანატოლების წრეში, ოღონდ ეძლევა შესაძლებლობა, გაიღრმავოს ცოდნა ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოსწავლის შესაძლებლობათა და ინტერესთა გათვალისწინებით ადგენენ. ამ გეგმაში გაწერილია ბავშვის სწავლების ფორმა, მეთოდები, მასალა, აგრეთვე – სტრატეგიები მეტაკოგნიტური უნარებისა და მოტივაციის განვითარებისთვის.

ნიჭის გამოვლენის/განვითარების ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიჭიერი ბავშვების სწავლებისას ძალზე მნიშვნელოვანია სწავლის მოტივაციის შენარჩუნებაზე ზრუნვა, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ცხოვრებაში წარმატებას ვერ აღწევენ. მეცნიერები თორანსი და სისკი (Torrance & Sisk, 1997) ამ ფაქტს შემდეგი მიზეზებით ხსნიან: მშობლებს ხშირად მხოლოდ ის აინტერესებთ, რა ნიშანი მიიღო მათმა შვილმა და არა ის, რა იცის მან. ხშირად წარმატების განმსაზღვრელად სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ ტესტის წარმატებით ჩაბარება მიიჩნევა; სწავლების პროცესი ნიჭიერი ბავშვებისთვის ან ძალზე მოსაწყენია, ანდა, გადმოდირებული პროგრამის შემთხვევაში, მათ აწვდიან წმინდა მეცნიერულ, თეორიულ ცოდნას, რომლის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობასაც მოსწავლეები ვერ ხედავენ; ან იგი არ შეესაბამება მათ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასაკს და არ ითვალისწინებს სწავლის ინდივიდუალურ სტილს.

ოჯახური გარემო

წარმატების ხელშემწყობი ფაქტორების დასადგენად თორმანმა და ოდენმა (Terman & Oden, 1959) 100 წარმატებული მოსწავლის მონაცემები 100 ნაკლებ წარმატებული მოსწავლისას შეადარეს. განსხვავება უმთავრესად ოჯახურ გარემოში აღმოჩნდა. წარმატებულ მოსწავლეთა მშობლები თვითონაც ბევრს კითხულობდნენ, ხელს უწყობდნენ ბავშვების შემეცნებითი ინტერესების გაღვივებას (ხალისით პასუხობდნენ მათ შეკითხვებს, აწვდიდნენ მათთვის საინტერესო ინფორმაციას), ზრუნავდნენ ინიციატივის, დამოუკიდებლობის განვითარებაზე, ადეკვატური პრეტენზიის დონის ჩამოყალიბე-

ბაზე უფრო მეტად, ვიდრე იმ მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც ნაკლები წარმატებით გამოირჩეოდნენ.

საკლასო გარემო

მიიჩნევა, რომ ნიჭიერება და კრეატიულობა შეიძლება წახალისოს საკლასო გარემომ – სწავლების მეთოდებმა (დიკუსია, გონებრივი იერიში, როლური თამაშები, ინტერაქციული ლექცია) და მართვის სტილმა, რომელსაც მიმართავს პედაგოგი (მაგალითად, დემოკრატიული – მოსწავლეზე ორიენტირებული ან ავტორიტარული – მასწავლებელზე ორიენტირებული).

ჰედონმა და ლიტონმა (Haddon & Lytton, 1968) აღწერეს ორი ტიპის სკოლა, რომლებსაც პირობითად „ფორმალური“ და „არაფორმალური“ უწოდეს. „ფორმალური“ სკოლები ორიენტირებულია მასწავლებელზე. დავალებები სრულდება ინდივიდუალურად, მოტივაცია უმთავრესად გარეგანია – ნიშნები; ანუ ეს არის სწავლების იმგვარი სტილი, რომელსაც ჩვენ დირექტიულს ვუწოდებთ.

„არაფორმალური“ სკოლები კი მოსწავლეზეა ორიენტირებული (კონსტრუქტივისტულია). აქ გათვალისწინებულია სწავლის სტილი, კლასში მოსწავლეები თავად ირჩევენ, სად დასხდნენ, თვითონვე ირჩევენ საკითხის ფარგლებში საპრეზენტაციო თემებს და მოტივაციაც აქ უფრო მეტად სწავლასწავლების პროცესით სიამოვნების მიღებაა. დიდი დრო და ყურადღება ეთმობა თვითრეგულაციის უნარებისა და პიროვნულ-ზნეობრივ განვითარებას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ „არაფორმალურ“ სკოლებში მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარი მათზე მეტად აქვთ განვითარებული, ვინც განათლებას „ფორმალური“ ტიპის სკოლებში იღებს.

მასწავლებელთა მოლოდინების გავლენა მოსწავლეთა წარმატებებზე

არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება მოლოდინმა გავლენა მოახდინოს რეალობაზე. ამ მიმართულებით როზენტალმა და ჯეიკობ-

სონმა (Rozenthal & Jacobson, 1968) საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს. მათ სკოლის მასწავლებლებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს ახასიათებთ უცაბედი „გამოცოცხლება“. ამის შემდეგ მათ ინტელექტის ტესტი ჩაუტარეს მოსწავლეებს და მიღებული შედეგები მასწავლებლებს გააცნეს, მაგრამ მაღალი ინტელექტით გამოირჩეულ მოსწავლეთა გვარების ნაცვლად მიაწოდეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული მოსწავლეთა გვარები. წლის ბოლოს აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები, რომელთაგანაც მასწავლებლები კარგ შედეგებს მოელოდნენ, გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით, თანაც იმავე ტესტის გამეორებით ჩატარებისას ინტელექტის უკეთეს მაჩვენებლებს წარმოაჩენდნენ. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თვალშისაცემი გაუმჯობესება მხოლოდ პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებში გამოიკვეთა.

ეს ექსპერიმენტი სხვა მეცნიერებმა მრავალჯერ გააკრიტიკეს. ამასთან, როდესაც იგი სხვა მეცნიერებმა გაიმეორეს, შედეგები ასეთივე არ აღმოჩნდა. განათლების ფსიქოლოგიაში ცნობილია აგრეთვე ბროფისა და გუდის (Brofy & Good, 1974) გამოკვლევები, რომელთა შედეგადაც მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოიკვეთა: თურმე პედაგოგები უფრო მეტს ელიან იმ მოსწავლეთაგან, ვინც მეტად დამჯერე და მოწესრიგებულია და პედაგოგთანაც უფრო ახლოს ბის, ვიდრე იმათგან, რომლებიც ნაკლებად მოწესრიგებულნი ცხადდებიან გაკვეთილზე და ხშირად არღვევენ დისციპლინას. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: განსხვავებულია მოლოდინები გოგონებისა და ვაჟების მიმართ. ბევრს მიაჩნია, რომ გოგონები უკეთ უნდა სწავლობდნენ ჰუმანიტარულ საგნებს, ვაჟები კი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ: ნიჭიერი და ტალანტური მოსწავლეების (და არა მხოლოდ მათი) მოტივირება დიდად არის დამოკიდებული სასწავლო გარემოზე, მშობლების ჩართულობა-სა და მასწავლებელთა მოლოდინზე. მიიჩნევა, რომ რაც უფრო დადებითად ვართ განწყობილნი პატარების მიმართ, რაც უფრო უკეთეს შედეგს მოველით მათგან, ბავშვებიც მით მეტად არ იშურებენ ძალ-ღონეს, რომ თავიანთი „უნიკალური“ მხარეები წარმოაჩინონ.

სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევა – დისლექსია

ჩვენ სამყაროში გარშემორტყმულები ვართ დაწერილი ფრაზებით, სიტყვებით. ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ბავშვები ხშირად გვეკითხებიან, თუ რა წერია ამა თუ იმ წიგნზე თუ აბრაზე. მიუხედავად იმისა, რომ დაწერილი ტექსტების მიმართ სკოლამდელ ბავშვებსაც აქვთ ბუნებრივი ინტერესი, თვითონ კითხვისა და წერის სწავლების პროცესი ხანგრძლივ და ზოგიერთი მოსწავლისათვის დამღლეულ პროცედურებთან არის დაკავშირებული.

კითხვის ყველაზე გავრცელებული განმარტებებია:

„კითხვა გამოსახული სიმბოლოების მნიშვნელობის ინტერპრეტაციაა“ ან „კითხვა მრავალმხრივი უნარია, რომელიც გულისხმობს გამოსახული სიმბოლოების დეკოდირებას აზრის გაგების მიზნით“.

იმისთვის, რომ მონიშნული ფრაზები წაიკითხოთ, თქვენ ერთდროულად:

1. ახდენთ ყურადღების კონცენტრირებას დაბეჭდილ ასოებზე და მართავთ თვალის მოძრაობას ფურცელზე;
2. გარდაქმნით ასოებს ბგერებად;
3. აგებთ აზრებსა და წარმოდგენებს;
4. ადარებთ ინფორმაციას მანამდე არსებულ ინფორმაციას;
5. იმახსოვრებთ აზრებსა და ასოციაციებს.

ახალბედა მკითხველისთვის რთულია ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების შესრულება, თუმცა ნელ-ნელა ხდება მისი ავტომატიზება. მაგრამ ალბათ ყველას შეგვხვედრია მოსწავლე, რომლისთვისაც ზემოთ აღწერილი ოპერაციების განხორციელება განსაკუთრებით რთულია.

პრობლემის მიზეზი კი შეიძლება დასწავლის უნარის დაქვეითება, კერძოდ, დისლექსია იყოს.

სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებით, სკოლის ასაკის ბავშვების 3-6%-ს აქვს კითხვის პრობლემები. დისლექსია გვხვდება ყველა კულტურაში და სოციალურ ჯგუფში. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ ვაჟებში დისლექსია უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე გოგონებში.

კითხვის უნარის დარღვევის დიაგნოზის დასმა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ბავშვის კითხვის დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ეს მის ასაკს, ინტელექტის დონესა და ასაკის შესაფერის განათლების დონეს შეესაბამება.
- დარღვევა ხელს უშლის ბავშვს აკადემიურ მიღწევებში და ყოველდღიური ცხოვრების იმ აქტივობებში, რომლებიც მოითხოვს მისგან კითხვის უნარებს.
- კითხვის უნარის დარღვევის დიაგნოზის დასმა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ კითხვის პრობლემები მხედველობის პრობლემებით არის გამოწვეული.

აღნიშნული პრობლემის მქონე მოსწავლეებს ხშირად ეშლებათ ერთმანეთში მსგავსი მოყვანილობის ასოები (წ, შ, ძ, ხ), კითხვისას ახდენენ ასოების გადანაცვლებას (მზე/ზმე), ბგერების „ჩაყლაპვას“ (ველოპედი – ველოსიპედის ნაცვლად).

დისლექსიის შემთხვევაში კითხვის პროცესში ვლინდება შემდეგი პრობლემები:

- ბავშვებს უჭირთ ასოების ცნობა და ბგერასთან მათი დაკავშირება;
- კითხვისას ბავშვები სიტყვებს ცვლიან მსგავსი სიტყვებით;
- სიტყვას ცვლიან სინონიმით;
- მათ უჭირთ პატარა სიტყვების (კავშირების, ნაცვალსახელების) ამოკითხვა;
- უჭირთ წაკითხულიდან აზრის გამოტანა.

კითხვის გარდა ბავშვების პრობლემები ვლინდება სივრცეში ორიენტაციისას:

- უჭირთ გაგება შემდეგი მიმართულებების: მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ;

- მათთვის გაუგებარია ჰორიზონტის მხარეების აღმნიშვნელი ცნებები: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი.

ზოგ შემთხვევაში პრობლემები თავს იჩენს წერის დროსაც. კერძოდ:

- მათ მიერ დაწერილი წინადადებები ძალზე მოკლეა;
- მათ ბევრი დრო სჭირდებათ წერისას;
- ისინი არ იყენებენ სასვენიშნებს, უგულებელყოფენ გრამატიკულ წესებს;
- არ ტოვებენ მანძილებს სიტყვებს შორის, სცილდებიან ხაზებს;
- ტექსტში ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვაგვარად წერენ.

სირთულეები თავს იჩენს თანმიმდევრული მოქმედების შესრულებისასაც:

- ბავშვებს უჭირთ ზონრების შეკვრა, ვინაიდან ეს რამდენიმე მოქმედების თანმიმდევრულ განხორციელებას მოითხოვს.

მექანიკური დამახსოვრების სირთულე:

- მათთვის რთულია გამრავლების ტაბულის, ფაქტების, თარიღების, გვარების დამახსოვრება.

დროის ცნობა – მისი მართვა:

- მათ უჭირთ ციფერბლატიან საათზე დროის ცნობა. იბნევიან იმის განსაზღვრისას, თუ რას უჩვენებს დიდი ისარი და რას – პატარა;
- უჭირთ კვირის დღეებისა და თვეების თანმიმდევრობის დამახსოვრება.

სივრცის ორგანიზება:

- უჭირთ სივრცეში ობიექტების მონახვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ საგანი ძალზე გამოსაჩენ ადგილზე არ დევს;
- ისინი ხშირად კარგავენ ნივთებს;
- მათ უჭირთ ნივთების მოწესრიგება სამუშაო მაგიდაზე ან ჩანთაში.

დისლექსია სხვა პრობლემებთან ერთადაც გვხვდება ხოლმე, კერძოდ, ყურადღების დეფიციტთან ან სინათლისადმი მგრძნობელობასთან ერთად. დისლექსიის მქონე ადამიანების 3-8%-ს ახასიათებს სინათლისადმი მგრძნობელობა, მათთვის ფურცლის სითეთრე უფრო მოსახვედრია თვალში, ვიდრე შავი შრიფტით დაწერილი ასოები. ასეთი ადამიანები ცდილობენ წიგნის ისე დაჭერას, რომ მას სინათლე არ ეცემოდეს.

ნეიროფიზიოლოგიური ფაქტორები

მიიჩნევა, რომ დისლექსიას ადგილი აქვს ტვინის მცირე დისფუნქციას. მცირე დარღვევა ლოკალიზებულია ტვინის უბანში *Planum temporal*, რომელიც მოთავსებულია თავის ტვინის ქერქის სმენის ზონაში. ჩვეულებრივ, *Planum temporal* უფრო ფართოა ტვინის მარცხენა ჰემისფეროში. დისლექსიის შემთხვევაში კი აღნიშნული უბნები თანაბარი ზომისაა. ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ კითხვა, ხშირად აქვთ სწრაფი მეტყველების გაგების, კერძოდ კი, ფონემების გარჩევის პრობლემა (Hynd, Marshal & Gonzalez, 1991).

რაც შეეხება ფერის, ფორმისა და მოძრაობის აღქმას, ამ დროს აქტიურდება ტვინის ქერქის მხედველობის ზონა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კითხვის პრობლემების მქონე ადამიანებთან არ აქტიურდება აღნიშნული ზონა, მაშინ, როდესაც ადამიანი უყურებს მოძრავ წერტილებს. ეს დისფუნქცია შესაძლოა უფრო სერიოზულ პრობლემებსაც იწვევდეს.

სამაგიეროდ, ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ რიგ შემთხვევებში მარჯვენა ჰემისფეროს დომინირების გამო კითხვის პრობლემის მქონე ბავშვები გამოირჩევიან შემოქმედებითი ამროვნებით, წარმოსახვის კარგი უნარით, ხატვის ან მუსიკალური ნიჭით.

ამგვარად, მიიჩნევა, რომ კითხვის პრობლემების ფიზიოლოგიური საფუძველი ორი ძირითადი ფაქტორით არის გამოწვეული: 1) ნევროლოგიური ხასიათის – ფონემების აღქმისა და გარჩევის; 2) მხედველობითი ინფორმაციის დამუშავების – ქცევისა და ფიზიოლოგიური ანომალიებით.

დისლექსიის მქონე მოსწავლის პირველი და მნიშვნელოვანი დახმარება მისი დიაგნოსტიკაა. დისლექსიის შესაფასებლად აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახის ისტორიის, ზოგადი ინტელექტის კოეფიციენტის, ემოციური სფეროს, საბაზო აკადემიური უნარების გათვალისწინება. აუცილებლად უნდა შეფასდეს ბავშვის კითხვის, წერის, იმპრესიული და ექსპრესიული მეტყველების უნარები. ბავშვს აფასებენ: ბავშვთა ნევროპათოლოგი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, პედაგოგი.

სწავლებისას მიიჩნევენ, რომ სასურველია ფონეტიკური მეთოდისა და მთლიანი ენის მიდგომის კომბინირება (Hamill, 1993). ასევე სასურველია

მულტისენსორული მეთოდის გამოყენება (როდესაც კითხვის სწავლები-სას ჩართულია მხედველობითი, სმენითი, კინესთეტიკური და ტაქტილური შეგრძნებები). თუ „ჩვეულებრივი“ მკითხველი ინფორმაციას მეტად იღებს ვიზუალური ან სმენითი არხებით, დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლე მას შეხებით ან თამაშით იღებს.

პრობლემის მიზეზის დადგენის შემდგომ დისლექსიის მქონე ბავშვებთან მუშაობა შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობს ხოლმე:

ა) ფონემური ცნობიერების გასავითარებელი სავარჯიშოები:

- მუშაობა ფონემების ერთმანეთისგან გარჩევაზე;
- ზრუნვა მოსწავლის სმენითი მეხსიერების განვითარებაზე;
- მუშაობა ბგერების იდენტიფიცირებაზე;
- მუშაობა მარცვლების ბგერებად დაშლაზე.

ბ) ვიზუალური სავარჯიშოები:

- მოსწავლის დახმარება, რათა მან განასხვავოს ასოები ერთმანეთისგან.

გ) ასოების წერა:

- მოსწავლის დახმარება ასოს ცნობაში და ნიმუშზე დაყრდნობით მის მოხაზვაში;
- ასოების წერის ჩვევის ავტომატიზება.

დ) თანმიმდევრული სავარჯიშოები:

- ასოების დალაგება ანბანის მიხედვით;
- ლექსიკონში სიტყვის სწრაფად მოძიების უნარის განვითარება.

ე) სავარჯიშოები სივრცეში ორიენტაციაზე:

- მხარეების (მარჯვენა/მარცხენა) გარჩევაზე მუშაობა;
- სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარება.

ვ) სავარჯიშოები შეგრძნების სხვადასხვა არხების გამოყენებაზე:

- მუშაობა ბგერის აღქმაზე, მისი გამოსახულების დახსოვებაზე, ასოს სწორად მოხაზვაზე, გამოთქმაზე.

ბ) სავარჯიშოები ვიზუალიზაციაზე:

- ვინაიდან დისლექსიის მქონე ბავშვებს უჭირთ იმგვარი სიტყვების ამოკითხვა, რომლებსაც ვიზუალური ხატები არ გააჩნია, მათთვის საჭიროა ვიზუალური ხატების მოფიქრება.

თ) სავარჯიშოები კითხვის მოქნილობაზე:

- ამოცნობის გარეშე ასო-ასო კითხვა;
- ხმამაღალი კითხვისას საკუთარი ხმის მოსმენა.

ი) კარნახით წერა:

- სმენითი მეხსიერების გავარჯიშება;
- მოსმენილი სიტყვების დამახსოვრება და შემდეგ მათი ჩაწერა.

კ) სავარჯიშოები არტიკულაციაზე:

- მუდმივი მუშაობა ბგერების სწორად გამოთქმაზე.

ლ) სავარჯიშოები ტექსტის გაგება /გააზრებაზე:

- ზეპირი მეტყველების განვითარება, ტექსტის წაკითხვამდე არსებული ინფორმაციის გააქტიურება, გახსენება. ამგვარი სავარჯიშოები ხელს უწყობს მოტივაციის აღძვრასაც.

მ) კომპიუტერული თამაშები:

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისლექსიის მქონე მოსწავლეებს უჭირთ ფონემების (ბგერების) გარჩევა, მეტადრე მაშინ, როდესაც ინფორმაცია სწრაფი ტემპით მიეწოდებათ. ამიტომ, მეცნიერებმა შეიმუშავეს თამაში 5-10 წლის ბავშვებისთვის, სადაც მათ უხდებოდათ ბგერების გამოცნობა და ამ გზით ქულების დაგროვება. თავდაპირველად ბგერები გამოითქმებოდა გაწელილად, თანდათან კი მცირდებოდა გამოთქმის დრო და ერთი ბგერა ებმებოდა მეორეს. მკვლევარების დაკვირვებით, ბავშვებს, რომლებიც თანატოლებს სამეტყველო განვითარების კუთხით 1-3 წლით ჩამორჩებოდნენ, 4 კვირის განმავლობაში გვარიანად განუვითარდათ ფონემების გარჩევის უნარი. განვითარებული უნარი შენარჩუნებული იყო 6 კვირის შემდეგაც (Habit et al, 1999; Hitzhzoek & Noonan, 2000). დღეს მრავლადაა იმგვარი კომპიუტერული თამაშები, სადაც ხდება ბგერის დაკავშირება ასოსთან და ასო იწერება სწორი მიმართულებით.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულებაში

„საღამოს 7 საათს ჩვენს სახლში თამამად შეიძლება ეწოდოს „ტრავმების დრო“. ეს ის დროა, როდესაც ჩვენი სამი შვილი, 7, 10 და 13 წლისა, სამეცადინოდ სხდებიან. ამ დროს იწყება ხვეწნა-მუდარა, ვაჭრობა და გაღიზიანება. უდავოა, რომ საშინაო დავალების შესრულება აუცილებელია, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, რომ მეცადინეობამ უომრად ჩაიაროს?“

ეს წერილი მრავალშვილიანმა დედამ ამერიკელ პედაგოგ მიშელ ბორბას (ავტორს წიგნისა „უარი ცუდ ქცევას: 38 პრობლემური ქცევა და მათი აღმოფხვრის გზები“) მისწერა. ალბათ დაგვეთანხმებით, ჩვენი მოსწავლეების მშობლებიც ხშირად შემოგვიჩვიან ამავეს.

კვლევებით დადგენილია, რომ საშინაო დავალებების შესრულება ყველაზე შედეგიანია უფროსკლასელებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას კვირში 5-10 საათს უთმობენ. ამავეს თქმა შეიძლება საბაზისო საფეხურის მოსწავლეებზეც. ნაკლებად შედეგიანია ის უმცროსკლასელთათვის (აქ ყურადღება უნდა მიექცეს დავალების მოცულობას, შინაარსობრივ სირთულეს და ა.შ.). მაგრამ როდესაც საშინაო დავალება შეესატყვისება მოსწავლის შესაძლებლობებს და ოჯახიც პასუხისმგებლობით ეკიდება ამას, ამ დროს ხდება ისეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარება, როგორებიც არის მიზანმიმართულება და ორგანიზება.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უნარების განვითარება მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ უფროსები ასრულებენ გემის მიმცემის, დამხმარის და არა დავალების „შემსრულებლის“ როლს.

გთავაზობთ შვიდ სტრატეგიას დავალების შესრულებაში პატარების და-სახმარებლად:

1. პირველი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაო სივრცის მოწყობა. ეს შეიძლება იყოს როგორც ცალკე ოთახი, ისე სახლის ნებისმიერი

მყუდრო კუთხე კარგი განათებით. ბავშვის დახმარებით განათავსეთ იქ ყველა საჭირო ნივთი: საწერი კალმები, ფანქრები, სახაზავები, ლექსიკონები. სამეცადინო ადგილის მოწყობაში ბავშვიც ჩართეთ. მაგალითად, დაავალეთ მოამზადოს ყუთები ნივთების ჩასაწყობად და დააწეროს (თუ წერა ჯერ არ იცის, დაეხმარეთ), რას ინახავს ამა თუ იმ ყუთში.

2. ითანამშრომლეთ მასწავლებელთან. გაარკვიეთ, როდის ცხადდება ტესტირების/შემაჯამებელი აქტივობის თარიღები; როდის ხდება წაკითხული წიგნების ანგარიშების წარდგენა, რა კრიტერიუმებით ფასდება მოსწავლის ნამუშევრები, რა ფორმით ითხოვენ პრეზენტაციას სკოლაში.
3. ბავშვთან შეთანხმებით შეარჩიეთ სამეცადინო დრო, ეცადეთ შეინარჩუნოთ ეს რეჟიმი მთელი წლის განმავლობაში. პატარა მოსწავლე ხალისით აგვყვებათ, თუ მასთან ერთად დახატავთ საათს და მონიშნავთ მასზე დროს, როდესაც მეცადინეობა უნდა დაიწყოს.
4. აჩვენეთ ბავშვს, რომ საშინაო დავალების შესრულებას პასუხისმგებლობით ეკიდებით, რომ ის აუცილებლად უნდა შესრულდეს და ეს მისი მოვალეობაა.
5. დაგეგმეთ მეცადინეობის პროცესი. აჩვენეთ ბავშვს, როგორ შეადგინოს შესასრულებელი დავალებების სია პრიორიტეტების მიხედვით. განუვითარეთ ჩვევა, შესრულების შემდეგ აღრიცხოს უკვე შესრულებული აქტივობა.
6. დაყავით დავალებები ნაწილებად. ეს დიდად დაეხმარება ბავშვებს, რომლებსაც უჭირთ დიდ დავალებებზე კონცენტრირება. აუხსენით, რომ ჯერ დავალების ერთი ნაწილი უნდა შეასრულოს, მერე – მეორე. წაახალისეთ იგი. თანდათანობით გაუმარდეთ დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა.
7. შემოიღეთ წახალისებისა და სანქციების სისტემა. ვინაიდან საშინაო დავალებების შესრულება ის სასურველი ქცევაა, რომელიც მოსწავლემ უნდა განახორციელოს, წაახალისეთ იგი დავალების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში. ამის საპირისპიროდ, თუ დაინახავთ, რომ მან დროულად არ დაიწყო მეცადინეობა, გააჭიანურა იგი ან არ შეასრულა რომელიმე დავალება (თუ დარწმუნებული ხართ, რომ ამისთვის საპატიო მიზეზი არ ჰქონია), დააჯარიმეთ, ჩამოართვით მისთვის სასიამოვნო სტიმული.

ვიდრე მოქმედებას შეუდგებოდეთ, აუცილებლად გააანალიზეთ, შეუძლია თუ არა ბავშვს მიცემული დავალებების დაძლევა, გაიარეთ კონსულტა-

ცია მასწავლებელთან იმის თაობაზე, რა სტრატეგიას იყენებს ის ბავშვთან, დააკვირდით, როგორ უფრო უადვილდება ბავშვს მეცადინეობა, რას აკეთებს უფრო იოლად, რომელ საგანს ითვისებს ყველაზე უკეთ.

ამის შემდეგ ბავშვთან ერთად შეიმუშავეთ სახლში მეცადინეობის გეგმა: რის შესრულება შეუძლია მას დამოუკიდებლად; სად და რა ფორმით დაეხმარებით; დაახლოებით რამდენი ხანი დასჭირდება სამეცადინოდ; წახალისების რა ფორმას გამოიყენებთ და ა.შ.

რით არის მნიშვნელოვანი მეცადინეობის პროცესის დაგეგმვა?

ეს ხელს უწყობს მოსწავლეს, თვითრეგულირებული სწავლის უნარი განვითაროს.

თვითრეგულირებული სწავლა 4 ფაზას მოიცავს. პირველია სასწავლო ამოცანის გაანალიზება. ბავშვი, სანამ დავალების შესრულებას შეუდგებოდეს, უნდა დაფიქრდეს იმაზე, რას ეხება იგი, რას ითხოვენ მისგან – ტექსტის მხოლოდ წაკითხვას, კითხვებზე პასუხის გაცემას თუ მცირე თხზულების დაწერას. თავდაპირველად თავად დაუსვით ეს კითხვები, იმსჯელეთ მასთან ერთად, გაარკვიეთ, გაქვთ თუ არა დავალების შესასრულებლად საჭირო რესურსები, მაგალითად, შესაბამისი წიგნი ან ლექსიკონი, რომელშიც უცხო სიტყვების განმარტებას მოიძიებთ.

მეორე ფაზაა მიზნის დასახვა და გეგმის შედგენა. აქ უნდა დაანაწევროთ პროცედურები, რომლებიც საჭიროა დავალების სრულყოფილად შესრულებისთვის და დრო, რომელიც, სავარაუდოდ, დაიხარჯება. მეცნიერები ფ. ვინი და დ. ჰედვინი მიიჩნევენ, რომ თვითრეგულირებადი სწავლის უნარის განვითარებას დიდად ეხმარება შემდეგი ტიპის კითხვების დასმა:

პიროვნულ ნიშან-თვისებებთან დაკავშირებული:

- რა ცოდნის გამოყენება შემიძლია დავალების შესასრულებლად?
- როგორია ჩემი თვითთვითმართება? (მჯერა, რომ დავალების შესრულებას შევძლებ?)

მიზნების დასახვა:

- რაზეა ორიენტირებული ჩემი სასწავლო მიზნები (რა ნაბიჯები არის შესასრულებელი?)
- რა საბოლოო შედეგი მოჰყვება თითოეულ ნაბიჯს?
- რა სახის ძალისხმევაა საჭირო?

გეგმის შემუშავება:

- მაქვს თუ არა მსგავსი დავალების შესრულების გამოცდილება?
- როგორ მოვახდინო პროცესის მონიტორინგი?
- შესაძლებელია თუ არა უკუკავშირი მუშაობის პროცესში?

მესამე ფაზაში მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ ბავშვს იმის გაცნობიერებაში, როგორ შეიძლება მეცადინეობის პროცესის მონიტორინგი.

რამდენად ეფექტურია თქვენ მიერ დასახული გეგმა:

- აღწევს ბავშვი დასახულ მიზანს?
- საკმარისია მუშაობის ტემპი?

მეოთხე ფაზაში ხდება სწავლის რეგულირება. თვითრეგულირების ამ დონეზე მოსწავლეები წყვეტენ, საჭიროა თუ არა ცვლილებების შეტანა 3 ზემოხსენებულ საფეხურზე. მაგალითად, წინა მასალის გადახედვა, დამატებითი ლიტერატურის მოძიება და ა.შ.

ჩვევის განმტკიცება ან მოდიფიცირება რთული, თანმიმდევრული სამუშაოა, სადაც შედეგის მისაღწევად აუცილებელია სწორი წახალისება. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ პირველი შედეგი 21 დღის შემდეგ გახდება თვალსაჩინო. აქ გასათვალისწინებელია, რომ ყველა ბავშვს სხვადასხვა შესაძლებლობები და განვითარების ტემპი აქვს, ამიტომ, როდესაც ახალი ჩვევის ჩამოყალიბებაზე ვზრუნავთ, მნიშვნელოვანია დაკვირვება ბავშვის ქცევაზე, მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

ვიოლენტა კვირიკაშვილი 141

წერიტი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით
კლასებში 143

მეტყველების საკომუნიკაციო დანიშნულება და
ზეპირმეტყველების ექსპრესიულობა 148

ზეპირმეტყველების ექსპრესიულობის
მატერიალიზაცია 154

წერიტი მეტყველების განვითარების გზები
დაწყებით კლასებში (კვაზიწერა) 159

წერით მეტყველებაზე გადასვლა და
მისი თავისებურებანი 166

წერიტი სავარჯიშოების სპეციფიკა 171

წერიტი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში

მოსწავლეთა მეტყველების დაბალი კულტურა მრავალგზის დადასტურებული ფაქტია და გადაულახავ სირთულედ არის ქცეული პრაქტიკოსი მასწავლებლების ყოველდღიურ ცხოვრებაში. არაერთი მცდელობის მიუხედავად, სწავლების სისტემაში ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. მიზეზი ბევრია: ლექსიკის სიღარიბე, ფრაზების გაუმართაობა, გრამატიკული ნორმების არცოდნა, აზრის სრულყოფილად გადმოცემისთვის საჭირო საშუალებებისადმი ზერელე დამოკიდებულება ან მათი სრული იგნორირება და სხვ.

ჩვენ არ შევჩერდებით მშობლიური ენის უპირველეს და უმნიშვნელოვანეს როლზე სასწავლო პროცესში; შევხებით მხოლოდ მისი სწავლების ძირითად საკითხებს დაწყებით საფეხურზე და წარმოგიდგენთ წერიტი მეტყველების განვითარებაზე მუშაობის ეფექტურ გზებს.

კვლევა ავითარებს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის იდეებს. ეყრდნობა პროფ. ბ. ხაჭაპურიძის, აკად. შ. ამონაშვილის, პროფ. თ. გელაშვილის თეორიულ გამოკვლევებს და წლების განმავლობაში მიმდინარე ექსპერიმენტული მუშაობის შედეგებს.

აღნიშნული მიმართულებით წარმართული საქმიანობის ეფექტი წერიტი მეტყველების პროცესის საფუძვლიანმა ანალიზმა განაპირობა.

წერიტი მეტყველების განვითარების შინაარსი მოიცავს **წერის ჩვევების ფორმირების** პროცესსა და **წერიტი მეტყველების შესაძლებლობათა** განვითარებას. გრაფიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ითხოვს სპეციალურ სისტემას. უმთავრესი ის არის, წერის ჩვევა თავიდანვე იბადებოდეს ბავშვში, როგორც წერიტი მეტყველების აქტის შემადგენელი ნაწილი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გრაფიკული ჩვევების ჩამოყალიბების პროცესს თან ახლავს


სპეციფიკური სირთულეები: ხელის სწორი მოძრაობა, ასოთა პროპორციის შენარჩუნება, სარკისებური წერის ჩვევის დაძლევა და ა. შ. თუ მთელი ყურადღება წერითი მეტყველების განვითარების შინაარსზე გადავიტანეთ, შესაძლოა, ამან წერის ჩვევების დამახინჯება გამოიწვიოს, ამიტომ ორივე მიმართულებით მუშაობაა საჭირო: ერთი მხრივ – წერითი მეტყველების შინაარსის გამდიდრება, მეორე მხრივ – კალიგრაფიული წერის ჩვევების დაუფლება.

ჩვენ შევხებით წერითი მეტყველების განვითარების შინაარსს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეტყველების დანიშნულება აზრის სხვისთვის შეტყობინებაა. ეს საკომუნიკაციო ფუნქცია საერთოა როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველებისთვის, მაგრამ მეტყველების ამ ორ სახეობაში აზრის შეტყობინების პროცესი სხვადასხვაგვარად ხორციელდება: ზეპირად წარმოთქმულ ნებისმიერ სიტყვას, ფრაზას, წინადადებას თან ახლავს ე. წ. „გამაწინადადებელი“ საშუალებები (ინტონაცია, პაუზა, მახვილი, ხმის ტონი, ჟესტ-მიმიკა), რომლებსაც მსმენელი სიტყვასთან ერთად, დაუნაწევრებლად, მთლიანობაში აღიქვამს. ეს საშუალებები ხშირად დამოუკიდებლადაც „მეტყველებენ“, მაგ., სათანადო ადგილზე გაკეთებულმა პაუზამ შესაძლოა სიტყვაზე მეტი თქვას; უსიტყვოდ გამოცემულმა სპეციფიკურმა ხმებმა ტკივილი, განრისხება, სიამოვნება გამოხატოს; ასევე უამრავი სათქმელი შეიძლება გადმოიცეს ჟესტ-მიმიკითაც (მოხმობა, დამშვიდობება, მუქარა, სინანული, სიხუმისკენ მოწოდება და ა. შ.), მაგრამ კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაზე ზეპირმეტყველების ორიენტირებულობის გამო უაღრესად ლაკონურად გადმოცემული აზრიც კი სავსებით გასაგებია.

წერითი მეტყველება განსხვავებულად, საკუთარი კანონებით იმართება. ის არის შემოქმედების, დისტანციური ურთიერთობისა და ინფორმაციის შენახვის პირობა. მას მეტყველების ალგებრასაც უწოდებენ, რადგან მოკლებულია სიტუაციურობას, ჟღერადობას, ექსპრესიულობას. იგი ზეპირ მეტყველებაზე დასრულებული და სრულყოფილია. აქ ყველაფერი დანაწევრებულად უნდა შესრულდეს: ჯერ დაიწეროს წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია და შემდეგ, ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციის შესაბამისად, სპეციფიკური საშუალებების (პუნქტუაციური ნიშნები, შინაარსის გამაძლიერებელი სიტყვები, ავტორისეული კომენტარი) დახმარებით გამოვლინდეს სუბიექტის მიზან-

დასახულობა და დამოკიდებულება გადმოსაცემი შინაარსისადმი, აქცენტი დაისვას იმ ნაწილზე, რომელზეც სურს მას მკითხველის ყურადღების გამახვილება და ა. შ. სქემატურად ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



როგორც ვხედავთ, მეტყველების ძირითადი საშენი მასალა, სიტყვა ზეპირ მეტყველებაში გამომსახველობითი საშუალებებით (ამ შემთხვევაში – ჟესტ-მიმიკით), წერაში კი სასვენი ნიშნების დახმარებით იძენს შინაარსს. ცალკე აღებული სიტყვა მისი გრაფიკული გამოსახულებაა მხოლოდ და ემოციური შინაარსისგან მთლიანად დაცლილია, თუ იგი, სამეტყველო კონტექსტის შესაბამისად, ექსპრესიული გარსით არ „შეიმოსა“.

წერიტი მეტყველების ერთ-ერთი მთავარი სირთულე სწორედ ესაა. „შესამოსელს“, ანუ პუნქტუაციურ ნიშნებს მოსწავლეები დღემდე წერიტი მეტყველების **მეორეხარისხოვან ელემენტად** აღიქვამენ და უმეტესად ან მცდარად იყენებენ, ან სრულიად უგულებელყოფენ. პრაქტიკოსებმა კარგად იციან, რომ ზოგიერთი მოსწავლე თხზულების დასრულების შემდეგ იწყებს სასვენი ნიშნების დასმას.

აღნიშნულ ფაქტს, თავის მხრივ, სხვა მიზეზი განაპირობებს. ეს არის სასვენი ნიშნების **გზადაგზა სწავლება**. ვინაიდან დაწყებით საფეხურზე ბავშვები, მაღალ საფეხურთან შედარებით, მცირე მოცულობის დავალებებს ასრულებენ, სასწავლო პროგრამა რამდენიმე ნიშნის სწავლებით შემოიფარგლება და ისიც – მარტივი მაგალითებით. წინადადებათა რთული კონსტრუქციების გამოყენებამდე კი, რასაც მაღალ საფეხურზე ნაწერთა მოცულობის ზრდა და დავალებათა შინაარსი განაპირობებს, მოსწავლეებს უყალიბდებათ უსასვენიშნებოდ ან შეცდომებით წერის ჩვევა. ფსიქოლოგიაში კი ცნობილია, რომ მცდარი ჩვევის დაძლევა გაცილებით ძნელია, ვიდრე რაიმეს თავიდან სწავლება.

კიდევ ერთი რამ: პუნქტუაციის სწავლება დაფუძნებულია **თეორიულ ცოდნაზე**, სავარჯიშოები კი მათ დასაუფლებლად **მექანიკურ მოქმედებებზე** ივსება. თითქმის ყველა მოსწავლემ ზეპირად იცის წესი, რომ თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილი დაისმის, კითხვითის ბოლოს – კითხვის ნიშანი. სავარჯიშოებსაც უშეცდომოდ ასრულებენ: თხრობითი წინადადების ბოლოს სვამენ წერტილს, კითხვითადაც გადააკეთებენ, მაგრამ საკუთრივ წერითი მეტყველების სიტუაციაში, თხზულების წერის დროს, შესაძლოა არც ერთი ნიშანი გამოიყენონ და არც მეორე. მიზეზი ცხადია: სასვენი ნიშნები მათთვის ნაწერის მხოლოდ გრაფიკული გაფორმების საშუალებაა და არა შინაარსის მატარებელი აუცილებელი ელემენტი.

თხრობითი, კითხვითი თუ სხვა სახის წინადადება, თავისთავად, როგორც მოცემულობა, არ არსებობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინადადება ამა თუ იმ შინაარსს მეტყველების აქტში იძენს სუბიექტის შინაგანი დამოკიდებულების საფუძველზე.

თუ მოსწავლე ამას აცნობიერებს, მას აღარ სჭირდება იმაზე ფიქრი, რა სახის წინადადება დაწერა და რა ნიშანი უნდა დასვას მის შემდეგ.

თქმულიდან გამომდინარე, **წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობის საფუძველი ზეპირ მეტყველებაში უნდა ვეძებოთ**, ხოლო **ზეპირი მეტყველება განვიხილოთ, როგორც წერითი მეტყველების აუცილებელი პირობა და მისი დასაყრდენი**. ამიტომ აუცილებელია, წერითი მეტყველების მოქმედებიდან გამოიყოს ის შემადგენელი ნაწილები, რომლებზეც მუშაობა ჯერ კიდევ წინასაანბნო პერიოდში, ზეპირ პლანში დაიწყება. ბავშვებს ისეთი დავალებები უნდა მიეცეთ, რომელთა შესრულებაც შემდგომ წერითი მეტყველების განვითარებას უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, I ეტაპზე მუშაობის მიზანია:

- მეტყველების საკომუნიკაციო დანიშნულების წვდომა;
- სიტყვისა და სამეტყველო ერთეულების ობიექტივაცია;
- გეპირმეტყველების გამომსახველობითი საშუალებებისა და მათი დანიშნულების გაცნობიერება;
- ინტონაციურად განსხვავებულ ნათქვამებში აზრის ცვლილების შემჩნევა;
- გადატანითი მნიშვნელობით მარტივი აზრის გაგება;
- სამეტყველო სიტუაციების მოფიქრება და, კონტექსტის შესაბამისად, წინადადებათა სათანადო ინტონაციით წარმოთქმა;
- განსხვავებული ემოციების გამომხატველი მატერიალიზებული ხერხების გამოყენება;
- ისეთი კითხვითი წინადადებების წარმოთქმა, რომლებშიც არის კითხვითი სიტყვა და რომლებშიც არ არის კითხვითი სიტყვა.

სწავლება ენობრივ თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით და ობიექტივაციის პრინციპის გამოყენებით ხორციელდება. ბავშვი ყოველ სამეტყველო მოვლენას ობიექტივაციის პლანში განიხილავს და ანალიზის საგნად აქცევს. სწავლისადმი ინტეგრირებული მიდგომის საფუძველზე, მუშაობაში ფართოდ გამოიყენება მასალის მოდელირების პრინციპი. ბავშვებს მოდელის სახით ეძლევათ განზოგადებული სქემა, ხოლო მისი გაცნობიერება-ათვისება მრავალფეროვან სავარჯიშოებში რეალიზდება. სპეციფიკურად ორგანიზებული სასწავლო მასალისა და მეთოდოლოგიური ხერხების მეშვეობით მოსწავლეები თვითონვე ხდებიან მშობლიური ენის „მკვლევარები“, ენობრივ კანონზომიერებათა „აღმომჩენები“.

მუშაობაში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე მატერიალიზაციის ხერხი, რაც საგნის ან მოვლენისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნის თვალსაჩინოდ, მატერიალიზებულად ჩვენებას გულისხმობს. ამგვარად ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაცნობიერებულად იმოქმედონ და ჩასწვდნენ ამა თუ იმ ენობრივ კანონზომიერებას.

მეტყველების საკომუნიკაციო დანიშნულება და ზეპირმეტყველების ექსპრესიულობა

მასწავლებელი სწავლების პირველი დღეებიდანვე ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეების წარმოთქმის თავისებურებებსა და გამომსახველობით საშუალებებზე; აანალიზებინებს, ვისთვის და რისთვისაა საჭირო ეს; ყოველ ხელსაყრელ მომენტში ამსჯელებს იმაზე, როგორ გამოხატა სათქმელი ამა თუ იმ მოსწავლემ; რა საშუალებები გამოიყენა მან საამისოდ; ზუსტად გაიგებს თუ არა აზრს მსმენელი; რა დააკლო სათქმელს, რა გამოხატა კარგად და ა. შ.

მეცადინეობათა ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები საორიენტაციო პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის. მათ თავადაც შეუძლიათ შეადგინონ ანალოგიური სავარჯიშოები, აღწერონ სამეტყველო სიტუაცია და მისცენ ბავშვებს წარმოთქმის ნიმუში. საამისოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას საგაკვეთილო მასალაც, თუ იგი ამის საშუალებას იძლევა (შეიცავს ემოციურ წინადადებებს, დიალოგებს).

გაკვეთილებზე სავარჯიშოებს ეთმობა 5-7 წუთი და ტარდება ყოველდღიურად.

პირველი გაკვეთილების მიზანია წარმოთქმის თავისებურებებსა და ჟესტიმიკაზე დაკვირვება.

მოსწავლეებს ვაჩვენებთ სურათებს მკვეთრად გამოხატული ემოციებით:



შემდეგ ვანალიზებთ თითოეულ მათგანს:


- რა განცდაა გამოხატული პირველ სურათზე? მეორეზე? მესამეზე? მეოთხეზე?
- რა მიგვანიშნებს ამაზე?
- დააკვირდით თვალებს. როგორია ისინი, როცა გვეშინია? როცა გვიხარია?
- კიდევ რა მიგვანიშნებს, რომ აქ ეშინიათ? უხარიათ? დანაშაულს განიცდიან?

დეტალური ანალიზის შემდეგ მასწავლებელი წარმოთქვამს წინასწარ მოფიქრებულ წინადადებებს სათანადო ინტონაციით:

- ხანძარია, ხანძარი!
- ვაშა, გავიმარჯვეთ!
- მეტს აღარ ვიზამ!
- არ გაიღვიძოს!

ვთხოვთ მოსწავლეებს, თითოეული ნათქვამი მიუსადაგონ სურათებს და იმსჯელონ სურათზე გამოხატულ ემოციასთან ინტონაციისა და გამომეტყველების შესატყვისობაზე.

რამდენიმე ასეთი მეცადინეობის შემდეგ სავარჯიშოებში ობიექტივაციის საგნად კვლავ გამომსახველობითი საშუალებები რჩება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით დააკვირდნენ სურათებს.




შემდეგ სვამს კითხვებს:

- რით გამოხატავენ კაცუნები სათქმელს?
- „გაახმოვანეთ“, ვინ რას შეიძლება ამბობდეს.

- იმსჯელოთ, რამდენად შეეფერება თქვენი ხმით ნათქვამი ხელებით „ნათქვამს“.
- შეეცადეთ, ხელების დახმარებით თქვენც გამოხატოთ მუდარა, მუქარა, მისალმება, დამშვიდობება...


კაცუნები დაფაზეც შეიძლება დაიხატოს, აი, ასე:



მოსწავლეებს დაევალებათ, კაცუნებს მიუხატონ ხელები და ამით გადმოსცენ განსხვავებული ემოციები. ვისაც ეხერხება, შეიძლება სახეზეც აღვაბეჭდვინოთ განცდები.

მუშაობისას არ შეიძლება, მხოლოდ ერთი მიმართულებით ვაგარჯიშოთ ბავშვები. იმავედროულად არც სხვა საშუალებებს უნდა მოვაკლოთ ყურადღება: სისტემატურად დავაკვირდეთ სახის გამომეტყველებას (პირი, თვალები, წარბები) და წარმოთქმის თავისებურებებს (ხმის აწევ-დაწევა, ინტონაცია, მახვილი და ა. შ.).

მოვიყვანოთ კიდევ ერთ მაგალითს:



სურათების დეტალური ანალიზის შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობთ შემთხვევებს, სადაც ადამიანი არა მარტო სახითა და ხელებით, არამედ ზოგჯერ მთელი სხეულითაც „მეტყველებს“:



მსჯელობას აქვს ანალოგიურად წარვმართავთ.

მუშაობაში სამეტყველო სიტუაციის უკეთ წარმოდგენისა და ასახვის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია, საუბრის დროს ხშირად გამოვიყენოთ შინაარსის გამაძლიერებელი სიტყვები, ძირითადად შორისდებულები (**ვაშა, ოპო, ვაიმე, უჰ, ბიჭოს, ერიჰა, ნეტავ, შენს გაზრდას...**) და ავტორისეული კომენტარები, რასაც ყველა სხვა საშუალებასთან ერთად დიდი დატვირთვა მიეცემა განსაკუთრებით მაშინ, როცა წერით მეტყველებაზე გადავალთ.

ვინაიდან საქმე სკოლაში ახალმოსულებთან გვაქვს და ამ პერიოდში მათი ლექსიკური მარაგი შედარებით ღარიბია, მასწავლებელი უნდა ეცადოს, საკუთარ მეტყველებაში ხშირად ჩართოს სიტუაციას მორგებული კომენტარები ან კომენტარებში გამოსაყენებელი სიტყვები და ფრაზები, როგორიცაა:

კისერწაგრძელებული, თავქუდმოგლეჯილი, შეშფოთებული, გაოცებული, თვალებგაბრწყინებული, ელდანაცემი, ყურებჩამოყრილი, აბოხოქრებული... თმა ყალყზე დაუდგა, ადგილზე გაქვავდა, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მწარე ფიქრებში ჩაძირული, ცრემლები ზღვას ერთვოდა, სიცილით დაოსებული და ა. შ.

ამგვარი სიტყვა-თქმები მოსწავლეებსაც შეიძლება ვაძებნინოთ ან დავავალოთ დაასაბუთონ, ჩვენ მიერ გამოყენებული გამოთქმა რომელ სურათს (სიტუაციას) მიესადაგება და რატომ.

მუშაობისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ **სამეტყველო სიტუაციების მოფიქრებას**. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ერთი და იმავე სიტყვამ ან წინადადებამ სხვადასხვა შემთხვევაში შესაძლოა სრულიად განსხვავებული შინაარსი გამოხატოს. ამის წვდომა საწინდარია იმისა, რომ მომავალში, საკუთრივ წერით მეთყველებზე გადასვლისას, სასვენი ნიშნის შესარჩევად წესის ცოდნა კი არა, ბუნებრივი სამეტყველო კონტექსტი იქნება გადასაწყვეტი. ამიტომ აქვს ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სავარჯიშოებს არასტანდარტული სახე და ამიტომაც წესების ნაცვლად „სამეტყველო სურათებითა“ და „სამეტყველო სიტუაციებით“ გაჯერებული.

კიდევ ერთი მაგალითი:

მოსწავლეებს ეძლევათ განსხვავებული ემოციის გამომხატველი რამდენიმე სურათი:

მათზე ყველგან ერთსა და იმავეს ამბობენ:



მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი მ ო ვ ი დ ა .

ვუკითხავთ წინადადებას და ვეკითხებით:

○ რომელ სურათზე როგორ წარმოთქვამენ ამას?

ყურადღებას მივაქცევთ, რომ მოსწავლეთა პასუხებში აუცილებლად იყოს გამოკვეთილი სურათების შესაბამისი ემოციები: სიხარული, შეშოთება, შეკითხვა, სიმშვიდე, გაოცება.

ამის შემდეგ შეიძლება თვითონ ბავშვებს დავავალოთ მსგავსი სიტუაციების მოფიქრება, რომლებშიც ერთი ფრაზით ან წინადადებით ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსები „დაიბადება“.

ავახსენეინოთ სიტუაციები, რომლებშიც ესა თუ ის ემოცია გამოიკვეთა:

- რა შემთხვევაში შეხვდებოდნენ მასწავლებლის გამოჩენას სიხარულით? რა შემთხვევაში შეშფოთდებოდნენ მის დანახვაზე? დასვამდნენ კითხვას? უპასუხებდნენ? გაცდებოდნენ?

ამომწურავი პასუხების მიღების შემდეგ ამავე სავარჯიშოში მოსწავლეებს ავტორისეული კომენტარებიც შეიძლება მივაწოდოთ შესაბამის სურათებთან დაკავშირების მოთხოვნით:

- სიხარულს ვერ მალავდა;
- იმალებოდა ნიწამხდარი (შეშინებული) ბავშვი;
- ცნობისმოყვარე თვალებით;
- მიუგო მშვიდად;
- თვალს არ უჯერებდა და სხვ.

თუ მასწავლებელი მიიჩნევს, რომ კლასი დაძლევეს ამგვარ სამუშაოს, მოსწავლეებს მსგავსი კომენტარების დამოუკიდებლად მოფიქრებაც შეიძლება დაევალოთ. თუ ეს ჯერჯერობით შეუძლებელია, უმჯობესია, თავი შევიკავოთ. ბავშვებში ქვეცნობიერად მაინც იღექება ყოველივე ეს და მოკლე ხანში აქტიურად იჩენს თავს მათ მეტყველებაში.

აღწერილი სამუშაოები მოიცავს წინასაანბანო და საანბანო პერიოდს, როდესაც მზადდება ნიადაგი წერით მეტყველებაზე გადასასვლელად. წარმართული საქმიანობა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, მეორე მხრივ კი, უნერგავს სათქმელის უფრო სრულად, მკაფიოდ და გამომსახველად გადმოცემის ჩვევას; აგრეთვე აჩვენებს, კრიტიკულად შეაფასონ ნათქვამი და დღითიდღე დახვეწონ საკუთარი მეტყველება.

ზეპირმეტყველების ექსპრესიულობის მატერიალიზაცია

მეტყველების განვითარებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს, უპირველეს ყოვლისა, იმ სინამდვილის შესახებ უნდა შეეძქმნას ზოგადი წარმოდგენა, რასაც მეტყველება წარმოადგენს. მან მეტყველება უნდა გააცნობიეროს, როგორც საკუთარი პრაქტიკული მოქმედება. ეს კი მოითხოვს მასალის სპეციალურ ორგანიზებას და მოვლენათა ანალიზისათვის საჭირო მოქმედებებს. მოსწავლე მიგვყავს იქითკენ, რომ მკვლევარის პოზიციაში აღმოჩნდეს – მიაგნოს ამოცანის გადაწყვეტის გზებს, გამოიჩინოს ენობრივი ალლო და ენობრივი განზოგადების უნარი.

სწავლების პროცესში წინასაანბნაო პერიოდშივე გამოვყოფთ იმ შემადგენელ ნაწილებს, რომლებზე მუშაობასაც ზეპირად ვიწყებთ. ბავშვებს ისეთი დავალებები ეძლევათ, რომელთა შესრულებაც შემდგომში წერიითი მეტყველების განვითარებას უზრუნველყოფს. მარტივად რომ ვთქვათ, ბავშვებმა „წერა“ ანბანის შესწავლამდე მათთვის ხელმისაწვდომი და სახალისო ფორმით უნდა დაიწყონ. ამ თვალსაზრისით ძალზე ეფექტურია ისეთი ხერხების გამოყენება, როგორიცაა „წერა“ ფერადი მუყაოების დახმარებით.

ქვემოთ წარმოდგენილი პრაქტიკული მასალა მუშაობის პირველი ეტაპისთვისაა განკუთვნილი, როდესაც კვაზიწერა დომინირებს.

სათქმელის ემოციური შინაარსის პირობით ნიშნებად შემოგვაქვს ხუთი ფერის მუყაოს ფირფიტა (ფერები პირობითია):

- **წითელი** – სასიამოვნო, დადებითი ემოციების (სიხარული, აღტაცება, ნეტარება, ალერსი, მისაღმება, კმაყოფილება...) აღსანიშნავად;
- **ლურჯი** – უარყოფითი ემოციების (აღშფოთება, მუქარა, შიში, მწუხარება, ზიზღი, ტკივილი...) გამოსახატავად;
- **ყვითელი** – შეკითხვის პირობით ნიშნად;
- **თეთრი** – ინფორმაციის გადმოსაცემად;

○ მწვანე – სიტყვის, როგორც გრაფიკული ჩანაწერის, გამოსახატავად.

მუყაოს ყველა ფირფიტაზე, გარდა მწვანისა, დასმულია შესაბამისი სასვენი ნიშანი:

ნითელი
ფირფიტა

!

ლურჯი
ფირფიტა

!

ყვითელი
ფირფიტა

?

თეთრი
ფირფიტა

.

მწვანე
ფირფიტა

მუშაობის პროცესში ასეთი მუყაოები ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს.

აღნიშნული ფირფიტების გამოყენება დროის ეკონომიის შესაძლებლობას იძლევა, აადვილებს მოსწავლეების პასუხების ერთდროულად შემოწმებას და დავალებათა სწრაფ მონაცვლეობას. მაგ., ვარვენებთ ასეთ სურათებს:

ს ა ლ ა მ ო ს ს ტ უ მ რ ე ბ ი გ ვ ე წ ვ ე ვ ი ა ნ



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4

მოსწავლეებს ვთხოვთ შეარჩიონ მუყაო, რომელიც პირველ სურათზე გამოხატულ ემოციას შეესაბამება. ისინი აჩვენებენ წითელს. მეორე სურათზე აჩვენებენ ყვითელს, მესამეზე აჩვენებენ თეთრს. ამ სამ სურათზე ემოციები მკვეთრად გამოხატული, მეოთხეზე კი შეიძლება წითელი ფერიც აჩვენონ და ლურჯიც, გაანია, რა კონტექსტში წარმოადგენენ ბავშვები სათქმელს – ალერსიანად არიგებს ბიჭუნა ძაღლს, რომ სტუმრები არ შეაწუხოს, თუ ლეკვი შემჩნეული იყო სტუმრებთან აგრესიულ მოქცევაში და ახლა პატრონი მკაცრად აფრთხილებს, ასეთი რამ აღარ გაიმეორეო.

ანალოგიური შემთხვევები ხშირად შეგვხვდება. თუ ბავშვი წარმოსახული სიტუაციით გაამართლებს თავისი გადაწყვეტილების სისწორეს, პასუხი უნდა ჩავუთვალოთ. ფერადი მუყაოებით მუშაობის ერთ-ერთი უპირატესობა ხომ სწორედ ისაა, რომ მთელი კლასის პასუხის ერთდროული შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეაგირება ან ერთფეროვანი და სტანდარტული პასუხებისაგან თავის არიდება შევძლოთ!

სხვა შემთხვევაში მუყაო მასწავლებელმაც შეიძლება შეარჩიოს და კლასს შესაბამისი წინადადებების მოფიქრება დაავალოს. პასუხები არც აქ იქნება ერთფეროვანი, რადგან ყოველ ემოციას თითოეული მოსწავლისათვის განსხვავებული საფუძველი გააჩნია, მაგ., სოკოს საკრეფად წასვლამ ერთს შეიძლება სიხარულის განცდა მოჰგვაროს, მეორე შეიძლება დააღონოს, რადგან მას სათევზაოდ წასვლა ერჩია...

საორიენტაციოდ მოვიყვანთ კიდევ ერთი სავარჯიშოს ნიმუშს:

გაჩვენებთ სურათებს. სურათების ქვეშ გაუფერადებელი მუყაოს ფირფიტები სასვენ ნიშნებით.

				
!	?	!	!	?
ლურჯი	ყვითელი	წითელი		ყვითელი

სურათზე დაკვირვების შემდეგ დავსვამთ კითხვებს:

- რომელ მათგანზეა გამოხატული შიში? საგონებელში ჩავარდნა? მისალმება? დაცინვა? ცნობისმოყვარეობა?
- რომელი სურათის მიხედვით ვიტყვით: სიცილით დაოსებული? თავქუდმოგლეჯილი? თავზარდაცემული? სუნთქვაშეკრული? სახეგაბრწყინებული?
- მოსწავლეებს ვთხოვთ სურათების შესაბამისი წინადადებების მოფიქრებას და სათანადო ინტონაციით წარმოთქმას;
- შემდეგ კი კლასს ვავალებთ უჯრების გაფერადებას გამოვლენილი ემოციების შესაბამისად ან ამავე მიზნით მათ ხელთ არსებული მუყაოების ჩვენებას.

ფერადი ფირფიტები საშუალებას გვაძლევს, ხშირად ვავარჯიშოთ ბავშვები ემოციებით გაჯერებულ დიალოგებშიც. საამისოდ სახელმძღვანელოში არსებული მასალის გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ თუ ტექსტი ამის საშუალებას არ იძლევა, მსგავსი დავალებებისათვის შეიძლება ჩვენ მიერ მოფიქრებული თემები შევთავაზოთ: დილა ოჯახში, საუბარი მარკეტში, საუბარი მეგობართან, დიალოგი ტრანსპორტში და ა.შ.

ამგვარი ვარჯიშით მოსწავლეებს შედგენილი დიალოგების „ჩაწერასაც“ მივაჩვევთ. მუშაობა უფრო საინტერესო ხდება, როდესაც ფირფიტების საშუალებით კლასს პატარ-პატარა „გამოცანების“ გამოცნობას ვავალებთ. საქმე ისაა, რომ მოსწავლეები ამ ეტაპზე ვიზუალურად უკვე ცნობენ მუყაოებზე დასმულ სასვენ ნიშნებს, ქვეცნობიერად თუ შეგნებულად ისიც იციან, რომელ ფერს რომელი სასვენი ნიშანი შეესატყვისება. აქედან გამომდინარე, მოყვანილი ნიმუშის მიხედვით ვარჯიში უკვე სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია.

თვალსაჩინოდ ვაწყობთ ფირფიტებს მოცემული თანმიმდევრობით:

ყვითელი ფირფიტა 1. ? ! ლურჯი ფირფიტა	ლურჯი ფირფიტა 2. ! ! წითელი ფირფიტა
ყვითელი ფირფიტა 3. ? ? ყვითელი ფირფიტა	

მოსწავლეებს ვთხოვთ დააკვირდნენ ფირფიტებით დაწერილ „დიალოგებს“. ბავშვებს ამჯერად უკვე ისიც შეიძლება ვკითხოთ, თუ რატომაა ფირფიტებზე დასმული ესა თუ ის ნიშანი და რას აღნიშნავს თითოეული მათგანი. შემდეგ ვახმოვანებთ ერთ-ერთ მათგანს და ვავალებთ კლასს, გამოიცნონ დაფაზე მოყვანილ ნიმუშთან რომელი შეესატყვისება ჩვენ მიერ წარმოთქმულს:

- რომელი საათია?
- მე მეკითხები?

ვცხმარებით კლასს წარმოთქმულის „დაწერილთან“ დაკავშირებაში. ანალოგიურად სრულდება შემდეგი ორი დავალებაც, რომელთაც აგრეთვე ჩვენ წარმოვთქვამთ, ან შეიძლება დაფაზეც გვქონდეს ჩამოწერილი:

- დედა მინდაა!
- ახლავე მოვა, გენაცვალე!
- რა გინდათ ჩემგან?
- ბურთი დაგვიბრუნე, თორემ!..

მოსწავლეები დეტალურად აანალიზებენ წარმოთქმისას გამოვლენილი ემოციის შესატყვისობას მუყაოების ფერებთან და მათზე დასმულ სასვენ ნიშნებთან.

მსგავსი სავარჯიშოების მეშვეობით მოსწავლეები სულ მალე უკეთ გააცნობიერებენ სასვენი ნიშნების ფუნქციას და მათი გამოყენების აუცილებლობას წერით მეტყველებაში. ჯერჯერობით კი იციან, რომ აზრი სრულყოფილ სახეს ვერ მიიღებს, თუ იგი ემოციური „სამოსლით“ არ „შეიმოსა“; იცნობენ ასეთი „სამოსლის“ ფუნქციით აღჭურვილ საშუალებებს (ინტონაცია, პაუზა, ხმის ტონი, ჟესტი, მიმიკა); ემოციის გამოხატვის სხვა საშუალებებს (სურათები და მათი შემცვლელი ფერადი მუყაოს ბარათები); მათი დახმარებით „წერენ“ წინადადებებს და ამ წინადადებების ემოციურ შინაარსსაც აღნიშნავენ. ეს ყველაფერი მოსწავლეებს თანდათან აახლოებს საკუთრივ წერითი მეტყველების სიტუაციასთან, როდესაც ქალაქის ფურცელთან ყოველგვარი სურათებისა და ფირფიტების გარეშე დარჩენილებს აზრის ადეკვატურად გადმოცემა წერილობით მოუწევთ.

წერიტი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში

კვაზინფორა

საანბნო პერიოდის მომდევნო საფეხურის მუშაობის ამოცანას წერიტი მეტყველებაში შინაარსის **დანაწევრებულად გადმოცემის** წვდომა წარმოადგენს.

ამის გაცნობიერებამდე მოსწავლეები ნასწავლზე დაყრდნობითა და პრაქტიკული მოქმედებებით მიგვყავს.

ამჯერად მათი ობიექტივაციის საგნად იქცევა ის, რაც ამ ხნის მანძილზე უკვე დაუგროვდათ. დღემდე გამოყენებული საილუსტრაციო მასალის ანალოგიური სავარჯიშოები მათ ახლა სულ სხვა დანიშნულებით ეძლევათ.

ჩვენ თავს ვიკავებთ სწავლებაში ხშირი თეორიული განმარტებებისაგან, რაც ამ საფეხურზე ნაკლებეფექტურად მიგვაჩნია. პირიქით, ვცდილობთ, საჭირო მიმართულება მივცეთ ბავშვის პრაქტიკულ საქმიანობას, გზამკვლევის როლი შევითავსოთ და პატარა „მკვლევარები“ თავად მივიყვანოთ სასურველ დასკვნებამდე. ეს დამოკიდებულება წითელ ხაზად გასდევს მთელი ჩვენი მუშაობის პროცესს.

აღნიშნული მიზნით, მუშაობის ამ ეტაპზე კვლავ ვიყენებთ მატერიალიზაციის საშუალებებს. მოსწავლეების ყურადღებას მივაპყრობთ სხვადასხვა განცდის გამომხატველ სურათებს:



--	--



--	--



--	--



--	--

- რა განცდას გამოხატავს პირველი სურათი?
- რა საშუალებებითაა ეს განცდა გადმოცემული?

პასუხების მიღების შემდეგ დავასკვნით:

ე. ი. სურათი გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ უნდა ითქვას სათქმელი.

ვავალებთ კლასს, გააფერადონ პირველი სურათის უჯრა შესაბამისი ფერით და დასვან საჭირო სასვენი ნიშანი, ან გამოხატონ იგივე ხელთ არსებული მუყაოს ბარათით.

ვეუბნებით: საჭიროა, ამ ფირფიტას დავარქვათ სახელი. ეს იყოს ფირფიტა „როგორ ვამბობ“.

ანალოგიურად ვაანალიზებთ მე-2, მე-3 და მე-4 სურათებსაც.

შემდეგ ვფარავთ სურათებს და ვტოვებთ მხოლოდ მუყაოს ბარათებს:

წითელი	!	ლურჯი	!	ყვითელი	?	თეთრი	.
--------	---	-------	---	---------	---	-------	---

ვეუბნებით: აქ სურათები აღარ გვაქვს. ახლა მათი მაგივრობა ფირფიტებმა უნდა გაწიონ.

კლასის დასანახად ვიღებთ მათთვის ჯერჯერობით უცნობ პატარა მწვანე ფერის ბარათს და ვამბობთ:

- ამაზე „წერია“ წვიმს.

პარალელურად ფირფიტას თვალსაჩინოდ ვათავსებთ პირველ წითელ მუყაოზე და ვავალებთ მოსწავლეებს, „გაახმოვანონ“ ის.

მწვანე


!

წითელი

კლასი მოცემულ სიტყვას წარმოთქვამს სიხარულით. ასე, მონაცვლეობით, პატარა მწვანე ფირფიტას სათითაოდ ვათავსებთ ლურჯ, ყვითელ და თეთრ ფერის მუყაოებზე და, შესაბამისად, სიტყვა „წვიმს“ რიგრიგობით წარმოითქმება ხან უხალისოდ, ხან შეკითხვისა და ხანაც პასუხის ინტონაციით. ამის შემდეგ კლასს ვუბნებით, რომ მწვანე ფირფიტასაც სჭირდება სახელი. ბავშვები ეცდებიან, მიახლოებული პასუხი მაინც მოგვცენ. მცდელობა მოუწონოთ და დასკვნის სახით ვუთხრათ:

○ ამ მწვანე მუყაოს ბარათს დავარქვათ „რას ვამბობ“.

ვანალიზებინებთ, რომ ეს ფირფიტა მხოლოდ შიშველ სიტყვებს აღნიშნავს, ფირფიტა „როგორ ვამბობ“ კი მის „სამოსელს“ წარმოადგენს. ეს სამოსელი რომ არ იყოს, მხოლოდ მწვანე ბარათი ვერ მიგვახვედრებდა, თუ რა განცდა გამოჰყვა სათქმელს. ბარათი „რას ვამბობ“ შეიძლება პატარა კაცუნას სახითაც წარმოვადგინოთ, ბარათი „როგორ ვამბობ“ კი მის სამოსლად ვაქციოთ, როგორც აქა (აქაც ყველგან ამბობენ გათენდა):



○ ვთხოვთ მოსწავლეებს, სამოსლის შესაბამისად „ამეტყველონ“ ისინი.


სურვილის შემთხვევაში, ბავშვებმა, შესაძლებელია, თვითონაც დახატონ ასეთი „კაცუნა სიტყვები“ და გამოახატვინონ მათ ტკივილი, სიბრაზე, სიხარული, მუქარა...

თუ კაცუნებით მოქმედება რთულად მოეჩვენება, მასწავლებლებს, სურვილისამებრ, ანალოგიური მუშაობის წარმართვა შეუძლიათ ფერადი მუყაოს ფირფიტებითაც, როგორც აქამდე აკეთებდნენ.

მართალია, წერით მეტყველებაზე გადასვლასთან დაკავშირებით სურათებისა და ფერადი მუყაოს ბარათების გამოყენება თანდათან უნდა შევამციროთ, მაგრამ ვიდრე პატარები გამართულად შეძლებენ წერას, ამ საშუალებებს საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მაინც მივმართავთ. ისინი გვეხმარებიან ვუბიძგოთ მოსწავლეებს, იმუშაონ ჩვენთვის სასურველი მასალის ფარგლებში და ამავე დროს მათთვის სახალისო ბუნებრივ სამეტყველო კონტექსტებში.

სავარჯიშო

- დააკვირდით, რას ამბობენ კაცუნები?



- რა აკლია ნათქვამს?
- რისი საშუალებით მიხვდებით, თუ ვინ როგორ შეხვდა გაკვეთილის დაწყებას?
- გააფრადეთ კაცუნების ტანსაცმელი და შესაბამისად „ამეტყველეთ“ ისინი განსხვავებულ სიტუაციებში.
- დაასაბუთეთ, ვინ რა შემთხვევაში შეხვდებოდა ამა თუ იმ განცდით გაკვეთილის დაწყებას.

ანალოგიური მიზნით სავარჯიშოს შეიძლება სახე ვუცვალოთ:

სავარჯიშო

- ვაგალები კლასს, დააწყონ მერხებზე რამდენიმე მწვანე ფირფიტა და ვეუბნებით, რომ ამ ფირფიტებზე ამჯერად „წერია“: **სოფელში მივდივარ.**
- შემდეგ ვთხოვთ, რომ მოათავსონ ეს „ნათქვამი“ წითელი, ყვითელი, ლურჯი და თეთრი ბარათების ფონზე.
- ვთხოვთ წარმოთქვან მწვანე ფირფიტაზე „დაწერილი“ მის ქვეშ მოთავსებული ფერადი ფირფიტის შესაბამისი ინტონაციით.
- შემდეგ ვაგალები დაასაბუთონ შესრულებული დავალების სისწორე: წარმოადგინონ სიტუაციები და ახსნან, თუ რატომ იგრძნობოდა მათ ხმა-სა და მიმიკაში ხან სიხარული, ხან დაღონება, ხან შეკითხვა და ხანაც პასუხი.

სამეტყველო სიტუაციებში ვარჯიში მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებით მუშაობისას, რადგან სასვენი ნიშანი, ზოგადად, ყოველთვის არაა საკმარისი ემოციური ნიუანსების გადმოსაცემად. წერით მეტყველებას საამისოდ სამეტყველო კონტექსტზე მორგებული სხვა დამხმარე საშუალებებიც გააჩნია, რომლებიც სწორედ სიტუაციის მიხედვით შეირჩევა, მაგრამ ამაზე შემდგომ!

სავარჯიშო

- დაფაზე ვწერთ: **„მამა ჩამოვიდა“.**
- კლასს ვთავაზობთ, აღნიშნონ ეს წინადადება მწვანე ბარათით და მონაცვლეობით, ჩვენ მიერ მითითებული სიტუაციების შესაბამისად, მოათავსონ იგი ფერად ფირფიტაზე (საჭიროა იმდენი მწვანე ფერის მუყაო, რამდენი სიტუაციის წარმოსახვაც გვაქვს გეგმაში).


სიტუაცია 1. მონატრებული მამა ბრუნდება შინ.

სიტუაცია 2. რაღაც გაქვთ დაშავებული და ამიტომ შეშფოთებული ელოდებით მამის დაბრუნებას.

სიტუაცია 3. დედა გირეკავთ სამსახურიდან და გეკითხებათ, ჩამოვიდა თუ არა მამა.

სიტუაცია 4. პასუხობთ, რომ ჩამოვიდა.

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალების თანმიმდევრობა ასე უნდა გამოიყურებოდეს:



კლასს ვაანალიზებინებთ:

- ☐ რატომ დაგვჭირდა მწვანე ფერის ბარათის შემოტანა? რა აღვნიშნეთ ამით?
- ☐ რა აღვნიშნეთ დანარჩენი ფერებით?

უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეთა პასუხები დამაკმაყოფილებელი იქნება.

მსგავსი სამუშაოები იმ სიხშირით გაგრძელდება, რის აუცილებლობასაც კლასი გვიკარნახებს. რადგან შემოთავაზებული მასალა მასწავლებლებისთვის საორიენტაციოა, მათ უფლება აქვთ, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შესაბამისად, საკუთარი შეხედულებისამებრ, გარკვეული ორგანიზაციული ცვლილებები (მაგრამ არა არსებითი!) შეიტანონ მუშაობაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვალსაჩინო მასალას ამ ეტაპზე თანდათან ვამცირებთ. სურათებს შედარებით ნაკლებად ვიყენებთ და მუშაობის პროცესს საკუთრივ წერიტი მეტყველების სიტუაციასთან ვახლოვებთ, კვაზიწერას ვიშველიებთ და მხოლოდ „რას ვამბობ“ – „როგორ ვამბობ“ ბარათებით მოქმედებებს ვაძლევთ უპირატესობას.

მოსწავლეთა ყურადღებას კიდევ ერთხელ შევაჩერებთ კვადრატულ უჯრებში ჩაწერილი სასვენი ნიშნებისა და ნათქვამის ემოციური მხარის ურთიერთშესატყვისობაზე და მუშაობას ამ მიმართულებით სხვა მეცადინეობებზე განვაგრძობთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მასალა საორიენტაციოა. მოსწავლეებელი, რომელიც ჩაწვდება აღნიშნული მიმართულებით მუშაობის არსს, მის ხელთ არსებული მასალის პირობებში თავად მონახავს გზას, როგორ ამუშაოს კლასი. რა თქმა უნდა, ესეც მეტ-ნაკლებად ინდივიდუალური იქნება, რადგან ბევრი რამაა დამოკიდებული როგორც პედაგოგის შემოქმედებით უნარზე, ისე თვით კლასის დონესა და შესაძლებლობებზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ეტაპზეც კი, მუშაობის შედეგი მოსწავლეთა მეტყველებაში აუცილებლად აისახება გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებისაკენ სწრაფვით, საკუთარი მეტყველების კონტროლისა და დახვეწილი საუბრის მცდელობით.

წერით მეტყველებაზე გადასვლა და მისი თავისებურებანი

საანბანო პერიოდის დამამთავრებელ ეტაპზე აღნიშნული მიმართულებით მუშაობა აქტიურად გრძელდება როგორც ბეპირ პლანში, ისე – წერითში. მუშაობის მეორე ეტაპზე ობიექტივაციის საგნად იქცევა ის, რაც მოსწავლეებს აქამდე დაუგროვდათ: აცნობიერებენ, რომ სიტყვა და მისი ჟღერადი მხარე ერთი მთელის შემადგენელი ნაწილებია, შეუძლიათ ამ მთელის დანაწევრებულად ასახვა პირობითი ნიშნებით და აცნობიერებენ, რომ ნებისმიერი წინადადების შინაარსი სუბიექტის შინაგანი დამოკიდებულების საფუძველზე გადმოიცემა. მოსწავლეები სისტემატურად კამათობენ, მსჯელობენ, ანალიზებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ გამართულ მეტყველებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო და ძალისხმევაა საჭირო. უმცროსკლასელებს ამ ეტაპზე სუსტად აქვთ ჩამოყალიბებული განსჯის უნარი: აკლიათ დასაბუთება და კრიტიკულობა, ჯეროვნად ვერ ახერხებენ ნათქვამის არგუმენტაციას და სხვ. აქ გადამწყვეტი როლი მასწავლებელს აკისრია. იგი ერთთავად ცდილობს, მოსწავლეებმა სათქმელი მოფიქრებულად, აზრობრივად და ლოგიკურად გამართულად ააგონ; აძლევს ფიქრის, ანალიზისა და დასაბუთების საშუალებას. მოკლე ხანში ასეთ დავალებებს მოსწავლეები სრულიად დამოუკიდებლად, დახმარების გარეშეც შეასრულებენ, მაგრამ სასურველ შედეგს მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ მოსწავლეთა აქტივობას საინტერესო მასალაზე ავაგებთ და გააზრებულ მოქმედებებში ჩავრთავთ. საგნისადმი გაუნებელი ინტერესი აუცილებელია მოსწავლეთა ინტელექტისა და უნარიანობის შემდგომი განვითარებისათვის. ასეთი უნარების განვითარება ხელს უწყობს ჩვენთვის სასურველი მოქმედების ხერხების ათვისებას, რომლებსაც მოსწავლე განსხვავებულ პირობებში, კერძოდ, საკუთრივ წერით მეტყველებასთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციებში, შემდეგ კი წერით მეტყველებაში გამოიყენებს.

სწავლების ამ ეტაპზე (საანბანო და ანბანისშემდგომი პერიოდი) შესაძლებელი ხდება წერით სავარჯიშოებზე თანდათანობითი გადასვლა, აქამდე

გამოყენებული სავარჯიშოების ანალოგიური მასალა მოსწავლეებს ახლა სხვა დანიშნულებით ეძლევათ. სავარჯიშოები იმ ხერხებზე იგება, რომლებიც მოსწავლეს მასალის წვდომისათვის საჭირო მოქმედებებით მიიზიდავს, თავშექცევით ასწავლის და სასურველ შედეგებამდე მიიყვანს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული სავარჯიშოები ამ თვალსაზრისზე იგება და მუშაობის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს. ისინი სწავლების ამ ეტაპზე ნასწავლის უბრალოდ განმეორებას კი არა, მის სრულყოფასა და ხარისხობრივად მაღალ საფეხურზე აყვანას ემსახურება. სავარჯიშოები სინთეზურია. მათი შესრულების დროს მოსწავლეები აღმოჩნდებიან არა მარტო პუნქტუაციური ამოცანების, არამედ წერით მეტყველებაში შემავალი სხვა ამოცანების გადაწყვეტის წინაშე.

ბავშვებს ვეუბნებით, რომ მათ გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწიეს – წერა ისწავლეს! ახლა მათ საშუალება ეძლევათ ისაუბრონ არა მარტო მათთან მყოფ, არამედ დაშორებულ ადამიანთან, რომელიც ვერც გამომეტყველებას ხედავს და ვერც ხმას ისმენს. საკუთარი სათქმელი, სურვილები და განცდები ამ ადამიანამდე მხოლოდ ასოებმა, სიტყვებმა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ნიშნებმა უნდა მიგვატანინონ. ეს ბავშვებს, სასურველია, მარტივ სქემებზე ვაჩვენოთ კიდევ ერთხელ:

ზეპირი მეტყველება

წერითი მეტყველება



გაფრინდა	!
----------	---

დაკვირვების შემდეგ მოსწავლეებს შეძლებისდაგვარად გავანალიზებინებთ და გამოვატანინებთ დასკვნებს; ვეხმარებით ზეპირ და წერით მეტყველებას შორის არსებული განსხვავების დანახვაში; ვავალებთ, ორივე მაგალითში დამოუკიდებლად მოძებნონ და გათიშონ ერთმანეთისაგან „რას ვამბობ“ და „როგორ ვამბობ“. ბავშვებს არ გაუძნელდებათ, გვიპასუხონ, რომ ვამბობთ „გაფრინდა“, ხოლო, **როგორც** ვამბობთ, ამაზე მეტყველებს სახე, ხელები, თვალები, წარბები და ხმა. ეს – სურათის მიხედვით! ნაწერში კი ვამბობთ იმავე „გაფრინდას“, ხოლო **როგორ** ვამბობთ – აღნიშნულია პატარა უჯრაში.

მოსწავლეები მიგვყავს დასკვნამდე, რომ ზეპირში სიტყვასაც, გამომეტყველებასაც და ინტონაციასაც ერთად აღვიქვამთ. მათი დანაწევრება შეუძლებელია; წერით მეტყველებაში კი იგივე ნათქვამი ნაწილ-ნაწილ უნდა გადმოვცეთ – ჯერ დავწეროთ სიტყვას და შემდეგ აღვნიშნავთ, როგორ ითქვა ან რა სიტუაციაში „დაიბადა“ ეს აზრი.

მოსწავლეებს ვაცნობთ წინადადების წერის მოდელს, რომელიც წარმოადგენს მოგრძო მართკუთხედს, დაყოფილს დიდ და პატარა უჯრებად:



სამეტყველო სიტუაციების „გასაცოცხლებლად“ მოდელს ზოგჯერ შეიძლება სურათებიც დაერთოს. მოგრძო უჯრაში იწერება ვერბალური მასალა, რასაც აქამდე მწვანე ფერით ვწერდით. ხოლო სასვენი ნიშნებისთვის გამოყოფილია პატარა კვადრატული უჯრა, რომელიც სასიგნალო ფუნქციას ასრულებს. ასეთი „სიგნალები“ ჯერჯერობით აუცილებელია წერით მეტყველებაში პუნქტუაციურ ნიშანთა დაფიქსირებისა და მყარად დამკვიდრებისათვის.

სავარჯიშო



თამაში მოვიგეთ	
----------------	--

თამაში მოვიგეთ	
----------------	--

თამაში მოვიგეთ	
----------------	--

თამაში მოვიგეთ	
----------------	--

- ☐ დააკვირდით სურათებს.
- ☐ წაიკითხეთ, რას ამბობენ ბავშვები ამ სურათების მიხედვით.
- ☐ წარმოთქვით მოცემული წინადადება თითოეული სურათის შესაბამისი ინტონაციით.
- ☐ როგორ აღვნიშნავთ წარმოთქმისას გამოვლენილ განსხვავებებს წერის პროცესში?
- ☐ ჩაწერეთ.

უკრებში სასვენი ნიშნების დასმისა და მისი ანალიზის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, ზეპირად იმსჯელონ, თუ წარმოდგენილი სურათებიდან რომელს შეესაბამება მოცემული სიტყვები:

ფრთხილად, არხეინად, ყოყლოჩინობდა, გაოცებული.

მოსწავლეები ასაბუთებენ პასუხებს.

სავარჯიშო



ეს რა უყვიათ	
--------------	--

რა დრო გასულა	
---------------	--

როდემდე იქნები მანდ	
---------------------	--

არ მომეხვია	
-------------	--

მოსწავლეები, ჩვეულებრივ, აკვირდებიან სურათებს, კითხულობენ უჯრებში ჩაწერილ წინადადებებს, წარმოთქვამენ სათანადო ინტონაციით და, ბოლოს, სასიგნალო უჯრებში სვამენ შესატყვის სასვენ ნიშნებს.

დავალების ანალიზის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ წაიკითხონ დაფაზე ჩამოწერილი სიტყვები: ვაიმე, დედაა, ვნახოთ, რა გინდა... და შინაარსის შესაბამისად ჩაამატონ წინადადებებში (სრულდება ზეპირად).

შემდეგ, ჩვეულებრივ, იმართება მსჯელობა, ვინ როგორ გაართვა თავი დავალებას.

გარკვეული დროს შემდეგ, როდესაც შესაძლებელი იქნება, ბავშვებს დამოუკიდებლად მივანდოთ ერთი, ორი ან სამი სიტყვისაგან შემდგარი წინადადებების (ფრაზების) წერა, სავარჯიშო მასალას შეიძლება სახე ვუცვალოთ.

სავარჯიშო

- წაიკითხეთ დაფაზე (ინდივიდუალურ ბარათებზე) დაწერილი სიტყვები: ვედრება, სიჯიუტე, აღტაცება, სიბრაღული.
- მოიფიქრეთ შესაბამისი შინაარსის წინადადებები.
- ჩაწერეთ რვეულებში.


ვაანალიზებთ დავალებას. პასუხები იქნება მეტად მრავალფეროვანი, რამდენადაც თითოეული მოსწავლის მიერ მოფიქრებული წინადადება განსხვავებული სამეტყველო სიტუაციიდან იქნება მომდინარე და, შესაბამისად, ყოველი მოსწავლის ნამუშევარი ერთმანეთისაგან მკვეთრად იქნება განსხვავებული.

წერიტი სავარჯიშოების სპეციფიკა

მოსწავლის ყველა წარმატებას მასწავლებლის დახმარება განაპირობებს, მაგრამ რა სახის იქნება ეს დახმარება, სწორედ ამაზეა დამოკიდებული მისი შედეგიც. მუშაობა პრაქტიკოსისაგან შემოქმედებითობას მოითხოვს. თითოეული დავალების გადაწყვეტისას პედაგოგიც ებმება საერთო ძიებაში, ბავშვებთან ერთად ფიქრობს და მსჯელობს, გამოთქვამს ეჭვს, „ეშლება“ რაღაც, ზოგჯერ არასწორ პოზიციასაც იკავებს იმისთვის, რომ ბავშვებმა ბოლომდე დაასაბუთონ ვარაუდები და ა.შ. მასწავლებელი, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს, მიხვდება, მის კლასთან როდის და რა იძლევა უკეთეს შედეგს, ვისთან და რაზე გააძლიეროს მუშაობა, როდის შეცვალოს მასალა და ა.შ. შემოქმედი მასწავლებლის ხელში სწავლა თავშექცევის ხასიათს უნდა ატარებდეს.

წინამდებარე წერილში შევხებით პირველკლასელთა სწავლების ბოლო ეტაპს – ანბანის შემდგომ პერიოდს, რომელშიც უნდა გამოვლინდეს მთელი წლის მუშაობის შედეგი.

პირველ ხანებში სავარჯიშოთა სახით უმჯობესია ბავშვებს ისეთი სახეცვლილი დავალებები მიეცეთ, რომლებიც მეტ-ნაკლებად უკვე ნაცნობი და იოლად დასაძლავი იქნება მათთვის, ან უვარჯიშოთ კიდევ ანალოგიურში. შეიძლება კვლავ მოვიშველიოთ სურათები და სასიგნალო უჯრებში მათი შესატყვისი სასვენი ნიშნების ჩაწერა დავავალოთ.



სავარჯიშო

დავალება შეიძლება შესრულდეს ზეპირადაც და წერილობითაც.

სავარჯიშო

მომდევნო სავარჯიშოში არეულად ვაძლევთ სურათებს და წინადადებებს.

ვავალებთ კლასს, მოძებნონ თითოეულ სურათზე ასახული სიტუაციის შესატყვისი ნათქვამი, დააკავშირონ ერთმანეთთან ისრებით და ამის მიხედვით შეავსონ სასიგნალო უჯრები სათანადო სასვენი ნიშნებით.

			
ვაიმეიმე	შპ, გამახსენდა	რა უნდა იყოს	როგორ დაღლილხარ

რამდენადაც ჩვენი ყველა რეკომენდაცია პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარეობს, გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ნებისმიერი სახის თხზულების წერის დროს მოსწავლეები მე-3 პირში თხრობას ამჯობინებენ, ცდილობენ, გვერდი აუარონ დიალოგებს და პირდაპირი ნათქვამით გადმოსაცემი აზრი მე-3 პირის ფორმით დაწერონ. ჩვენ არ შევჩერდებით დიალოგური მეტყველების დახასიათებაზე, მაგრამ მისი გამოყენებით ხშირ შემთხვევაში ნაწერი უფრო საინტერესო, სხარტი და სახალისო რომაა, ამაში ყველა დაგვეთანხმება. მიზეზი მოსწავლეთა მიერ დიალოგების იგნორირებისა კვლავ ნაწერის არამართებულად გაფორმების შიშში უნდა ვეძებოთ.

აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ, მოსწავლეები დიალოგური მეტყველების ნიმუშების წერაშიც გავწაფოთ, მით უმეტეს, რომ ზეპირ პლანში ამ მიმართულებით მათ საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ და აზრის გამომსახველად გადმოცემა, ამისათვის საჭირო საშუალებების ძიება სირთულეს აღარ წარმოადგენს. სავარჯიშოდ შერჩეულ ტექსტში ექსპრესიული

ჯგუფის სასვენი ნიშნების ადგილზე ჩავსვამთ სასიგნალო უჯრებს და ბავშვებს შინაარსის შესაბამისად მათ შევსებას დავავალებთ. ნიმუშად მოვიყვანთ მოთხრობას ი. გოგებაშვილის მიხედვით:

- გამარჯობა ☐
- გაგიმარჯოს ☐
- ეგ რა მოგაქვს ☐
- შეშა ☐
- რას ამბობ, კაცო, რის შეშა, თივა გიძევს ურემზე ☐
- აბა, თვითონვე ხომ კარგად ხედავ, რაც არის, რაღას მეკითხები ☐

კიდევ ერთი რამ! ალბათ ყველა პრაქტიკოსი დაგვეთანხმება, რომ ბავშვებისათვის შინაარსის ლექსად და თხრობით გადმოცემა წერით მეტყველებაში სხვადასხვაგვარ სირთულედაა ქცეული. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლის სასოწარკვეთილი ნათქვამი: რაგინდ კარგადაც დავწერო, უმაღლეს შეფასებას მაინც ვერ მივიღებ, რადგან ლექსებში სასვენ ნიშნებს ვერ ვიმახსოვრებო. ეს იმ მოსწავლის ნათქვამია, რომლისთვისაც პუნქტუაციურ ნიშანთა გამოყენების საფუძველი წესებზე იყო დამყარებული და სავარჯიშო მასალას ერთი სახის წინადადების მეორე სახის წინადადებად გადაკეთება წარმოადგენდა.

ჩვენ საჭიროდ ვთვლით, მოსწავლისათვის წერითი მეტყველების ყველა ფორმა ერთნაირად აღიქმებოდეს და ყველა ამოცანა წესების მიხედვით კი არა, სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის მიხედვით წყდებოდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ, სავარჯიშო მასალად ზოგჯერ ლექსებიც გამოვიყენოთ. ამ შემთხვევაშიც კლასს ლექსის შინაარსის შესაფერისი ნიშნების გააზრება და სასიგნალო უჯრებში მათი ჩაწერა უნდა დავავალოთ.

სავარჯიშო

- გაღმა სერზე მგელი ტირის ☐
- რატომ ტირის, რატომო ☐

- ფარას ცხვარი ასცდენია ☐
- მერე ☐
- დათვმა დატორო ☐
- იმას რაღა გული უწუხს ☐
- რად შეჭამა მარტომო ☐

წლის ბოლოს, როდესაც მოსწავლეებს რამდენიმე მოკლე წინადადების დაწერა თავისუფლად შეეძლებათ, ახალ სავარჯიშოებს შევთავაზებთ, მაგ., **კარნახით წერას**. თუ მათ აქამდე სასიგნალო უჯრები „ახსენებდნენ“ სასვენო ნიშნების დასმის აუცილებლობას, ახლა ამოცანის გადაწყვეტას სრულად მოსწავლეებს მივანდობთ.

სავარჯიშო

შეიძლება მოვიფიქროთ განსხვავებული ემოციების გამომხატველი რამდენიმე წინადადება და გავაფრთხილოთ კლასი, რომ კარნახის დროს ყურადღებით დააკვირდნენ ჩვენს ინტონაციას, რომლის მიხედვითაც სასვენო ნიშნები უნდა დასვან.

- | | |
|------------------------|-------------------------|
| 1. შენ გაეზარდე დედას! | 4. არ მინდა, არა! |
| 2. ეს რა მითხარი! | 5. საით გაგიწევია? |
| 3. აი, ის სახლი. | 6. ჩქარა, გვაგვიანდება! |

სხვა სავარჯიშოებში მხოლოდ ნიშნების დასმა კი არა, შეიძლება წინადადებათა დამოუკიდებლად შედგენაც დავავალოთ.

სავარჯიშო

ჩამოვწერთ დაფაზე ემოციების გამომხატველ ნაცნობ სიტყვებს: **ჭირვეულობა, შფოთი, სიხარული, მუქარა, დამშვიდება, წაქეზება, დაცინვა, დატუქსვა, საყვედური**.

გავალებთ კლასს, მოიფიქრონ და ჩაწერონ ამ ემოციების ამსახველი იმდენი წინადადება, რამდენსაც მოასწრებენ განსაზღვრულ დროში.

სავარჯიშო

ვავლებო კლასს დაფაზე დახატული კაცუნების „გახმოვანებას“ და თითო-ეული წინადადების ბოლოს სასვენი ნიშნის დასმას.



ჩვენ მრავალგზის აღვნიშნეთ, რომ პუნქტუაციის ტრადიციული სწავლება ფორმალურ ხასიათს ატარებს – ვერც თეორიული ცოდნა და ვერც სავარჯიშო მასალა ვერ უზრუნველყოფს ჯეროვანი პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას და წერის პროცესში მათ დამკვიდრებას. ვითვალისწინებო რა ამას, პრაქტიკულ სავარჯიშოებში უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებო, თუ რამდენად იქნება მიახლოებული იგი ბუნებრივ სამეტყველო სიტუაციებს და როგორ აისახება ეს მოსწავლეთა პრაქტიკულ ჩვევებში.

სავარჯიშოებით მიმართულებას ვაძლევო მოსწავლის შეგნებულ მოქმედებას, ვცდილობო, თავი ავარიდოთ საკითხის მექანიკურ გადაჭრას, ვუბიძგებო მათ, იხელმძღვანელონ არა გაბეპირებული წესებით, არამედ სამეტყველო სიტუაციების მიხედვით.

ამ ტიპის სავარჯიშოებს განეკუთვნება ქვემოთ მოყვანილი კიდევ ერთი ნიმუში:

სავარჯიშო

დაასრულეთ სათქმელი და დასვით სათანადო სასვენი ნიშნები:

- | | |
|---------------------------------------|--|
| ☐ ვინ | ☐ ხელი არ |
| ☐ ლადო, | ☐ იქნებ მართლა |
| ☐ რატომ არ | ☐ ამასობაში |
| ☐ ერთი ამას | ☐ თუ გინდა |
| ☐ ერთ დღეს | ☐ ამ ზაფხულს |

როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, ჩვენი ყოველი სავარჯიშო თითოეული მოსწავლისაგან დავალების არასტანდარტულად გადაწყვეტას გულისხმობს. მაგ., პირველი დასასრულებელი წინადადება შეიძლება სრულიად განსხვავებული ემოციებით დატვირთონ: **ვინ** მეძახის? **ვინ** გაბედა ეს! **ვინ** მოგიწონებს ამას! **ვინ** არ იყო აქ... ასე იქნება სხვა მაგალითებშიც: **ლადო**, სად იყავი გუშინ? **ლადო**, გილოცავ დაბადების დღეს! **ლადო**, წამომყევი, რა! **ლადო**, დღეს სახლში მინდა დავრჩე და ა.შ. ჩვენ ყველა პასუხს მისაღებად მივიჩნევთ, სადაც სასვენი ნიშანი წინადადებით გამოხატული შინაარსის ზუსტი შესატყვისი იქნება.

წლის ბოლოს სავარჯიშოთა მოცულობის გაზრდა და ოდნავ გართულებაც შეიძლება: სასურველია ვასწავლოთ წერილების წერა, ავადმყოფი ამხანაგის მოკითხვა, დაბადების დღის ან სხვა ღირსშესანიშნავი თარიღის მილოცვა, საზაფხულო გეგმების გაზიარება... საზაფხულოდ კი დავავალოთ პატარ-პატარა დღიურების წარმოება და სხვა.

სათანადო მეთოდის გამოყენების პირობებში ყველა სახის სავარჯიშო დასაძლევია, მაგრამ შედეგისათვის მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ის რჩევები, რომელთა დიდი ნაწილიც წერილების სახით შემოგთავაზეთ.

ქეთევან ქობალაია 177

ბავშვის ფიზიკური მზაობა სკოლისათვის 179

უმცროსკლასელთა ფიზიკური განვითარება
ოჯახში 186

თანამედროვე საზოგადოებრიობის მამოძრავებელი
აქტივობა 193

მოძრავი თამაში როგორც ბავშვის ფიზიკური
თვისებების განვითარების საშუალება 200

ბავშვის ფიზიკური მზაობა სკოლისათვის

სკოლაში სწავლისათვის მზაობის ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. მისი მიზანია ბავშვის მრავალმხრივი განვითარება. განასხვავებენ ზოგად და სპეციალურ მზაობას. ზოგადი მზაობა ძირითადად განისაზღვრება ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების დონით. სპეციალური მზაობა გულისხმობს ბავშვებში ისეთი წარმოდგენებისა და უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას, რომლებიც შემდეგი სასწავლო საგნების სწავლების საფუძველს ქმნიან: მშობლიური ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და სხვ.

სკოლაში სწავლისათვის მზაობას განიხილავენ, როგორც ბავშვში ისეთი კომპეტენციათა არსებობას, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის სტატუსის ჩამოსაყალიბებლად. იმავდროულად, საბავშვო ბაღში და ოჯახშიც ძირითად ყურადღებას, როგორც წესი, აქცევენ სპეციალურ განათლებას, ხოლო ფიზიკური განათლება, ხშირ შემთხვევაში, ჩრდილში რჩება. ამის გამო სკოლამდელთა დიდ ნაწილს არ აქვს ჩამოყალიბებული მზაობა ფიზიკური აქტივობების შესასრულებლად, სწორი ტანადობის განსამტკიცებლად, სასიცოცხლო ფიზიკური უნარ-ჩვევების დასაუფლებლად და ა.შ. ასეთი დამოკიდებულება ფიზიკური აღზრდა-განათლებისადმი უარყოფითად მოქმედებს ბავშვების ჯანმრთელობაზე, რომელზეც უნდა ვიფიქროთ ბავშვის დაბადებიდანვე (უფრო სწორად, მუცლად ყოფნის პერიოდიდან). ყველა პირობა უნდა შევქმნათ ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვებში კიდევ უფრო იმატებს ისეთი დაავადებები, როგორიცაა სკოლიოზი, კიფოზი, სისხლძარღვთა სისტემის, ძვალკუნთოვანი სისტემის დარღვევა და სხვ. ცნობილია, რომ უმცროს სკოლამდელ ასაკში ბავშვთა 15-25%-ს უკვე აქვს ქრონიკული პათოლოგიები, ხოლო 6-7 წლისათვის ეს მაჩვენებელი 40%-ს აღწევს.

სკოლამდელთა ფიზიკური აღზრდისა და განათლების სფეროში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვადასხვა გზა არსებობს. მთავარია, ინიციატივებს არ ჰქონდეს ტემპების დაჩქარების ხასიათი. უპირველეს ყოვ-



ლისა, ისინი მიზნად უნდა ისახავდნენ ბავშვისათვის შესაფერისი პირობების შექმნას, მისი მონაცემებისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენას.

ოჯახი და პედაგოგები სისტემატურად უნდა ზრუნავდნენ სკოლაში სწავლისათვის ბავშვის მომზადებაზე. მათ უნდა შეაჩვიონ ბავშვი, დაიცვას ცხოვრების ჯანსაღი წესი და მიაღწიოს განვითარების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებას, რაც აუცილებელია სკოლის სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევა-ათვისებისათვის.

ფიზიკური აღზრდის საშუალებებია: ფიზიკური ვარჯიში, ჰიგიენური ფაქტორები და ბუნებრივი პირობები. ბავშვთა ფიზიკური განვითარებისათვის იყენებენ სამივეს, მაგრამ მათ შორის ძირითად საშუალებად ითვლება ფიზიკური ვარჯიში, რომელიც სისტემატური ხასიათისა უნდა იყოს.

სწავლების დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ ვარჯიშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ორგანიზმის ზრდა-განვითარების თვალსაზრისით. იგი დადებითად მოქმედებს შინაგან ორგანოებსა და ნივთიერებათა ცვლაზე. ფიზიკური ვარჯიში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ბავშვის ემოციურ სფეროს, იწვევს ძირითადი ფიზიკური თვისებების განვითარებას (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე და მოქნილობა). ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ცენტრალური ნერვული სისტემა, კერძოდ კი თავის ტვინის ქერქი, მნიშვნელოვნად ვითარდება და ბავშვები შედარებით ადვილად იწყებენ ფიზიკური ვარჯიშის ათვისებას, რადგან ყურადღება უუძცობესდებათ.

სწავლების დაწყებით საფეხურზე ფიზიკური ვარჯიშის დროს გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის ორგანიზმის ძვლოვანი სისტემა ინტენსიურად ვითარდება, სხეულის წონა ყოველწლიურად იზრდება 2-3 კგ-ით, სიმაღლე – 2-4 სმ-ით, გულმკერდის გარშემოწერილობა – 2-4 სმ-ით, ძვლები შედარებით ელასტიკურია, ხოლო კუნთოვანი სისტემა სუსტადაა განვითარებული. ამიტომ ამ ასაკში მერხთან ხანგრძლივმა ჯდომამ შეიძლება გამოიწვიოს ხერხემლისა და გულმკერდის ფორმის პათოლოგიური გადახრა.

სწორი ტანადობის განვითარებისას პირველი ამოცანაა სამოძრაო აპარატისა და შინაგანი ორგანოების ფუნქციონირების ხელშეწყობი „ძირითადი დგომის“ („გამართული ტანადობის“) ჩვევის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განმტკიცება. ეს ამოცანა წყდება სასიცოცხლო მნიშვნელობის მოძრაობითი მოქმედებების (სიარული, რბენა და სხვ.) ტექნიკის დაუფლებისას ფიზიკური თვისებების გამომუშავებით (ძალა და მოქნილობა, სტატიკური და დინამიკური წონასწორობის დაცვის უნარის განვითარება).

პირველ ეტაპზე აუცილებელია შეიქმნას ტანადობის შესახებ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა. განმარტებისა და დემონსტრირების მეთოდებთან ერთად ამ მიზნის მისაღწევად მიმართავენ სტატიკურ ვარჯიშებს. ამ დროს მოსწავლემ უნდა დაიცვას „იძულებით“ დავალებული რაციონალური პოზა (ვარჯიში სპორტულ კედელთან, ვარჯიშები ტანვარჯიშის ჯოხებით და ა.შ.). თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთმა ვარჯიშებმა არ უნდა გამოიწვიოს გადაღლა, ისინი მრავალფეროვანი და, შეძლებისდაგვარად, საინტერესო უნდა იყოს. სწორი ტანადობის დაცვის აუცილებლობის შესახებ დასაწყისში რაც შეიძლება ხშირად უნდა მოვაგონოთ მოსწავლეებს. უმცროსი ასაკის ბავშვებთან მეცადინეობის დროს უნდა მოქმედებდეს წესი: ყოველი გაკვეთილი, ყოველი ფიზკულტურული პაუზა და ყოველდღიური დილის ტანვარჯიში „გამასწორებელი“ ვარჯიშით და ტანადობის კონტროლით უნდა დაიწყოს.

დგომის სწორი პოზის ათვისებისათვის მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება მის ძირითად ელემენტებზე. მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე მივაქციოთ ყურადღება დგომის დროს თავის სწორ მდგომარეობას (საფეთქლის ხაზი, პრაქტიკულად, მიმართული უნდა იყოს ჰორიზონტალურად; მხერა – წინ მიპყრობილი, კისერი – სწორად გამართული და არა ზედმეტად დაძაბული, მხრები – გადაშლილი და არა აწეული). ამასთან ერთად ვერტიკალური მდგომარეობის დროს ტანის ზედა რგოლების მდგომარეობა ბევრად განისაზღვრება ქვემოთ მდებარე საყრდენი რგოლების, უპირველეს ყოვლისა, ქვედა კიდურების მდგომარეობით. ამიტომ ძირითადი დგომის ელემენტების ათვისებისა და მათი სისწორის კონტროლის დროს უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა:



1. **ტერფების მდგომარეობა.** დგომისას ისინი თითქმის პარალელურად უნდა იყოს, რამდენადმე გაშლილი.
2. **ფეხების სრული გამართვა მუხლის სახსრებში.** ფეხების გამართვის დროს წვივითა და ბარძაყით სწორი ხაზი უნდა იქმნებოდეს.
3. **მენჯის სახსრებსა და წელის არეში გაშლა.** უნდა დავდგეთ გამართულად და თავის ზედმეტად დახრის გარეშე დავინახოთ ფეხის თითები.
4. **სხეულის ზედა რგოლების გაწყობა.** დგომისას ბეჭებისა და მხრების სწორი გამართვა, გულმკერდის „გაშლილი“ მდგომარეობა და თავის სწორი მდგომარეობა.

ამრიგად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ტანადობის ჩამოყალიბებას. ეს ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს სისტემატურ მეცადინეობას ბავშვის ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების დონის გათვალისწინებით.

მეცადინეობისათვის ირჩევენ სხვადასხვა კუნთოვანი ჯგუფის ვარჯიშებს: მხრის სარტყლის, ზურგის, მუცლის პრესისა და ქვედა კიდურებისას. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, დაბალი საწყისი მდგომარეობების გამოყენება (წოლეა, ჯდომეა, ჩოქბჯენში), რაც ხელს უწყობს ხერხემლის სწორი აღნაგობის შენარჩუნებასა და მასზე დატვირთვის შემცირებას. დატვირთვის მოცულობა და ინტენსივობა უნდა იზრდებოდეს თანდათანობით.

ფიზიკური ვარჯიშების ჩატარებისას რეკომენდებულია სხვადასხვა სავარჯიშო იარაღის გამოყენება (ტანვარჯიშის ჯოხი, სალტე, ბურთი, სილის პარკუჭი და სხვ.), რაც ახალისებს მეცადინეობას. ამასთან ერთად, ხდება თავისა და სხეულის მდგომარეობის ფიქსაცია, რაც დადებითად მოქმედებს სწორი ტანადობის ჩამოყალიბებაზე.

გთავაზობთ ფიზიკური ვარჯიშების რამდენიმე კომპლექსს სწორი ტანადობის განსამტკიცებლად.

ვარჯიშები ტანადობის ჩამოსაყალიბებლად

1. ს.მ. (საწყისი მდგომარეობა) – ძირითადი დგომი, ხელისგულები კეფაზე, იდაყვები გაშლილი;
თვლაზე 1-2 – გაზნექით ფეხის ცერებზე აწევა, შესუნთქვა;
თვლაზე 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა.

2. ს.მ. – ძირითადი დგომი, ღუნწინმკლავი, თითები გადახლართულია; თვლაზე 1-2 – ზემკლავი ნების ზევით შებრუნებით, ფეხის ცერებზე აწევა, შესუნთქვა;
თვლაზე 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა.
3. ს.მ. – ძირითადი დგომი, მკლავები ტანსუკან, თითები გადახლართული, ნები გარეთ;
თვლაზე 1 – მკლავების ენერგიულად უკან გაწევა, ნები შიგნით;
თვლაზე 2 – ფეხის ცერებზე აწევა, გაზნეცი, შესუნთქვა (თავი პირდაპირ);
თვლაზე 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა.
4. ს.მ. – ძირითადი დგომი, ხელები მოხრილი იდაყვის სახსარში და მოთავსებული მხრებზე;
თვლაზე 1-4 – მკლავების წრიული მოძრაობა წინიდან უკან;
თვლაზე 5-8 – მკლავების წრიული მოძრაობა უკნიდან წინ.
5. ს.მ. – პირაღმა წოლი, ხელები ტანის გასწვრივ;
თვლაზე 1-2 – იხრება თავი, ტერფები და ხელის მტევნები;
თვლაზე 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.
6. ს.მ. – პირაღმა წოლი, ხელები ტანის გასწვრივ;
თვლაზე 1 – მარჯვენა ხელის და მარცხენა ფეხის აწევა 45°-იანი კუთხით;
თვლაზე 2-3-4 – ნელი ტემპით დაბრუნება საწყის მდგომარეობაში;
იგივე მეორდება მარცხენა ხელით და მარჯვენა ფეხით.
7. ს.მ. – პირქვე წოლი, ზემკლავი;
თვლაზე 1-2 – გაზნეცი თავისა და მკლავების მაღლა აწევით, შესუნთქვა;
თვლაზე 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა.
8. ს.მ. – პირქვე წოლი, ღუნგანმკლავი;
თვლაზე 1-2 – გაზნეცი, ბეჭების შეერთება, შესუნთქვა;
თვლაზე 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.
9. ს.მ. – პირქვე წოლი, ზემკლავი;
თვლაზე 1-2 – მარცხენა მკლავისა და მარჯვენა ფეხის ზეაქნევი და გაზნეცი, თავის ზევით აწევა;
თვლაზე 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;
თვლაზე 5-8 – იგივე მარჯვენა მკლავითა და მარცხენა ფეხით.



10. ს.მ. – პირქვე წოლი, ხელები ტანის გასწვრივ;
თვლაზე 1 – გაზნეტი თავის, მკლავების და ფეხების მაღლა აწევით, მკლავები და ფეხები ოდნავ განზე;
თვლაზე 2-3 – აღნიშნულ პოზაში გაჩერება;
თვლაზე 4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

ყველა ვარჯიში მეორდება 6-8-ჯერ.

ვარჯიშები მუცლის კუნთებისათვის (პრესის ვარჯიშები)

1. პირაღმა წოლი, ზეტანის აწევა (ფეხები დამაგრებულია);
2. პირაღმა წოლი, მოხრილი ფეხების აწევა;
3. პირაღმა წოლი, გამართული ფეხების რიგრიგობით აწევა 45°-ით;
4. პირაღმა წოლი, გამართული ფეხების რიგრიგობით აწევა 45°-ით და განზე გატანა;
5. პირაღმა წოლი, გამართული ფეხების აწევა 90°-ით;
6. „მაკრატელა“. პირაღმა წოლი, გამართული ფეხების აწევა, განზე გაშლა და შემხვედრი მოძრაობით გადაჯვარედინება;
7. „ველოსიპედი“. პირაღმა წოლი, ფეხების მოხრა და ჰაერში წრიული მოძრაობის გაკეთება (წინ და უკან);
8. პირაღმა წოლი, გამართული ფეხების აწევა მაღლა, თავს უკან ფეხის თითებით იატაკის შეხება.

ვარჯიშები ტერფის გამაგრებისათვის

1. სიარული: ფეხის ცერებზე; ქუსლებზე; ტერფის გარეთა და შიგნითა ნაწილით;
2. სხვადასხვა საგნის ჩაღვლა და გადაადგილება ფეხის თითებით (ტანვარჯიშის ჯოხი, სახტუნელა და სხვ.);
3. სპორტულ კედელზე ცოცვა ფეხის თითების ჩაღვლებით.

ვარჯიშები ტანვარჯიშის ჯოხით

1. ს.მ. – ძირითადი დგომა, ჯოხი ქვევით.
თვლაზე 1 – ჯოხი მკერდზე;
თვლაზე 2 – ჯოხი ზევით (უყურებთ ჯოხს);

- თვლაზე 3 – ჯოხი მკერდზე;
 თვლაზე 4 – დაბრუნება საწყის მდგომარეობაში.
2. ს.მ. – ფეხშლით დგომი, ჯოხი მხრებზე;
 თვლაზე 1 – ბეტანის მარჯვნივ ბრუნი (ჯოხი ზევით);
 თვლაზე 2 – ს.მ.;
 თვლაზე 3-4 – იგივე მეორე მხარეს.
3. ს.მ. – ძირითადი დგომი, ჯოხი ქვევით;
 თვლაზე 1 – ბუქნი, ჯოხი წინ;
 თვლაზე 2 – ს.მ.
4. ს.მ. – ჯდომი, გამართული ფეხები ერთად, ჯოხი მუხლებზე (ორივე ხელშია);
 თვლაზე 1 – წინნეჭი, ჯოხით ცერებზე შეხება;
 თვლაზე 2 – ს.მ.



ყველა ვარჯიში მეორდება 6-8 ჯერ.

ვარჯიშები სალტით

1. ს.მ. – ძირითადი დგომი, სალტე ქვევით, ორივე ხელში;
 თვლაზე 1-2 – მარჯვენის უკუფეხი ცერზე, სალტე ზევით (უყურებთ სალტეს);
 თვლაზე 3-4 – ს.მ.
2. ს.მ. – ძირითადი დგომი (სალტე ორივე ხელშია);
 თვლაზე 1-2 – გაქნევით სალტე მარჯვნივ (მარჯვენა ხელით);
 თვლაზე 3-4 – ს.მ.;
 თვლაზე 5-8 – იგივე მეორე მხარეს მარცხენა ხელით.
3. ს.მ. – ძირითადი დგომი, ზემკლავი, სალტე ორივე ხელშია;
 თვლაზე 1-2 – წინნეჭი, სალტის შეხება იატაკთან (მკლავები გამართული);
 თვლაზე 3-4 – ზემართი ს.მ.
4. ს.მ. – ჯდომბჯენი, ფეხები მოღუნული, სალტე ტანსწინ იატაკზეა;
 თვლაზე 1 – მარჯვენა ფეხის გამართვა, სალტეში მოთავსება;
 თვლაზე 2 – ს.მ.;
 თვლაზე 3-4 – იგივე მარცხენა ფეხით.

ყველა ვარჯიში მეორდება 6-8 ჯერ.

უმცროსკლასელთა ფიზიკური განვითარება ოჯახში

ბავშვის ფიზიკური განვითარება საოჯახო პედაგოგიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამთავითვე უნდა დავსვათ კითხვა: როგორი ბავშვი შეიძლება ჩავთვალოთ ფიზიკურად განვითარებულად? პასუხი: ისეთი, რომელსაც კარგი ჯანმრთელობა აქვს, წამდაუწუმ არ ხდება ავად, ასაკის შესაბამის ფიზიკურ მონაცემებს ფლობს; როგორც იტყვიან ხოლმე, „მოძრავი ბავშვია“, სხარტია, იოლად დარბის, ხტუნავს; ხალისით დასდევს ბურთს, ცურავს, არ უჭირს წონასწორობის დაცვა, თავისუფლად მართავს ველოსიპედს და ა.შ. ამასთან, აქვს სწორი, გამართული ტანადობა, მსუბუქი, კოორდინირებული ნაბიჯი, ლამაზი აღნაგობა და სხვ.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი მართლაც ჯანმრთელი და ფიზიკურად განვითარებული იყოს, თუ ჩვენ გვინდა, რომ სასკოლო მეცადინეობებმა იგი ამ მხრივ ვერ შეზღუდოს, აუცილებელია, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მისი დღის წესრიგი მკაცრად იყოს დაცული და რეგლამენტირებული, რაც, სპეციალისტების რჩევით, უნდა აკმაყოფილებდეს, სულ ცოტა, სამ ძირითად მოთხოვნას. ესენია: გეგმაზომიერი მოძრაობა, ნორმალური ძილი და რაციონალური კვება.

დღის რეჟიმი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება, მათ შორის კი, როგორც ითქვა, უმთავრესია: ძილი, კვება, ნაირგვარი საქმიანობის მონაცვლეობა. ფსიქოლოგებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ აქედან რომელიმე კომპონენტის რამდენადმე მაინც გაუთვალისწინებლობა საგრძნობლად უარყოფითად მოქმედებს ბავშვის გუნება-განწყობილებაზე, რაც მაშინვე აისახება სწავლისადმი დამოკიდებულებაზე. ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგების სპეციალურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც მიჩვეული არიან დღის რეჟიმს, უკეთესად სწავლობენ, იშვიათად ხდებიან ავად და, საერთოდაც, უფრო მშვიდი, დამჯერე და კეთილგანწყობილი არიან. ხოლო, პირიქით, ისინი, ვისი ყოველი შემდეგი დღეც არ ჰგავს წინას, ჩვეულებრივ, აღგზნებულნი ხდებიან. მათ ახასიათებთ: მწვავე ემოციური აშლილობა, ჟინიანობა, ახირებულობა, ჭირვეულობა, უკონტაქტობა და მისთ. ამას კი, როგორც წესი, ემატება სხვადასხვანაირი დაბრკოლებები და გართულებებიც სწავლაში.

ჰიპოდინამია – თანამედროვე საზოგადოების ავადმყოფობა

ბავშვის ავადმყოფობათა მნიშვნელოვანი ოდენობა მის ცხოვრებისეულ ინერტულობასთან და, უპირველეს ყოვლისა, არასაკმარის ფიზიკურ დატვირთვასთანაა დაკავშირებული. არადა, ადამიანის მოძრაობითი აქტივობა მისი ჯანმრთელობის დაცვა-შენარჩუნების უმთავრესი წყაროა. აი, რატომაა, რომ პედაგოგები, ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, მედმუშაკები ასე დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ დაურეგულირებელი სასკოლო ცხოვრება, არასაკმარისი მამოძრავებელი რეჟიმი ჰიპოდინამიის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს, რასაც თან სდევს გულ-სისხლძარღვთა ქმედობაუნარიანობის დარღვევა, წნევის მომატება თუ დაქვეითება, სიმსუქნე, ტანადობის მოშლა-მოშვება, ხერხემლის მოხრილობა-გამრუდება, სკოლიოზი, წელსკავი, ნაირგვარი ქრონიკული დაავადება; ამას გარდა, ქვეითდება ინფექციებისა და გაციებისადმი წინააღმდეგობა; ეს, თავის მხრივ, იწვევს ფსიქო-ნერვულ სტრესებს, კონფლიქტებს და სხვ.

როგორ ვიპოვოთ ჰიპოდინამიას

ბავშვის ფიზიკურ განვითარებაში დადებითი შედეგების მისაღწევად უნდა დავიცვათ შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

1. მოძრაობითი აქტივობა უნდა ხორციელდებოდეს 6-10 წლის ბავშვის ორგანიზმის ზოგადი თავისებურებების გათვალისწინებით. საამისოდ სამედიცინო ლიტერატურაში გამოწვლილვითაა აღწერილი, რას განიცდის ამ ასაკის ბავშვის ორგანიზმი ფიზიკური დატვირთვის დროს. ასევე, მითითებულია, რომ, ვთქვათ, ჭამის შემდეგ მაშინვე არ შეიძლება ცურვა, ფეხბურთის, კალათბურთის და ა.შ. თამაში. სჯობს, წესად დავამკვიდროთ: ფიზიკური აქტივობა დავიწყოთ ჭამიდან 1-1,5 საათის შემდეგ.
2. უნდა ვითვალისწინებდეთ ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს. ფრთხილად, ფაქიზად, მზრუნველობით უნდა ვეპყრობოდეთ მის ფიზიკურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს, და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ფიზიკურ დატვირთვათა განაწილების დროს საჭიროა, ვიცავდეთ ზომიერებას. იგი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ასევე, ფიზიკურ აქტივობათა, ვარჯიშობათა და მოძრავ თამაშობათა დროს ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ ბავშვები არ გადაიღალონ. ამის ნიშნები თვალნათლივ ვლინდება. დაღლილობისას ბავშვებს ეცვლებათ სახის ფერი (გამოიხატება სიფითრით ან სიწითლით), ტუჩებს სილურჯე გადაჰკრავს, ეხუთებათ სული, ნესტოები ებერებათ, პულსი უხ-

შირდებათ; ხელ-ფეხის მოძრაობებს კოორდინაცია ეკარგება („ფეხები ებლანდებათ“). ასეთი სიმპტომებისას მეცადინეობები დაუყოვნებლივ უნდა შევწყვიტოთ, ბავშვები გარკვეული დროით უნდა წამოვაწვინოთ, ან დავსვათ მაინც.

3. ოჯახში ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა მისი სისტემატურობა და თანმიმდევრულობა. იმისათვის, რომ ფიზიკური აღზრდის ვარჯიშობანი ეფექტური იყოს, მეცადინეობებს შორის ინტერვალი, როგორც სპეციალისტები გვირჩევენ, 48 საათს არ უნდა აღემატებოდეს, ვინაიდან, ვთქვათ, თუნდაც დილის ვარჯიშის ორჯერ მედიზედ გამოტოვების შემთხვევაშიც კი მისი ეფექტიანობა საგრძნობლად მცირდება და საჭირო ხდება კვირის ფიზიკური დატვირთვის ხელახალი გადანაწილება. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ოჯახში ბავშვისათვის ფიზიკურ დატვირთვათა ინდივიდუალური რეჟიმის დაწესება. მიჩნეულია, რომ რეჟიმის დარღვევის შემდეგ უპრიანია, ბავშვი სამჯერ ნაკლებად დავტვირთოთ (და არა პირიქით), ხოლო თვით ვარჯიშობანი საშუალო ტემპში ვასრულებინოთ, თანდათანობითი მატებით, ცხადია.
4. ფიზიკურ დატვირთვათა ატანისას ბავშვს სწორად, ნორმალურად სუნთქვა უნდა ხელეწიფებოდეს. ამ მნიშვნელოვანი პირობის დაცვა აუცილებელია ნებისმიერი ვარჯიშობის დროს, განსაკუთრებით კი სირბილისას, ხტომისას (ახტომა-დახტომისას) და სხვა მიმსგავსებულ მოძრაობათა შესრულებისას. სუნთქვის შეკავება ამცირებს ნახშირბადის რაოდენობას სისხლში, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფილტვებისა და გულის მუშაობაზე.

მაშ, მთავარია, ბავშვს ავითვისებინოთ ფიზიკური ვარჯიშებისას სწორად სუნთქვა. საამისოდ საჭიროა, რომ:

- ჩასუნთქვის რიტმი შეესაბამებოდეს მოძრაობათა რიტმს;
- შესუნთქვა ემთხვეოდეს იმ მოძრაობებს, რომელთა დროსაც გულმკერდი ფართოვდება, ხოლო ამოსუნთქვა – იმას, რომელთა დროსაც იგი ვიწროვდება;
- თუ ბავშვს სუნთქვა შეეკრა, იმისათვის, რომ აღიდგინოს იგი, ორ-სამჯერ ღრმად უნდა ამოსუნთქოს;
- ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ბავშვი მაშინვე არ უნდა წამოვაწვინოთ, არც დავსვათ, არც შხაპი მივაღებინოთ. ეს ყველაფერი მან მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გააკეთოს, რაც დარღვეული სუნთქვა ნორმალურს მიუახლოვდება.

როგორ უზრუნველვყოთ ბავშვთა მოძრაობითი აქტივობა

მოძრაობითი აქტივობა ოჯახში შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: დილის ვარჯიშს; მოძრავ თამაშობებს (სკოლის შემდეგ, დასვენებისას); ფიზიკურ-ტურულ პაუზებს (საშინაო დავალებების შესრულებისას); ისეთ საოჯახო შრომით საქმიანობაში მონაწილეობას, რომელიც გარკვეულ კუნთურ დაძაბულობას საჭიროებს; სპორტულ თამაშობებს (შინ, ეზოში ან საამისოდ გამოყოფილ მოედანზე); სეირნობებს, ლაშქრობებს. მოძრაობითი აქტივობის უზრუნველყოფა სკოლამდელი ასაკიდანვეა საჭირო. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სკოლაში სისტემატური სწავლების დაწყების შემდეგ იგი შესამჩნევად მცირდება. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, ექიმები მიიჩნევენ, რომ აქტიურობისა თუ ცხოვრებისეული ტონუსის შესანარჩუნებლად უმცროსკლასელმა დღეში არანაკლებ 5 კმ-ისა უნდა იაროს, ირბინოს (იგულისხმება განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე), ისეირნოს.

მოძრაობითი აქტივობა შეიძლება დაიწყოს ყოველდღიური დილის ვარჯიშით. მისი ძირითადი დანიშნულებაა ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშობათა შესრულება საგნებით (ბურთით, სავარჯიშო ჯოხებით, რგოლებით, ლენტებით) ან საგნების გარეშე. მისი ხანგრძლივობა უმცროსკლასელისათვის, ჩვეულებრივ, 8-10 წუთით განისაზღვრება. თუ ამინდი (და სხვა პირობები) შესაძლებლობას იძლევა, უპრიანია, იგი სუფთა ჰაერზე – აივანზე ან ეზოში – ჩავატაროთ.

საოჯახო დილის ვარჯიშის კომპლექსის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. 9-10 წლის ბავშვისათვის შედარებით მრავალფეროვანი და გართულებული ვარჯიშობანი უნდა შეირჩეს. იგულისხმება სიმარჯვის, სიმარდის, მოხერხებულობის, რეაქციის სისწრაფის განმავითარებელი ვარჯიშები, აქვე შეიძლება ზოგი სახის ძალოსნური ვარჯიშის ჩართვაც (განსაკუთრებით – ბიჭუნებისათვის).

დილის სატანვარჯიშო კომპლექსში ისეთი ვარჯიშობანი უნდა შევიტანოთ, რომ მათ შესრულებაში მონაწილეობდეს მკლავების, მხრის სარტყლის, ფეხების, ზურგის კუნთების სხვადასხვა ჯგუფები. მიზანშეწონილია, იგი ტარებოდეს დაახლოებით ასეთი თანამიმდევრობით: დაჭიმვა, ხელებისა და მხრების სარტყლის ვარჯიში, ტორსის კუნთების გასამაგრებელი და სწორი აღნაგობის (ე.წ. „კუნთური კორსეტის“) შესანარჩუნებელი ვარჯიშები, ვარჯიშები ფეხებისათვის; წახტომები, რბენა ადგილზე, სიარული, სუნთქვითი ვარჯიშები.

არსებობს რამდენიმე მარტივი წესი, რომელთაც დილის ტანვარჯიში უნდა ექვემდებარებოდეს, სხვაგვარად იგი სასარგებლო კი არა, შეიძლება ზიანის მომტანიც კი აღმოჩნდეს. მთავარი წესია გეგმაზომიერი დატვირთვა (რაც უნდა უბრალო და მარტივი გვეჩვენებოდეს ის, მრავალჯერადი განმეორებისას ბავშვისათვის შესაძლოა რთული გამოდგეს). სპეციალისტები გვირჩევენ, რომ მოთელვის ყოველგვარი მოძრაობა 4-6-ჯერზე მეტად არ გავიმეოროთ, ამასთან, ყოველი ილეთის შემდეგ აუცილებლად უნდა გაკეთდეს პაუზა. ასევე მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ამ ასაკის ბავშვები ძალიან სწრაფად და იოლად კარგავენ ინტერესს ნებისმიერი მეცადინეობისადმი, თუ იგი მონოტონურად და ერთფეროვნად ტარდება.

უმცროსკლასელის დილის ტანვარჯიშის კომპლექსი შედგება 8-10 სავარჯიშოსაგან, რომლებიც გამიზნულია კუნთების თითოეული ჯგუფის (კისრის, მკლავების, ფეხების, ტანის) მოთელვისა და ვარჯიშისათვის. ამასთან, მათი ხანგრძლივობა შეიძლება დაახლოებით 15 წუთით განვსაზღვროთ (შეიძლება ოდნავ წავუმატოთ ან მოვაკლოთ, – გააჩნია ბავშვის ასაკს და კუნთების განვითარების დონეს).

დილის ტანვარჯიშის ჩატარებისას აუცილებელია, ყურადღებით ვიყოთ ბავშვის გუნება-განწყობის მიმართ. თუ დილაობით ვარჯიშებს იგი ძალდაუტანებლად, ხალისით ასრულებს და ფხიზლად, მხნედ გამოიყურება, ავარჯიშეთ, მაგრამ თუ გამოფხიზლება უჭირს და ვარჯიშის დაწყება ეძნელება, შეამცირეთ დატვირთვა, ან სულაც საღამოსთვის გადადეთ იგი.

ფიზკულტურული პაუზა ოჯახში

საშინაო დავალებათა შესრულების პროცესში მიზანშეწონილია, უზრუნველყოთ თუნდაც მცირე ფიზკულტურული აქტივობა (ფიზკულტურული წუთშესვენების სახით). შეიძლება მოხერხდეს რამდენიმე უბრალო ვარჯიში – მკლავების, ტანის, ფეხების კუნთებისათვის. ეს დაგვეხმარება, მოვხსნათ იმ ცალკეული კუნთების დაძაბულობა, რომლებიც მასში მონაწილეობენ, ასევე ავამოქმედოთ მოდუნებული კუნთები. ასეთი ფიზიკური აქტივობის გამოწვევა-გამოვლენის ოპტიმალური ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 2-3 წუთია. იმისათვის, რომ ამ დროს ბავშვმა გარკვეული ემოციური კომფორტიც განიცადოს, შეიძლება, ეს თამაშის ფორმითაც გაკეთდეს.

ასწავლეთ ბავშვს, თავადაც მოიხსნას დაღლილობა

უმცროსკლასელს ჯერ არ შეუძლია, ისე მოიწყოს თავისი ცხოვრება და საქმიანობა, რომ სხვისი რჩევა-შეხსენება-კარნახის გარეშე მოიხსნას მთელი დღის მანძილზე დაგროვილი დაღლილობა. უფროს ადამიანს კი ხელეწიფება, აკონტროლოს სიტუაცია – ცვალოს ბავშვის საქმიანობა („გაკვეთილები უკვე მოამზადე? წამო, გავისერნოთ!“ „ამ ტელეგადაცემას ხომ უყურე, მოდი, ახლა პურზე გამეგზავნე მაღაზიაში!“). ეს ასეა, მაგრამ როგორ შევადლებინოთ ბავშვს, თვითონვე გაუმკლავდეს დაღლილობას?

საამისოდ ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა, გავათავისებინოთ სპეციალურად შერჩეული ფიზიკური სავარჯიშოები, რაც უდავოდ დაეხმარება, დამოუკიდებლად გაათავისუფლდეს დაღლილობისაგან. გთავაზობთ რამდენიმე ასეთ სავარჯიშოს.

ვარჯიში 1. ბავშვი თავიდანვე უნდა მივაჩვიოთ გამართულ, სწორ პოზაში ყოფნას. ამისათვის მან უნდა გაიხადოს ფეხსაცმელი და ფეხები ისე მიადგას ერთმანეთს, რომ ფეხის ცერები და ქუსლები მიტყუპებული ჰქონდეს. ამასთან, მხრები უნდა გადაშალოს, ბეჭები გამართოს და წელშიც არ უნდა გაიზნეოს, ხოლო ხერხემალში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გასწორდეს (გაიჭიმოს). ასე უნდა გაჩერდეს რამდენიმე წუთს, შემდეგ, ისე, რომ მდგომარეობა არ შეიცვალოს, თავი უნდა დახაროს, მერე დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას და გაიმეოროს ეს ვარჯიში რამდენჯერმე.

ვარჯიში 2. პირველ ვარჯიშს ემატება ხელების მოძრაობა. ამ დროს, ჩასუნთქვასთან ერთად, ხელები სხვადასხვა მხარეს, ნელ-ნელა, გამართულად, ხელისგულებით ზევით იწევა მაღლა. ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას შორის კეთდება მცირე პაუზა, რომელიც, ვარჯიშთან შეგუების კვალობაზე, ასევე ნელ-ნელა მატულობს. ხელები დაბლა დაშვებისას ნელი მოძრაობით უნდა ამოვებრუნოთ ისე, რომ ხელისგულები ტანის მხარეს გვექონდეს. ამოსუნთქვის შემდეგ ისევ დგება პაუზის დრო, რასაც მოსდევს მხრების მოშვება და მოდუნება. ბავშვს ყურადღება გაამახვილებინეთ იმაზე, რომ ვარჯიშის შესრულებისას ხერხემალში არ მოიხაროს, ისევე სწორად (ვერტიკალურად) ეჭიროს იგი. ტანის სიმძიმე ტერფებზე თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს, ყველა მოძრაობა დაყოვნებულად და მდორედ უნდა მიმდინარეობდეს. ასე ბავშვი თანდათანობით შეიგრძნობს თავის ტანს, სხეულს.



ვარჯიში 3. ბავშვი იკავებს საწყის მდგომარეობას (როგორც პირველ სავარჯიშოში). შემდეგ ნელ-ნელა უნდა აიწიოს ფეხის წვერებზე, ტანის სიმძიმე გადაიტანოს ტერფების წინა ნაწილზე, ანუ „გაათავისუფლოს“ ქუსლები, შემდეგ ასევე „გაათავისუფლოს“ ფეხის თითები, სიმძიმე გადაიტანოს ქუსლებზე. ფეხის წვერებზე აწევისას ჰაერი უნდა ჩაისუნთქოს, მერე სუნთქვა შეაყოვნოს, ბოლოს კი ამოსუნთქვასთან ერთად ისევ ჩვეულებრივ დადგეს ტერფებზე (მთლიანად).

ვარჯიში 4. ამ ვარჯიშს პირობითად „ყანჩას“ უწოდებენ, ვინაიდან მისი შესრულებისას ბავშვს ცალ ფეხზე დადგომა მოუწევს. ამ დროს მეორე ფეხი უნდა მოხაროს, მოავლოს ხელი წვიგს (კოჭთან) და ფეხისგული მიაბჯინოს მეორე ფეხის ბარძაყის შიდა მხარეს. დასაწყისში წონასწორობის დასაცავად დასაშვებია თავის შეკავება თავისუფალი ხელით. შეუძლია, იგი ჩასტიდოს რაიმე საყრდენს – მაგიდას, სკამს, ანდა სულაც მიეყრდნოს კედელს, მაგრამ შემდეგ ეს აღარ უნდა გამოიყენოს, ვარჯიში უნდა შეასრულოს დამატებითი საყრდენის გარეშე. ასე კუნთები თანდათანობით გაუმაგრდება და საყრდენები აღარ დასჭირდება. პოზის დაფიქსირების შემდეგ მოხრილი ფეხის მუხლი ისევ ნელ-ნელა და ფრთხილად უნდა გასწიოს განზე, მერე კი გაშალოს, მოადუნოს და ძირს დაუშვას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს საგრძნობლად აწყნარებს ბავშვს, სუნთქვა თანაბარი და მშვიდი ხდება. ამ ვარჯიშს 0,5-1 წუთი ეთმობა, ჩვევის გამომუშავების შემდეგ კი მისი ხანგრძლივობა შეგვიძლია გავზარდოთ.

თანამედროვე საზოგადოებრიობის მამოძრავებელი აქტივობა

ადრე ადამიანი ბუნებრივი მოძრაობითი აქტივობის მოთხოვნილებას, როგორც წესი, ფიზიკური შრომის პროცესში იკმაყოფილებდა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად, მისი ცხოვრებისეული პირობები ნელ-ნელა იცვლებოდა. ამ ცვლილებათა ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება გახლავთ ფიზიკურ დატვირთვათა თანდათანობითი შემცირება. დღეს შრომის, წარმოების პროცესში სულ უფრო მეტად იჭრება ტექნოლოგიური მიღწევები. რაც დრო გადის, ყოველდღიურ ყოფაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული, მექანიკური, ქიმიური თუ სხვა საშუალებები. საკმარისია, ითქვას, რომ ისტორიისათვის ძალზე მცირე პერიოდში, ბოლო 60-70 წლის მანძილზე, მატერიალური დოვლათის შექმნისათვის საჭირო ადამიანის კუნთური დატვირთვის წილი თითქმის ორასჯერ შემცირდა. შეიცვალა ის ყოფითი პირობებიც, რომლებიც სულ ახლახან არცთუ უმნიშვნელო ფიზიკურ შრომას მოითხოვდა. მაგალითად დავასახელოთ თუნდაც ე.წ. საოჯახო ტექნიკა: მტვერსასრუტები, იატაკის მექანიკური საწმენდები, სარეცხი მანქანები... მათ ხომ მომქანცველი ფიზიკური დატვირთვისაგან გაათავისუფლეს დიასახლისები. ეკონომისტებმა გამოითვალეს, რომ ამჟამად ჩვენი პლანეტის ყოველ მცხოვრებზე საშუალოდ 100-მდე სხვადასხვა სახის ისეთი ტექნიკური მოწყობილობა მოდის, რომელთა უმეტესობა სწორედ ფიზიკური დატვირთვის შესამსუბუქებლად არის გათვალისწინებული.

შესამჩნევად გააქტიურდა მოსახლეობის ქალაქებში გადასვლა-განსახლების პროცესიც. თუ გასული საუკუნის შუა ხანებში ქალაქებში დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 3% ცხოვრობდა, ახლა ეს მაჩვენებელი 60%-ს უახლოვდება. თუ ადრე, ვთქვათ, ტოკიო მხოლოდ მეთევზეთა დასახლების ადგილად მიიჩნეოდა, დღეს მისი მოსახლეობა 11 მილიონს აღემატება და ის ერთ-ერთ განვითარებულ სამრეწველო ქალაქადაა აღიარებული. დიდი ქალაქების ზრდამ გამოიწვია საქალაქო ტრანსპორტის, საქალაქო მეურნე-

ობის ზრდა-გამსხვილება და ა.შ. ეს ყველაფერი კი ადამიანთა მოძრაობითი აქტივობის შემცირებას განაპირობებს. ფაქტია, საქალაქო ტრანსპორტით შინ მისული ადამიანი, როგორც წესი, დაძინებამდე დარჩენილ დროს ტელევიზორთან ატარებს. ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჩასუქებულ მოსწავლეთა რაოდენობის მატება იმასთანაა დაკავშირებული, რომ ქალაქელი ბიჭები და გოგონები კომპიუტერებსა და ტელევიზორებთან მეტ დროს ატარებენ, ვიდრე მათი პროვინციელი თანატოლები. სტატისტიკა ასევე ადასტურებს, რომ სისხლის მიმოქცევის, სასუნთქი გზების და ნერვული სისტემის ორგანოების პათოლოგიები ქალაქელებში ერთიორად მეტია, ვიდრე სოფლებში. მაშასადამე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ადამიანთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების პარალელურად, მათი ნაკლები ფიზიკური აქტიურობის წინაპირობებსაც ქმნის. მოძრაობითი ფუნქციის შეზღუდვა კი იწვევს ორგანიზმის განსაკუთრებულ მდგომარეობას – ჰიპოკინეზიურ სინდრომს, ანუ ავადმყოფობას. ჰიპოდინამია (ჰიპოკინეზია) აქვეითებს პროფესიულ შრომისუნარიანობას, აუარესებს ჯანმრთელობას და ამოკლებს სიცოცხლეს. მოძრაობის ნაკლებობა – ეს ავადმყოფობათა დასაწყისია. აქ წამყვანი ადგილი ეკუთვნის გულსისხლძარღვთა პათოლოგიებს: ჰიპერტონიას, ათეროსკლეროზს, იშემიას, ინფარქტს და ა.შ.

ფიზიკურ მოძრაობათა გავლენა ორგანიზმზე

ფიზიკურ მოძრაობათა ზემოქმედება ორგანიზმზე, არსებითად, იმითაა განპირობებული, რომ შედარებით მარტივი მოძრაობებიც კი მრავალი კუნთის მონაწილეობით ხორციელდება. მაგალითად, სუნთქვის აქტში 90-მდე კუნთია ჩართული. ზოგიერთი კუნთის მოქმედება ძირითად მოძრაობებს უზრუნველყოფს, რაც უსათუოდ მიზანმიმართული ხასიათისაა, სხვათა გაშლა-მოჭიმვა მოძრაობათა კოორდინაციას უწყობს ხელს, კიდევ სხვა ჯგუფის კუნთები, მამოძრავებელი კუნთური ტონუსის განაწილების მეშვეობით, ქმნის მოცემული მოძრაობისათვის ტვინის რაც შეიძლება მოხერხებულ პოზას და ა.შ.

მამოძრავებელი ქმედობაუნარიანობის პროცესში მონაწილეობს არა მარტო კუნთები, არამედ ნერვული სისტემის მრავალი კომპონენტიც – პერიფე-

რიული ნერვებიდან დაწყებული, ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის უმთავრესი ცენტრებით დამთავრებული. მოქმედ კუნთებში წარმოიქმნება ე.წ. სიგნალები, რომლებიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მასტიმულირებელ გავლენას ახდენს და ამით მათ ქმედობაუნარიანობას განაპირობებს. სიგნალების სისტემატური ნაკადი დადებითად ზემოქმედებს ტვინის განვითარებასა და ფუნქციებზე, ვეგეტატიური ნერვული სისტემის მდგომარეობაზე.

ბიოლოგიურ მოძრაობათა ორგანიზებაში, კონტროლისა და ინფორმაციის აპარატების სახით, მონაწილეობენ გრძნობათა ორგანოებიც – ანალიზატორები. დანარჩენი აუცილებელი კომპონენტებით მოძრაობას უზრუნველყოფენ, აგრეთვე, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, ენდოკრინული სისტემები, საჭმლის მომნელებელი, გამომყოფი და სხვა ორგანოები.

რაც უფრო მრავალნაირია მოძრაობითი ქმედითობა, მით უფრო სრულყოფილია სხეული, ორგანიზმი, მით უფრო მაღალია ფუნქციონალურ შესაძლებლობათა დონე, ხანგრძლივია სიცოცხლე.

კუნთოვანი აქტივობისა და გონებრივი საქმიანობის ურთიერთკავშირი

ტვინის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა, მას მიეწოდებოდეს ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის იმპულსები. კუნთების ქმედობაუნარიანობა უამრავ ნერვულ იმპულსს ქმნის. ისინი ტვინს ამდიდრებენ ზემოქმედების ნაკადებით, რაც მას მუშა მდგომარეობას უნარჩუნებს. როდესაც ადამიანი გონებრივად მუშაობს, ძლიერდება კუნთების ელექტრული აქტივობა, რაც იწვევს ჩონჩხისმიერი კუნთების კუნთების



დადაბულობას. რაც უფრო მეტია გონებრივი დატვირთვა და რაც უფრო მეტადაა გონება გადაღლილი, მით უფრო ნათლადაა გამოხატული კუნთოვანი დადაბულობა.

დადაბული გონებრივი მუშაობა ადამიანის სახეზეც აისახება (მაგ., ყურადღების გამახვილება, მოკუმული ტუჩები და მისთ.). ეს მით უფრო შესამჩნევია, რაც უფრო ძლიერია ემოციები, რაც უფრო რთულია დასახული ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც აუცილებელია. რაიმე დავალების შესრულებისას ადამიანს ქვეცნობიერად ეკუმშება და ეძაბება კუნთები, ედრიკება და ეშლება მუხლები, და ეს ემართება იმიტომ, რომ ცენტრალური ნერვული სისტემიდან კუნთების დადაბვით მომდინარე იმპულსები მოქმედებისკენ უბიძგებენ თავის ტვინს, ეხმარებიან მას საჭირო ტონუსის შენარჩუნებაში. საქმიანობას, რომელიც არ მოითხოვს ფიზიკურ ძალისხმევას და ზუსტ კოორდინირებულ მოძრაობებს, როგორც წესი, ახლავს კისრისა და მხრის სარტყლის, ასევე სახისა და სამეტყველო აპარატის კუნთების დადაბულობა. ეს იმიტომ, რომ მათი აქტივობა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ნერვულ ცენტრებთან, რომლებიც მართულნი არიან ყურადღებით, ემოციებით, მეტყველებით. თუ ადამიანი სწრაფად და იოლად წერს, დადაბულობა თანდათანობით გადადის ხელის მტევნის თითებიდან მხრისა და მისი სარტყლის კუნთებზე. ამით

ნერვული სისტემა ცდილობს, გაააქტიუროს თავის ტვინის ქერქი და

უმზრუნველყოს შრომისუნარიანობა. შემდეგ ხანგრძლივი

მუშაობა ჩვევაში გადადის და ადამიანი ეგუება ასეთი

ტიპის გამღიზიანებლებს. ამას მოსდევს დამუხრუ-

ჭების პროცესი და ქვეითდება შრომისუნარი-

ანობა, ვინაიდან თავის ტვინის ქერქს აღარ

შეუძლია გაუმკლავდეს ნერვულ აღგზნე-

ბულობას, და ეს ვრცელდება მთელ მუს-

კულატურაზე. ამის ჩაცხრომა, კუნთების


გათავისუფლება ზედმეტი დადაბულო-

ბისაგან შესაძლებელია აქტიური მოძ-

რაობებით, ფიზიკური ვარჯიშებით.

ნერვული სისტემის ტონუსი და თავის

ტვინის შრომისუნარიანობა შეიძლება



დიდხანს შენარჩუნდეს, თუ კუნთების სხვადასხვა ჯგუფის კუმშვა და დაძაბვა რიტმულად, რიგრიგობით შეენაცვლება მომდევნო დაჭიმულობას და მოშვებულობას. მოძრაობათა ასეთი რეჟიმი დამახასიათებელია სიარულისათვის, სირბილისათვის, თხილამურებით, ციგურებით სრიალისათვის; ხოლო წარმატებული გონებრივი მუშაობისათვის საჭიროა არა მარტო ნავარჯიშევი ტვინი, არამედ ნავარჯიშევი სხეულიც, კუნთებიც. ისინი ნერვულ სისტემას ეხმარებიან ინტელექტუალური დატვირთვის დაძლევაში.

მეხსიერების, ყურადღების, აღქმის, ინფორმაციის გადამუშავების მდგრადობა და აქტიურობა ფიზიკური მზადყოფნის პირდაპირპროპორციულია. ამასთან, სხვადასხვა ფსიქიკური ფუნქცია დიდწილად არის დამოკიდებული გარკვეულ ფიზიკურ მახასიათებლებზე – ძალაზე, სისწრაფეზე, ამტანობაზე და სხვ. აქედან გამომდინარე, სათანადოდ ორგანიზებული წინასწარი მოძრაობითი აქტივობა და ოპტიმალური ფიზიკური დატვირთვა, აგრეთვე, წინდახედულობა გონებრივი შრომის პროცესისას (და მის შემდეგაც) შესაძლებლობას ქმნის, უშუალო ზეგავლენა მოვახდინოთ გონებრივი შრომისუნარიანობის შენარჩუნებასა და ამაღლებაზე.

ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელობა შესაძლებელია მხოლოდ მრავალნაირი კუნთური დატვირთვის ორგანიზაციისას, რომელიც მუდმივად სჭირდება ჯანმრთელ ადამიანს. იგი შედგება სხვადასხვაგვარი მოძრაობითი მოქმედებების ერთობლიობისაგან, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა სრულდებოდეს. იგულისხმება დამოუკიდებლად ორგანიზებული ფიზკულტურული მეცადინეობები, სპორტი, ტურისტული მოგზაურობები – ის ყველაფერი, რასაც ტერმინი „მოძრავი აქტიურობა“ მოიცავს.

ასე რომ, გონების განსავითარებლად საჭიროა სხეულის ისეთი ვარჯიში, რომელშიც მოძრაობათა სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. რაც უფრო მეტია ასეთი მოძრაობები, რაც უფრო ნაირგვარია ისინი, მით უფრო მეტად და უკეთესად ვითარდება ტვინიც. ამის გამოა, რომ სხვებთან შედარებით ფიზიკურად აქტიურ ბავშვებს, როგორც წესი, სხვებზე მეტი მოცულობის ჰიპოკამპი აქვთ. ისინი უფრო წარმატებით ასრულებენ მეხსიერების ტესტებს, ვიდრე მათი თანატოლები.

მეცნიერებმა, ასევე, განსაზღვრეს, რამდენად ეფექტურად იყენებს ბავშვის ორგანიზმი ჟანგბადს სირბილის დროს. ჟანგბადის მოხმარების დონე ზედ-

მიწვევით ობიექტურად გვიჩვენებს, როგორ ფიზიკურ ფორმაშია ადამიანი (ლაურა ჩადოკის გამოკვლევა). ფიზიკურად კარგად განვითარებული ბავშვები უფრო ეფექტურად სარგებლობენ ჟანგბადით, ვიდრე მათი ნაკლებად სპორტული თანატოლები. აღნიშნულ კვლევებში მონაწილეობდა 9-10 წლის 49 ბავშვი. მაგნიტურ-რეზონანსული თერაპიის ანალიზმა უჩვენა, რომ ფიზიკურად განვითარებულ ბავშვებს, საშუალოდ, 12%-ით მეტი მოცულობის ჰიპოკამპი აქვთ. გარდა ამისა, მათ გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ რელაციური მეხსიერების ტესტირებისას (იგულისხმება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის დამახსოვრებისა და კომბინირების უნარი).

აშშ-შიც ჩატარდა ფართომასშტაბიანი ანალოგიური კვლევა (მონაწილეობდა 8-დან 12 წლამდე ასაკის 14 ათასი ბავშვი). დადგინდა, რომ იმ მოსწავლეებს, რომლებიც კვირაში 3-4-ჯერ მაინც იყვნენ დაკავებული სპორტით, უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ ზოგადად და კერძოდ, სწავლაშიც. ისინი, საერთოდ, ყველაფერში ლიდერობდნენ. ვინც სპორტს არ მისდევდა, საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები დაუფიქსირდა.

ფიზიკური დატვირთვა და ტვინის სტრუქტურა

ტვინის განვითარებაზე ფიზიკური დატვირთვის ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით ცდები ვირთავგებზეც ჩატარდა. მკვლევარებმა საამისოდ უკვე საკმაოდ წლოვანი მღრღნელები გამოიყენეს. ისინი 2 ჯგუფად გაყვეს: პირველი ჯგუფი სამი დღის მანძილზე ვირთხებისათვის შესაბამის სერიოზულ ვარჯიშებს „ასრულებდა“, მეორე კი – არა. იმ ვირთხების ტვინში, რომლებიც ვარჯიშებს არ „ასრულებდნენ“, არავითარი ცვლილება არ აღინიშნებოდა, ხოლო მათ, რომლებიც ვარჯიშების ზეგავლენას განიცდიდნენ, ტვინის საკვლევ უბნებზე, სისხლძარღვების ქსელის ოდენობის თვალსაზრისით, საოცარი მატება დაუფიქსირდათ (იგულისხმება ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქი და ნათხემი). ცხადია, ეს ვარჯიშებს უკავშირდებოდა. მეტიც, ვირთავგებმა, რომელთაც სისხლის კაპილართა ქსელის მატება აღენიშნათ, თავისივე ნებით, ყოველდღიურად დაიწყეს გაცილებით მეტ სივრცეში მოძრაობა, დაახლოებით სამჯერ მეტ მანძილზე გადაადგილება, გადარბენ-გადმორბენა.

მსგავსი რამ ემართებათ ადამიანებსაც: თუ მავანი არ მიატოვებს ვარჯიშს (ასე რომ არ მოხდეს, ვარჯიში მისთვის სასურველი, სასიამოვნო უნდა იყოს), იგი მას მიეჩვენა ფიზიოლოგიურ დონეზეც კი, და სულ მალე ვარჯიში მისთვის ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცევა (ვინაიდან მისი თავის ტვინის კაპილარულ ქსელს სიხშირე მოემატება). ე.წ. ტვინის ნეირონები გააქტიურდებიან, ეს კი, თავის მხრივ, გაზრდის ჟანგბადისა და საკვების მეტი რაოდენობის მიღების სურვილსაც და საჭიროებასაც. ამით ტვინის მოცულობა მოიმატებს, რადგან დაიქსელება უფრო ხშირი კაპილარული ბადით. აქედან დასკვნა: ფიზიკური დატვირთვა სასიკეთოდ ცვლის თავის ტვინის სტრუქტურას.

და კიდევ: იმ ადამიანებს, ვინც კვირაში 3-ჯერ, ნახევარი საათი მაინც, აერობულ ვარჯიშებს ასრულებს, ეზრდებათ თავის ტვინის ის უბნები, რომლებიც განაგებენ ე.წ. „საშემსრულებლო“ ფუნქციებს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ ადამიანებს მნიშვნელოვნად უიოლდებათ საორგანიზაციო და დაგეგმვითი სამუშაოები, ერთდროულად რამდენიმე საქმის მოგვარება, ამოცანათა გადაწყვეტა. ადამიანები, რომლებსაც ასეთი ფუნქციების შესრულება ერთ-ერთ სუსტ მხარედ ეთვლებათ, ვარჯიშის შემდეგ შესამჩნევად სტაბილურები და დავალებების უკეთ შემსრულებლები ხდებიან, ეხსნებათ სტრესული გართულებები.

ექსპერიმენტატორები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმას, რომ აერობული დატვირთვები ტვინზე მყისიერად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზემოქმედებს. თუ თქვენ მართლაც გინდათ, გონებრივი შესაძლებლობები გაიფართოოთ და გაიქტიუროთ, მაშინ სხეულის სათანადოდ დატვირთეთ!



მოძრავი თამაში როგორც ბავშვის ფიზიკური თვისებების განვითარების საშუალება

მოძრავი თამაში ეწოდება ისეთ თამაშს, რომელიც შეიცავს აქტიურ, ენერგიულ მოძრაობებს და მოითხოვს შეგნებულ მოქმედებებს. იგი მიეკუთვნება რთულ სამოძრაო საქმიანობას, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ბავშვის სამოძრაო აპარატის აქტივობა, მოძრაობათა მრავალფეროვნება.

ბავშვის აღზრდაში მოძრავი თამაშის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღიარებულია ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერისა და პრაქტიკოსი პედაგოგის მიერ. თამაშობებზე წერს დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“: „ქართველების ოდენა სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს“. აკაკი წერეთელმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო „ბურთაობას“, რომლის დროსაც „...თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ერევა სიმარდეს“.

მოძრავი თამაში უდიდეს სიხარულს ანიჭებს ყველა ასაკის ბავშვს და ეს დადებითი ემოციები სასიკეთოდ მოქმედებს მის ფსიქიკაზე. მოძრავ თამაშში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, დამოუკიდებლობა, შემოქმედებითობა. გუნდურ თამაშში იზრდება და ფართოვდება თითოეული მოთამაშის პირადი ინიციატივა, ამასთან, ბავშვი ერევა თავის შეკავებასა და საკუთარი ნებისყოფის წარმართვას. მოძრავი თამაში ბავშვებს უვითარებს მიზანსწრაფულობას, ნებისყოფის სიმტკიცეს, მეგობრობის გრძნობას და სხვ.

იმისათვის, რომ მოძრავმა თამაშმა აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ფუნქცია შეასრულოს, საჭიროა მისი გულმოდგინედ შერჩევა ბავშვთა ასაკობრივი თვისებებებისა და ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინებით.

მოძრავი თამაშების შერჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს ძირითადი ფიზიკური თვისებების განვითარებას. ეს თვისებებია: ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე და მოქნილობა.

ძალა არის ადამიანის უნარი, კუნთის დაძაბვის ხარჯზე დაძლიოს გარე წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლის მოქმედების შესრულებაში. ძალის განმტკიცებისას არ უნდა ვისწრაფოდეთ მაქსიმალური დატვირთვის გაზრდისკენ, რადგან ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ძვლოვანი სისტემისა და შინაგანი ორგანოების განვითარებაზე. არასასურველია ისეთი ვარჯიშები, რომლებიც იწვევს სუნთქვის შეკავებას, ხანგრძლივ დაჭიმულობას და დაძაბულობას. ძალის განვითარებისთვის საჭიროა, თანდათანობით გაიზარდოს ფიზიკური დატვირთვა.

სისწრაფე ადამიანის მიერ მოძრაობის უმოკლეს დროში შესრულების შესაძლებლობაა. მოძრაობის სისწრაფე, პირველ რიგში, განისაზღვრება თავის ტვინის ქერქის სათანადო ნერვული მოქმედებით, რომელიც იწვევს კუნთების დაძაბვას. იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსწავლის ტექნიკური მომზადების სრულყოფაზე, კუნთების ძალასა და ელასტიკურობაზე, სახსრების მოძრაობის უნარიანობაზე. სისწრაფის განვითარებისთვის გამოიყენება ვარჯიშები მძლეოსნობიდან, სპორტული თამაშები და მოძრავი თამაშები სირბილის ელემენტებით.

გამძლეობა (ამტანობა) არის ადამიანის უნარი, გარკვეული ინტენსივობით ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ეფექტურობის დაქვეითების გარეშე, შეასრულოს ამოცანა. ამ ფიზიკური თვისების განსავითარებლად საჭიროა ერთი და იმავე ვარჯიშის (ფიზიკური აქტივობის) მრავალჯერ გამეორება. ასეთი ერთსახოვანი დატვირთვა კი ბავშვებში გადაღლას იწვევს და მათ მოძრაობისადმი ინტერესს უკარგავს. ამიტომ, განსაკუთრებით უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში, მიზანშეწონილია ამ თვისების განვითარება მოძრავი თამაშების მეშვეობით.

სიმარჯვე ადამიანის მიერ ახალი მოძრაობის სწრაფად დაუფლებისა და ცვალებადი გარემოს მოთხოვნების შესაბამისად მოძრაობითი მოქმედების სწრაფად შეცვლის უნარია. სიმარჯვე ბავშვს უწყალებებს მოცემული დავალების რაციონალურად, ე.ი. უმცირესი ენერგიის დახარჯვით შესრულების უნარს. სიმარდის განვითარების ძირითადი გზაა ახალი, სხვადასხვაგვარი მოძრაობითი უნარ-ჩვევების დაუფლება. ახალი ჩვევების გაძლიერება მეტ-ნაკლებად თანაბრად უნდა ხდებოდეს. სიმარჯვის განსავითარებლად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მოძრავი თამაში, რომლებიც ეხმარება ბავშვს ლალი და თავისუფალი მოძრაობების შესრულებაში.



მოქნილობა მოძრაობათა დიდი ამპლიტუდით შესრულების შესაძლებლობაა, რაც დამოკიდებულია სახსრებში ძვრადობასა და კუნთების ელასტიკურობაზე, ე.ი. მათი დაჭიმულობისა და შეკუმშვის უნარზე. მოქნილობა გავლენას ახდენს მოძრაობის სისწრაფესა და სიზუსტეზე. უნდა ვისწრაფოდეთ, ბავშვს შევუნარჩუნოთ ბუნებრივი მოქნილობა. მოძრავი თამაშების არჩევისას გასათვალისწინებელია, რომ მოქნილობა ვითარდება მოძრაობის დიდი ამპლიტუდით შესრულების დროს.

ამრიგად, ფიზიკური აღზრდის საშუალებებს შორის მოძრავი თამაში გამოირჩეულია. იგი ხელს უწყობს აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ამოცანების ეფექტიან გადაჭრას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის აღზრდაში. მოძრავი თამაში უზრუნველყოფს ძირითადი ფიზიკური თვისებების განვითარებას, რომლის საფუძველზეც ბავშვი წარმატებით ეუფლება მოძრაობით უნარ-ჩვევებს. აქტიური მოძრაობა ბავშვის ორგანიზმში აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, რაც პოზიტიურად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე.

გთავაზობთ რამდენიმე მოძრავე თამაშს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ერთ-ერთ დომინანტურ ფიზიკურ თვისებაზე.

მოძრაობი თამაშები ძალის განვითარებისთვის

„ჩაითრეე წრეში“

მოთამაშეები წრეზე მჭიდროდ დგებიან, გაითვლიან პირველ-მეორეზე, წრის შიგნით ფეხის წვერებთან შემოავლებენ ხაზს.

პირველი ნომრები (პირველი გუნდი) რჩებიან წრის გარეთ, მეორე ნომრები (მეორე გუნდი) შედიან წრეში და მობრუნდებიან სახით პირველებისკენ.

მასწავლებლის ნიშანზე მოთამაშეები ცდილობენ ჩაავლონ ხელი ერთმანეთს, ჩაითრიონ ან გამოიყვანონ წრიდან ერთმანეთი. წარმატებით შესრულებულ ცდაზე თითოეული გუნდი იღებს ქულას. გარკვეული დროის (1-2 წუთი) შემდეგ გუნდები ცვლიან ადგილებს.

იმარჯვებს გუნდი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს.

„ბაგირის გადაწევა“

ბაგირის შუაში აკეთებენ ნიშანს (ფერად ნაჭერს შემოახვევენ). ამ ნიშნიდან მარჯვნივ და მარცხნივ 1 მეტრის მანძილზე კიდევ ორ ნიშანს აკეთებენ და იატაკზე გაავლებენ განივ ხაზს. ორი გუნდი, რომელიც ხაზის მოპირდაპირე მხარეებზე დგას, ხელს ჰკიდებს ბაგირს განაპირა ნიშნებამდე. შუა ნიშანი ზუსტად უნდა მოდიოდეს გავლებულ ხაზზე. მასწავლებლის ნიშანზე გუნდები ერთდროულად დაიწყებენ ბაგირის გადაწევას თავის მხარეს. იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მოწინააღმდეგე გუნდს თავის მხარეზე გადაიყვანს.

მოძრაობი თამაშები სისწრაფის განვითარებისთვის

„თევზი ბადეში“

სამი მოთამაშე ერთმანეთს ჰკიდებს ხელს (მეზადურები) და დასდევს დანარჩენ მოთამაშეებს. მათი მიზანია დანარჩენი მოთამაშეების თავზე ჩაკი-

დებული ხელების ჩამოცმა. ესენი თავის დახრის და წელში მოხრის გარეშე, სხვადასხვა მანევრით ცდილობენ აიცილონ ხელებჩაკიდებული მოთამაშეების შეტევები. ის, ვინც თავს დახრის ან წელში მოიხრება, თამაშს ეთიშება. ბადეში გაბმულ მოთამაშეს მებადურები ჰკითხავენ: „ვინა ხარ, თევზი თუ ბაყაყი?“ მას შეუძლია თქვას, რომ არის ბაყაყი, რის შემდეგაც გაათავისუფლებენ. თუ ის მეორედ მოხვდება ბადეში, მაშინ თამაშს დატოვებს. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ბავშვები არ დაიღლებიან, ან მებადურები ყველა თევზს არ დაიჭერენ.

„მესამე ზედმეტია“

მოთამაშეები აკეთებენ წრეს და ეწყობიან წყვილ-წყვილად ერთმანეთის უკან, სახით წრის ცენტრისაკენ. წრის გარეთ დარბის თამაშის ორი წამყვანი. ერთი ცდილობს, ხელით შეეხოს (ჩაჭრას) მეორეს, მეორე კი გარბის და, თუ რომელიმე წყვილს წინ დაუდგა, მაშინ ამ წყვილის მეორე მოთამაშე ზედმეტი ხდება და უნდა გაიქცეს. გაქცეულს გამოედევნება იგივე დამჭერი. თუ მდევარი ჩაჭრის გაქცეულს, ამ შემთხვევაში მათი როლები შეიცვლება.

მოძრაობი თამაშები გამძლეობის განვითარებისთვის

„წრეებში ბრძოლა ბურთისათვის“

მოედანზე შემოხაზავენ რამდენიმე წრეს ერთიმეორისაგან 3-4 მეტრის დაშორებით. ყოველ წრეში დგება თითო მოთამაშე. თამაშის 4-6 წამყვანი დარბის მოედანზე წრეებს შორის და ცდილობს დაიჭიროს ბურთი, რომელსაც ერთმანეთს უგდებენ წრეში მდგომი მოთამაშეები. თამაშის წამყვანებს და სხვა მოთამაშეებს უფლება არა აქვთ, გადააბიჯონ წრეხაზს. როდესაც ერთ-ერთი წამყვანი დაიჭერს ბურთს, ხმამაღლა იძახის: „შეიცვალოს წრეები“. ამ ნიშანზე ყველა მოთამაშე გადაირბენს ერთი წრიდან მეორეში, წამყვანები კი ამ დროს ცდილობენ, სწრაფად დაიკავონ თავისუფალი წრეები. მოთამაშეებს, რომლებიც გადარბენისას წრის გარეთ დარჩებიან, ნიშნავენ თამაშის წამყვანებად და თამაშს განაგრძობენ.

„ალყიდან თავის დაღწევა“

მოთამაშეები იყოფიან ორ გუნდად. პირველი გუნდის მოთამაშეები ხელი-

ხელჩაკიდებულები შეკრავენ წრეს, მეორე გუნდისანი კი დგებიან წრის შიგნით. მასწავლებლის ნიშანზე წრის შიგნით მდგომი მოთამაშეები ცდილობენ წრიდან გამოსვლას, მეორე გუნდი კი მათ არ აძლევს ამის საშუალებას. თამაში გრძელდება 2-3 წუთს, რის შემდეგაც გუნდები ცვლიან ადგილებს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც ალყაში მოაქცევს მოწინააღმდეგე გუნდის მეტ მოთამაშეს.

თამაშის დროს მოთამაშეებს ეკრძალებათ წრის ხელით გაწყვეტა ან ხელებზე გადახტომა. ნებადართულია მხოლოდ ხელების ქვეშ გაძრომა.

მოძრაობი თამაშები სიმარჯვისა და მოქნილობის განვითარებისთვის

„მოახვედრე ბურთს“

მოთამაშეები ორ გუნდად იყოფიან და ჩამწკრივდებიან მოედნის ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს ერთმანეთისგან დაახლოებით 30 მეტრის დაშორებით. მწკრივების წინ გაივლება ხაზი, მოედნის ცენტრში დებენ ფრენბურთის ბურთს. ერთი მწკრივის ბავშვებს დაურიგდებათ მცირე ბურთები (ჩოგბურთის).

მასწავლებლის ნიშანზე ერთი მწკრივის ბავშვები ერთდროულად ესვრიან მცირე ბურთებს და ცდილობენ მოახვედრონ მოედნის ცენტრში დადებულ ფრენბურთის ბურთს, რათა იგი გადაგორდეს მოწინააღმდეგის მხარეს გავლებულ ხაზს იქით. ამის შემდეგ მეორე მხარეზე მყოფი გუნდის წევრები აგროვებენ ბურთებს, ინაწილებენ და რიგის მიხედვით, მასწავლებლის ნიშანზე, ესვრიან ფრენბურთის ბურთს. ისინი ცდილობენ ფრენბურთის ბურთის გადაგორებას უკანვე, მოწინააღმდეგის ზონაში. ბურთების სროლა გრძელდება მანამდე, სანამ ფრენბურთის ბურთი არ გადაკვეთს ერთ-ერთი გუნდის წინ გავლებულ ხაზს.

მოძრაობი თამაშები მოქნილობის განვითარებისთვის

„ტყუბუფეხგადახტომა მოთამაშის ზურგზე ხელების ბჯენით“

თამაშში მონაწილეობს 10-10 მოთამაშე. ყოველი გუნდის მოთამაშეები დგე-

ბიან საწყისი ხაზის წინ ერთ კოლონად, წინზნეის მდგომარეობაში, მუხლებზე მკლავების დაყრდნობით, ერთმანეთისგან 2-3 მეტრის დაშორებით, სახით სამთავრო ხაზისკენ. ეს ხაზი გავლებულია საწყისი ხაზიდან დაახლოებით 20-25 მეტრში. სამთავრო ხაზის უკან განივად დევს სატანვარჯიშო სკამი.

მასწავლებლის ნიშანზე პირველი მოთამაშეები გარბიან წინ, ტყუპი ხელის შეხებით გადაახტებიან წელში მოხრილ თავისივე გუნდის მეორე მოთამაშეს, შემდეგ ასრულებენ წინკოტრიალს, წამოდგებიან, გადაახტებიან იმავე ხერხით მესამეს და ა.შ. ბოლო გადახტომის შემდეგ გარბიან სამთავრო ხაზისაკენ და სხდებიან სატანვარჯიშო სკამზე. ყველა მოთამაშე იმეორებს იმავეს.

გამარჯვებულად ითვლება გუნდი, რომლის ბოლო მოთამაშეც პირველი დაჯდება სატანვარჯიშო სკამზე.

„პამპულობანა“

„პამპულობანას“ სათამაშოდ გამოიყენება ფეხბურთის ბურთი. ბავშვები დგებიან წრეზე. მათ შუაში დგება კენტისცრით არჩეული მოთამაშე („პამპულა“). წრეზე მდგომი მოთამაშეები ფეხებით გადასცემენ ბურთს ერთმანეთს, პამპულა ცდილობს ჩაჭრას ბურთი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოთამაშის მიერ პარტნიორისათვის მიწოდებულ ბურთს ჩაჭრის პამპულა, მაშინ პამპულა და ის მოთამაშე ადგილებს ავტომატურად გაცვლიან.

